დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
# ასავალ დასავალი
2023 წლის 1 – 7 მაისი
N20-21 1484-1485
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# პოლიტიკური შალვატანეების შესახებ


8-9

როგორც ჩანს, ცნობილი ქართველი ადვოკატებისათვის „შალვა“ მეტად საბედისწერო სახელი გახლავთ...


4

გარაჟში შესული ამერიკის ელჩი გულდასმით უნდა გაეცნოს თამაზ ნივნივაძის პუბლიცისტურ შედევრს „გაიღვიძე, გრიშა ბიძია, დეპოში ვართ!“

# გაიღვიძე, კელი ბიცოლა, გარაჟში ვართ!


6

„1972 წელს რომ მეტრეველი რომ ცეკას პირველი მდივანი გამხდარიყო, დარწმუნებული ვარ, საქართველო სულ სხვა გზით წავიდოდა და ქვეყანა აყვავდებოდა!“


5

**იგორ კვესელავა:**

## ყველა, ვისაც ზვიად გამსახურდიამ ხელი დაადო, მართლაც „კაგებეს“ აგენტი იყო!


7

ხელთ მაქვს მჟავანაძისა და შევარდნაძის დროს „კაგებეს“ მიერ დავერბოვკებული“ ხალხის, დაახლოებით 200-კაციანი სია!

**სვიმონ მასხარაშვილი:**


22

## ეს იყო ბერიას საბედისწერო შეცდომა!

**არნო ხიდირბეგიშვილი**


20

## რა უშლის ხელს საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებაში?

100 შეკითხვა „ქართულ ოცნებას“

**ავთანდილ ჟორჟენაძე**


30

## ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება საქართველოს ჯანდაცვის სისტემის განვითარებაში



**თენგიზ ვერულავა**

3 1989 წლის 14 აპრილი



## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის №14 ოქმი

დოკუმენტები არ იწვიან!

# მადამ კოლონა, კოლონია




## ფრანგ მინისტრ კატრინ კოლონას საქართველოში მოქმედი „მეხუთე კოლონისათვის“ ოდეების მიძღვნას ურჩევნია, საკუთარ ქვეყანას მიხედოს, რომელიც უკვე აშშ-ის ფაქტობრივ კოლონიად გადაიქცა!

***გასულ კვირას საქართველოს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კატრინ კოლონა სტუმრობდა, რომელმაც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, ანუ უცხოეთიდან დაფინანსებული ნაცლიბერალური „მეხუთე კოლონა“ ქება-დიდებით ცაში აიყვანა.***

პირდაპირ რომ ვთქვათ, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **კატრინ კოლონა** თბილისში ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის მხარდასაჭერად კი არა, **„მეხუთე კოლონის“** გასამხნევებლად და გასაძლიერებლად ჩამოვიდა.

აი, მისი განცხადებაც:

***„ჩემი ჩამოსვლისთანავე მინდოდა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრა. საქართველოს გაუმართლა, რომ ჰყავს დინამიკური, სერიოზული და მომთხოვნი ორგანიზაციები.“***

როგორც ხედავთ, **მადამ კოლონამ** პირდაპირ და ყოველგვარი დიპლომატიური ორაზროვნების გარეშე თქვა — დავდგი თუ არა ფეხი საქართველოს ტერიტორიაზე, ერთი სული მქონდა, „სამოქალაქო საზოგადოების“ წარმომადგენლებს შევხვედროდიო!

ე.ი. **მადამ კოლონასათვის** გაცილებით პრიორიტეტული ყოფილა აუდიენცია არა ქართული სახელმწიფოს მესვეურებთან — საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან ან თუნდაც ნახევრად ფრანგ პრეზიდენტთან, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ანუ კოლექტიურ **ლომჯარია-გიგაურებთან,** რომლებსაც ქართველი ხალხის უდიდესი უმრავლესობა სამართლიანად მიიჩნევს კოლექტიური დასავლეთის **„მეხუთე კოლონად.“**

თანაც, ნახეთ, როგორი აღმატებული ეპითეტებით შეამკო ფრანგმა **მინისტრმა კოლონამ** სალომჯარიეთ-საგიგაურეთი, ანუ კოლექტიური დასავლეთის **„მეხუთე კოლონა“** — სერიოზული და მომთხოვნი ორგანიზაციები არიანო!

კაცმა რომ თქვას, **მადამ კოლონა** არ ცდება, როცა ლომჯარიზებულ და გიგაურიზებულ **„მეხუთე კოლონას“** მომთხოვნ ორგანიზაციებს უწოდებს — ისინი მართლაც მუდამ რაღაცას მოითხოვენ!

მაგალითად, **ნაცლიბერალური არასამთავრობო ორგანიზაციები მოითხოვენ,** რომ ორიათასწლოვანი ქართული მართლმადიდებელი ეკლესია არ უნდა სარგებლობდეს იმაზე დიდი უფლებებითა და გავლენით, ვიდრე, ვთქვათ, იეღოველთა სექტა ან პარტია „გირჩის“ მიერ დაარსებული რელიგიური ორგანიზაცია „ბიბლიური თავისუფლება“!

**ნაცლიბერალური „მეხუთე კოლონა“ ასევე კატეგორიულად მოითხოვს,** რომ საქართველოში კანონით იყოს ნებადართული ერთნაირსქესიანთა ქორწინება და ერთნაირსქესიან ოჯახებს ბავშვის აყვანის უფლებაც მიეცეთ!

გარდა ამისა, ნაცლიბერალური **„მეხუთე კოლონა“** ცოტა ხნის წინათ საქართველოს ხელისუფლების გადაყენებასაც ცდილობდა და ლომჯარია-გიგაურის პირით, ე.წ. ტექნიკური მთავრობის ფორმირებას ითხოვდა!

არც ის დაგვავიწყდეს, რომ უკრაინაში ომის დაწყებისთანავე ნაცლიბერალური **„მეხუთე კოლონის“** წარმომადგენლები აქტიურად ჩაებნენ პროპაგანდისტულ კამპანიაში, რომელიც საქართველოს ომში ჩათრევას ისახავდა მიზნად. ისინი, ფაქტობრივად, პირდაპირ ითხოვდნენ, საქართველოს მეორე ფრონტი გაეხსნა, რისი დასტურიც იმავე **ლომჯარიას** განცხადება გახლავთ — **მირჩევნია, თავზე ბომბები მეცემოდეს, ვიდრე სირცხვილით ვიწვოდე იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლება უკრაინას არ ეხმარებაო!**

მოკლედ, ეს ნაცლიბერალური **„მეხუთე კოლონა“,** რომელსაც ფრანგმა მინისტრმა **კატრინ კოლონამ** „დინამიკური, სერიოზული და მომთხოვნი ორგანიზაციები“ უწოდა, მუდამ იმას ითხოვს, რაც საქართველოს სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება!

ჰოდა, იქ — კოლექტიურ დასავლეთში, რომლის ბიუროკრატიის ერთ-ერთი წარმომადგენელი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **კატრინ კოლონა** გახლავთ, საქართველოში მოქმედ **„მეხუთე კოლონას“** სწორედ ამ მომთხოვნელობას უფასებენ!

ისე, საინტერესოა, ფრანგმა **მინისტრმა კოლონამ,** რომელმაც საქართველოში მოქმედ **„მეხუთე კოლონას“** ხოტბა-დიდება შეასხა, იცის თუ არა, რომ კოლექტიური **ლომჯარია-გიგაურების** რეიტინგი, მათივე მონათესავე ლიბერალუ-



საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კოლონა ლომჯარიასთან, გიგაურთან

## მინისტრმა კოლონამ იცოდეს: საქართველო „მეხუთე კოლონის“ კოლონია არასოდეს გახდება!

### კვირგვინოსნები

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



ოპონენტების მხრიდან **პოლიტიკური სპეკულაციაა** იმის თქმა, რომ წერეთლის გამზირზე სამუშაოები ამ დროის ნაცვლად, **ზაფხულში უნდა დაგვეწყო, რადგან ქალაქში ნაკლები ხალხი იქნებოდა.** ვთქვათ, ასე რომ მოვქცეულიყავით, **სამუშაოები თებერვალსა და მარტშიც გადაიწევდა. მაშინ რას ვეტყოდით მოსახლეობას?** ისე არიან დაბოღმილები, არ იციან, რა თქვან, როდესაც ქალაქისთვის რაიმე მნიშვნელოვანი პროექტი კეთდება. **როგორ არ უნდა გესიამოვნოს ადამიანს ის, რომ ქალაქში ამ მასშტაბის პროექტი მიმდინარეობს?**

„ინტერპრესნიუსი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



გასულ წელს **საქართველოს არ მიენიჭა კანდიდატის სტატუსი** და განცალკევებული იქნა „ასოცირებული ტრიოდან“ — **მსგავსი განცალკევება აძლიერებს ჩვენს საერთო არაკეთილმოსურნეებს** და რეგიონს აგრესორის წინაშე დაუცველს ტოვებს.

„ინტერპრესნიუსი“

**გიგლა ბარამიძე**
*დიპლომატი, პოლიტოლოგი*



დღეს ისეთი ვითარებაა, როდესაც ხელისუფლება და საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა **მშვიდობასთან დაკავშირებით, არეულობა რომ არ იყოს, ორი გვამის პარტია რომ არ დაბრუნდეს** და სხვადასხვა საკითხში, თანამოაზრეები არიან. ასე რომ, თუკი იქნება **არეულობის მცდელობა,** საზოგადოება ამას არ დაუშვებს.

„TV იმედი“

**ილია დარჩიაშვილი**
*საგარეო საქმეთა მინისტრი*



დარწმუნებული ვარ, **საქართველო ღირსეულად და დამსახურებულად ნახავს შედეგს,** რასაც ჰქვია ევროკავშირთან კიდევ უფრო დაახლოება, ეს ჩვენი ქვეყნის ძალიან ღირებული გზაა.

„პირველი არხი“

# არ გავჩხდებით!

რი ორგანიზაციების კვლევებითაც კი, კატასტროფულად დაბალია და მათ ნდობას მოსახლეობის მხოლოდ 1-2 პროცენტი უცხადებს?

მიუხედავად ამისა, თბილისში სტუმრად მყოფმა **მადამ კოლონამ** საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს, ფაქტობრივად, დირექტივა მისცა — **არასამთავრობო ორგანიზაციების გარეშე ერთი ნაბიჯიც არ გადადგათ, ყველაფერი მათთან შეათანხმეთ და მათ ჭკუაზე იარეთო!**

კერძოდ, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა თავის ქართველ კოლეგას განუცხადა:

> ***„თუ შემიძლია რეკომენდაცია გავაკეთო, ეს არის ის, რომ ერთად უნდა იმუშაოთ, მოუსმინოთ ერთმანეთს, ერთმანეთის კრიტიკას მოვუსმინოთ, იმისათვის, რომ წინ წავიწიოთ. დემოკრატიულ საზოგადოებაში სამოქალაქო საზოგადოებასთან ინკლუზიური მუშაობაა საჭირო.“***

**მადამ კოლონას** ეს განცხადება, თუ მას დიპლომატიური დელიკატურობის საბურველს მოვაშორებთ, პირდაპირ ნიშნავს, რომ საქართველოში სახელმწიფოებრივად და პოლიტიკურად მნიშვნელოვანი არცერთი საკითხი არ უნდა გადაწყდეს **„მეხუთე კოლონის“** გარეშე, რომელიც საკუთარი თავის შენიღბვას ცდილობს ტერმინებით — **„სამოქალაქო საზოგადოება“** და **„არასამთავრობო სექტორი“!**

მას შემდეგ, რაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **კატრინ კოლონამ** საქართველოში მოქმედ **„მეხუთე კოლონას“** — ნაცლიბერალურ არასამთავრობო ორგანიზაციებს ოსანა აღუვლინა, კიდევ ერთხელ გახდა ცხადი, თუ რატომ გაუწიეს კატეგორიული წინააღმდეგობა ევრო-ამერიკულმა პოლიტწრეებმა საქართველოში ე.წ. გავლენის აგენტების რეგისტრაციის კანონს —

### კოლექტიური დასავლეთისათვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ მისი გავლენის აგენტურას ნამდვილი სახელი კი არ დაერქვას, არამედ „სერიოზულ, დინამიკურ და მომთხოვნ სამოქალაქო საზოგადოებად“ იწოდებოდეს!

თუმცა, პოლიტიკური და მორალური ხრწნილების ფაზაში შესულმა დასავლურმა ბიუროკრატიამ, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **კატრინ კოლონა** გახლავთ, უნდა იცოდეს, რომ საქართველო **„მეხუთე კოლონის“** კოლონია არასოდეს გახდება!

ფრანგ **მინისტრ კოლონას** საქართველოში მოქმედი **„მეხუთე კოლონისათვის“** ოდების მიძღვნას ურჩევნია, საკუთარ ქვეყანას მიხედოს, რომელიც უკვე **აშშ-ის ფაქტობრივ კოლონიად** გადაიქცა და რომლის პრეზიდენტმა **მაკრონმაც** სულ ახლახან საწყლად ამოიკნავლა — **ამერიკასთან ალიანსი არ ნიშნავს, რომ საფრანგეთი მისი ვასალიაო!**

ამერიკასთან და ევროპასთან პარტნიორობა არც საქართველოსათვის ნიშნავს ამერიკისა და ევროპის ვასალობას!

ფრანგმა **მინისტრმა კოლონამაც** და ლომჯარიზებულმა **„მეხუთე კოლონამაც“** ეს კარგად დაიმახსოვრონ!

***ჯაბა ხუბუა***



**და სხვა „ენჯეოშნიკებთან“ შეხვედრაზე**

## საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კოლონამ ნაცლიბერალურ „მეხუთე კოლონას“ ოსანა აღუვლინა!

### კვირგვინოსნები



**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*

მოსამართლეთა დასანქცირებაზე კვლავაც **პრინციპულად ვითხოვთ მტკიცებულებებს,** თუმცა, ვხედავთ, ელჩი არ თვლის ქართველ საზოგადოებას ღირსად, რომ წარმოადგინოს მტკიცებულებები. „პირველი არხი“



**თეა წულუკიანი**
*კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი*

მზად ვართ, მოსამართლეების დასანქცირებაზე **მოვისმინოთ მტკიცებულებები,** განვიხილოთ ერთად და ვიმსჯელოთ, მაგრამ, როგორც ჩანს, **ეს მტკიცებულებები არ არსებობს.** „პირველი არხი“



**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*

პოლიტიკურ რეიტინგებთან დაკავშირებით ნებისმიერ ჩვენს მხარდამჭერს გაუჭირდება **„აირაის“ კვლევის შედეგების დაჯერება,** 2024 წელს ერთად გადავამოწმებთ, ვის რა მხარდაჭერა აქვს. „პირველი არხი“



*დასაწყისი „ა-დ“. 2023 წლის №16-17,18-19*

„ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე მთავრდება **დაშიფრული დეპეშების, გასაიდუმლოებული მოხსენებებისა და ფართო საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი სხვა დოკუმენტების** პუბლიკაცია, რომლებიც **1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიასთან** დაკავშირებით ძალიან ბევრ რამეს ახდიან ფარდას. **ეს საიდუმლო და სკანდალური დოკუმენტები,** რომლებიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივშია დაცული, ქართული პრესის ფურცლებზე პირველად ქვეყნდება.

## ჯ. ი. პატიაშვილის გამოსვლიდან მეცნიერებათა აკადემიაში 1989 წლის 11 აპრილს



**ძვირფასო მეგობრებო!**

დღეს ჩემი უკანასკნელი გამოსვლაა. დღეს ჩემი უკანასკნელი გამოსვლაა თქვენ წინაშე. მე მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ და ვგრძნობ იმ დიდ ტვირთს, რომელიც მაწევს, როგორც მოქალაქეს, როგორც ქართველს, როგორც კომუნისტს, როგორც ხელმძღვანელს. რაოდენ სამწუხარო და მძიმეა ჩემთვის ამის თქმა, მაგრამ არ მაქვს მორალური უფლება, ეს არ მოგახსენოთ თქვენ, საქართველოს ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს, ადამიანებს, რომელთა მიმართ პატივისცემა, სიყვარული ყოველთვის მქონდა და მაქვს. მე გავიზარდე თქვენთან.

მაგრამ მდგომარეობა და შექმნილი სიტუაცია ისე წარიმართა, ისე წარიმართა საქმიანობაც, რომ ვერ ვმართეთ ის პროცესები, რომელიც უნდა იმართებოდეს. მე აბსოლუტურად ვიზიარებ იმ შენიშვნებს, რაც აქ გამოთქვეს ჩემ მიმართ. ზოგიერთი გამონაკლისის გარდა იმიტომ, რომ ამის უფლება, ალბათ, უნდა გვქონდეს ჩვენ. დემოკრატია, საჯაროობა, რომელიც დაიწყო ქვეყანაში, სამწუხაროდ, არ წარიმართა იმდაგვარად იმის გამო, რომ დემოკრატია მაინც ცალმხრივად იყო და დღესაც ასეა.

ჩემი მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ ვალდებულად ვთვლი თავს, ანგარიში ჩავაბარო. ეს ანგარიში არცთუ სასურველია ჩემთვის და ჩემი მომავალი თაობისთვის. მაგრამ გამოსვლა მინდა ისე წარვმართო, თუ გამომივა, რომ ავხსნა, რა მოხდა. რა არის მიზეზი, რასთან გვაქვს საქმე და ამხანაგებმა სწორად შეაფასონ დღევანდელი მდგომარეობაც, გუშინდელიც, 9 აპრილიც, ნოემბრის დღეებიც. ბევრმა აქ გამოსულმა ამხანაგმა, რომელმაც, რასაკვირველია, სწორი შენიშვნა მოგვცა და ბრალიც დაგვდო იმ ჯარების შემოყვანაში ნოემბრის დღეებში. ისინი ერთ-ერთი ინიციატორები იყვნენ, რომ ჯარი შემოსულიყო. მაგრამ მაშინ არ წავედით ამ გზაზე სხვადასხვა მიზეზის გამო. [...] ინიციატორები იყვნენ ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლები და კონკრეტულად განაცხადეს ჩვენს შეკრებაზე, რომელსაც ესწრებოდით თქვენ. ეს არაფერს არ იძლევა, არც მამართლებს, მაგრამ ჯარის შემოყვანა და იმ მდგომარეობის შექმნა გამოწვეული იყო იმ ექსტრემალური სიტუაციით, რომელიც შეიქმნა დედაქალაქში.

•

სწორად უნდა გამიგოთ, როგორც პიროვნებას და აქ იყო უკვე ერთი სიტყვა, ნათქვამი სიტყვა, რომ არ განმეორდება 56 წელიო, მაგრამ მგონი ახლა ეჭვი ეპარება ყველა იმას, რაც მე ვთქვი და მეც ეჭვი მეპარება. არა ჩემს ნათქვამში, არამედ მოქმედებაში და ახლაც ხმამაღლა ვაცხადებ. ყველამ უნდა იცოდეს, რომ დავალება, რომ დარბევა იმდაგვარად როგორც წარიმართა, არ უნდა ყოფილიყო. მოედანი უნდა დაკავებულიყო ყოველგვარი ბრძოლის გარეშე, ვინაიდან რესპუბლიკა პარალიზებული იყო ერთი კვირის განმავლობაში. არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში, არც ერთ სახელმწიფოში ეს პროცესები იმდაგვარად არ ვითარდება, როგორც ჩვენთან, ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა. აქ დაასახელეს ბალტიისპირეთი, დაასახელეს კიდევ სხვა რეგიონები. ამხანაგებო, ასეთი თავაშვებულობა, ზუსტად ვლაპარაკობ, არ იფიქროთ, რომ რამეს გავურბივარ, პასუხისმგებლობას. ასეთი უსინდისო დამოკიდებულება კაცებისადმი, ხალხისადმი, ურთიერთობაშიც კი არც ერთ რესპუბლიკაში არ არის.

მინდა, ზოგიერთ საკითხს ქრონოლოგიურად მივყვე, რომ კიდევ ერთხელ გითხრათ და დაგარწმუნოთ. ეს დარწმუნება ჩემს განწმენდას არ უშველის, იმიტომ, რომ ჩემი სინდისის წინაშე მართალი ვარ, მე ასე ვიცი, ასე მწამს. მაგრამ საჭიროა, რომ თქვენც იცოდეთ. შეცდომები, რომლებიც მოგვდის სამსახურსა და ცხოვრებაში, შეცდომებს, რომლებსაც ჩვენ შეფასებას არ ვაძლევთ, როცა ადამიანებს არ ვეუბნებით იმას, რაც უნდა ვუთხრათ პირდაპირ და ამის შემდგომ დასკვნა გავაკეთოთ და მათაც ირწმუნონ, რომ ეს პროცესები უნდა იმართებოდეს იმდაგვარად, როგორც საზოგადოებას სჭირდება.

•

ჩვენთან შეხვედრის წინა დღეებში **გამსახურდიამ და, სამწუხაროდ, ჩვენი ინტელიგენციის ზოგიერთმა წარმომადგენელმა** ხელი შეუწყო ამ პროცესს, თქვენ ესეც უნდა დაიმახსოვროთ, ვინაიდან ამას მე იმიტომ მოგახსენებთ, რომ ყველაფერი ისე თვალთმაქცურად გაკეთდება, როგორც ზოგიერთი აკეთებს. სიმართლე მაინც გამოჩნდება. გადაუხადეს იუბილე უნივერსიტეტში, აქ ბრძანდებით უნივერსიტეტის წარმომადგენლები, რომელმა თქვენგანმა აღიმაღლა ხმა, როდესაც ივანე ჯავახიშვილის იუბილე, ვიმეორებ, არ გადაუხდია უნივერსიტეტს იმდაგვარად, ჩვენდა სამწუხაროდ, გადაუხადეს იუბილე და სამი-ოთხი საათის განმავლობაში ვითომ თავმდაბლურად დამთავრდა ამით. მერე საგანგებო ლექცია თუ ლექტორს იწვევენ უმაღლეს სასწავლებელში, აძლევენ აუდიტორიას, არა სააქტო დარბაზს და ეს ყველაფერი აზვირთდა ისე, რომ პროცესი უკვე უმართავი იყო და სწორედ იმ დღეს მქონდა შეხვედრა, როდესაც წარმოვიდგინე, რომ ეს კაცი უკვე ალბათ ნახავს საშუალებას, რომლითაც ვიმოქმედებთ ერთად ჩვენი საერთო-სახელმწიფოებრივი, თუ გნებავთ ეროვნული საკითხების გადასაწყვეტად.

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ მოხდა.

ამხანაგებს ახსოვთ ის აქტივები, რომლებიც ტარდებოდა, როგორც ჩანს, უშედეგო აქტივები, ესეც ჩვენი ბრალია. ამაზე არ ვსაუბრობ, მაგრამ ამხანაგებს ვთხოვდი, როგორმე აგვეცილებინა თავიდან მთავრობის სასახლის წინ მიტინგების ჩატარება. საქმე ისაა, რომ საზოგადოებაში ასეთი აზრი შეიქმნა**, გამსახურდიას იუბილე გადაუხადეს,** საჯარო ლექცია მოუწყვეს, ამავე დროს მთავრობა რომ ასე თავისუფლად, თვითონ უწყობს ხელს ამ მიტინგების ჩატარებას. ვთხოვე და ავუხსენი ამხანაგებს, ნებისმიერ ადგილზე გადაბრძანდით — გამარჯვების, ახალგაზრდობის, ალექსანდროვის ან ქვევით, კომუნარების ბაღში გააგრძელეთ ეს მიტინგები. არავითარ შემთხვევაში ყურად არ იღეს ეს.

•

ახლა აქ ითქვა ისიც, რომ, როცა ასეთი მძიმე მდგომარეობაა, ნუთუ, პირველი მდივანი, რომელიც ვალდებულია და პასუხისმგებელია რესპუბლიკაში არსებულ მდგომარეობაზე....... რატომ არ გამონახა დრო და საშუალება მიტინგის მონაწილეებთან შეხვედრისათვის, რომლებიც იქ ბრძანდებოდნენ.

აქტივი, რომელიც ჩვენ ჩავატარეთ, ამხანაგებს ახსოვთ, ვთხოვე ბიუროს წევრებს, რომ ყველა ჩავიდეს, შევხვდეთ, გვქონდეს საუბარი და ამავე დროს მზად ვარ და ვემზადებოდი მიტინგის მონაწილეებთან შესახვედრად.

მაგრამ, როგორც ყოველთვის ხდება, წერეთელმა მიტინგზე განაცხადა, მთავრობა ჩვენთან შეხვედრას ითხოვს და ჩვენ უარს ვამბობთ მათთან შეხვედრაზე, მათთან ჩვენ არაფერი გვაქვს სა.......

•

აქ გვესწრებიან ჩვენი ქვეყნისა და პარტიის ხელმძღვანელობის წარმომადგენლები, აქ არის ედუარდ ამბროსის ძე, რომელთანაც მე გავიზარდე და რომლის ხელმძღვანელობითაც ვმუშაობ. კარიერისტული გრძნობა არასოდეს მამოძრავებდა, არც მამოძრავებს და მით უმეტეს დღეს ამაზე ზედმეტია ლაპარაკი. მე ვგრძნობ ჩემს პასუხისმგებლობას, მაგრამ გული მწყდება, რომ მივდივარ ისეთ დროს და იმ მომენტში, როდესაც შემეძლო უფრო მეტი გამეკეთებინა არა პირადი ბედნიერებისთვის, არამედ მომავლისათვის.

*გაგრძელება მე-5 გვერდზე*

## რაც გენიალური დავით კლდიაშვილის „ბაკულას ღორებშია“ მოთხრობილი, კელი დეგნანის მონაწილეობით ვაკეში დაახლოებით იგივე ისტორია გათამაშდა!





# ამერიკის ელჩი გარაჟში შევიდა!

## თამაზ წივწივაძეს რომ ეცოცხლა, უსათუოდ დაწერდა — „გაიღვიძე, კელი ბიცოლა, გარაჟში ვართ!“

***ცხონებულმა თამაზ წივწივაძემ თავისი პუბლიცისტური შედევრი რომ შექმნა — „გაიღვიძე, გრიშა ბიძია, დეპოში ვართ!“ — ყველა მიხვდა, რომ საბჭოთა კავშირის საქმე უკულმა იყო წასული და თვალუწვდენელ წითელ იმპერიას ველარაფერი უშველიდა!***

ამ ამბიდან კარგა ხნის შემდეგ, როცა ბატონმა თამაზმა **„გიჟი სახურავზე“** გამოაქვეყნა, მაშინაც ყველა მიხვდა, რომ სააკაშვილის ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდებოდა და მიშას შველა გაჭირდებოდა... ისე აგიხდათ ყველაფერი კარგი — **წლების შემდეგ სააკაშვილი კიევში სწორედ სახურავზე აძვრა, საიდანაც პოროშენკომ ჯერ ჩამოათრია, ხოლო შემდეგ სახინკლეში თმებით ითრია და ქვეყნიდან გააგდო...**

**თამაზ წივწივაძეს** რომ ეცოცხლა და 2023 წლის 28 აპრილს შუა ვაკეში, ჭავჭავაძის №23-ში, მდებარე გარაჟში ამერიკის ელჩის მისვლას მოსწრებოდა, უსათუოდ დაწერდა — **„გაიღვიძე, კელი ბიცოლა, გარაჟში ვართ!“** — და როგორც ერთხელ საბჭოთა „დერჟავას“, ისე ამერიკულ იმპერიალიზმსაც საშინელ ვერდიქტს გამოუტანდა. **დარწმუნებული ვარ, როგორც მაშინ არ შემცდარა, არც ახლა შეცდებოდა!**

**მოკლედ, ბატონო თამაზ, ისღა დაგვრჩენია, სააქაო**

**საქართველოდან მანდ, საიქიო საქართველოში, სიხარულით და ბედდამწვარი ირონიით გამცნოთ, რომ როგორც საბჭოთა კავშირის საქმე წავიდა უკუღმა, რადგან გრიშა ბიძია დეპოში შევიდა, სწორედ ისე, ამერიკის საქმეც აშკარად ვერ არის მთლად კარგად, რადგან**

### ამ დღეებში კელი ბიცოლამ გარაჟში ამოყო თავი!

ამოდენა სახელმწიფოს ელჩი ისე დაეცა და დაწვრილმანდა, რომ **ვინმე ვასილ ცოტაძეს,** რომელსაც ამერიკელი ცოლი ჰყავს და ჭავჭავაძის №23-ში ადგილობრივი მოსახლეობა მიწისქვეშა პარკინგის მოწყობაზე უძალიანდება, **კელი დეგნანი** მეზობლებთან სალაპარაკოდ მიჰყვა და გარაჟში „რამკიანი ქურდივით“ მოკალათდა. **ამერიკის ელჩმა თავისი საქციელი იმით ახსნა, რომ საქართველოში ამერიკულ ინვესტიციებს იცავს. რაც შეეხება ვასილ ცოტაძეს, მას არ დაუმალავს, რომ ამერიკელი სიდედრი და სიმამრი დიპლომატები ჰყავს და ამერიკის ელჩსაც კარგად იცნობს!**

მოკლედ, რაც გენიალური **დავით კლდიაშვილის „ბაკულას ღორებშია“** მოთხრობილი, კელი დეგნანის მონაწილეობით ვაკეში დაახლოებით იგივე ისტორია გათამაშდა! კერძოდ, **თუ კლდიაშვილის შედევრში ზენათი და გალაქტიონი შეეხვეწნენ შაშას — შენი მუხლ-კალთის ჭირიმე, ჩვენი მეზობელი ბაკულა შეგვიშინე, თორემ მაგისმა ღორებმა აგვიკლეს და შეგვჭამესო! — სწორედ ისე ბიზნესმენმა და ამერიკელი ცოლის პატრონმა ვასილ ცოტაძემ ქართველებს შესაშინებლად ამერიკის ელჩი კელი დეგნანი გამოუყვანა, რათა აბუნტებული მობინადრენი მიწისქვეშა პარკინგის ასაშენებლად დაეყოლიებინა.**

დასრულდება თუ არა **ვასილ ცოტაძის** ამბავი ზუსტად ისე, როგორც **„ბაკულას ღორები“** მთავრდება, ღმერთმა უწყის, მაგრამ ამერიკული იმპერიალიზმი რომ სრულდება და უკანასკნელ და მართლაცდა ხრწნად სტადიაში შედის, ფაქტია!

მოკლედ, **ქართველებს ისე მოგვიჭირეს სალტეები, ისე წაგვართვეს და ხელში ჩაგვაკლეს ქვეყნის სუვერენიტეტი, ლელთ ღუნიასეული „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ კი არა, საქმე იქამდე მივიდა, რომ ვაკეში მანქანების გარაჟის აშენებასაც კი ამერიკის ელჩი წყვეტს.** კიდევ კარგი, **კელი დეგნანი** ქალია, თორემ ამერიკის ელჩი კაცი რომ იყოს, დარწმუნებული ვარ, **„პირველი ღამის უფლებასაც“** მოითხოვდა და **გიგა ბოკერიას, ლევან ბერძენიშვილს,** შარვალჩახდილ **ზურაბ-გირჩსა და კორძაია-სამნიძე-ნაცვლიშვილს** მთელი თავიანთი სამყაყეთით ამ სიბილწეზე დაითანხმებდა, ხოლო, ვინც ამ სიბინძურესა და თავის მოჭრას გააპროტესტებდა, ყველას **„პუტინის აგენტად“ და „რუსეთის მონად“** გამოაცხადებდნენ!

**ვასილ ცოტაძეს არაფერს ვერჩით და არც მშენებლობის განზრახვას ვუწუნებთ, მაგრამ ასეთ წვრილმან და უმნიშვნელო საქმეში რომ ამერიკის ელჩი ჩაერევა და გარაჟში საქმის გარჩევას დაიწყებს, როგორ ფიქრობთ, ის ამ ქვეყანაში თავისი ნებით უფროსობას მოიშლის და არჩევნების შედეგებში, მოსამართლეების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებში, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკვანძო საკითხებსა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არ ჩაერევა?**

რაც მოხდება და რაც იქნება, მგონი, არავითარ ეჭვს არ იწვევს!

ასე რომ, ბატონო თამაზ, **საბჭოთა კავშირის დანგრევასაც კაციშვილი ვერ იფიქრებდა, მაგრამ გრიშა ბიძია დეპოში რომ შევიდა, ქვეყანა წაიქცა...**

ვნახოთ, როგორ გამოცდის ამერიკა კელი ბიცოლას გარაჟში შესვლას!

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ლევან მამალაძე**
*სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის ხელმძღვანელი*



დეგნანს ხელისუფლების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს, რადგან ის მისი მორჩილი არ არის. ამიტომაც უნდათ ჩვენი დასჯა. ამ პროცესს ასე დავასათაურებდი: **სანქციების დაწესება საქართველოს დასასჯელად.** მათ სურთ, საქართველო მორჩილებაში ჰყავდეთ, ამიტომაც **უნდათ, ქვეყნის სათავეში ის ხელისუფლება დაბრუნდეს, რომელიც მათ დავალებებს პირნათლად შეასრულებს.**

„საერთო გაზეთი“

**რამაზ საყვარელიძე**
*ანალიტიკოსი*



ეს სანქციები შეიძლება საქართველოში **დესტაბილიზაციის მორიგი ნაპერწკალი** გახდეს. მხოლოდ **კელი დეგნანის** წერილის საფუძველზე იღებს სახელმწიფო მდივანი სანქციების გადაწყვეტილებას. **სააკაშვილის დროს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენები თითქმის ას პროცენტს შეადგენდა და მაშინ რატომ არ დაასანქცირა ამერიკამ ეს მოსამართლეები?**

„კვირის პალიტრა“

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ცდილობენ, **ბიძინა ივანიშვილი** დასაჯონ, რადგან იმ 9-წლიანი სისხლიანი რეჟიმის საპირისპირო პროცესების კალაპოტში გადაიყვანა საქართველო. ურტყამენ **ელისო ბოლქვაძეს, ლაშა ტალახაძეს, ხვიჩა კვარაცხელიას.** სფერო არ დარჩა, სადაც კი ქართველმა გენიამ არ იფეთქა, ამ სტაბილურობის და სამშვიდობო პერიოდში განვითარდა, **ყველას ურტყამენ იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში მათ არ სჭირდებათ ავტორიტეტები.**

„POSTV“

**გიორგი ამილახვარი**
*განათლებისა და მეცნიერების მინისტრი*



საგამოძიებო უწყებები ყველა ზომას მიმართავენ, რომ სამართლებრივი შედეგი დადგეს და **დაწყებული კეზერაშვილით, დამთავრებული ნებისმიერი პიროვნებით, ვინც ჩართულია საუკუნის თაღლითობაში,** პასუხისგებაში მიეცეს.

„ინტერპრესნიუსი“



დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2023 წ. №11-15,16-17,18-19

# იგორ კვესელავა:

# ყველა, ვისაც ზვიად გამსახურდიამ ხელი დაადო, მართლაც „კაგებეს“ აგენტი იყო!

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ИГОР КВЕСЕЛАВА იმ პრეისტორიას იხსენებს, რომელიც საქართველოს ცეკას პირველ მდივნად შევარდნაძის კურთხევას უძღოდა წინ და აცხადებს, რომ ედუარდ ამბროსოვიჩის კარიერულ წინსვლაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ორმა პიროვნებამ — შოთა ჭანუყვაძემ და ფათუშა დუმბაძემ:***

— შევარდნაძე ჯერ კიდევ საფერშლო ტექნიკუმიდან დაუახლოვდა უშიშროებას და პოლიტიკით „მოიწამლა“.

**ხელთ მაქვს მჟავანაძისა და შევარდნაძის დროს „კაგებეს“ მიერ „დავერბოვკებული“ ხალხის, დაახლოებით 200-კაციანი სია. იქ იმ ადამიანების მონაცემებიცაა, ვინც ეს ხალხი „დაავერბოვკა“. ამ სიაში ისეთი გვარები და სახელებია, სიცოცხლე აღარ მოგინდებათ. თუ „ასავალ-დასავალი“ გამოაქვეყნებს, გადმოგცემთ ამ სიას, დაე, ხალხმა გაიგოს, ვინ ვის ემსახურებოდა!**

ამას იმიტომ ვამბობ, რომ, როცა ცხონებული **ზვიად გამსახურდია** გამოდიოდა და კონკრეტული პიროვნებების შესახებ აცხადებდა — „სუკის აგენტიაო!“ — საქართველოს პირველი პრეზიდენტი არ ცდებოდა და ცილს არავის სწამებდა, რადგან სიმართლეს ამბობდა. **ყველა, ვისაც ზვიად გამსახურდიამ ხელი დაადო, მართლაც „კაგებეს“ აგენტი იყო და უშიშროების ინსტრუქტაჟით მოქმედებდა!**

**— ბატონო იგორ, საიდან ჰქონდა ზვიად გამსახურდიას სუკის კარტოთეკა? უშიშროების სამინისტრო ხომ კომუნისტების მმართველობის მიწურულს საქართველოში დაარბიეს და არქივიც გაანადგურეს?**

— **ვახტანგ გვარამიამ** იცის ეს ყველაფერი... სწორედ მას დაავალა ზვიად გამსახურდიამ „კაგებეს“ აგენტურის კარტოთეკის მოძიება. გვარამიამ და **მამია ალასანიამ** — ირაკლი ალასანიას მამამ, მოახერხეს და რუსეთიდან, კერძოდ, სმოლენსკიდან ჩამოიტანეს „კაგებეს“ კარტოთეკა, რომელშიც ქართველი აგენტების შესახებ ყველაფერი დაარქივებული იყო. იქ ისეთი გვარები და სახელებია, სახტად დარჩებით, თორემ **ლევან ალექსიძე და ლევან ღვინჯილია,** რომ „სუკის“ აგენტები იყვნენ, ეს ისედაც მთელმა ქვეყანამ იცის. **იქ არიან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამედიცინო ინსტიტუტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, თეატრალური ინსტიტუტის, სამხატვრო აკადემიისა და სხვა სასწავლებლების სტუდენტები, რომლებიც შემდგომში ცნობილი მეცნიერები, ექიმები, მსახიობები, რეჟისორები და მხატვრები გახდნენ.** ასე რომ, ცხონებული ზვიადი რომ გაჰყვიროდა და განგაშის ზარებს არისხებდა — „კაგებეს“ ნომენკლატუ-

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*



# საქართველოს კპ ცკ-ს ინფორმაცია ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი მოვლენების სამედიცინო შედეგების შესახებ

*დასაწყისი მე-3 გვერდზე*

დღევანდელი დღის, 1989 წლის 21 აპრილის მდგომარეობით იმ პირთა საერთო რაოდენობამ, რომლებმაც მიმართეს სამედიცინო დახმარებისთვის, შეადგინა 974, სულ ჰოსპიტალიზებული იყო 310. დღევანდელი დღისთვის ქ. თბილისის 13 სტაციონარში იმყოფება 92 ავადმყოფი. ავადმყოფთა ყველაზე დიდი რაოდენობა სამკურნალოდ იმყოფება რესპუბლიკურ ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში — 53, მათგან 29 არის დიაგნოზით — უცნობი გაზით მოწამვლა, დანარჩენი ავადმყოფები იმყოფებიან ქალაქის №1, 9, 8, 7, №6 ბავშვთა, ბავშვთა რესპუბლიკურ, ტრავმატოლოგიის, ქირურგიის, ნევროლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების კლინიკებში და ა.შ.

9 აპრილის შემდეგ საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს სამკურნალო დაწესებულებებს დაშავებულები მიმართავდნენ, ძირითადად, მოწამვლის მიზეზით. ამ პირთა ამბულატორიული მიღებისათვის რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს პოლიკლინიკურ განყოფილებაში შექმნილი იყო 3 ტოქსიკოლოგიური კაბინეტი. დაშავებულთათვის სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად მობილიზებული იყო რესპუბლიკის ყველა წამყვანი სპეციალისტი, ორგანიზებული იყო ავადმყოფთა ყოველდღიური კონსულტაცია სპეციალისტების, მ.შ. სსრკ ჯანდაცვის სამინისტროდან მოვლინებულთა მიერ.

იმ დაშავებულთა მკურნალობისას, რომლებსაც აღენიშნებოდათ ბლაგვი საგნებით მიყენებული ჭრილობები და ტრავმები, განსაკუთრებულ პრობლემებს ადგილი არ ჰქონია. სიძნელეებია იმ პირთა მკურნალობისას, რომლებსაც აღენიშნებათ ქიმიური დაზიანება.

10.04.89-დან თბილისში მუშაობდა სსრკ ჯანდაცვის სამინისტროს პროფპათოლოგიის ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკური განყოფილების გამგე პროფ. ი. ი. მუსეიჩუკი და მწვავე მოწამვლების მკურნალობის საკავშირო ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მედ. მეცნ. კანდიდატი მ. მ. ფოცხვერია, შემდგომ მათ შეუერთდა მწვავე მოწამვლების საკავშირო ცენტრის ხელმძღვანელი პროფ. ა. ლუჟნიკოვი.

მოცემულ ეტაპზე სპეციალისტთა ჯგუფის მიერ, ძირითადად, მოწონებულია მკურნალი ექიმების მიერ გამოყენებული მკურნალობის სქემა.

გრძელდება ქიმიური აგენტების ძიება, რომლებიც იწვევს სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივ მოწამვლებს.

*საქართველოს სსრ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ნ. ვ. უზნაძე*

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის №14 ოქმი



## *1989 წლის 14 აპრილი. ჯ. ი. პატიაშვილი*

**ძვირფასო ამხანაგებო!**

პოლიტიკური ვითარება რესპუბლიკაში უკიდურესად გამწვავდა და თქვენ იცით, რაც მოხდა 8-დან 9 აპრილის ღამეს. იყო დიდი მსხვერპლი. და დღეს პლენუმზე, ამ მოვლენების დეტალური ანალიზის გარეშე, ვინაიდან, ბუნებრივია, ეს მომავალში გაკეთდება, მე, როგორც ცენტრალური კომიტეტის წევრი და როგორც ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პასუხს ვაგებ მომხდარის გამო. ახლა პირადად მინდოდა ინფორმაცია მიმეწოდებინა ცკ-ის წევრებისათვის, ვინაიდან რაც მოხდა, ძალზე ტრაგიკულია ყველა ჩვენგანისათვის, განსაკუთრებით რესპუბლიკის ხელმძღვანელთათვის. ეს შემთხვევა ღირებულებას უკარგავს ჩვენი საზოგადოების გარდაქმნასაც, დემოკრატიზაციასაც, ამ შემთხვევამ აჩვენა იმ ძალისხმევათა არაეფექტურობა, რომლებიც ხორციელდება ვითარების სტაბილიზაციის მიზნით.

აქ დამსწრე ამხანაგებს კარგად ახსოვთ ის ღონისძიებები, რომლებიც ჩვენ მივიღეთ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომებზე, ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, აქტივის შეკრებებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი რეალიზაცია არ მოხდა და შეიძლება ითქვას, მათ არ მოგვცეს შედეგი.

დღეს მსურდა მომეხსენებინა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პლენუმისთვის, რომ ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ჩვენ მივიღეთ შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით, განხილული იყო ბიუროს სხდომებზე, მათ შორის ბოლო გადაწყვეტილებებიც — სხდომაზე თავდაცვის საბჭოს წევრთა და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ზოგიერთის წევრის მონაწილეობით.

ვინაიდან მდგომარეობა სულ უფრო და უფრო რთულდებოდა და თითოეული ჩვენგანი გრძნობდა, რომ ხიფათი იზრდებოდა (მაგრამ ჩვენ ახლა ამაზე არ ვსაუბრობთ, ვინაიდან, ალბათ, საჭიროა იმის ანალიზი, რაც მოხდა და რაც დღეს ხდება), საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ბიურომ მიიღეს გადაწყვეტილება წესრიგის დამყარებისა და ჯარის შემოყვანის შესახებ.

ბუნებრივია, რომ ოპერაციაც, რომელიც დაინიშნა (ეს ჩვენთვის სავალალო ოპერაციაა), ისიც შეთანხმებული იყო რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან.

ახლა ბევრს სურს თავის გამოსვლებში და არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ დასავლეთშიც, ყველა ეს საკითხი დაუკავშიროს ცენტრს, მოსკოვს, სკკპ ცკ-ს. ვაცხადებ — ეს არ არის სწორი, რადგან ეს საკითხები გადაწყდა აქ, თბილისში, ჩვენი კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისად. (რეპლიკა დარბაზიდან: „სირცხვილი!“)

დიახ, შედეგი სამარცხვინოა. ჩვენ ვამბობთ ამის შესახებ. მაგრამ ამასთან ერთად მინდოდა მომეხსენებინა თქვენთვის, რომ საეჭვოა რომელიმე ჩვენგანს ეფიქრა, შედეგები ასეთი ტრაგიკული თუ იქნებოდა. ჩემი აზრით, არც ერთ ჩვენგანს, აქ დამსწრეს, ბუნებრივია, პირველ რიგში მე, არავითარ შემთხვევაში არ მქონდა ასეთი ვარაუდი. მაგრამ მოხდა უბედურება, დიდი მწუხარება, სახალხო უბედურება, საერთო უბედურება, რაზეც პირადად მე ვაგებ პასუხს.

ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე შემომაქვს წინადადება: არ მაქვს მორალური უფლება, ვუხელმძღვანელო რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას. გთხოვთ, გამათავისუფლოთ საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივნის მოვალეობისგან და გამიყვანოთ ბიუროს შემადგენლობიდან.

ბ. ვ. ნიკოლსკი:

[...] ცკ-ს ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, პლენუმზე განსახილველად გამოიტანოს წინადადება ამხ. ჯ. ი. პატიაშვილის ცკ-ის პირველი მდივნისა და საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიუროს წევრის მოვალეობებისგან გათავისუფლების შესახებ. ამ წინადადებას ვაყენებ კენჭისყრაზე. გთხოვთ, ასწიოთ ხელი.

(ხმები დარბაზიდან: „მოდით, მოაწყვეთ გამოსვლები!“).

**ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორის, ფ. მახარაძის რეპლიკა ადგილიდან:**

[...] მიეცით სიტყვა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის წევრებს, ცკ-ის წევრობის კანდიდატებს, სარევიზიო კომისიის წევრებს.

(რეპლიკები: „სწორია!“, „სწორია!“).

[...]

**ბ. ვ. ნიკოლსკი:**

[...] შემიძლია ვთქვა, რომ ყველა აქ მსხდომს, ისევე, როგორც ბიუროს წევრებს, გული სტკივათ, მაგრამ ჩვენ უნდა ვიმუშაოთ.

**საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრის მოადგილის, ნ. ვ. გურგენიძის რეპლიკა ადგილიდან:**

დიდ ბოდიშს ვიხდი. არ ვიცი გტკივათ თუ არა გული, მაგრამ როცა ტრაგედიის შემდეგ თქვენ აქ მოხვედით, არავითარი თანაგრძნობა არ გამოგიხატავთ, ახლა კი პლენუმი მიგყავთ. არ შეიძლება, ეს პლენუმი თქვენ რომ მიგყავდეთ.

(ხმაური დარბაზში).

*საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის არქივი*

*გაგრძელება მე-7 გვერდზე*



## იგორ კვესელავა:

# 1972 წელს როინ მეტრეველი რომ ცეკას პირველი მდივანი გამხდარიყო, დარწმუნებული ვარ, საქართველო სულ სხვა გზით წავიდოდა და ქვეყანა აყვავდებოდა!



დასაწყისი მე-5 გვერდზე

რა და კრემლის აგენტურა გვებრძვიანო! — არაფერს აჭარბებდა და სიმართლეს ამბობდა! ამ ყველაფრის გახსენება მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის დამჭირდა, რომ ედუარდ შევარდნაძე „კაგებეს“ აგენტურის გარეშე არავინ იყო. ის არც ისტორიკოსი ყოფილა, არც სახელმწიფო მოღვაწე და არც მოაზროვნე, მაგრამ საფერშლო ტექნიკუმიდან მოყოლებული „მოიწამლა“ სპეცსამსახურებითა და პოლიტიკით. სპეცსამსახურებისა და თანამდებობის გარეშე შევარდნაძე იყო ნული. ჩემს გამოკვლევაში, რომელსაც ვამზადებ, ვამტკიცებ და შესაბამისი ცნობებით ვასაბუთებ, რომ ისეთი დიდი პატრიოტი და საქართველოს ჭირისუფალი, როგორიც **ვასილ მჟავანაძე** გახლდათ, თავისი კარიერის ბოლოს ედუარდ შევარდნაძის დასაპატიმრებლად ემზადებოდა, მაგრამ შევარდნაძემ დაასწრო... **საქითხი ასე იდგა — ვინ ვის? შევარდნაძე თუ მჟავანაძე?**

**— შევარდნაძე პირდაპირ უნდა დეპატიმრებინათ?**

— არა, აქ უნდა გათამაშებულიყო დაახლოებით ისეთი ვარიანტი, რაც **ნიკოლაი ეჟოვთან** დაკავშირებით მოხდა. მოგეხსენებათ, სტალინმა **ეჟოვის** პირდაპირ დაპატიმრებას ამჯობინა, ჯერ **ლავრენტი ბერია** გადაეყვანა მოსკოვში და ეჟოვის მოადგილედ დაენიშნა. მხოლოდ ამის შემდეგ დააპატიმრეს ეჟოვი. ასე უნდა მომხდარიყო შევარდნაძესთან მიმართებაშიც. **მჟავანაძე შინაგან საქმეთა მინისტრ შევარდნაძეს ჯერ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ თუ რომელიღაც არაფრის მაქნისი და უდღეური სამმართველოს უფროსად უპირებდა გადაყვანას, ხოლო შემდეგ — დაპატიმრებას.**

**— რატომ ერიდებოდა მჟავანაძე შევარდნაძის პირდაპირ დაპატიმრებას?**

— მჟავანაძე ერიდებოდა იმას, რომ შევარდნაძეს ხელისუფლებაში უკვე თავისი გუნდი ჰყავდა — ზოგი — დაშანტაჟებული და ზოგიც — „დავერბოვკებული“... საერთოდ, ედუარდ შევარდნაძის კარიერული აღმასვლა დაკავშირებულია ორ პიროვნებასთან — **შოთა ჭანუყვაძესთან და ფატუშა დუმბაძესთან!** ერთი სოფლის მეურნეობის დარგში ცეკას მდივანი იყო, ხოლო მეორე — მინისტრი. ვასილ მჟავანაძე **შოთა ჭანუყვაძეს** ძალიან ენდობოდა. როგორც ჩანს, **ინაურის** მეშვეობით, სწორედ ჭანუყვაძემ გაიგო, რომ ვასილ მჟავანაძე თავის შემცვლელს ამზადებდა და ამ მიზნით კრემლთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა. უფრო მეტიც, **მჟავანაძის** დროს დაიწყო და სწორედ **შევარდნაძის** დროს მიიღო ინტენსიური და სამარცხვინო სახე ყოველ დილით თბილისიდან მოსკოვში სპეცრეისით პოლიტბიუროს წევრებისათვის საუკეთესო ქართული ხილის, ღვინის, კონიაკის, ხორცის, ყველის, პურისა და ათასი ნუგბარის გაგზავნამ... **შევარდნაძემ** შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს ძალიან მოუხშირა ვიზიტებს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის **ნიკოლაი შჩოლოკოვის** ბინაზე და მისი შვილიც კი ჩამოიყვანა საქართველოში, რომელსაც თან გადაჰყვა... ამ საქმეში აქტიურად გახლდათ ჩართული **ლეონიდ ბრეჟნევის ქალიშვილი გალინა ბრეჟნევაც,** რომელსაც ძალიან უყვარდა დროსტარება და სარგებლობდა ყოვლისშემძლე მამის განსაკუთრებული სიყვარულით. ერთი სიტყვით, შევარდნაძეს **შჩოლოკოვის** ოჯახში მიესვლებოდა...

**— საინტერესოა, ვასილ მჟავანაძე ვის ამზადებდა თავის მემკვიდრედ?**

— **მჟავანაძე** თავის მემკვიდრედ სახელოვან ქართველ ისტორიკოსს, აკადემიკოს როინ მეტრეველს ამზადებდა, რომელიც მაშინ ვასილ მჟავანაძის პოლიტიკური გუნდის წევრი გახდათ. იქ სხვა კანდიდატურებიც განიხილებოდა, მაგრამ **როინ მეტრეველის** პერსონა ყველაზე უფრო რეალური იყო, რადგან **მჟავანაძეს** ის ძალიან მოსწონდა, როგორც განათლებული, პატრიოტი, წესიერი და დიპლომატი კაცი.

1972 წელს **როინ მეტრეველი** რომ ცეკას პირველი მდივანი გამხდარიყო, დარწმუნებული ვარ, საქართველო სულ სხვა გზით წავიდოდა და ქვეყანა აყვავდებოდა, რადგან **აკადემიკოსი მეტრეველი** წესიერი კაცია. ცნობისათვის, მან სხვათა დახმარების გარეშე, მხოლოდ თავისი ნიჭიერებითა და წესიერებით გაიკაფა გზა... მოკლედ, საქმეს საათები წყვეტდა, როცა ედუარდ შევარდნაძეს **შოთა ჭანუყვაძემ** გაანდო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვასილ მჟავანაძე საქართველოს ცეკას პირველ მდივნად **როინ მეტრეველს** ამზადებდა, ხოლო **შევარდნაძეს** დაპატიმრებას უპირებდა!

ჩემი ინფორმაციით, ჭანუყვაძემ შევარდნაძეს ასე უთხრა — **იმოქმედე!** შევარდნაძემ მართლაც „იმოქმედა“, სასწრაფოდ ჩაფრინდა **შჩოლოკოვთან,** მერე თბილისში დაბრუნდა და 1972 წლის 29 სექტემბრიდან საქართველოს ცეკას მდივანი გახდა! სხვათაშორის, ცეკას მდივნობამდე შევარდნაძე 1972 წლის 1 აგვისტოს შინაგან საქმეთა მინისტრობიდან „ტეკას“ (პარტიის თბილისის ქალაქკომი. რედ.) მდივნად გადმოიყვანეს. მანამდე, კი 1972 წლის მარტში გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა წამყვანი და მამხილებელი მასალა **თბილისის პარტიის საქალაქო კომიტეტში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის შესახებ.** 7 მარტს ეს წერილი გადმობეჭდა „კომუნისტმაც“, თუმცა, რუსული და ქართული ტექსტები ერთმანეთს აცდენილი იყო. მსგავსი დადგენილება საბჭოთა კავშირში არ გამოცემულა, რადგან ამ დადგენილების უკან იდო ფული, რომელიც შევარდნაძემ გადაიხადა. 1972 წლის აგვისტოში შევარდნაძე თბილისის პარტიული ლიდერი გახდა და პირველი ვინც თანამდებობიდან გაუშვა, გახლდათ საკუთარი ძმა — პარტიის ლენინის რაიკომის მდივანი **იპოკრატე შევარდნაძე,** რომელიც კარგი კაცი იყო და ედუარდს ვერ იტანდა. ამის შემდეგ კი, როცა ცეკას მდივანი გახდა, შევარდნაძემ ერთ-ერთი პირველი, ვინც რეპრესიებში მოაყოლა, სწორედ **როინ მეტრეველი** იყო.

**— ჩემი ინფორმაციით, შევარდნაძე ბატონ როინს დაჭერასაც კი უპირებდა!**

— როგორც კი შევარდნაძე მოვიდა, ბატონი როინი ცეკას საორგანიზაციო განყოფილების გამგის თანამდებობიდან მოხსნეს და ენციკლოპედიის საბჭოს თავმჯდომარის, **ირაკლი აბაშიძის** მოადგილედ დანიშნეს, რაც სხვა არაფერი იყო, თუ არა მისი დაქვეითება. მთელი ორი წლის განმავლობაში, შევარდნაძის პირდაპირ მითითებით, **როინ მეტრეველის** ახალ სამსახურთან სისტემატურად იდგა უშიშროების მანქანა, მას გამუდმებით უსმენდნენ და საკმარისი იყო მცირე უკმაყოფილება შევარდნაძის მისამართით, რომ აუცილებლად დააპატიმრებდნენ, რაკიღა შევარდნაძეს ყველაზე სერიოზულ კონკურენტად ცეკას მდივნის პოსტზე სწორედ **როინ მეტრეველი** მიაჩნდა და ამაში ის არც ცდებოდა.

**— მეღვინეებთან დაკავშირებული სკანდალები, აყვავებული მექრთამეობა და ე.წ. „მიწერები“ ყველგან და ყველაფერში, რაც შევარდნაძის დროინდელი კომუნისტური საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო, საბოლოო ჯამში რას ემსახურებოდა?**

— ეს ემსახურებოდა ერთადერთ რამეს — შევარდნაძის კარიერისტული ვნებების დაკმაყოფილებას, რათა მას პოლიტბიუროში როგორმე თათი შეეყო. კავკასიის რესპუბლიკებიდან პოლიტბიუროს წევრი, როგორც წესი, მხოლოდ ერთი მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. ბერიას შემდეგ ეს პატივი წილად ხვდა **ჰეიდარ ალიევს,** რომელიც პოლიტბიუროს ნამდვილი წევრი იყო. **ვასილ მჟავანაძე** პოლიტბიუროს წევრი არ ყოფილა, კანდიდატი გახლდათ. მოკლედ, შევარდნაძეს, რომელიც იყო პოლიტბიუროს წევ-



შოთა ჭანუყვაძე



ვასილ მჟავანაძე | ნიკიტა ხრუშჩოვი | ფატუშა დუმბაძე

## „ედუარდ შევარდნაძეს შოთა ჭანუყვაძემ გაანდო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვასილ მჟავანაძე საქართველოს ცეკას პირველ მდივნად როინ მეტრეველს ამზადებდა, ხოლო შევარდნაძეს დაპატიმრებას უპირებდა!“



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

30 სექტემბერი შაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან № 56 (15269)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

თბილისი, 29 სექტემბერი. (საქინფორმი). აქ გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დააკმაყოფილა ამხ. ვ. პ. მჟავანაძის თხოვნა ასაკის გამო პენსიაზე გასვლის შესახებ და ამასთან დაკავშირებით გაათავისუფლა იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. ე. ა. შევარდნაძე, რომელიც მანამდე პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობდა.



**„უზარმაზარ კომუნისტურ იმპერიას სამი კაცი მართავდა – გორბაჩოვი, იაკოვლევი და შევარდნაძე. სამივე ამერიკის იყო!“**

რობის კანდიდატი, არავითარი სხვა მიზანი და საფიქრალი არ ჰქონდა და არავითარი სამშობლოს განცდა არ აწუხებდა, თუ არა პოლიტბიუროს წევრად გახდომა. ამ მიზნის მისაღწევად ის ყველაფერზე მიდიოდა, თორემ ეროვნული საქმის კეთება კომუნისტების დროსაც შეიძლებოდა. დიახ, შევარდნაძემ ისევე, როგორც ცნობილმა ლიტერატურულმა გმირმა **რასტინიაკმა** გადმოხედა მაღლობიდან პარიზს და მისი დაპყრობა გადაწყვიტა, მიზნად დაისახა კრემლში შესვლა. სწორედ ამ მიზანს შეწირა მან საქართველო. **ნიკოლაი შჩოლოკოვთანაც** იმიტომ დაძრწოდა და ძღვენით დატვირთულ თვითმფრინავებსაც კრემლში ყოველ დილით იმიტომ აგზავნიდა, რათა პოლიტბიუროში მოხვედრილიყო. **მიწერებით, აყვავებული მექრთამეობით, პოლიტიკური ოპონენტების გაწირვითა და ერთმანეთის მიყოლებით გზიდან ჩამოშორებით, შევარდნაძემ მოახერხა და 1981 წელს გულზე დაიკიდა სოციალისტური შრომის გმირის მედალი, რომლითაც კრემლსა და პოლიტბიუროს ძალიან მიუახლოვდა.**

**— 1991 წლის აგვისტოს პუტჩს მივუბრუნდეთ, როცა შევარდნაძე ტანკზე ავიდა და ელცინის გვერდით დადგა! გარდა იმისა, რომ ამ ჟესტით მას ელცინის რუსეთში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტის დაკავების იმედი ჰქონდა, კიდევ რა მიზნები ამოძრავებდა?**

— შევარდნაძეს იმ პერიოდში მოსკოვში ძალიან ცუდად ჰქონდა საქმე, მას დაჭერა ემუქრებოდა. ამიტომ წავიდა ტარანზე, გარისკა და ავიდა ელცინის ტანკზე... როცა შევარდნაძე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ოცდაერთი დღით მობრუნდა, მისი რეკომენდატორები მაშინაც ამერიკელები იყვნენ. საერთოდ, ერთი რამ ვიცოდეთ — **1985 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც შევარდნაძე რეიგანის რეკომენდაციით კრემლში გადაიყვანეს და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი გახადეს, უზარმაზარ კომუნისტურ იმპერიას სამი ადამიანი მართავდა — გორბაჩოვი, იაკოვლევი და შევარდნაძე.** სამივე ამერიკის კაცი გახლდათ, ხოლო თუ ვინ იყო ამერიკისთვის კონკრეტულად შევარდნაძე, ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ერთ-ერთი გავლენიანი ამერიკელი დიპლომატის განცხადება, რომელმაც თქვა —**ამერიკამ შევარდნაძის დახმარებით საბჭოთა კავშირთან მიმართებაში თავისი გეგმა 120 პროცენტით შეასრულა!**

საბჭოთა პოლიტბიუროში იყო მასალები და საკითხები, რომლებიც გასაიდუმლოებული გახლდათ და მათი გასაჯაროება სიკვდილით ისჯებოდა. მაგრამ იყო ისეთი ზესაიდუმლო ინფორმაციები, რომელზეც წვდომა მხოლოდ ხუთ კაცს ჰქონდა. იყო კიდევ უფრო საიდუმლო მასალები, რომლის შესახებაც მხოლოდ სამმა კაცმა იცოდა.

**ედუარდ შევარდნაძე მიხეილ გორბაჩოვთან და ალექსანდრე იაკოვლევთან ერთად სწორედ ამ სამ კაცში შედიოდა და ეს ზესაიდუმლო ინფორმაცია ჩაუკაკლა ბეიკერს, რაშიც გორბაჩოვმა გამოიჭირა და ამის შემდეგ მათ შორის ვითარება ძალიან დაიძაბა.**

კრემლში შევარდნაძის მოხსნასა და „ჩამოლაბორანტებაზე“ იყო ლაპარაკი, მაგრამ მან მოვლენებს დაასწრო და „გეკაჩეპეს“ პუტჩამდე საგარეო საქმეთა მინისტრობიდან გადადგა. პუტჩის დღეებში მან ისევ დაასწრო მოვლენებს და ელცინის ტანკზე ავიდა... მას სხვა გამოსავალი არც ჰქონდა, რადგან საქართველოში ვერ ჩამოდიოდა და **ლიგაჩოვის, გორბაჩოვისა** და სამხედროების გადამკიდე, არც მოსკოვში დაედგომებოდა.

**— დღეს უკვე ცხადია, რომ „გეკაჩეპეს“ ისტორია სპექტაკლი იყო და ამის შესახებ გორბაჩოვმა ყველაფერი იცოდა, მაგრამ საინტერესოა, იცოდა თუ არა იური იანაევის ამბოხების შესახებ შევარდნაძემ?**

— ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ **შევარდნაძემ** ყველაფერი იცოდა და ის თავიდან ბოლომდე საქმის კურსში იყო, რადგან ამერიკის სპეცსამსახურები, როგორც თავიანთ აგენტს, მოსალოდნელი სპექტაკლის შესახებ საქმის კურსში უსათუოდ ჩააყენებდნენ. უფრო მეტიც, შევარდნაძე „გეკაჩეპეს“ პუტჩში გორბაჩოვისგან დამოუკიდებლად მონაწილეობდა, ხოლო პროცესებს თავიდან ბოლომდე მართავდა ამერიკა. სწორედ ამერიკელების რეკომენდაციით გახდა ის საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ხელმეორედ, თორემ **გორბაჩოვი** მას გვერდით არ გაიკარებდა და მინისტრად არ დანიშნავდა, რადგან არ ენდობოდა. **შევარდნაძეს ელცინიც ვერ იტანდა, რადგან კარგად ახსოვდა, გორბაჩოვმა და შევარდნაძემ პლენუმზე რომ გამოლანძღეს და გამოაგდეს, მაგრამ ამავდროულად ელცინიც და შევარდნაძეც დაპირისპირებული იყვნენ გორბაჩოვთან.** შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ელცინისთვის შევარდნაძის გვერდით ტანკზე დგომა პიროვნულად მიუღებელი, მაგრამ პოლიტიკურად მომგებიანი იყო. შევარდნაძე ელცინის გვერდით ტანკზე ორი რამის გამო დადგა — ან რუსეთის მთავრობაში ადგილი მიეღო, ანდა საქართველოში დაბრუნებასა და ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობაში ელცინი დახმარებოდა! როგორც შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, **შევარდნაძემ, რომელსაც ამერიკელები თავიდან ბოლომდე მართავდნენ, საქართველოში დაბრუნებასა და გადატრიალების მოწყობაში დახმარებაზე დასტური ელცინისგანაც მიიღო!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

**„შევარდნაძე ელცინის გვერდით ტანკზე ორი რამის გამო დადგა – ან რუსეთის მთავრობაში ადგილი მიეღო, ანდა საქართველოში დაბრუნებასა და ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობაში ელცინი დახმარებოდა!“**



# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის №14 ოქმი

***1989 წლის 14 აპრილი***

*დასაწყისი მე-3 გვერდზე*

[...]

**ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ რედაქტორის, ვ. ვ. კეშელავას რეპლიკა ადგილიდან:**

მიმაჩნია, რომ შექმნილ სიტუაციაში ჩვენ მოკლედ მაინც უნდა გამოვხატოთ ჩვენი აზრი [...] ამ საშინელ ტრაგედიაში, მისი სისხლიანი შედეგით, მხოლოდ ჯუმბერ ილიას ძე პატიაშვილი არ არის დამნაშავე.

(ხმაური დარბაზში. შეძახილები: „სწორია!“).

[...]

**ფ. მახარაძე — ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი:**

[...] ჩვენ ყველამ მხარი დავუჭირეთ მოსაზრებას ჯარის შემოყვანის შესახებ, მაგრამ ეს გავაკეთეთ იმისათვის, რომ მათ დაეცვათ წესრიგი, ისინი კი მხეცებივით მოიქცნენ, თითქოს დიდხანს ისხდნენ ჩაკეტილ გალიაში.

[...] ამ დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ჩვენი მილიცია — ჭეშმარიტად სახალხოა, ის ნამდვილად იცავდა ჩვენს შვილებს. რომ არა ისინი, მსხვერპლი გაცილებით მეტი იქნებოდა. მადლობა მათ ამისთვის. [...]

**ირაკლი აბაშიძე — პოეტი-აკადემიკოსი:**

[...] ახლა ყველაფერი მივაწეროთ ამხ. პატიაშვილს და ვთქვათ, რომ ეს მან დარეკა და გამოიძახა ჯარი ქ. გორკიდან... არ მგონია, რომ ყველაფერი ხდებოდა ასე მარტივად. ცხადია, ამ გადაწყვეტილების შემუშავებაში ბიუროს ყველა წევრი მონაწილეობდა. ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ არავინ იცოდა მსგავსი ნაწილების არსებობის შესახებ.

[...] ცხადია, მათაც, ვინც მიიღო გადაწყვეტილება, რომ დახმარების აღმოსაჩენად არმიისთვის მიემართა, ალბათ, არ იცოდნენ, რომ მსგავსი რამ მოხდებოდა. ეს დიდი ბოროტებაა, რომელიც მოხდა ყველა ჩვენგანის გამო. [...]

**გ. ლორთქიფანიძე — საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე:**

[...] პირადად მე ვთვლი, რომ ჯარი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩარეულიყო ამ საქმეში. დავუშვათ, მიღებული იყო გადაწყვეტილება ქალაქში ჯარის შემოყვანის შესახებ, მაგრამ რატომ არ იყო დაცული ელემენტარული პირობები მოცემულ შემთხვევაში? წინასწარ რატომ არ იყო გამოცხადებული კომენდანტის საათი? რატომ არ გამოცხადდა ქალაქში სამხედრო მდგომარეობა ამ სისხლისღვრამდე? რატომ არ გამოაცხადეს ამ მდგომარეობის შესახებ თუნდაც 5-6 საათით ადრე? იცოდნენ, რომ დემონსტრანტებს დაარბევდნენ? წითელდროშოვანი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა როდიონოვმა წინასწარ რატომ არ გამოაცხადა იმის შესახებ, რომ დანიშნული იყო ქალაქის სამხედრო კომენდანტად და არავინ გააფრთხილა, რომ ქალაქში ცხადდება სამხედრო მდგომარეობა და კომენდანტის საათი 23:00-დან? აღნიშნული მოხდა ფაქტის შემდეგ, 9 აპრილს, ხოცვა-ჟლეტის შემდეგ. ამას სხვას ვერაფერს დაარქმევ!

ცხადია, ამის შესახებ წინასწარ რომ ყოფილიყო გამოცხადებული, რუსთაველზე დილის 4 საათზე შეიძლება ასამდე მომიტინგე ყოფილიყო და არა 8 ათასი ადამიანი, რომელთა 90 პროცენტი მშობლები იყვნენ, მათ ბავშვებს მიაკითხეს, მივიდნენ სანახავად, რა ხდებოდა.

შესაძლებელი იყო ამ ასი ახალგაზრდის საკუთარი შვილებივით, უბრალოდ, ხელში აყვანა და გაყვანა... და არა მათ ცხვირში გაზის შეფრქვევა...

[...] ჩვენი მეომრები კი ქიმიური იარაღით მოვიდნენ და კლავდნენ უდანაშაულო ადამიანებს!

[...] მჯერა, რომ ჯუმბერ პატიაშვილი იყო ჯარების შემოყვანის ინიციატორი მხოლოდ იმისათვის, რომ დაეშალა დემონსტრანტები. განა შეიძლება ადამიანი გაუშვა ცკ-ის პირველი მდივნის თანამდებობიდან ისე, რომ მას მკვლელის იარლიყი მიაკრა?

[...]

**ა. ი. დათაშვილი — თბილგვირაბმშენის ზეინკალ-მემონტაჟეთა ბრიგადირი:**

[...] მინდა, გამოვიდეს ამხ. როდიონოვი და მოგვახსენოს, ვინ უბრძანა მას ქალებისა და ბავშვების ამოხოცვა? ჩვენ მოვითხოვთ ამას, რადგან თუ არ გვეცოდინება, ვინ არის ჩვენი მტერი და ვინ ანადგურებს ქართველ ახალგაზრდობას, ძალზე სერიოზულ შედეგებამდე მივალთ. [...]

**ნ. მ. მგალობლიშვილი — საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე:**

[...] სანამ ქუჩაში ტანკები დგას და მშვიდობიანი მოსახლეობისკენ ლულები აქვს მიშვერილი, სანამ ამ ტანკების გვერდით ოკუპანტების კლასიკურ პოზაში დგანან თავზეხელაღებული ადამიანები შენიღბულ ხალათებში ავტომატებით, ნიჩბებით, მომწამვლელი ნივთიერებებით, მე ვილაპარაკებ რუსულად და მოვითხოვ, ვითხოვ, ვთანხმდები: მოაშორეთ ეს უწმინდურები, ეს არაადამიანები.

[...] ორ კონკრეტულ მოთხოვნას ვაყენებ. პირველი: ორშაბათიდან მოშორდეს ქალაქს ყველა მკვლელი, მთელი ჯავშანტექნიკა, ყველა დამპყრობელი.

[...] და მეორე — აუცილებელია მკაცრი, მიუკერძოებელი სასამართლო მკვლელების მიმართ, მიუხედავად რანგისა, წოდებისა და მდგომარეობისა. [...]

**ჯ. ა. ჩარკვიანი — გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი:**

[...] ყველასთვის ყველაფერი ნათელია და არ არის საჭირო დიდი გამოძიება.

წლების განმავლობაში მზადდებოდა გენოციდის დღე, ხოლო თუ ვინმეს ეშინია ამ სიტყვის — მე ვიტყვი — სისხლისღვრის დღე. რამდენი ადამიანია მოკლული: ცხრამეტი, ოცდათექვსმეტი, ასი? არა, როგორც დიდმა ვაჟა ფშაველამ თქვა: ილია ჭავჭავაძეს ესროლეს იმისთვის, რომ მოეკლათ საქართველო. ასე რომ, მოკლულია სამი მილიონ ორასი ათასი ადამიანი. მოკლეს საქართველო. დაანაკუწეს და დაჩეხეს ისე, როგორც შაჰ-აბასი ჩეხდა ჩვენი საყვარელი სამშობლოს ვენახებს. [...]

**ვ. რ. ასათიანი — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი:**

[...] არ შემიძლია გავიმეორო ის თავზარდამცემი, საშინელი სიტყვები, რომლებიც გუშინ გრიგოლ აბაშიძისგან მოვისმინე [...] ამიტომ არ მჯერა ამ ადამიანის, არ მჯერა მისი ლექსების გულწრფელობის. ის, რაც მისგან მოვისმინე, საზარელი იყო. ეს საშინელი მაგალითია ჩვენი ახალგაზრდობისთვის. არ იცი, ვის დაუჯერო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

რატომ ირწმუნა ხალხის მნიშვნელოვანმა ნაწილმა, ძირითადად, ახალგაზრდობამ რამდენიმე ადამიანის, არაფორმალების? ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ, რომ საქმე დიდ, რეალურ ძალასთან გვქონდა და ვთვლიდით რა საკუთარ თავს ლიდერებად, ბოლომდე და სერიოზულად ვერ შევიგნეთ, ვისთან მოგვიწია შეჯახება.

[...] მიუხედავად იმისა, რომ პირადად ჩემთვის, და არა მხოლოდ ჩემთვის ამ ლიდერების რიგი მოწოდებები მიუღებელია, უტოპიურია, ბევრ რამეში მართლები არიან. მართლები არიან იმაში, რომ 70 წლის განმავლობაში ბევრი ბოროტება ხდებოდა. [...]

**თ. ვ. გამყრელიძე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი:**

რის შესახებ ვსაუბრობთ? ჩვენ ვაანალიზებთ ტრაგიკულ მოვლენებს, ვიცით რა მათი მიზეზები. უდიდესი ტრაგედია მოხდა, დაიღვარა სისხლი, გამოყენებული იყო ქიმიური იარაღი. ეს ფაქტია, რაც სასიკვდილო დარტყმას აყენებს იმ კურსს, იმ ტენდენციებს, რომლებიც დაწყებულია ჩვენს ქვეყანაში. ეს არის ყველაზე სამწუხარო. ახლა ჩვენ უნდა ვეძებდეთ გამოსავალს ამ მდგომარეობიდან. ანალიზის გაკეთება ერთ დღეში შეუძლებელია. მთელი კატეგორიულობით ვაცხადებ, რომ დღეს ან ხვალ შეიძლება მოხდეს კიდევ უფრო დიდი სისხლისღვრა.

[...] კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ არც ერთ ცივილიზებულ სახელმწიფოში მშვიდობიანი დემონსტრაციის დასაშლელად ჯარის ან პოლიციის ქვედანაყოფები არ აწყობენ სასაკლაოს და არ იყენებენ ქიმიურ იარაღს. თბილისში ხომ მშვიდობიანი დემონსტრაცია და მანიფესტაცია იყო?!

[...] ეს იყო მშვიდობიანი დემონსტრაცია. მისი განსაკუთრებულობა მხოლოდ ის გახლდათ, რომ ჩვენ სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ვიყავით. ჩვენ არ გვაქვს დემოკრატიზაციის გამოცდილება, ჩვენ არ გვაქვს დემოკრატიული ცხოვრების გამოცდილება, არავითარი პოლიტიკური ტრადიცია არ გვაქვს.

[...] ახლა ამ მანიფესტაციის ლიდერები დააპატიმრეს, ის მკვლელები კი თავისუფლად დადიან.

[...] მე, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებისა და როგორც საერთაშორისო აკადემიების წევრი დავსვამ საკითხს იმის შესახებ, რომ ჩვენთან გამოიყენეს ქიმიური საშუალებები.

სწორედ მომწამლავი ქიმიური საშუალებები, რაც დღეს დამტკიცებულია ექსპერტიზით. და

***გაგრძელება მე-9 გვერდზე***

# პოლიტიკური შალვატანების შესახებ

***„შარლატანი“ ფრანგული სიტყვაა და „თაღლითის“ სინონიმი გახლავთ. თუ უფრო დავაკონკრეტებთ, შარლატანს იტყვიან მატყუარა ადამიანზე, რომელსაც თავი ამა თუ იმ საქმის სპეციალისტად მოაქვს, სინამდვილეში კი დილეტანტის დონესაც ვერ ქაჩავს. რაც შეეხება ჩვენ მიერ გამოგონილ სიტყვას — „შალვატანი“ — ის უნდა გამოვიყენოთ ზოგიერთი პოლიტიკური შარლატანის სინონიმად, რომლებსაც ქართველი საზოგადოება შალვას სახელით იცნობს.***


შალვა შავგულიძე


თემირლან მაჩალიკაშვილი


სანდრო გირგვლიანი


ირინა ენუქიძე

მაგალითად, ცნობილი ადვოკატი და პოლიტიკოსი **შალვა შავგულიძე** ნამდვილი **შალვატანი** ბრძანდება!

სანდრო გირგვლიანის საქმის ყოფილი ადვოკატი **შალვა შავგულიძე** პოლიტიკურ **შალვატანად** ჯერ კიდევ მაშინ გადაიქცა, როცა სანდრო გირგვლიანის მკვლელი რეჟიმის მთავარ იდეოლოგს — **გიგა ბოკერიას** აეტორღიალა და მისი პარტიიდან დეპუტატად იყარა კენჭი.

დიახ, **შალვა შავგულიძე,** რომელსაც თავის პროფესიაში — სამართალმცოდნეობასა და ადვოკატობაში — **შარლატანობასა და უვიცობას** ნამდვილად ვერავინ დასწამებს, **პოლიტიკურ შალვატანად** გადაიქცა მყისვე, როგორც კი სააკაშვილის რეჟიმის ანასხლეტებთან დაიჭირა საქმე და საფლავში გადაატრიალა გმირი ქართველი ქალი — **სანდრო გირგვლიანის დედა ირინა ენუქიძე,** რომლის ინტერესებსაც ერთ დროს სასამართლოში იცავდა.

ყოველივე ამის შემდეგ, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ **პოლიტიკური შალვატანი შავგულიძე** საკუთარ თავსაც კი აჯობებდა და ქართველი საზოგადოების გაოგნებას კიდევ რამით მოახერხებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, **შავგულიძეს პოლიტიკური შალვატანობის უსაზღვრო და უკიდეგანო რესურსი გააჩნია.**

ჰოდა, თქვა **პოლიტიკურმა შალვატანმა შავგულიძემ** გასულ კვირას:

*„**მაჩალიკაშვილის საქმე** რით არ არის უფრო უარესი, ვიდრე იყო **გირგვლიანის საქმე?!** გირგვლიანის საქმეზე რესტორანში კონფლიქტი მოხდა და ეს კონფლიქტი დანაშაულებრივად გაგრძელდა ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ხომ?! მათ ჩაიდინეს დანაშაული და ევროპის სასამართლომ დაადგინა, რაც დააშავეს. მაჩალიკაშვილის საქმეზე კონფლიქტიც კი არ მომხდარა. ადამიანს ეძინა საკუთარ სახლში, 16 წლის ბიჭს, შევიდა სახელმწიფო, სპეცდანიშნულების რაზმის სახით, მის საძინებელში, ესროლა და მოკლა“.*

ე.ი. **სანდრო გირგვლიანის საქმის ადვოკატი** ამბობს, რომ **ახმედ ჩატაევის ტერორისტულ დაჯგუფებასთან კავშირსა და თანამშრომლობაში ეჭვმიტანილი თემირლან მაჩალიკაშვილის** მკვლელობა, რაც პანკისის ხეობაში ჩატარებული ანტიტერორისტული სპეცოპერაციისას მოხდა, უფრო მძიმე შემთხვევაა, ვიდრე **სრულიად უდანაშაულო სანდრო გირგვლიანის გატაცება, სასტიკი წამება და მკვლელობა!**

ე.ი. **პოლიტიკური შალვატანი შავგულიძე** მიიჩნევს, რომ ერთმა რიგითმა სპეცრაზმელმა, რომელმაც ტერორისტებთან კავშირში ეჭვმიტანილ მაჩალიკაშვილს ანტიტერორისტული სპეცოპერაციის დროს ესროლა და სასიკვდილოდ დაჭრა, უფრო დიდი დანაშაული ჩაიდინა, ვიდრე შინაგან საქმეთა სამინისტროსა და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მაღალჩინოსნებმა, რომლებმაც რესტორანში მომხდარი შელაპარაკების გამო **გირგვლიანი** ოქროყანის ტყეში წაიყვანეს, მთელი სხეული დანებით დაუსერეს და ცხედარი თოვლიან ხევში გადააგდეს!

არა, ნამდვილად უძირო და უკიდეგანოა **შავგულიძის პოლიტიკური შალვატანობა!**

თანაც, სტრასბურგის სასამართლოსაც რომ ახსენებს?!

სტრასბურგის სასამართლომ **სანდრო გირგვლიანის** საქმეზე ქართული რეალობისათვის უპრეცედენტო განაჩენი გამოიტანა, როცა შავით თეთრზე დაწერა, რომ **საქართველოს ხელისუფლების ყველა შტო და სტრუქტურა — პრეზიდენტი, პარლამენტი, შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა და სასამართლო შეთანხმებულად მოქმედებდნენ, რათა გამოძიება გაეყალბებინათ, სიმართლის**

## კვირგვინოსნები

**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*



ვერასდროს ვიკადრებ, ვთქვა, რომ **გირგვლიანისა** და **მაჩალიკაშვილის** საქმეებზე შეიძლება ტოლობის ნიშანი დაისვას — **შალვა შავგულიძის** შეფასება არც სამართლებრივი, არც პოლიტიკური და არც მორალური თვალსაზრისითაა სწორი.

პოლიტიკური თვალსაზრისით, **ნაციონალური მოძრაობა დალპა,** იქ ჯანმრთელი ქსოვილები აღარ დარჩა.

„იმედინიუსი“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



სამართლიანობის აღდგენა **სანდრო გირგვლიანის სახელით** საერთოდ იყო დიდი ფიქცია, მოტყუება იმ ადამიანებისა, ჩემი მეგობრებისა, რომელთან ერთადაც ვებრძოდი წინა ხელისუფლებას და **ბრძოლის დროშაზე გირგვლიანის სახება გვქონდა გამოსახული.**

„ალია“

**ზაზა ხატიაშვილი**
*ადვოკატი*



**მიშა პოლიტიკურ მართლმსაჯულებას ყველა საქმეზე ახორციელებდა,** როგორ შეიძლებოდა, ადვოკატი მართალი ყოფილიყო და პროკურორი მტყუანი? **თელავში მოხდა ასეთი შემთხვევა:** ერთი კაცი მაგრად სცემეს, თუმცა, ცოცხალი დარჩა თუ მკვდარი, არავინ იცოდა. ორი დღის მერე ცოლ-ქმარმა იჩხუბა და ცოლმა პოლიციაში განაცხადა, ის კაცი ჩემმა ქმარმა მოკლა, ორი დღის წინ იჩხუბესო. **დაიჭირეს ეს ქმარი, მოკლეს კინაღამ ცემაში და აღიარებინეს, კი, მე მოვკალიო.** ის მოკლული კაცი, ჩხუბის მერე, თურმე, საყვარელთან წავიდა სხვა ქალაქში. 5 თვის მერე ამ **მოკლულად ჩათვლილ კაცს** მოსწყინდა საყვარელთან ყოფნა, ჩამოვიდა თელავში და **მივიდა მეზობლის სასამართლო პროცესზე, რომელსაც მის მკვლელობას აბრალებენ.** მოსამართლეს ეუბნება, **ცოცხალი ვარ, ხომ ხედავთ, ამ კაცს არ მოვუკლივარ, უდანაშაულოა და გამოუშვითო.** მოსამართლემ იცით, რა უპასუხა? **შენ პროკურორზე კარგად იცი, ცოცხალი ხარ თუ მკვდარიო?**

„ალია“

# როგორც ჩანს, ცნობილი ქართველი ადვოკატებისათვის „შალვა“ მეტად საბედისწერო სახელი გახლავთ, რადგან ჯერ შალვა შავგულიძე გახდა ბოკერიას თანაგუნდელი, მერე კი შალვა ხაჭაპურიძე დადგა სააკაშვილის ადვოკატად!



შალვა ხაჭაპურიძე

**დადგენისათვის ხელი შეეშალათ და დამნაშავეებისათვის ადეკვატური სასჯელი აერიდებინათ!**

და რა განაჩენი გამოიტანა იმავე სტრასბურგის სასამართლომ **მაჩალიკაშვილის საქმეზე?**

**სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს სახელმწიფოს თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის უფლება არსებითად არ დაურღვევია და ქართული კანონმდებლობა, რომელიც სპეცოპერაციის დროს იარაღის ძალის გამოყენებას განსაზღვრავს, სრულად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს.** ამასთან, ევროპულმა სასამართლომ, დაუსაბუთებლობის გამო, წარმოებაშიც კი არ მიიღო საჩივარი იმასთან დაკავშირებით, თითქოს მაჩალიკაშვილი სახელმწიფოს მხრიდან არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის მსხვერპლი გახდა.

ერთადერთი საკითხი, რის გამოც სტრასბურგმა საქართველოს სახელმწიფოს მაჩალიკაშვილის ოჯახისათვის მორალური ზიანის საკომპენსაციოდ **10 000 ევროს** გადახდა დააკისრა, **საქმის გამოძიებისას დაშვებული პროცესუალური ხარვეზები** იყო.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, **მაჩალიკაშვილის საქმე გირგვლიანის საქმეზე** „ბევრად უარესი“ კი არ არის, როგორც ამას **შალვატანი შავგულიძე** აცხადებს, არამედ ეს ორი საქმე ერთმანეთისაგან ცა და დედამიწასავით განსხვავდება და მათი ერთმანეთთან შედარებაც კი სამართლებრივი, პოლიტიკური და მორალური მკრეხელობის პიკია!

სხვანაირად რომ ვთქვათ, **შალვა შავგულიძე** ზუსტად იმხელა **პოლიტიკური შალვატანია,** რამხელა განსხვავებაც არის გირგვლიანისა და მაჩალიკაშვილის საქმეებს შორის!

**პოლიტიკურმა შალვატანმა შავგულიძემ სანდრო გირგვლიანისა და ირინა ენუქიძის სულებს შეურაცხყოფა პირველად მაშინ მიაყენა, როცა სანაცეთში ამოყო თავი, მეორედ კი ახლა, როცა გირგვლიანისა და მაჩალიკაშვილის საქმეების ერთმანეთთან შედარება იკადრა!**

როგორც ჩანს, ცნობილი ქართველი ადვოკატებისათვის **„შალვა“** მეტად საბედისწერო სახელი გახლავთ, რადგან ჯერ **შალვა შავგულიძე** გახდა ბოკერიას თანაგუნდელი, მერე კი **შალვა ხაჭაპურიძე** დადგა სააკაშვილის ადვოკატად!

საქმეს ისეთი პირი უჩანს, **პოლიტიკური შალვატანები** ქართველი საზოგადოების გაოგნებას კიდევ არაერთხელ მოახერხებენ!

***ჯაბა ხუბუა***

**პოლიტიკურმა შალვატანმა შავგულიძემ სანდრო გირგვლიანისა და ირინა ენუქიძის სულებს შეურაცხყოფა პირველად მაშინ მიაყენა, როცა სანაცეთში ამოყო თავი, მეორედ კი ახლა, როცა გირგვლიანისა და მაჩალიკაშვილის საქმეების ერთმანეთთან შედარება იკადრა!**

## კვირგვინოსნები

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



**მოსამართლეთა ქეისის პოლიტიზირებით** ოპოზიცია ცდილობს, ქვეყანაში **მორიგი საპროტესტო ტალღა ააგოროს** და ეს ხელისუფლების დასამხობად გამოიყენოს.

„ახალი თაობა“

**სერგი კაპანაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



სანქცირებული მოსამართლეების დაცვით **ხელისუფლებამ დაადასტურა კლანის არსებობაც** და კავშირებიც.

„კვირის პალიტრა“

**ვალერი გელბახიანი**
*ადვოკატი*



დავდივარ სასამართლოს დარბაზებში, რომ **პურის ფული ვიშოვო,** რა ბიზნესებზე და **ქოლცენტრებზე** მელაპარაკებით.

„TV იმედი“



# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის №14 ოქმი

***1989 წლის 14 აპრილი***

*დასაწყისი მე-3 გვერდზე*

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

დღეს პასუხი უნდა აგონ მათ, ვინც გასცა მითითება, ვინც გასცა ბრძანება ამ იარაღისა და დემონსტრაციის დასაშლელად იმ მეთოდის გამოყენებისა, რომელიც გამოიყენეს.

[...] ვფიქრობ, პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ, რომ რაც შეიძლება მალე უნდა გაიყვანონ ჯარი თბილისიდან და დააყენონ მილიციის გაძლიერებული რაზმები გარკვეულ ობიექტებზე. ეს განმუხტავს შექმნილ მდგომარეობას და თითქმის გარანტია იქნება იმისა, რომ მორიგი სისხლისღვრა არ მოხდება. [...]

**თ. ნ. ლოლაძე — ერთობლივი საბჭოთა-ფრანგული საწარმოს ფირმის დირექტორი, აკადემიკოსი:**

[...] ახალგაზრდობა არასდროს დაივიწყებს იმ გმირულ საქციელს, როდესაც ჩვენთან სტადიონზე ამხ. შევარდნაძე პირველი გავიდა მინდორზე და თავისი პირადი მაგალითით თავიდან აგვაცილა მოვლენათა ტრაგიკული განვითარება. ახლა რატომ ისხდა ცკ-ის ყველა წევრი კაბინეტებში? [...]

**ნ. ვ. გურგენიძე — საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრის მოადგილე:**

[...] თურმე, შაბათ საღამოს, როდესაც ახლოვდებოდა ტრაგიკული დასასრულის საათი, პარტიის რაიკომებში მოვიდა მითითება, განეხილათ საკითხი იმ სკოლის დირექტორებისა და მასწავლებლების პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც მძიმე საათებში თავიანთ მოსწავლეებთან ერთად იყვნენ. მოგმართავთ თქვენ, ჯუმბერ ილიას ძევ, ამხ. ნიკოლსკი, ამხ. ჩერქეზია, თქვენ ყველას, ამხანაგებო: არ შეიძლება ცხოვრება ასეთი არაზნეობრივი პრინციპებით. მე ვიყავი 153-ე სკოლაში, სადაც ბავშვებმა ბოიკოტი გამოუცხადეს მეცადინეობებს მხოლოდ იმის გამო, რომ პარტიის ქალაქკომმა ამ სკოლის დირექტორის დასჯის შესახებ გასცა განკარგულება. ბავშვებს ხომ სჯერათ თავიანთი დირექტორის, გრძნობენ დაცვას მისი მხრიდან და ამისთვის მისი დასჯა უზნეობაა.

[...] მეც ვიყავი იმ ადამიანთა რიცხვში, რომლებმაც დატოვეს მიტინგი 4 საათამდე, იმიტომ რომ ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, არავინ არავის მოკლავდა. ამაში ეჭვი მეც არ შემიტანია. სხვაგვარად, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, დავრჩებოდი ახალგაზრდებს შორის და იქ სიკვდილი უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე იმ მშობლების მდგომარეობაში ყოფნა, რომლებმაც შვილები დაკარგეს.

[...] რადგან დღეს კონკრეტულ პირებზე ვსაუბრობთ, ვფიქრობ, ამხანაგ ნიკოლსკის ადგილზე სხვა რომ ყოფილიყო, გადაარჩენდა ჯუმბერ ილიას ძეს იმით, რომ არ დაუშვებდა გადაწყვეტილების მიღებას ჯარის შემოყვანის შესახებ. ამაში დარწმუნებული ვარ.

**ჯ. ვ. მარგველიძე — ქ. თბილისის 26 კომისრის სახ. პარტიის რაიკომის პირველი მდივანი:**

[...] ჯერ ერთი, ყველა, ვინც ხელი მოაწერა „აფხაზურ წერილს“, უმკაცრესად უნდა დაისაჯოს. არა მხოლოდ ადლეიბა, ის პირველი მტერია, არამედ ყველა დანარჩენიც, ვინც ხელი მოაწერა წერილს.

მეორე. ძალიან მიკვირს, როდესაც მესმის ასეთი ცალმხრივი მსჯელობა თემაზე: ვინ არის დამნაშავე. ვთვლი: ყველაფერში დამნაშავე არიან ისინი, ვინც შექმნა ასეთი სიტუაცია. მათ, ექსტრემისტებს უნდა მოვკითხოთ ყველაზე მკაცრად.

ჩემი ღრმა პატივისცემის მიუხედავად, ყველას — პოეტების, მეცნიერების, მხატვრების — მიმართ, ვინც ესწრებოდა შეხვედრას მეცნიერებათა აკადემიაში, არ შემიძლია არ გითხრათ, რომ მათგან ბევრი თავისი გამოსვლით კი არ ამშვიდებდა, არამედ პირიქით, უფრო ამწვავებდა ვითარებას, აღვივებდა ფსიქოზს.

პატივცემულო რეზო ჩხეიძევ, თქვენ გამოდიოდით, როგორც ჩემთვის ცნობილია; თქვენ, მუხრან მაჭავარიანო, რომლის გამოსვლასაც ასე ველოდი, იმედი მქონდა, რომ ხალხი დამშვიდდებოდა და თქვენ გამოგყვებოდა. როგორი იყო ჩემი გაოცება, როდესაც გავიგე, რაც თქვით: „მე თქვენთან ვარ, მედგრად იდექით ბოლომდე!“ ეს რა არის? განა ჩვენ არ ვაგებთ პასუხს? ჩვენ ყველა დამნაშავე ვართ მომხდარში.

სამხედროებს კი უნდა ეყოთ სინდისი, რომ გამოავლინონ და მკაცრად დასაჯონ მკვლელობაში დამნაშავენი, აგრეთვე ისინი, ვინც შეადგინა დემონსტრანტებისგან მოედნის გაწმენდის ასეთი გეგმა.

ისინიც უნდა დაისაჯონ, ვინც გასცა ბრძანება ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ. დიახ, ეს ასეა, ვინაიდან მე ვიყავი ამ სასაკლაოს მოწმე, მთელი ღამე ქალაქის პირველ საავადმყოფოში ვიმყოფებოდი.

[...] ძალიან მიყვარს და ვაფასებ რეზო ჩხეიძეს, მაგრამ როდესაც გავიგე მისი გამოსვლის შესახებ, მაშინვე ვთქვი, თუ ეს სიმართლეა, მაშინ მანაც უნდა აგოს პასუხი, ისიც და მუხრან მაჭავარიანიც უნდა მიეცნენ პასუხისგებაში.

**მ. მ. ხანანაშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი:**

[...] როგორც ექიმი, კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ იმ მეთოდებისა, რომლებიც ამ აქციის დროს გამოიყენეს. თუ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება არასანქცირებული მიტინგის დაშლის შესახებ, არის ხერხები, რომელთა დახმარებითაც შეიძლებოდა ამ მიზნის მიღწევა მსხვერპლის გარეშე. ამისთვის არსებობს საერთაშორისო გამოცდილება და საჭიროა საკუთარი სინდისიც. დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ ამ აქციის შედეგებზე. საჭიროა ბოლომდე გაირკვეს, რა საშუალებები იყო გამოყენებული და უნდა გაიკიცხონ ისინი არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მთელ ქვეყანაში. [...]

**ვ. ვ. კეშელავა — ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ რედაქტორი:**

[...] საკმარისია ემოციები! თითოეული ჩვენგანი სტრესულ მდგომარეობაში იყო მთელი ეს კვირა. არაადამიანებად ვიქეცით, დავკარგეთ ადამიანური, საბჭოთა, ეროვნული ღირსება. მაგრამ ყველა იმ ემოციის მიუხედავად, რომლებსაც ხშირად ვერ ვთოკავთ, კრიტიკულ მომენტებში აუცილებელია პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე დავიწყოთ ფიქრი. აქ ითქვა, რომ საჭიროა მივმართოთ ახალგაზრდობას, გავწიოთ აგიტაცია, მოვუწოდოთ გონიერებისკენ. ახლა ეს არ არის რადიკალური საშუალება. დღეს ჩვენ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილებები, რომლებიც ეფექტური იქნება, თუმცა ეფექტური გადაწყვეტილებები მხოლოდ სიტყვებით ვერ შემოიფარგლება. დღეს საჭიროა პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რომლებიც შეიცავს ჩვენი ქმედებებისა და იმ შეცდომების შეფასებებს, რომელთაც ვზღავთ. პარტიას უნდა ჰქონდეს ავტორიტეტი და თუ მას დაკარგავს, იქნება ანარქია. ასეთია ჩემი აზრი.

უნდა გითხრათ, რომ როდესაც კვირა საღამოს აქ, აქტივზე მოვდიოდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ დაისმებოდა საკითხი ჩვენი ხელმძღვანელების გადაყენების შესახებ, ან ისინი თავად გადადგებოდნენ. ამაზე რომ ვსაუბრობ, მხედველობაში მხოლოდ ჯუმბერ ილიას ძე არ მყავს, ვგულისხმობ აგრეთვე ჩვენი მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეებს. მიმაჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული და ჩვენი პლენუმის მიერ მოწონებული, რადგან ის იქნება პოლიტიკური, იმოქმედებს მასებზე — სხვა გადაწყვეტილებებს ისინი ვერ აღიქვამენ!

გარდა ამისა, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია და შესაძლოა, უფრო მეტადაც: იგივე უნდა მოხდეს სამხედრო ხელმძღვანელობის მხრიდან. სამწუხაროდ, ეს არ მოხდა. ისტორიამ საშინლად იხუმრა ჩვენზე. მე ვიყავი იმ აქტივზე, სადაც იხილებოდა საკითხი, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავით უახლოეს დღეებში. იქ იმყოფებოდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ყოფილი სარდალი ამხ. კოჩეტოვი. მან თქვა: მე თქვენ გიცნობთ. იქნებ სწორედ ამ „ცოდნამ“ განსაზღვრა მათი ქმედებები?

მათ უნდა აგონ პასუხი! არა მხოლოდ ამხანაგმა როდიონოვმა, პირველ რიგში, არმიის უფრო მაღალმა ჩინოსნებმა, რომლებსაც ექვემდებარება როდიონოვი, ვინაიდან ჩვენი ოლქის სარდალს ერთი ნაბიჯის გადადგმის უფლებაც არ აქვს ზემდგომი პირის სანქციის გარეშე. ასეთი წესია ჯარში. ამიტომ ვთვლი, რომ ისინი უნდა გადადგნენ და ეს საკითხი განხილული უნდა იყოს თავდაცვის სამინისტროში, ან უფრო მაღალ ინსტანციებში და ისევე, როგორც ჩვენმა ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა, უნდა აიღონ პოლიტიკური და პარტიული პასუხისმგებლობა.

ამასთან, ცხადია, ვიმეორებ და გთხოვთ დააფიქსიროთ: ვთვლი, რომ სრული პასუხისმგებლობა უნდა აიღონ ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა, რომლებიც ასე ვერაგულად მოიქცნენ ჩვენი რესპუბლიკის მიმართ.

ამავე დროს უნდა ვთქვა, რომ მეცნიერებათა

***გაგრძელება მე-11 გვერდზე***

*2023 წლის 23 აპრილს საქართველოს სიამაყემ და მსოფლიო სპორტის ცოცხალმა ლეგენდამ ლაშა ტალახაძემ ერევანში კიდევ ერთხელ გაგვახარა და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი მეშვიდედ გახდა.*

# «ილიაუნისკენ» თვალი და შვილი არ გაგექცეთ!



„ილიაუნის" ლექტორი გიორგი ტაბატაძე

ai, ასეთი ღვთივბოძებული ახალგაზრდა კაცის შესახებ, რომლითაც ნებისმიერ დროსა და ეპოქაში მსოფლიოს ნებისმიერი ძლევამოსილი სახელმწიფო იამაყებდა, **ვინმე გიორგი ტაბატაძემ** „ფეისბუქში" ასეთი სიბინძურე დაწერა — **„პოლიტიკა და სპორტი ერთი და იგივეა, ლაშა ტალახაძე კი ქოცია, ქოცი კი, რუსია შესაბამისად არაფერი გასახარი და მისალოცი მის ჩემპიონობაში არ არის."**

ამ ბოროტი და შხამიანი ტექსტის მიხედვით, **რადგან ლაშა ტალახაძე** 17 მაისს, ოჯახის სიწმინდის დაცვის დღეს, ქართული ჩოხა-ახალუხითა და ქართული დროშით ხელში რუსთაველის პროსპექტზე გამოდის, **რადგან** ოჯახში გაზრდილი საამაყო კაცია, **რადგან** უამრავი ახალგაზრდისთვის ვაჟკაცობის, ქართველობისა და თავდადების მაგალითია, **რადგან** კაცების გამაუპატიურებელმა ნაცსექტამ ვერ შემოიხუნა და უფშვიტინე სააკაშვილის მხარდამჭერი პლაკატი ხელში ვერ დააჭერინა, **რადგან** მთელი მსოფლიო ქართული ხატებით, ჯვრებითა და სანთლებით აქვს შემოვლილი, რომლებზეც ყოველი საჩემპიონო გამოსვლის წინ ლოცულობს, თურმე, ამიტომ **„ლაშა ტალახაძე ქოცია, ქოცი კი, რუსია და, შესაბამისად, არაფერი გასახარი და მისალოცი მის ჩემპიონობაში არ არის."**

ცხადია, ამის დამწერი **გიორგი ტაბატაძე** ღირსია, სააკაშვილის „კასტილებიანმა" ზონდერგამაუპატიურებელმა თემურ უბირიამ ხელი სტაცოს და გვარამია ნიკუტათი შტანგაზე ჩამოაცვას! მაგრამ ამ მართლაცდა დაცემულსა და წაქცეულს ნაცებივით უპატიებლად და სამარცხვინოდ ხომ არ მოვექცევით? მითუმეტეს, ასე არ მოიქცევა **ლაშა ტალახაძეც,** რადგან, როგორც წესი, ბეღურებს ზარბაზნებს არ ესვრიან! არადა, **ამ ბოროტმა ჩიტებმა, რომლებიც ალფრედ ჰიჩკოკის ამავე სახელწოდების კინოშედევრის მყრალ ფრინველებს ჰგვანან, საქართველოში სისხლის ტბებიც დააყენეს და ქვეყანაც ააყროლეს!** სააკაშვილის, მეგისქარდავების, ახალაიების, ირმანადირაშვილების, ლელაქებურიების, ნანუკაჟორჟოლიანებისა და **ელისტრაკოკილაძეების** სიმყრალისგან საქართველო დღემდე ვერ განიავდა!


Giorgi Tabatadze
7 minutes ago ·
პოლიტიკა და სპორტი ერთი და იგივეა, ლაშა ტალახაძე კი ქოცია, ქოცი კი რუსია, შესაბამისად არაფერი გასახარი და მისალოცი მის ჩემპიონობაში არ არის.

**„ილიაუნის" ლექტორი გიორგი ტაბატაძე იმ წყეული პოლიტიკის პროდუქტია, როცა სააკაშვილის კანალიზატორმა მინისტრმა, უწიგნურმა ლომაია-რანკოვიჩის ხროვამ ილია ჭავჭავაძის სახელით ილია ჭავჭავაძის იდეებს შეუტია და განათლების სისტემის რეფორმით, რომელსაც სწორედ „ილია ჭავჭავაძე" უწოდეს, სკოლაში ილია მოკლა!**

**ამის დამწერი გიორგი ტაბატაძე ღირსია, სააკაშვილის „კასტილებიანმა" ზონდერ-გამაუპატიურებელმა თემურ უბირიამ ხელი სტაცოს და გვარამია ნიკუტათი შტანგაზე ჩამოაცვას!**

**„ილიაუნის" ლექტორი გიორგი ტაბატაძე** იმ წყეული პოლიტიკის პროდუქტია, როცა სააკაშვილის კანალიზატორმა მინისტრმა, უწიგნურმა **ლომაია-რანკოვიჩის ხროვამ** ილია ჭავჭავაძის სახელით ილია ჭავჭავაძის იდეებს შეუტია და განათლების სისტემის რეფორმით, რომელსაც სწორედ **„ილია ჭავჭავაძე"** უწოდეს, სკოლაში ილია მოკლა! **სწორედ ამ ბოროტი შეთქმულების ნაყოფია ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტი, ანუ ე.წ. „ილიაუნი", სადაც საქართველოს გენეტიკურ მტრებსა და მოღალატეებს ზრდიან.**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოვუწოდებ, როგორც მშობლებს, ისე აბიტურიენტებს: **ძმებო, დებო და შვილებო! ეროვნული გამოცდები ახლოვდება და არ გაეკაროთ საქართველოს მტრების ბუნაგს „ილიაუნს", სადაც ილია ჭავჭავაძის სახელით ილია ჭავჭავაძის იდეურ მკვლელებს ზრდიან!**

ფრთხილად, მშობლებო, „ილიაუნისკენ" თვალი და შვილი არ გაგექცეთ!

იცოდეთ, ამ ბოროტების სავანეში, სადაც, ალბათ, **ჯალალედინი, თემურ-ლენგი, შაჰ-აბასი, აღა-მაჰმად-ხანი, სერგო ორჯონიკიძე, სიგუა-კიტოვან-იოსელიანი**


განათლების ყოფილი მინისტრი კახა ლომაია

## კვირგვინოსნები



**ბალათერ არაბული**
*მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, პოეტი*

**დროა, ეროვნულ განათლებაზე გადავიდეთ!** „ილიაუნის" მაგალითზე გეტყვით ერთ ფაქტს: სასწავლებელში მწერლებთან შეხვედრა შედგა, რომელსაც პოეტი **მანანა ჩიტიშვილიც** ესწრებოდა. მას შესანიშნავი **პატრიოტული ლექსები** აქვს. შეხვედრაზე რამდენიმე ლექსი წაიკითხა. „ილიაუნის" კანცლერმა, რომელიც ადრე **ლომაიას** დროს მისი მოადგილე იყო, პირწავარდნილმა ნაციონალმა იცით, რა უთხრა მანანა ჩიტიშვილს?! — **პატრიოტულმა ლექსებმა დრო მოჭამაო.** მანანამ პროტესტის ნიშნად შეხვედრა დატოვა. აი, ასეთი ხალხი ასწავლის ბავშვებს, ისინი ადგენენ სასწავლო პროგრამას.

„საერთო გაზეთი"



**ზურა ხაჩიძე**
*მომღერალი*

ძალიან მნიშვნელოვანია, **დავიცვათ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი და მსოფლიოს ვაჩვენოთ, რომ საქართველოში ქართველები ვფიქრობთ სხვანაირად.** ჩვენ გვინდა მშვიდობა, არ ვართ ომისთვის მოწოდებული საზოგადოება, ჩვენ გვინდა ეკონომიკური განვითარება.

„რეზონანსი"



**გია ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*

**გჭირდებოდეს ქართველი მეომარი** და მისი სიცოცხლე მშვიდობის დასამყარებლად და **არ გჭირდებოდეს საქართველო** ევროკავშირში, არ მესმის. **ჩვენ არ ვართ არავის საზარბაზნე ხორცი, ეს უნდა გაიგოს ყველამ.** გვინდა, თავაწეული მივიდეთ ევროკავშირში და არა — ცალ ფეხზე მდგომი ადამიანები.

„პირველი არხი"



**ვატო შაქარიშვილი**
*ორგანიზაცია „აი-ეას" თანადამფუძნებელი*

საზოგადოების, ხელისუფლების ერთობამ მოიტანა შედეგი, რომ დღეს **ქვეყანაში არის მშვიდობა,** ამ მონაპოვარს არ დავთმობთ!

„პირველი არხი"

## ეროვნული გამოცდები ახლოვდება და არ გაეკაროთ საქართველოს მტრების ბუნაგს „ილიაუნს“, სადაც ილია ჭავჭავაძის სახელით ილია ჭავჭავაძის იდეურ მკვლელებს ზრდიან!

**და ედუარდ შევარდნაძე** სიხარულით ისწავლიდნენ, რათა საქართველო უკეთესად მოეთხარათ, თქვენს შვილებს დახვდება **მესაჯდომეების იმპერატრიცა გიორგი მაისურაძე,** რომელიც 1993 წლის 14 სექტემბერს, ირინა სარიშვილთან ერთად, რუსთაველის პროსპექტზე, ე.წ. „იმელის“ შენობის წინ, ხალხს აჩოქებდა და შევარდნაძის გადაფურთხებულს ლოკავდა! **მაისურაძის გვერდით ასევე იქნება ორიენტაციააღრეული გიგა ზედანია, რომელიც გეი-ფაშისტებისა და ლგბტ ტრიუმფატორების „ზადანიებს“ ზედმიწევნით ასრულებს.** რაც მთავარია, ამ მარაქაში აუცილებლად იქნება გარეული პროფესორი **გიგი თევზაძეც,** რომელსაც ერთ მშვენიერ დღეს მის მიერ უნივერსიტეტიდან განდევნილი პროფესორის, **ფილოსოფოს ზურაბ გაგნიძის** „ფალოსოფოსი“ ან გაყინული ქათამი „სადია“ აუცილებლად თავში მოხვდება!

აი, ამ ბინძური ბუნაგიდანაა **გიორგი ტაბატაძეც,** რომელმაც გაბედა და ლაშა ტალახაძე გალანძღა!

საქართველოს განათლების მინისტრად **გიორგი ამილახვარი** რომ დაინიშნა, გამიხარდა, რადგან ჩემთვის გავიფიქრე — **კაი გვარიშვილია, ზესტაფონის რაიონის სოფელ ტაბაკინიდან, მენტალურად ქართველია და, ალბათ, გვეშველება-მეთქი, მაგრამ ისე ეშველა ჩვენს დამაწყევარს! ამილახვარმა ისეთი „ახვარი“ ამოიყენა გვერდში მრჩევლად, რაც თავი მახსოვს, ისიც სულ ილიაზე ლაპარაკობს, მაგრამ საქმით არა საქართველოს, არამედ ლევან ბერძენიშვილის აყროლებული „გარშოკის“ მცველად მუშაობს!**

ეს უდღეური გიორგი ტაბატაძეც სწორედ ლევან ბერძენიშვილის „გარშოკის“ გარშემო უვლის დავლურს!

ცხადია, საცოდავია ასეთი კაცი...

ჩიტი ბდღვნად ნამდვილად არ ღირს და არც ქართველ ლომს — **ლაშა ტალახაძეს** სჭირდება ჩვენი გამოსარჩლება, მაგრამ ვფიქრობთ, ეს წერილი აუცილებლად უნდა დაწერილიყო და დაიწერა კიდეც!



### ნიკუშა გვარამია, რომელმაც გაბედა და ამ ორიოდე წლის წინათ ლაშა ტალახაძე აუგად მოიხსენია, დღეს ვირის აბანოში „ნებივრობს“...

ვირის აბანოსი რა მოგახსენოთ, მაგრამ ვფიქრობთ, „ილიაუნის“ უდღეურ პროფესორ **გიორგი ტაბატაძეს** ბროწეულის ოყნა და ლევან ბერძენიშვილის „გარშოკში“ გაბანავება არ აწყენდა!

***დიტო ჩუბინიძე***





**ამ მარაქაში აუცილებლად იქნება გარეული პროფესორი გიგი თევზაძეც, რომელსაც ერთ მშვენიერ დღეს მის მიერ უნივერსიტეტიდან განდევნილი პროფესორის, ფილოსოფოს ზურაბ გაგნიძის „ფალოსოფოსი“ ან გაყინული ქათამი „სადია“ აუცილებლად თავში მოხვდება!**

### კვირგვინოსნები

**დავით ოქიტაშვილი**
*კულტურის პალატის პრეზიდენტი*



არ შეიძლება, რომ **საქართველოს მოსახლეობის სახელით** ლაპარაკობდნენ ის ადამიანები, რომლებმაც **ეს ქვეყანა დაანგრიეს.**

„იმედინიუსი“

**დავით ხუციშვილი**
*მსახიობი*



აღარ მინდა **„ცეკას“** მდივნები. არც **ამერიკელი „ცეკას“** მდივანი მინდა, არც — **ევროპელი** და არც — **რუსი.**

„იმედინიუსი“

**თამარ ჩიხურდანიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



საქართველო აუცილებლად მიიღებს **კანდიდატი ქვეყნის სტატუსს,** თუნდაც მთელი ოპოზიცია, მათი უცხოელი მხარდამჭერებითურთ, ევროკავშირის კარებში ჩადგეს.

„იმედინიუსი“



# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის №14 ოქმი

***1989 წლის 14 აპრილი***

***დასაწყისი მე-3 გვერდზე***

აკადემიაში იყო ძალზე ემოციური გამოსვლები, ძალზე მოულოდნელი გამოსვლები. უფრო მეტიც, ჩვენმა მეცნიერებმა სხვა ხალხის, ჩვენი ძმების მიმართ, მხედველობაში მყავს აფხაზები, ძალზე მკვეთრი რეპლიკების უფლება მისცეს საკუთარ თავს. ასე შეიძლება დაიკარგოს ყოველგვარი ნდობა და პატივისცემა ერთმანეთისადმი, ეს არ უნდა დავუშვათ. [...]

**რ. დ. ჩხეიძე — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი:**

არ ვთვლი საჭიროდ ვუპასუხო ჯემალ მარგველიძეს. ის ახალგაზრდობის ძალზე კარგი ხელმძღვანელი იყო და, ალბათ, ახლა ვიღაცამ შეიყვანა შეცდომაში. ამ თემას აღარ შევეხები. მინდა ვთქვა შემდეგი:

პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ! ზოგადად, ჩვენი, მხედველობაში მყავს ინტელიგენცია, მოქმედების იდეა ძალზე ემთხვევა იმ იდეას, რომლითაც პირადად თქვენ, ედუარდ ამბროსის ძევ, ხელმძღვანელობთ თქვენს საქმიანობაში მთელ მსოფლიოში. ეს არის შერიგების იდეა, მოლაპარაკებების იდეა ყველა ფეთქებადსაშიშ ადგილებში.

[...] საქმე ისაა, რომ როდესაც საუბარია ჩვენს ქვეყანაზე, საშინაო პრობლემებზე, რატომღაც ვკარგავთ რეალობის საღად შეფასების უნარს. როდემდე უნდა დავხუჭოთ თვალი ჩვენთან არსებულ სხვადასხვა დაჯგუფებაზე, რომლებიც, როგორც ჩანს, სარგებლობენ საზოგადოების საკმარისი ავტორიტეტით? მე ლოგიკურად შეცდომად ვთვლიდი და ვთვლი იმას, რომ ჩვენ მათ ყურადღებას არ ვაქცევთ. ჩვენი ბეჭდვითი სიტყვისთვის, ტელევიზიისთვის ისინი ელემენტარულად არ არსებობდნენ. ხოლო თუ მათ იხსენიებდნენ, მხოლოდ საზიზღარ გარეწრებად, რომლებიც სხვა ასეთივე ეპითეტის ღირსნი არიან.

ჩვენ უნდა ვისწავლოთ მათი რეალურად აღქმა, ობიექტური პასუხის გაცემა მათ მოთხოვნებზე. თუმცა პირადად მე უნდა მოგახსენოთ, რომ არ ვიზიარებ მათ ლოზუნგებს საბჭოთა კავშირიდან საქართველოს დაუყოვნებლივი გასვლის შესახებ.

**ხმა დარბაზიდან**: ადრე ამას რატომ არ ამბობდით?

**რ. ჩხეიძე:** მე ვთქვი ამის შესახებ, როდესაც ტელევიზიით გამოვდიოდი.

**ხმები:** არა, არ ამბობდით (ხმაური დარბაზში).

**რ. ჩხეიძე:** ტყუილია, მე სწორედ ასე ვამბობდი. ამას ა. სანებლიძეც დაამოწმებს. შეგიძლიათ მოისმინოთ ჩანაწერი. თქვენ ცდებით, სწორედ ტელევიზიით გამოვთქვი ჩემი დამოკიდებულება ამ ლოზუნგის მიმართ.

**ხმა დარბაზიდან:** თქვენ მუდამ ამტკიცებდით მოლაპარაკებების აუცილებლობას ზ. გამსახურდიას დაჯგუფებასთან. ხელმძღვანელობამ მიიღო თქვენი ეს მოთხოვნა და ამის უფლება მოგცათ. მაშ, რატომ ვერ მიაღწიეთ წარმატებას?

**რ. ჩხეიძე:** დიახ, ჩვენ ვერ შევძელით საერთო ენის გამონახვა. მაგრამ, ვიმეორებ, არ შეიძლებოდა მცდელობების შეწყვეტა. ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი ამ ლოზუნგებს არ იზიარებს.

**ხმა დარბაზიდან:** თქვენ უნდა გაგეკიცხათ მათი მოთხოვნები.

**რ. ჩხეიძე:** გაკიცხვა იყო ჩემი გამონათქვამი, რომ არ ვიზიარებ მათ მოთხოვნებს. თუ ახალგაზრდობის დიდი ნაწილი მათ გაყვა, ეს უნდა ვაღიაროთ და როგორმე დავძლიოთ. მაგრამ ბრძოლა საჭიროა არა იარაღით, არამედ მოქმედებით, დაახლოებით, საუბრით. ვფიქრობ, რომ ახლაც, როდესაც ვლაპარაკობთ ამა თუ იმ ხელმძღვანელის გადაყენებაზე, ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჩათვლით, ვსვამთ საკითხს მეცადინეობების განახლებაზე, ადვილი არ იქნება ცხოვრების ჩვეულ კალაპოტში დაბრუნება. ეს ასე ადვილად არ მოხდება. ამიტომ მოგვეცით საშუალება ჩვენ, ყველას, დიდ კოლექტივებს, ახალგაზრდობას, უნივერსიტეტს, რომ ჩვენვე უზრუნველვყოთ წესრიგი ქალაქში. ჩვენს კინოსტუდიაში, მაგალითად, მუშაობს 2 ათასი ადამიანი. გამოვიყვანთ მათ ქუჩებში და ჯარისკაცების ნაცვლად დავიცავთ წესრიგს. შემოგვაქვს წინადადება ჯარის გაყვანის თაობაზე, რათა გამოვრიცხოთ უწესრიგობების გამეორება. საზოგადოებამ, ინტელიგენციამ, მუშათა კლასმა, სტუდენტობამ უნდა აიღონ ეს ვალდებულება. შევქმნით საზოგადოებრივ პატრულს, დავიცავთ წესრიგს მანამ, სანამ არ დავრწმუნდებით, რომ ხალხი დამშვიდდა.

ახლა ძალზე საგანგაშო მდგომარეობაა. თქვენ იცით, რომ გრძელდება გარკვეული შეხლა-შემოხლა, არეულობა. თქვენ ეს კარგად იცით. იმისათვის, რომ სადღაც რაღაც არ მოხდეს, ჩვენ თვითონ უნდა ვითავოთ წესრიგის დაცვა, ვინაიდან ჯართან ურთიერთობა ძალიან ძნელია, ჯარი ჯარია, ვინაიდან, როგორც გაირკვა, ბევრი რამ ხდება ისეთი, რაც არ არის დამოკიდებული სამოქალაქო ხელისუფლებაზე. ამიტომ შემომაქვს ასეთი წინადადება.

მერწმუნეთ, ჩვენ ამის ძალა შეგვწევს.

ამავე დროს მინდა ვთქვა, რომ არჩევნები უმაღლეს საბჭოში არათუ გადაიდოს, პირიქით, უნდა ჩატარდეს არაუგვიანეს ივლისისა, რომ ხალხმა აირჩიოს ახალი უმაღლესი საბჭო, რომელშიც წარმოდგენილნი იქნებიან დეპუტატები, ნაკლებად დაკავშირებულნი მომხდარ მოვლენებთან.

(ხმაური დარბაზში).

**ვ. გ. ბაქრაძე — საქართველოს კპ ცკ-ის სახელმწიფო-სამართლებრივი განყოფილების გამგე:**

დღეს, როდესაც საუბარია სიტუაციის განმუხტვაზე, ცეცხლზე ნავთის დასხმა ხომ არ არის კინოსტუდიის დიდტირაჟიან გაზეთში იმ ადამიანის ფოტოსურათის გამოქვეყნება, მის მიმართ სინანულისა და თანაგრძნობის გამოცხადებით, რომელსაც თვითმფრინავის გატაცებისთვის სიკვდილით დასჯა მიესაჯა?

და მეორე კითხვა — სწორად მიგაჩნიათ თუ არა, რომ აკაკი ბაქრაძე და მუხრან მაჭავარიანი — ორივე სსრკ სახალხო დეპუტატია — დროშებით ხელში მიდიან სტადიონზე და საფეხბურთო მატჩის დამთავრების შემდეგ იქიდან მოჰყავთ დაახლოებით 89 ათასი ადამიანი მთავრობის სახლთან? განა ესეც ცეცხლზე ნავთის დასხმა არაა?

**რ. ჩხეიძე:** თქვენს პირველ კითხვაზე გიპასუხებთ.

მე დიდ პატივს ვცემ ჩვენს დიდ მოღვაწეს ილია ჭავჭავაძეს და ისევე, როგორც იგი, დაუშვებლად ვთვლი სიკვდილით დასჯას. ეს პასუხია პირველ კითხვაზე.

(ხმაური დარბაზში. რეპლიკები: „დემაგოგიაა!“)

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მასალები**

**რ. ჩხეიძე:** არა, ეს დემაგოგია არ არის. მე ყოველთვის არასწორ აქტად მიმაჩნდა სიკვდილით დასჯა.

**ხმა დარბაზიდან:** თქვენს გაზეთში წერია, რომ გამტაცებლებს, რომლებმაც თვითმფრინავში შეაღწიეს ახლად დაქორწინებულთა სახით, სურდათ მხოლოდ საზღვარგარეთ გასეირნება.

**რ. ჩხეიძე:** ეს აბსოლუტური სიცრუეა. გაზეთში მსგავსი არაფერი წერია. მთელი ჩემი ცხოვრებითა და შემოქმედებით ვნერგავდი პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გრძნობებს.

რაც შეეხება მუხრან მაჭავარიანსა და აკაკი ბაქრაძეს, ეს იყო, მგონი, მოვლენების დასაწყისში და მაშინ არც ერთი იმ ლოზუნგთაგანი, რომლებმაც ჩვენ შეგვაშფოთა, არ იყო გამოფენილი. მაშინ მხოლოდ აფხაზეთის პრობლემა იდგა. ეს იყო 3 თუ 4 აპრილს და არც ერთი სოციალური თუ პოლიტიკური ლოზუნგი არ ფიგურირებდა. ასე რომ, ცილს ნუ სწამებთ ინტელიგენციის საუკეთესო შვილებს.

**ზ. ა. ჩხეიძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე:**

პატივცემულო რეზო! თქვენ აღნიშნეთ, რომ ტელევიზიით გამოსვლის დროს მიმართეთ ახალგაზრდობას, დაბეჯითებითი მოუწოდეთ სიმშვიდისკენ. ეს იყო იმ დღეს, როდესაც თქვენ აქაც და პირად საუბარშიც გითხრეს, რომ ჩვენ კატასტროფის წინაშე ვდგავართ. თქვენც და მუხრან მაჭავარიანსაც პირდაპირ გითხრეს: ჩვენი იმედი აღარ გქონდეთ, ჩვენ უკვე ამოვწურეთ ყველა შესაძლებლობა, აუცილებელია, კარდინალური გადაწყვეტილებები. თქვენ კი რა უთხარით ფანატიკურად განწყობილ ახალგაზრდობას იმ საღამოს ტელევიზიით?

**რ. ჩხეიძე:** და რა ვთქვი ასეთი?

**ზ. ჩხეიძე:** თქვენი ნათქვამი დაფიქსირებულია, შეიძლება მოისმინოს ექსპერტმა. დაე, თქვენს სინდისზე იყოს. მაგრამ კიდევ მაქვს თქვენთან შეკითხვა. თქვენს წინადადებაზე დიალოგის აუცილებლობის შესახებ, ჩვენდა გასაკვირად, ბიურომაც, პირველმა მდივანმაც თანხმობა განაცხადეს. მაგრამ ჩვენ ხომ საქმე უბრალოდ არაფორმალურ საზოგადოებასთან არ გვაქვს. ამ დაჯგუფების წევრები უკვე აღარ ცნობდნენ არავითარ მთავრობას. მათ გამოაცხადეს ტერორი, ითხოვდნენ კაბინეტების დაცლას, რადგან ჩვენი თანამდებობების დაკავება სურდათ. თქვეს, რომ 8 აპრილი იქნება დღე, როდესაც დაიღვრება სისხლი. ყველაფერი დაფიქსირებულია. მიუხედავად ამისა, ჯუმბერ ილი-

***გაგრძელება მე-13 გვერდზე***

**IRI INTERNATIONAL REPUBLICAN INSTITUTE**

# «აირაიმ» მორიგი კვლევობა გამოაცხო!

***მიქრიან დღეები, კვირები, თვეები და წლები, ვითარცა ნაბდით დაჭედილი ბედაურები, მაგრამ მარად უცვლელია „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“, იგივე „აირაის“ მცდელობა, ყალბი სოციოლოგიური კვლევების გამოქვეყნებით სცადოს მცდარი საზოგადოებრივი აზრის ფორმირება და მოახლოებული არჩევნების შედეგებზე ზეგავლენის მოხდენა.***

რაც ყველაზე მთავარია, **„აირაის“** ზემოხსენებულ მცდელობებს მუდამ ერთი მიმართულება და მიზანი აქვს: **მოახდინოს რეალობის მოდელირება მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელი პარტიის — ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ.**

გამონაკლისი არც „აირაის“ მიერ გასულ კვირას გამოქვეყნებული **კვლევის** შედეგებია, რომელთა მიხედვითაც საოცარი ტენდენცია იკვეთება — **ორად გახლეჩილი და შიდა დაპირისპირების ჭაობში ჩაძირული ნაცმოძრაობის რეიტინგი იზრდება, „ქართული ოცნების“ რეიტინგი კი კატასტროფული კლების გზაზეა.**

ხამს, ცალ-ცალკე განვიხილოთ **„აირაის“** სოცკვლევის ზოგიერთი მონაცემი, რომელიც ერთდროულად სასაცილოც არის და სატირალიც.

**სასაცილო — რადგან მიახლოებითაც კი არ გამოხატავს ქართველ საზოგადოებაში არსებულ რეალურ განწყობებს!**

**სატირალი — რადგან „აირაისა“ და მის აქაურ პარტნიორებს ქართველი ხალხი ბნელი და უგუნური ბრბო ჰგონიათ, რომლის გაცურებაც ასეთი იაფფასიანი მამაძაღლობებით არის შესაძლებელი!**

**აბსურდი პირველი:**

**5-პროცენტიანი სხვაობა „ოცნებასა“ და ნაცმოძრაობას შორის!**

**„აირაის“ კვლევაში,** რომელიც მიმდინარე წლის 4-23 მარტის პერიოდში ჩატარდა, დასმულია კითხვა — **„არჩევნები რომ ამ შაბათს ტარდებოდეს, რომელ პოლიტიკურ პარტიას მისცემდით ხმას?“** გამოკითხულთა პასუხების მიხედვით, პროცენტები ასე გადანაწილდა: **„ქართული ოცნება“** — 19 პროცენტი; **ნაციონალური მოძრაობა** — 14 პროცენტი; **„საქართველოსთვის“ (გიორგი გახარიას პარტია)** — 3 პროცენტი; **„ზირჩი — მეტი თავისუფლება“ (ზურაბ ჯაფარიძის პარტია)** — 3 პროცენტი; **„ზირჩი“ (ხვიჩია-მეგრელიშვილის პარტია)** — 2 პროცენტი; **„ლელო საქართველოსთვის“ (ხაზარაძე-ჯაფარიძის პარტია)** — 2 პროცენტი და **ლეიბორისტული პარტია** — 2 პროცენტი.

როგორც ხედავთ, ორი მთავარი პარტიის — **„ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის** რეიტინგს შორის სხვაობა **სულ ხუთიოდე პროცენტია,** რაც, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან საეჭვოდ გამოიყურება.

ცხადია, „ქართულმა ოცნებამ“, ხელისუფლებაში ყოფნის 10 წლის განმავლობაში არაერთი შეცდომა დაუშვა და ეს, უპირველეს ყოვლისა, მის საკადრო პოლიტიკას — **ნაცრეჟიმის ბევრი ყოფილი მაღალჩინოსნის, ზონდერისა და დამფინანსებლის საკუთარ რიგებში პორტირებას** ეხება. თუმცა, მაინც ყოვლად წარმოუდგენელია, დღევანდელი მმართველი ძალა რეიტინგში ოდენ 5 პროცენტით აღემატებოდეს სისხლიან პარტიას, რომელმაც საქართველოს ტერიტორიები დაკარგა და ქვეყანაში ნეოფაშისტური რეჟიმი შექმნა, უდანაშაულო ადამიანები დახოცა, ციხეებში სისტემური წამების პრაქტიკა დაამკვიდრა და ქართველი კაცები გააუპატიურა.

გარდა ამისა, **წარმოუდგენელია, რომ „ქართული ოცნება“, რომელიც ჯერ კიდევ ახერხებს გუნდურ ერთიანობას და პოლიტიკური მონოლითურობის შენარჩუნებას, მხოლოდ 5 პროცენტით უსწრებდეს ლამის მარტივ მამრავლებად დაშლილ ნაცმოძრაობას, რომლის ერთ ნაწილშიც კეზერაშვილ-მერაბიშვილის ჩრდილოვან მმართველობას კომიკური ხაბეიშვილი განასახიერებს, მეორე ნაწილში კი სააკაშვილის პენისად შემრაცხველი ნიკანორ მელია ჯახირობს.**

თუ წინა წლების ტენდენციას გავითვალისწინებთ და გავიხსენებთ, რამხელა სხვაობა ფიქსირდებოდა **„აირაის“** მიერ გამოქვეყნებული სოცკვლევების მონაცემებსა და არჩევნების რეალურ შედეგებს შორის, მარტივად მივხვდებით, რომ **„საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი“,** რომელიც საველე სამუშაოს, ანუ მოქალაქეთა გამოკითხვას ნაცმოძრაობისადმი პოლიტიკურ სიმპათიებში მხილებულ **კომპანია „აიფიემს“** ატარებინებს, ამჯერადაც ვირეშმაკობს.

აბა, ვნახოთ:

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ **„აირაიმ“ ნაციონალურ მოძრაობას 43 პროცენტი დაუწერა, ხოლო „ქართულ ოცნებას“ — 24, მაგრამ არჩევნებში ნაცმოძრაობამ 13 პროცენტით ნაკლები ხმა — 40.4 პროცენტი აიღო, „ქართულმა ოცნებამ“ კი მთელი 30 პროცენტით მეტი — 54.9.**

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, „აირაის“ კვლევის მიხედვით, **„ქართული ოცნების“** რეიტინგი **20 პროცენტი** იყო, **ნაცმოძრაობის** კი — **19,** მაგრამ არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ **28 პროცენ-**





**რომელი ჭკუათამყოფელი დაიჯერებს, რომ სალომე ზურაბიშვილი, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური კაგებეშნიკ გრიგოლ ვაშაძესთან წააგო, საქართველოში უფრო მეტ ადამიანს მოსწონს და ეიმედება, ვიდრე ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი?**

## კვირგვინოსნები

**დათო ლორთქიფანიძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



**„აირაის“** მიერ ჩატარებული კვლევები რეალობას არ ასახავს. **სალომე ზურაბიშვილს 48 პროცენტი არ შეიძლება ჰქონდეს, საარჩევნო ნომერში ხომ არ აერიათ?** მე მგონი, შეეშალათ.

„ახალი თაობა“

**კახა ოქრიაშვილი**
*პარლამენტარი ნაციონალური მოძრაობიდან*



საქართველომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ **პარადოქსების ქვეყანაა.** „აირაის“ კვლევებმა აჩვენა, რომ **მოსახლეობის 89 პროცენტს ევროკავშირთან მიერთება სურს,** ქვეყანას კი მართავს **„რუსული ოცნება“.**

„რეზონანსი“

**ხათუნა სამნიძე**
*რესპუბლიკური პარტიის ლიდერი*



მე არ ვეთანხმები არცერთ ჩემს კოლეგას ოპოზიციიდან, ვინც დღეს საუბრობს **რიგგარეშე არჩევნებზე,** დღეს **რიგგარეშე არჩევნებზე** საუბარი მგონია პოლიტიკური შეცდომა, შეცდომაში შეყვანა როგორც საზოგადოების, ასევე ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების.

„ინტერპრესნიუსი“

**გიორგი ბოტკოველი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



გამოქვეყნებული კვლევა მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ **„ქართული ოცნების“ დამარცხება არც ისეთი ძნელია,** როგორც ეს ვინმეს წარმოედგინა.

„ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი ქადაგიშვილი**
*უმრავლესობის წევრი*



ოპოზიციას არა აქვს შანსი, არჩევნებში გამარჯვებას მიაღწიოს, ამიტომ ერთადერთ ხსნას **რევოლუციური სცენარების** განხორციელებაში ხედავენ.

„ინტერპრესნიუსი“

# ეს სოციოლოგიური კვლევა კი არა, სოციოლოგიური კვლევობაა, რომელსაც არავინ დაიჯერებს!

**ტით** მეტი ხმა — **48.67 პროცენტი** მიიღო, ხოლო ნაცმოძრაობამ — **27.11 პროცენტი.**

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ „აირაის" სოცკვლევამ აჩვენა, რომ **„ქართული ოცნების"** რეიტინგი **36 პროცენტი** იყო, ხოლო **ნაცმოძრაობის — 15,** მაგრამ არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ" ხმების **48 პროცენტი** მიიღო, ნაცმოძრაობამ კი — **27.8.**

როცა სოციოლოგიური კვლევების მონაცემები არჩევნების ოფიციალურ შედეგებთან ასე კატასტროფულად არის აცდენილი, კვლევების ჩამტარებელ ორგანიზაციას სირცხვილისაგან ფეხქვეშ მიწა უნდა გამოეცალოს და, წესით, ამ საქმეს ხელი მეორედ აღარ მოჰკიდოს! თუმცა, **„აირაის" საქართველოში საკუთარი რეპუტაცია და ავტორიტეტი ნაკლებად ადარდებს, რადგან ამ ქვეყანაში მისი მთავარი ფუნქცია ობიექტური სოცკვლევების ჩატარება კი არა, რეალობის გაყალბება და პოლიტიკური მანიპულატორობაა, რასაც წლების განმავლობაში მეტნაკლები წარმატებით ახერხებს!**

— 35 პროცენტი; **შალვა ნათელაშვილი** — 35 პროცენტი; **ელენე ხოშტარია** — 33 პროცენტი; **გიორგი ვაშაძე** — 33 პროცენტი; **ალეკო ელისაშვილი** — 31 პროცენტი; **ირაკლი კობახიძე** — 31 პროცენტი; **მამუკა ხაზარაძე** — 29 პროცენტი; **შალვა პაპუაშვილი** — 27 პროცენტი; **ლევან ხაბეიშვილი** — 27 პროცენტი; **ბადრი ჯაფარიძე** — 26 პროცენტი; **ზურაბ-გირჩი ჯაფარიძე** — 26 პროცენტი; **პეტრე ცისკარიშვილი** — 19 პროცენტი; **გიგა ბოკერია** — 17 პროცენტი; **პაატა მანჯგალაძე** — 9 პროცენტი.

თავდაპირველად, დავსვათ ლოგიკური კითხვა: **რა შუაშია პატრიარქი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან და რატომ უნდა იზომებოდეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობლის რეიტინგი პოლიტიკოსების რეიტინგთან ერთად?**

საერთოდ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ავტორიტეტი და რეიტინგი განუზომლად მაღალი რომ არის, ამას არავითარი გამოკვლევა არ სჭირდება, მაგრამ „აირაის" მიერ **ილია მეორის** ფიგურა გამოყენებულია, როგორც სიცრუისა და სიყალბის შეფუთვის ინსტრუმენტი. კერძოდ, **კვლევის ჩამტარებელი ორგანიზაცია ხელმძღვანელობს მარტივი, მაგრამ დროში ეფექტიანად გამოცდილი პროპაგანდისტული ხრიკით: თუ გინდა, რომ ათი ტყუილი დაგიჯერონ, ერთი სიმართლე მაინც უნდა გაურიო!**

მოცემულ შემთხვევაში, პოლიტიკურ მანიპულატორთა გათვლით, საზოგადოების დიდი ნაწილი ეჭვს არ შეიტანს იმ სიის ნამდვილობაში, რომლის სათავეშიც პატრიარქი ეწერება თითქმის

გაგრძელება მე-14 გვერდზე



## აბსურდი მეორე:
### ღარიბაშვილზე რეიტინგული ზურაბიშვილი და ივანიშვილზე რეიტინგული სააკაშვილი!

**„აირაის"** მიერ გასულ კვირას გამოქვეყნებულ სოცკვლევაში არამხოლოდ პარტიული, არამედ პიროვნული რეიტინგებიც არის გაზომილი. შედეგები ასეთია: **ილია მეორე** — 91 პროცენტი; **კახა კალაძე** — 52 პროცენტი; **სალომე ზურაბიშვილი** — 48 პროცენტი; **ირაკლი ღარიბაშვილი** — 43 პროცენტი; **გიორგი გახარია** — 36 პროცენტი; **მიხეილ სააკაშვილი** — 36 პროცენტი; **ბიძინა ივანიშვილი**

# „აირაის" მიერ ილია მეორის ფიგურა გამოყენებულია, როგორც სიცრუისა და სიყალბის შეფუთვის ინსტრუმენტი!

## კვირგვინოსნები

**ბექა ოდიშარია**
*პარლამენტარი*



„ქართული ოცნება" არითმეტიკული პროგრესიით ზრდის თავის რეიტინგს და **ნაციონალური მოძრაობა ეცემა,** მათ დაცემას და ვარდანას, როგორც ჩანს, საზღვარი არა აქვს.

„პირველი არხი"

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის" თავმჯდომარე*



ხვალ რომ რიგგარეშე არჩევნები ტარდებოდეს, **„ქართული ოცნება" დამანგრევლად დამარცხდებოდა** — ოპოზიციურ გაერთიანებას ალტერნატივა არა აქვს.

„ინტერპრესნიუსი"

**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის" წევრი, პარლამენტარი*



ჩვენ არ ვართ ძალა, რომელიც იტყვის, რომ **„ქართული ოცნების"** პირობებში **კანდიდატის სტატუსი** არ გვჭირდება.

„რეზონანსი"



# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის №14 ოქმი

*1989 წლის 14 აპრილი*

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ას ძემ მიიღო თქვენი წინადადება დიალოგზე წასვლის შესახებ. თქვენი მონაწილეობით შეიქმნა ჯგუფი ლალი ჯავახიშვილის, ნიკო ჭავჭავაძის, ჯანსუღ ჩარკვიანისა და უნივერსიტეტის პრორექტორ ვახტანგ გოგუაძის შემადგენლობით, ანუ ჯგუფი შედგებოდა ძირითადად იმ ადამიანებისგან, რომელთა ოჯახებშიც გაიზარდნენ ეს ლიდერები. თუ ისინი თავიანთ მშობლებს არ უჯერებდნენ, სხვას დაუჯერებდნენ? სხვას ვიღას შეეძლო გაეფრთხილებინა თავიანთი ჭაბუკები და ქალიშვილები კატასტროფის შესახებ და როგორღაც ემოქმედა მათზე?

მე პარტიის კალინინის რაიკომის პლენუმზეც მოგიხსენიეთ თქვენ, მუხრან მაჭავარიანი და ელდარ შენგელაია. დაე, მათ შური იძიონ, როგორც სურთ, მე არ მეშინია. მერჩივნა, დღეს არ ვყოფილიყავი ცოცხალი, იმ კაბინეტში უკვე აღარ შევალ. და რომ იცოდეთ, დღეს ბიუროზე მეც და ჯუმბერ ილიას ძეც გადავდექით. (მიმართავს დარბაზს):

ძალიან გთხოვთ, მიიღოთ გონივრული გადაწყვეტილება და ხმა მისცეთ ჯუმბერ ილიას ძის მამაცურ და პატიოსან ნაბიჯს, რომ გადადგა. ხმა მიეცით ჩემს გადადგომასაც. ასევე, მიიღეთ მხედველობაში, რომ ამით ყველაფერი არ დასრულებულა. პასუხს აგებენ ნიკოლსკიც, ჩერქეზიაც და სხვებიც. ბიუროზე ასევე ისიც ითქვა, რომ კომისიამ უნდა იმსჯელოს ობიექტურად, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ სურვილის მიხედვით კომისიაში შესვლა შეუძლია ნებისმიერი საზოგადოების წარმომადგენელს, შემდგომ კი შედეგს განიხილავს უმაღლესი საბჭოს სესია. სიტუაცია ძალზე რთულია და მტყუან-მართლის გარჩევა არც ისე ადვილია. მომხდარ ტრაგედიაში ყველა დამნაშავეა, პირველ რიგში კი — ექსტრემისტები. არის მტკიცებულებები, რომ სამხედროებს პირველები თავს სწორედ ამ ექსტრემისტების თანარაზმელები და მცველები დაესხნენ. ყველაფერი უნდა გაირკვეს და გამოძიებულ იქნას პროკურატურის მიერ.

ასევე გთხოვთ ყველას, გამოიჩინოთ სრული სიმშვიდე, კეთილგონიერება, მიიღოთ ჩვენი გადადგომა და აირჩიოთ უფრო ღირსეული და გამოცდილი ამხანაგები. ამით დავამთავროთ კამათი და ვყაროთ კენჭი.

(კვლავ მიმართავს **რ. ჩხეიძეს**):

თქვენ კი მაინც არ მიპასუხეთ. გთხოვთ უპასუხოთ ჩემს კითხვას. რას ეუბნებოდით ახალგაზრდობას ტელევიზიით იმ საღამოს? როგორც კი თქვენი გამოსვლა მოვისმინე, დაუყოვნებლივ დავურეკე ა. სანებლიძეს და ჩემი აღშფოთება გამოვთქვი. როგორ შეიძლებოდა ამ გამოსვლის ტრანსლირება, როდესაც ჩვენ ყველანი აფეთქების წინაშე ვიდექით? და კიდევ, თქვით, ვგონებ, გეყოფათ სიმამაცე, რა გიპასუხათ ზვიად გამსახურდიამ ჩვენს წინადადებებზე, რატომ არ შედგა დიალოგი.

**რ. ჩხეიძე:** მოლაპარაკებებმა შედეგი არ გამოიღო მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მიერ გამოთქმულ რადიკალურ შეხედულებებს ჩვენ, როგორც ყველა სხვა, ვინც მათ შეხვდა, არ ვიზიარებდით. იქ იყო ჯანსუღ ჩარკვიანი და ზოგიერთი სხვა ამხანაგიც. ვფიქრობ, ეს ხალხი ადგება და დაადასტურებს ჩემს სიტყვებს, ვინაიდან აქ რაღაც სასამართლო მიმდინარეობს.

ობიექტური ჭეშმარიტება ასეთია. ჩვენ არ შეგვეძლო მიგვეცა თანხმობა, ვინაიდან მათი მოთხოვნები ჩვენი დელეგაციისთვის მიუღებელი იყო.

ისინი ასე აყენებდნენ საკითხს: საუბარი ზედმეტია, ვინაიდან ჩვენი უპირველესი მოთხოვნა საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლაა, რაზეც ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ამაზე თანხმობის მიცემა არ შეგვიძლია.

**ზ. ჩხეიძე:** არა. ზუსტად თქვით, რა თქვა ზვიად გამსახურდიამ. მან ხომ თქვა, რომ არ დავა რესპუბლიკური ხელმძღვანელობის დონეზე.

**რ. ჩხეიძე:** საუბარი იყო თეორიული, პრინციპული. ისინი აყენებდნენ შემდეგ მოთხოვნებს: რომ მთავრობა დაუყოვნებლივ უნდა გადამდგარიყო, რომ საქართველო დღესვე უნდა გამოცხადებულიყო დამოუკიდებელ რესპუბლიკად. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ამას არ ვეთანხმებით და ამიტომ მოლაპარაკებები არ შედგა. ეს ინფორმაცია გადავეცი ნუგზარ ფოფხაძეს.

**ზ. ჩხეიძე:** ვერ შევძლებ სიტყვასიტყვით გავიმეორო, მაგრამ აქ დამსწრე ამხანაგებმა მოისმინეს თქვენი გამოსვლა ტელევიზიით. თქვენ თქვით, რომ მათ აქვთ პერსპექტიული, საინტერესო წინადადებები, რომლებიც აუცილებლად მხედველობაშია მისაღები, მაგრამ ვინაიდან ჩვენი ახლანდელი მთავრობა მათ არ მიიღებს, შეხვედრა ამიტომაც არ შედგა.

**რ. ჩხეიძე:** ტყუილია. რასაკვირველია, მთავრობა ვერ მიიღებდა გადადგომის წინადადებას.

**ზ. ჩხეიძე:** თქვენ ერთი სიტყვაც არ უთხარით ახალგაზრდებს, რომ საჭიროა მოცდა, დამშვიდება და დაშლა, რადგან ვდგავართ კატასტროფის წინაშე. რატომ ერთი სიტყვაც არ თქვით ამის შესახებ?

**რ. ჩხეიძე:** იმიტომ, რომ არ დაიშლებოდნენ. ვიცოდი, ჩვენს სიტყვებს საჭირო გავლენა არ ექნებოდა. ამიტომ ვეძებდით რეალურ, პრაქტიკულ გზებს. ცხადი იყო, რომ ისინი მხოლოდ თქმით არ დაიშლებოდნენ. ეს დაადასტურა კათოლიკოსის მიმართვამ. მათ კათოლიკოსს არ დაუჯერეს და განა დაემორჩილებოდნენ სიტყვიერ მიმართვას, რომ დაშლილიყვნენ? ახლა თქვა პატივცემულმა ზ. ჩხეიძემ, რომ ლიდერები თქვენს ოჯახებში გაიზარდნენო, მხედველობაში ჰყავდა ზოგიერთი ჩვენგანი. მაგრამ ჩემი ქალიშვილი, ვისაც გულისხმობდით, გამოვიდა იქ და შეკრებილთ მოუწოდა, დაშლილიყვნენ, მას დაუსტვინეს. რაც შეეხება ჩემს გამოსვლას, მე, თუ გახსოვთ, ვამბობდი, რომ საქართველო წარმომიდგენია მხოლოდ საბჭოთა კავშირის ოჯახში.

**ზ. ჩხეიძე:** განა, თქვენთვის ცნობილი არ იყო მუხრან მაჭავარიანის წინადადება იმის შესახებ, რომ ნება დაერთოთ ახალგაზრდებისთვის, სხვა ადგილზე გადასულიყვნენ? ჩვენ, რასაკვირველია, დავეთანხმეთ ამას.

**რ. ჩხეიძე:** ვიმეორებ, არავითარი ინფორმაცია მოახლოებული უბედურების შესახებ არ გვქონდა და არც არავის ჰქონდა. დაახლოებით ღამის 2 საათზე ტელეფონით ვესაუბრე პატივცემულ ჯუმბერ ილიას ძეს და ვთხოვე, თავი შეეკავებინა ამ ღამის განმავლობაში ნებისმიერი აქციისგან, რადგან იყო იმედი, რომ მომიტინგეები სხვა ადგილზე გადავიდოდნენ.

**ჯ. პატიაშვილი:** და მე რა გიპასუხეთ თქვენ?

**რ. ჩხეიძე:** თქვენ მიპასუხეთ, რომ გამსახურდიას ხალხმა ისინი ისე დათრგუნეს, რომ ამის იმედი არარეალურია.

**ჯ. პატიაშვილი:** რას გთხოვდით მე? თქვენ ახლა ამბობთ, რომ არაფერი იცოდით. ახლა ყველა თავიდან იშორებთ. მე აუცილებლად უნდა გამოვიდე და ყველაფრის შესახებ ვთქვა თავიდან ბოლომდე. ის, რასაც აქ ზოგიერთები ამბობენ, დაღუპავს ერს, საქმე ჩემში არ არის. მე მზად ვარ შევასრულო ნებისმიერი თქვენი მოთხოვნა. თუ საჭიროა, გავალ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან. ასე რომ, უნდა დასრულდეს კამათი ერთხელ და სამუდამოდ...

(ხმაური დარბაზში, ტაში).

საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის **ამხ. გ. ლორთქიფანიძის** რეპლიკა ადგილიდან:

ინტელიგენცია ბევრ რამეში ცდებოდა, მაგრამ მექმნება შთაბეჭდილება, რომ ყოველი მოვლენის შემდეგ იწყება თავდასხმა ინტელიგენციაზე.

**ჯ. პატიაშვილი:** პატივცემულო გიგა! თქვენ ბრალს არავინ გდებთ, ამაზე საუბარიც კი არ არის. მე უნდა ვთქვა სიმართლე, შემდეგ თავად განსაჯეთ, დამნაშავეა თუ არა ინტელიგენცია. ინტელიგენცია ყოველთვის ჩვენ გვერდით იყო. ზოგი ახლაც ჩვენ გვერდითაა, მაგრამ გარკვეული ნაწილი არ იზიარებს ჩვენს შეხედულებებს. ამაზეა საუბარი.

**რ. ჩხეიძე:** კიდევ ერთხელ ვიმეორებ, როგორც მოქალაქე და ადამიანი, ყოველთვის იმათ მხარეს ვარ, ვინც ლაპარაკობს საქართველოს სუვერენიტეტზე საბჭოთა კავშირის ფედერაციის შემადგენლობაში. ვიმეორებ, არავინ ფიქრობს ამის დარღვევას. და მე ჩემს ყველა ქმედებაში, იქნება ეს ფილმის გადაღება თუ სხვა რამ, ყოველთვის ვიქადაგებ ამას. მაგრამ ამისთვის აუცილებელია ნამდვილად ვიაროთ გზით, რომელსაც დემოკრატია ჰქვია, გზით, რომელსაც გარდაქმნა ჰქვია. ჩვენ ამას ვაღიარებთ ფორმალურად, მაგრამ გონება უწინდებურად ძველებურად, კონსერვატიულად მოქმედებს.

**ე. შენგელაია — საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი:**

დასაწყისშივე მინდოდა მეთქვა, რომ პატივცემული რ. ჩხეიძის მიერ წარმოთქმული ბოლო ფრაზა ჩვენი პოზიციაა, ძალიან მოკლედ და კონკრეტულად გამოთქმული. ამიტომ ნათქვამს აღარ გავიმეორებ.

მინდოდა თხოვნით მომემართა თქვენთვის, ამხანაგო კომენდანტო. გუშინ ჩვენ, კინემატოგრაფისტებმა შემოვიარეთ დაღუპულთა ოჯახები. ზოგიერთ ეზოში ხალხი იყო თავმოყრილი ამ სამგლოვიარო მიზეზის გამო და იქ მიდის ჯა-

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი**

გაგრძელება მე-15 გვერდზე

# «აირაიმ» მორიგი კვლევობა გამოაცხო!



დასაწყისი მე-12 გვერდზე

100-პროცენტიანი რეიტინგით!

თუმცა, მრავლისმნახველმა ქართველმა ხალხმა პოლიტიკური თაღლითების მოსატყუებელი კბილი დიდი ხანია, გამოიცვალა!

**აბა, რომელი ჭკუათამყოფელი დაიჯერებს, რომ სალომე ზურაბიშვილი, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური კაგებეშნიკ გრიგოლ ვაშაძესთან წააგო, საქართველოში უფრო მეტ ადამიანს მოსწონს და ეიმედება, ვიდრე ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი?** რომ არა ივანიშვილი, ღარიბაშვილი და „ქართული ოცნება“, დღეს **ზურაბიშვილი** არათუ საქართველოს პრეზიდენტი ვერ იქნებოდა, „აირაის“ თუნდაც ცრურეიტინგში რიგითი პოლიტიკოსის რანგშიც ვერ მოხვდებოდა ან, თუ მოხვდებოდა, **ჟიჟე ვაშაძის** ხელისბიჭზე — ვინმე **პაატა მანჯგალაძეზე** დაბლა იქნებოდა!

იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ **„აირაის“ კვლევის მიხედვით,** კლინიკა „ვივამედის“ ლუქს-პალატაში მოკოტრიალე **პატიმარ სააკაშვილსაც** კი ბიძინა ივანიშვილზე მაღალი რეიტინგი აქვს!

**„აირაისა“ და იმ შავბნელ ძალებს, რომელთა დაკვეთითაც „აირაი“ ყალბ რეიტინგებს ადგენს, სურთ, ქართველი ხალხი დააჯერონ, რომ ქვეყნის დამაქცევარი და სისხლის მდინარეების დამყენებელი სააკაშვილი უფრო მეტ ადამიანს მოსწონს, ვიდრე ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც საქართველოში 3 მილიარდი დოლარის ქველმოქმედება გასწია, ყველაზე მთავარი სიქველე კი მაშინ ჩაიდინა, როცა ხელისუფლებიდან მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი ნაცხროვა გაისტუმრა!**

ასეთი მდაბიო წარმოდგენა აქვთ ქართველ ხალხზე **„აირაისა“** და მის პატრონებს!

**აბსურდი მესამე:**

**საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს სააკაშვილის გათავისუფლება სურს!**

**„აირაის“** კვლევის მიხედვით, **გამოკითხულთა 43 პროცენტი მტკიცედ უჭერს მხარს პატიმარ სააკაშვილის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაშვებას, 18 პროცენტი კი ამ აზრს ნაწილობრივ ემხრობა.**

იმავე კვლევის თანახმად, გამოკითხულთა **26 პროცენტი მტკიცე უარზეა, რომ სააკაშვილი სამკურნალოდ საზღვარგარეთ იქნას გადაყვანილი.**

„აირაის“ კვლევის მიხედვით, გამოდის, რომ საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს — **61 პროცენტს** სურს, სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულებისათვის მსჯავრდებულმა და ბრალდებულმა **სააკაშვილმა** მართლმსაჯულებას თავი ე.წ. ჰუმანიტარული გზით, ანუ უცხოეთში მკურნალობის მოტივით დააღწიოს.

არადა, პატარა ბავშვმაც უწყის, რომ **სააკაშვილისათვის სასჯელის მოხდის გადავადება და საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაშვება, რეალურად, პატიმრობიდან მის გათავისუფლებას ნიშნავს.** აშშ-ისა და დასავლეთის პოლიტიკურმა წრეებმა, რომლებიც ახლა ლამის ნაკერავზე იხევიან, რათა **თავიანთი „ძაღლიშვილი“** როგორმე პატიმრობიდან დაიხსნან, სააკაშვილის საქართველოდან გაყვანას თუ მიაღწიეს, მისი უკან დაბრუნება, მითუმეტეს, პატიმრის რანგში, ყოვლად წარმოუდგენელია.

შესაბამისად, **შეუძლებელია, საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა აფერისტი და სიმულანტი ნაცბელადის საზღვარგარეთ გაშვებას ემხრობოდეს!**

პირიქით, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა უკმაყოფილო და აღშფოთებულია იმის გამო, რომ დამნაშავე სააკაშვილს საქართველოს ხელისუფლება ზედმეტად ეფოფინება, სხვა პატიმრებთან შედარებით კოლოსალურ პრივილეგიებს ანიჭებს და უმცირეს სასჯელსაც კი ციხის საკნის მაგივრად საავადმყოფოს ლუქს-პალატაში ახდევინებს!

**საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ კარგად იცის ისიც, რომ სააკაშვილს მოურჩენელი და სასიკვდილო არაფერი ჭირს, უბრალოდ, გამიზნულად არ ჭამს საჭმელს და ჯიუტად არ ემორჩილება მედიკოსთა ინსტრუქციებს, ანუ ჯანმრთელობის თვითდაზიანებით არის დაკავებული, რადგან სწორედ ეს მიაჩნია პატიმრობიდან თავის დაძვრენის ერთადერთ გზად.**

ამდენად, **„აირაის“ სოცკვლევის მონაცემი — სააკაშვილის საზღვარგარეთ გაშვებას საქართველოს მოსახლეობის 61 პროცენტი ემხრობაო,** თვით იმაზე დიდი ტყუილიც კი გახლავთ, ვიდრე ის, რომ **სალომე ზურაბიშვილს ირაკლი ღარიბაშვილზე** მეტი რეიტინგი აქვს, ხოლო **ბიძინა ივანიშვილი** რეიტინგით **სააკაშვილს** ჩამორჩება და **ნათელაშვილს** უთანაბრდება!

საერთოდ, მკითხველთან ბოდიში მოგვითხოვია, რასაც „აირაი“ გვთავაზობს, ეს **სოციოლოგიური კვლევა** კი არა, **სოციოლოგიური კვლევობაა,** რომელსაც არავინ დაიჯერებს, თუ თვითონაც მაგარი გამოკვლევებული ან, კიდევ უარესი, მაგარი ნაცი არ არის!

**ჯაბა ხუბუა**

## „აირაისა“ და იმ შავბნელ ძალებს, რომელთა დაკვეთითაც „აირაი“ ყალბ რეიტინგებს ადგენს, სურთ, ქართველი ხალხი დააჯერონ, რომ ქვეყნის დამაქცევარი და სისხლის მდინარეების დამყენებელი სააკაშვილი უფრო მეტ ადამიანს მოსწონს, ვიდრე ბიძინა ივანიშვილი!



## კვირგვინოსნები

**ირაკლი ჩიქოვანი**
*პარლამენტარი*



წარმოუდგენელია, რეიტინგი გაეზარდოს პარტიას, რომელსაც მართავს **მასხარა ხაბეიშვილი,** აქვს **ოლიგარქი კეზერაშვილის** ჯარისთვის მოპარული ფული და **მერაბიშვილის** ძალადობრივი იდეოლოგია.

„პირველი არხი“

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



კარგად უნდა იცოდეთ, რომ **ვინც ნაციონალურ მოძრაობას ლანძღავს,** ის ნაციონალური მოძრაობის სიით ვერსად იქნება წარმოდგენილი.

„პირველი არხი“

**პეტრე ცისკარიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



ნაციონალური მოძრაობა სწორ გზას ადგას, **სწორი სტრატეგია გვაქვს არჩეული,** ჩვენ მივდივართ იმ გზით, რომ გადავასწროთ „ოცნების“ მონაცემებს და **„რუსული ოცნება“ დავამარცხოთ მომავალ არჩევნებში.**

„ინტერპრესნიუსი“

**მიხეილ ყაველაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



საკმაოდ რთული გზა ავირჩიეთ, როცა „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში და გადაწყვიტა, რომ **ნაცმოძრაობას მოქცეოდა არა ისე, რისი ღირსებიც იყვნენ, არამედ ისე, როგორც ეს ქვეყანას ეკადრებოდა.**

„POSTV“

**ანა ნაცვლიშვილი**
*„ლელოს“ წევრი, პარლამენტარი*



2011-2012 წლებში **„ოცნების“ აქტიური მხარდამჭერი ვიყავი.** მე ხმა მივეცი ამ პარტიას. **დღევანდელი „ქართული ოცნებისთვის“, ამ ხალხისთვის მე ხმა არ მიმიცია.** ეს არ არის ხალხი, რომელმაც იბრძოლა.

„კვირის პალიტრა“



**დედოფლისწყაროელი გიორგი გოჩიტაშვილი და მისი სატვირთო ავტომანქანა, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მშობლების საცხოვრებელი სახლის ღობეს განზრახ დააჯახა!**

*2023 წლის 23 აპრილს ინციდენტი მოხდა კახეთში, კერძოდ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში — ადგილობრივმა მცხოვრებმა, 33 წლის გიორგი გოჩიტაშვილმა საკუთარი სატვირთო ავტომანქანა განზრახ დააჯახა ირაკლი ღარიბაშვილის მშობლების საცხოვრებელი სახლის ღობეს.*

# «ტერორისტამ» პრემიერ ღარიბაშვილის მშობლების წინააღმდეგ სააკაშვილის მეთოდი გამოიყენა!

მოქალაქე გოჩიტაშვილმა, რომელსაც საკუთარ სოფელში **„ტერორისტას“** ეძახიან, დანაშაულის ჩადენისთანავე შემთხვევის ადგილი დატოვა და მიმალვა სცადა, თუმცა, დედოფლისწყაროდან თბილისისკენ მიმავალი, ლილოს ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი: **„გოჩიტაშვილი, რომელიც არღვევდა საგზაო მოძრაობის წესებს და საფრთხეს უქმნიდა საგზაო მოძრაობის მონაწილეებს, სხვადასხვა დროს არ დაემორჩილა სამართალდამცველების კანონიერ მოწოდებას, რომ გაეჩერებინა ავტომობილი. მან ასევე თავისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომობილით დააზიანა სამართალდამცველების ავტომანქანებიც“.**

გოჩიტაშვილს, რომელმაც საქართველოს პრემიერ-მინისტრის მშობლების სახლის ღობეს სატვირთო ავტომანქანა გამიზნულად დააჯახა, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ორი დანაშაულის ჩადენას ედავება — ნივთის დაზიანებას ან განადგურებას და საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობას, მუქარასა და ძალადობას.

**უნდა ვეძებოთ თუ არა პოლიტიკური მოტივი მოქალაქე გოჩიტაშვილის მიერ ირაკლი ღარიბაშვილის მშობლების სახლის ღობისათვის სატვირთო ავტომანქანის განზრახ დაჯახებაში?**

თუ ზოგიერთი მედიასაშუალების მიერ გავრცელებულ დაუდასტურებელ ინფორმაციას ვერწმუნებით, პოლიტიკა არაფერ შუაშია და მოქალაქე გოჩიტაშვილმა დანაშაული ყოფით ნიადაგზე წარმოშობილი უკმაყოფილების გამო ჩაიდინა — **თითქოს მან პრემიერ-მინისტრის მამას სამშენებლო მასალებით დახმარება სთხოვა, უარის მიღების გამო კი გაბრაზდა და ჩაიდინა ის, რაც ჩაიდინა.**

თუმცა, ამ ვერსიას სრულიად გამორიცხავს თავად გოჩიტაშვილის მიერ სასამართლო პროცესზე გაკეთებული განცხადება, რომელიც საკმაოდ არაორაზროვან პოლიტიკურ ქვეტექსტს შეიცავს. კერძოდ, **სხდომაზე, სადაც ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხი განიხილებოდა, მან განაცხადა: „ვთვლი, რომ რაც გავაკეთე, სწორად გავაკეთე. მე ჩემი საქმე გავაკეთე და გამოვაფხიზლე ეს ხალხი“.**

გოჩიტაშვილს არ დაუკონკრეტებია, ვის გულისხმობდა ხალხში, რომელიც **„გამოაფხიზლა“,** მაგრამ რა მიხვედრა უნდა, რომ მხედველობაში პრემიერი ღარიბაშვილი და მისი მშობლები ჰყავდა. ამ მოსაზრებას ამყარებს ბრალდებულის მიერ მოსამართლისათვის ნასროლი რეპლიკაც: **„თქვენ უნდა ემსახურებოდეთ ხალხს და არა კლანს და ღარიბაშვილებს“.**

ე.ი. მოქალაქე გოჩიტაშვილს მიაჩნია, რომ ღარიბაშ-

გაგრძელება მე-16 გვერდზე

## კვირგვინოსნები



**რომან გოცირიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*

„ქართული ოცნების“ ოცნებაა **ან კორონა დაგვემართოს, ან პარლამენტის კიბეზე დავგორდეთ** და თავი გავიტეხოთ.

„ინტერპრესნიუსი“



**ნიკა მელია**
*ნაციონალური მოძრაობის ყოფილი თავმჯდომარე*

პარტიის ახალი მენეჯმენტი და მისი **ჩრდილოვანი მმართველობა იწყებს რეპრესიას,** დევნის შიდა არჩევნების დროს გამოხატულ განსხვავებულ აზრს.

„იმედინიუსი“



**სალომე სამადაშვილი**
*„ლელოს“ პარლამენტარი*

მოვუწოდებ ხელისუფლებას, **შეწყვიტეთ საქართველოს ევროპული მომავლის საბოტაჟი!**

„აიპრესი“



# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის №14 ოქმი

*1989 წლის 14 აპრილი*

დასაწყისი მე-3 გვერდზე

რისკაცი. მინდა ვთქვა: ახლა, როდესაც ჩვენ ფეთქებად სიტუაციაზე ვსაუბრობთ, დიდი ცინიზმია, უსინდისობაა გაჩნდე იქ, სადაც ასეთი ტრაგედია მოხდა. ვინ იცის, იქნებ ეს იმ ჯარისკაცთაგანია, რომელიც ბრძანებას ასრულებდა? ყოველ შემთხვევაში, დედებისა და მამებისთვის ეს სულერთია. ამიტომ გთხოვთ, ამ დღეებში გამოიჩინოთ სიფრთხილე, მოაშოროთ ამ ადგილებიდან ჯარისკაცები. ისინი არ უნდა იყვნენ იქ, სადაც დაასაფლავებენ დაღუპულებს. ეს პირველი.

ახლა მინდა ვთქვა იმის შესახებ, თუ რა საოცარია ჩვენი ხალხი. პირდაპირ საკვირველია. შევედით ერთ სახლში. ვაჟიშვილის კუბოსთან იდგა მამა. მას უფლება ჰქონდა, შეეჩვენებინა ყველა, დაწყებული ღმერთიდან, ცკ, არმია და რა ვიცი, კიდევ ვინ. ვიდრე მას ვუახლოვდებოდი, ვხედავდი მის საშინელ დაძაბულობას. რაღაცაზე ფიქრობდა მტკივნეულად. როდესაც მივუახლოვდით, ხელი ჩამოვართვით, დავდექით მის გვერდით, რაღაც დროის შემდეგ შემობრუნდა ჩვენკენ და თქვა: „იმაზე ვფიქრობ, რომ კიდევ ერთხელ დააშორეს ერთმანეთს რუსეთი და საქართველო“ და დაუმატა: „ბრმები“. ამით ყველაფერი ითქვა, ვინაიდან რაოდენ ბრმები აღმოვჩნდით ყველა, სადამდე მივედით.

მინდა მოვიყვანო მაგალითი: როდესაც ორი ჩხუბობს, მესამე შუაში დგება, აშველებს მათ. მე ვიღებ პრიმიტიულ, ყოფით მიზანსცენას. აი, როდესაც საბჭოთა არმია აზერბაიჯანსა და სომხეთში შევიდა და მათ შორის ჩადგა, მისი პოზიცია სულ სხვაგვარი იყო.

დღეს კი თქვენ, მივმართავ კომენდანტს, სულ სხვა პოზიციაზე ხართ. ეს როგორ გავიგოთ? თქვენ, ვინც წესრიგს უნდა ამყარებდეს — კლავდით. ხოლო ვინც კლავს, წესრიგის დამყარება მისი საქმე არ არის. ამიტომ მთლიანად ვუჭერ მხარს აქ გამოთქმულ წინადადებას, რომელსაც ცენტრალური კომიტეტი დიდი ყურადღებით არ მოეკიდა. მე ვთვლი: საზოგადოებას ნდობა უნდა ჰქონდეს. ჩვენ კი, ჩვენი მხრიდან უნდა ვიტვირთოთ დიდი პასუხისმგებლობა წესრიგზე, ვითარების განმუხტვაზე. მაგალითად, კინემატოგრაფისტებზე შეიძლება მიმაგრდეს გარკვეული ადგილები, რომლებზეც ჩვენ ვიქნებით პასუხისმგებელნი. ამგვარად შესაძლებელია მივამაგროთ ქალაქის ყველა მონაკვეთი.

ედუარდ ამბროსის ძევ, ამის შესახებ ვთქვი და კვლავ გავიმეორებ, რადგან ეს, სამწუხაროდ, ასევე ეხება ცენტრალურ კომიტეტსაც და ბიუროსაც, რომელიც თავადვე ავირჩიეთ, ჩვენ ვერ დავადექით გარდაქმნის გზას, ახლებურად გააზრების გზას. ჩვენ ძველებურად ვმუშაობთ. ჩვენ არ გავედით ქუჩაში, არ ვესაუბრეთ ხალხს, არ გვქონდა დიალოგი, არ ვიარეთ დემოკრატიის გზით და ხელში ჩავუგდეთ ახალგაზრდობა სხვებს. ხოლო როდესაც ეს მოხდა, ახლა ქვებს ესვრიან ინტელიგენციას. ეს ძველი მეთოდია.

(ხანგრძლივი ხმაური დარბაზში).

მომეცით თქმის საშუალება, არ მაძლევთ საშუალებას დავამთავრო სათქმელი.

როდესაც სიტუაცია უკვე ძალიან დაიძაბა, სწორედ რეზო ჩხეიძე, გიგა ლორთქიფანიძე და ჩვენ, ყველანი ვიდექით იქ, ვეძებდით რაღაც გზებს, მაგრამ უკვე ისეთი ვითარება იყო, ჩვენც აღარ შეგვეძლო გავმკლავებოდით მას. [...]

**ლ. ბ. მარშანია — საქართველოს კპ ცკ-თან არსებული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის ხელმძღვანელი:**

დღეს თითოეულ ჩვენგანს უჭირს. ვიზიარებ მწუხარებას და დანაშაულს ყველასთან ერთად.

არ ვაპირებდი გამოსვლას და ამიტომ არ მოვმზადებულვარ. მაგრამ, ვაფასებ რა პლენუმის ვითარებას, თავს ვალდებულად ვთვლი, გამოვთქვა აზრი რამდენიმე პრინციპული საკითხის შესახებ, რომლებიც მნიშვნელოვანია ამ ექსტრემალურ სიტუაციაში.

უბედურება რომ არ გამეორდეს, აუცილებელია:

მკაცრად განისაზღვროს არა მხოლოდ რესპუბლიკის ხელმძღვანელების დანაშაულის ხარისხი (ეს იქნებოდა არაობიექტური და არასამართლიანიც), არამედ სამეცნიერო და შემოქმედებითი ორგანიზაციების, არაფორმალების, სამხედროების და რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ექსტრემისტების.

პრინციპული შეფასება უნდა მიეცეთ ორპირებსა და დემაგოგებს, რომლებიც ცკ-ს მდივნის კაბინეტში ამბობენ ერთს, პლენუმზე — მეორეს, ახალგაზრდებთან კი სრულიად საწინააღმდეგოს, ამძაფრებენ მდგომარეობას თავიანთ უპასუხისმგებლო დემაგოგიური განცხადებებითა და ქმედებებით. ამ მრავალსახეობამ აჩვენა, ვინ ვინაა სინამდვილეში.

საკითხები უაღრესად პრინციპულია, ისინი აფხაზეთს და აფხაზებს ეხება.

ამ დრომდე ავრცელებენ ხმებს, რომ ა.წ. 9 აპრილს განვითარებული ტრაგედიის პირველმიზეზი არის შეკრება ლიხნში და გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“ გამოქვეყნებული მიმართვა.

მინდა კატეგორიულად განვაცხადო, რომ მოვლენები აფხაზეთში იყო საბაბი და არა პირველმიზეზი. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ორი დღის შემდეგ ექსტრემისტებმა მიაგდეს აფხაზური და ინტენსიურად წამოაყენეს ანტისაბჭოთა ლოზუნგები.

უფრო მეტიც, ჯერ კიდევ 1988 წლის ნოემბერში მათ წამოაყენეს ლოზუნგი: „საქართველოს ავტონომიური წარმონაქმნების ლიკვიდაციის შესახებ“. ასეთია ჭეშმარიტება.

რაც შეეხება თვით აქტს, რომელიც მოხდა ლიხნში, გამართლება არ აქვს, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობიდან გამოყოფის შესახებ საკითხის დასმა სრულიად არაბუნებრივი და არარეალურია. აღლეიბა რამდენიმე წლის წინ უნდა გაეთავისუფლებინათ მუშაობის ჩაშლისთვის და დღეს ამ ფაქტებს სულ სხვა ელფერი ექნებოდა.

ახლა რაც შეეხება აკადემიკოს ა. ბარამიძის გამოსვლას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში:

არ შეშვენის უხუცეს აკადემიკოსს ასე მოექცეს ხალხს. მისი სიტყვები, რომ „აფხაზებს ბევრი დაუთმეს“, „მგლის თავზე სახარება წაიკითხო“, შეიძლება ეთიკურად ჩაითვალოს?! რბილად რომ ვთქვათ, ამ გამოხდომას ვერაფერს დაარქმევ, ხალხის შეურაცხყოფის გარდა. გვჭირდება ჩვენ ეს დღეს?



არ შეიძლება ავურიოთ ორი, სრულიად განსხვავებული ცნება — ხალხი და ადამიანთა ჯგუფი. ეს უკანასკნელნი ყოველთვის არ გამოხატავენ მთელი ხალხის ნებას. ამიტომ ძალზე უხეში შეცდომაა ხალხთა დაპირისპირება.

რაც შეეხება აფხაზ და ქართველ ხალხებს, მათი ურთიერთობა განპირობებულია ისტორიული ბედით. ეს ხალხები ძალზე ახლოს არიან ერთმანეთთან ტრადიციებით, ყოფით, კულტურით, ეკონომიკური მდგომარეობით. მათი ისტორიული ერთობა თავს იჩენს მთელ რიგ მატერიალურ და სულიერ კულტურაში. [...]

**რ. ჰ. კონცელიძე — ცეკავშირის გამგეობის წევრი:**

[...] რა არის ძირითადი მიზეზი? სადაა ჩვენი ძირითადი შეცდომების ფესვი? ვინ არის დამნაშავე მომხდარში? რა იყო ეს — ახალგაზრდების უნდობლობა ჩვენს ქვეყანაში გარდაქმნის პროცესებისა და მიმდინარეობის მიმართ? ემოციურად გაღვივებული მასობრივი ექსტრემიზმი? იმ ანტისოციალისტური ძალების სახის კონცენტრირებული გამოხატულება, რომელთა არსებობის აღიარებაც ჩვენ, სტერეოტიპის მიხედვით, არ გვინდოდა ან ჩვენთვის შეუძლებლად ვთვლიდით?

ან იქნებ ჩვენი იდეოლოგიის დაუცველობაა თავდასხმებისგან?

როგორც ჩანს, ამ ყველაფერმა, ერთად აღებულმა, განაპირობა ტრაგედია.

[...] მოხდა საშინელება. ახლა ყველა ბრალს ვდებთ ერთ კაცს. ეს არ არის სწორი. ყველამ ჩვენს გულში ჩავიხედოთ. მე უკვე ვთქვი აქტივის შეკრებაზე 8 აპრილს იმის შესახებ, რომ არ ვაკეთებდით საჭირო დასკვნებს რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე. ვთვლი, რომ პირადად მეც არ უნდა ვიყო ამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, არ ვარ ღირსი, ვიყო იმ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი, სადაც ასეთი ტრაგედია მოხდა და არა მხოლოდ ჯუმბერ პატიაშვილი.

1988 წლის ნოემბრის დრამატულმა მოვლენებმაც კი ვერაფერი გვასწავლა.

ამრიგად, როგორც ახლა გაირკვა, წინ ვწევთ ექსტრემისტების მოთხოვნების მხოლოდ ერთ ნაწილს. ამ ხალხის პროგრამაში აქცენტირებული იყო ჩვენი ეროვნული თვითშეგნების მტკივნეული საკითხები და ჩვენ, ვაქებდით რა მათ (იდეებსაც და ხალხსაც), არ გვინდოდა დაგვენახა მათი უკიდურესი ანტისოციალიზმი.

[...] მე დამავალეს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის კოლექტივთან შეხვედრა. ვემზადებოდი და მინდოდა გამომეცნო, რა კითხვები იყო მოსალოდნელი იმ ტრაგედიის სამართლებრივი თვალთახედვით, რომელიც მოხდა ჩვენ-

გაგრძელება 25-ე გვერდზე

# «ტერორისტამ» პრემიერ ღარიბაშვილის მშობლების წინააღმდეგ სააკაშვილის მეთოდი გამოიყენა!

## ღარიბაშვილის მშობლების სახლის გალავნისათვის სატვირთო ავტომანქანის განზრახ დაჯახება ბევრს გაახსენებს ნაცრეჟიმის მიერ 19 წლის წინათ ჩადენილ დანაშაულს!



**2004 წლის 12 მარტს სააკაშვილის რეჟიმმა გლდანში ეკლესიის კარი სამხიდიანი „ურალით“ შელეწა!**

*დასაწყისი მე-15 გვერდზე*

ვილებს **„გამოფხიზლება“** სჭირდებათ და ამის გამო დააჯახა სატვირთო ავტომანქანა პრემიერ-მინისტრის მშობლების სახლის ღობეს!

ამასთანავე, **ბრალდებულმა გოჩიტაშვილმა,** რომელიც მოსამართლის მიერ მისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებით უკმაყოფილი დარჩა, სასამართლო პროცესზე ნაცმოძრაობისა და ლიბერალური არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ტირაჟირებული ტერმინი — **„კლანი“** გამოიყენა, რითიც გაიმეორა ნაცლიბერალური პროპაგანდის გზავნილი სასამართლო სისტემაში **„კლანის“** არსებობის შესახებ და მოსამართლე დაამუნათა — **კლანს კი არა, ხალხს ემსახურეო!**

სრულიად აშკარაა, რომ **ბრალდებული გოჩიტაშვილის** ეს განცხადებები პოლიტიკურ კონტექსტს შეიცავს!

შესაბამისად, **უნდა ვივარაუდოთ, რომ გოჩიტაშვილის დანაშაულებრივი ქმედება — პრემიერის მშობლების სახლისათვის სატვირთო ატომანქანის დაჯახება — საყოფაცხოვრებო ნიადაგზე წარმოქმნილი უკმაყოფილებით კი არა, მისი პოლიტიკური შეხედულებებით იყო ნაკარნახევი!**

აქვე, შეუძლებელია, არ ვახსენოთ, რომ პოლიტიკურად მიუღებელი პერსონების წინააღმდეგ ისეთი ბინძური და ყოვლად უზნეო მეთოდის გამოყენება, როგორიც ოჯახზე შეხება და ოჯახის წევრთა აწიოკებაა, **ნაცების ცნობილი ხელწერა** გახლავთ!

გავიხსენოთ თუნდაც 12 წლის წინანდელი ამბავი, რომელიც ისევ და ისევ **ირაკლი ღარიბაშვილსა და მის ოჯახს** უკავშირდება: როგორც კი ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის შესახებ განაცხადა, მერაბიშვილის პოლიციამ ავტომობილის საბარგულში ჟანგიანი ავტომატი „აღმოუჩინა“ და ციხეში ჩასვა **ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრი, გენერალი თამაზ თამაზაშვილი, რომელსაც გათავისუფლების სანაცვლოდ ერთადერთ პირობას უყენებდნენ — შენმა სიძემ ივანიშვილის გვერდით დგომას თავი დაანებოს და პოლიტიკას შეეშვასო!**

გავიხსენოთ ისიც, საქართველოში შემოპარვამდე და დაპატიმრებამდე ცოტა ხნით ადრე როგორ მოუწოდებდა სააკაშვილი საკუთარ მომხრეებს — **ქართველ პოლიციელებს საცხოვრებელ სახლებთან მიუცვივდით და ოჯახები შეუწუხეთ, მათ ცოლ-შვილსა და მშობლებს დისკომფორტი შეუქმენითო!**

აღარაფერს ვამბობთ სააკაშვილის რეჟიმის მიერ მესტიის რაიონის სოფელ ეცერში ჩატარებულ სისხლიან სპეცოპერაციაზე, რომელსაც იმჟამინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი **გიორგი ბარამიძე** ხელმძღვანელობდა და რომლის დროსაც, ძებნილი **ომეხ აფრასიძის** დაკავების მიზნით, ვერტმფრენებიდან დაბომბეს აფრასიძეების საცხოვრებელი სახლი, სადაც სრულიად უდანაშაულო ქალბატონები და მცირეწლოვანი ბავშვები იმყოფებოდნენ!

და ყველაზე ნიშანდობლივი რამ:

**პოლიტიკურად მიუღებელი პერსონების წინააღმდეგ ბრძოლაში სატვირთო ავტომობილის გამოყენება ნაცების საფირმო მეთოდია, რომელიც მათ ხელისუფლებაში მოსვლიდან სულ რამდენიმე კვირაში გამოიყენეს, როცა მამა ბასილ მკალავიშვილის წინააღმდეგ სპეცოპერაცია ჩაატარეს და გლდანში მდებარე ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის კარი სატვირთო ავტომანქანით შეანგრიეს!**






**დედოფლისწყაროელი გიორგი გოჩიტაშვილი და მისი სატვირთო ავტომანქანა, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მშობლების საცხოვრებელი სახლის ღობეს განზრახ დააჯახა!**

ცხადია, **პრემიერ ღარიბაშვილის მშობლების** სახლსა და ტაძარს ერთმანეთს არ ვადარებთ, მაგრამ გასულ კვირას დედოფლისწყაროში მომხდარი დანაშაული — **ღარიბაშვილის მშობლების საცხოვრებელი სახლის გალავნისათვის სატვირთო ავტომანქანის განზრახ დაჯახება — ბევრს სწორედ ნაცრეჟიმის მიერ 19 წლის წინათ ჩადენილ დანაშაულს — გლდანის ეკლესიის კარის სატვირთო ავტომანქანით შენგრევას გაახსენებს!**

არ ვიცით და, კაცმა რომ თქვას, არცა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, არის თუ არა ნაცი **გიორგი გოჩიტაშვილი,** რომელმაც სააკაშვილის რეჟიმის მეთოდი გამოიყენა და მისთვის პოლიტიკურად მიუღებელი პერსონის — **პრემიერ ღარიბაშვილის მშობლების სახლს** სატვირთო ავტომანქანა განზრახ დააჯახა!

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არც ის არის დიდად მნიშვნელოვანი, რომ სახლში, რომლის ღობესაც სატვირთო ავტომანქანა დააჯახეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მშობლები ცხოვრობენ!

**აქ ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე ანტიზნეობრივი ის გახლავთ, რომ მავანი და მავანი, თავისი პოლიტიკური შეხედულებების გამო, დანაშაულს სჩადის არა მისთვის მიუღებელი პოლიტიკოსის წინააღმდეგ, არამედ მისი ოჯახის მიმართ! ჰო, თავად იმ პოლიტიკოსს კი არ უშავებს რამეს, რომელიც გულზე არ ეხატება და რომელზეც განაწყენებულია, არამედ მის ოჯახსა და მშობლებს აყენებს ზიანს!**

არავის აქვს უფლება და არავის ეპატიება, პოლიტიკური ბრძოლის გამო ცუდად შეეხოს და რამე დაუშავოს არათუ **ირაკლი ღარიბაშვილის ოჯახს,** არამედ ისეთი ზნედაცემული გარეწრებისა და სისხლიანი დამნაშავეების ოჯახებსაც კი, როგორებიც სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი და ახალაიები არიან!

**ოჯახის წევრები, მითუმეტეს, მხცოვანი მშობლები, თუ პოლიტიკურ პროცესებში თავადაც არ მონაწილეობენ და საჯარო ფიგურები არ არიან, არავითარ შემთხვევაში არ აგებენ პასუხს მათი შვილების პოლიტიკური საქმიანობის გამო!**

დედოფლისწყაროელ **გიორგი გოჩიტაშვილს,** რომელმაც სააკაშვილის რეჟიმის მეთოდი გამოიყენა და პრემიერ ღარიბაშვილის მშობლების სახლის ღობეს სატვირთო ავტომანქანა განზრახ დააჯახა, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ჯარიმა, შინაპატიმრობა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ან ორიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

ცხადია, ახალგაზრდა კაცი საციხოდ არ გვემეტება და დარწმუნებული ვართ, მისი დაპატიმრებით არც **პრემიერ ღარიბაშვილის მამა, ბატონი ტარიელ ღარიბაშვილი იქნება დაინტერესებული. მთავარია, გოჩიტაშვილმა საქმე თავად არ გაირთულოს, პოლიტიკური შინაარსის განცხადებები მომდევნო სასამართლო სხდომებზეც არ გაიმეოროს და არ დაიჟინოს — ჩემი საქციელით ღარიბაშვილების „გამოფხიზლება“ მინდოდაო!**

ასეთ შემთხვევაში მას ბრალი კიდევ უფრო დაუმძიმდება, რადგან **პოლიტიკური მოტივით ჩადენილ დანაშაულს სისხლის სამართლის კოდექსი უფრო მკაცრ კვალიფიკაციას აძლევს!**

უმჯობესი იქნება, **ბრალდებული გოჩიტაშვილი** ღარიბაშვილების „გამოფხიზლებაზე“ ფიქრს შეეშვას, თავად გამოფხიზლდეს, დანაშაული მოინანიოს და მიუხედავად იმისა, რომ სოფელში **„ტერორისტას“** ეძახიან, სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის მეთოდი — სატვირთო ავტომანქანის განზრახ დაჯახება — არასოდეს არავის წინააღმდეგ არ გამოიყენოს!

**არავის აქვს უფლება და არავის ეპატიება, პოლიტიკური ბოლმის გამო ცუდად შეეხოს და რამე დაუშავოს არათუ ირაკლი ღარიბაშვილის ოჯახს, არამედ ისეთი ზნედაცემული გარეწრებისა და სისხლიანი დამნაშავეების ოჯახებსაც კი, როგორებიც სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი და ახალაიები არიან!**

*გიორგი ძაძამია*

# ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ

№22-23 (190-191) ★ 2023 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲛᲐᲘᲡᲘ ★ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 2003 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 97 სამშაბათი 1 მაისი, 1923 წ.

ქართულ-დღიური გაზეთი

ფასი 20,000 მან.

გაუმარჯოს პირველ მაისს

1923



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა! დადექით ლენინური კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ

კომუნისტი

1933



კომუნისტი

ბრძანება

1943



კომუნისტი

გაუმარჯოს 1 მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს! ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს!

ბრძანება

1953



მოგილოცავთ პირველ მაისს!

კომუნისტი

1963



მოგილოცავთ დღესასწაულს!

კომუნისტი

გაუმარჯოს პირველ მაისს!

1973



საქართველოს რესპუბლიკა

1:0 — გამარჯვება ჩვენია!

2003

**1923 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲛᲐᲘᲡᲘ:**

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲚᲔᲜᲘᲜᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘᲐ!

**1933 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲛᲐᲘᲡᲘ:**

ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲡᲣᲚᲘᲐ!

**1943 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲛᲐᲘᲡᲘ:**

ᲡᲢᲐᲚᲘᲜ-ᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲣᲚᲘᲐ!

**1953 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲛᲐᲘᲡᲘ:**

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ 1 ᲛᲐᲘᲡᲘ ᲣᲡᲢᲐᲚᲘᲜᲝᲓ!

**1963 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲛᲐᲘᲡᲘ:**

შევარდნაძე ჯერ მხოლოდ პირველი მაისის რაიკომის პირველი მდივანია!

**1973 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲛᲐᲘᲡᲘ:**

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ 1 ᲛᲐᲘᲡᲘ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲛᲓᲘᲕᲐᲜ ᲨᲔᲕᲐᲠᲓ-ᲜᲐᲫᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

**2003 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲛᲐᲘᲡᲘ:**

ᲑᲝᲚᲝ 1 ᲛᲐᲘᲡᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲨᲔᲕᲐᲠᲓ-ᲜᲐᲫᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

**2023 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲛᲐᲘᲡᲘ:**

ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲯᲔᲠ ᲘᲡᲔᲕ ᲙᲕᲓᲔᲑᲐ!

# ევროპარლამენტარი ვიოლა გერინგი უსირცხვილო ქალია!

***გერმანელი ევროპარლამენტარი ვიოლა ფონ კრამონი, რომელიც კაცების გამაუპატიურებელი სააკაშვილისა და ქართველი ნაცფაშისტების პირწავარდნილი ლობისტია, წინა კვირას, კერძოდ, 2023 წლის 26 აპრილს, „მთავარი არხის“ მთავარ საინფორმაციო პროგრამაში გამოვიდა და საქართველოს ხელისუფლების „მიჰიტლერკაპუტება“ სცადა — აქაოდა, საქართველოს ხელისუფლებამ ტროლები და ბოტები მომიქსია და ფაშისტი ჰერმან გერინგის ნათესავად გამომაცხადა, რაც სიცრუეა, ჩემი ქალიშვილობის გვარი სულ სხვანაირად გამოითქმის (Gehring) და ფაშისტური ლუფტვაფეს რაიხსმარშლის ჰერმან გერინგის (Göring) გვართან საერთო არაფერი მაქვს, ფაშისტების შთამომავალი არა ვარო!***



Viola von Cramon-Taubadel, often officially referred as simply *Viola von Cramon* (née **Gehring**, born Halle (Westphalia), 23 March

★ სახიფათო ვაჟბატონები



**Hermann Wilhelm Göring** (or **Goering**;[a] German: [ˈhɛʁman ˈvɪlhɛlm ˈɡøːʁɪŋ] (listen); 12 January 1893 – 15 October 1946)

**ფრაუ ვიოლა გერინგი** ჰერმან გერინგის ნათესავია თუ არა, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ის სააკაშვილისა და მისი ფაშისტური ბანდის მისვრილ-მოსვრილი უკანალის გაწმენდა-გაპრიალებით დიდი ხანია, გახლავთ დაკავებული და ქართველი ფაშისტებისა და მწამებლების სამსახურში ათენ-აღამებს.

ეტყობა, **ვიოლა გერინგი** ვერ ხვდება, თუ რატომ დაუკავშირეს საქართველოში მისი ნამდვილი გვარი მესამე რაიხის მრისხანე რაიხსმარშალსა და ფაშისტური ლუფტვაფეს მმართველ **ჰერმან გერინგს,** რომელიც ერთხანს ჰიტლერმა თავის პოლიტიკურ მემკვიდრედაც კი გამოაცხადა, მაგრამ **1943 წლიდან, როცა გერინგმა სტალინგრადთან ალყაში მოქცეული მეექვსე არმიისა და ფელდმარშალ პაულიუსის გადარჩენა ველარ შეძლო, ფიურერმა მოიძულა და ბოლოს დაპატიმრებაც კი დაუპირა.** ჰერმან გერინგმა, რომელსაც ნიურნბერგის სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა, სასჯელის აღსრულებამდე ერთი დღით ადრე კალიუმციანიდის ამპულა გადაყლაპა და ჩვენი ჭირიც წაიღო!

არ ვიცი, 1970 წლის 23 მარტს ვესტფალიაში, ქალაქ ჰალეში, დაბადებული **ფრაუ ვიოლა გერინგის** მშობლებმა და პაპა-ბებიებმა განიცადეს თუ არა **რაიხსმარშალ ჰერმან გერინგის** აძაღლება, მაგრამ **საქართველოში, სადაც, მაგალითად, ბოჭორიშვილების ოჯახიდან ჰიტლერის წინააღმდეგ თორმეტი ვაჟკაცი იბრძოდა, გერინგისა და მისი „პარტაიგენოსეების“ გაყუყვას თოფის სროლით, აუღებელი სუფრებით, სახალხო ზეიმებითა და ტაშ-ფანდურით შეხვდნენ,** რადგან იმ დიად გამარჯვებაში, რასაც **ჰიტლერის, გერინგის, გებელსის, ჰიმლერის, კანარისის, მიულერის, კაიტელის, მენგელეს, ბორმანის, ეიხმანის, როზენბერგისა და მისთანა მანიაკების** განადგურება და ფაშიზმის დასამარება ჰქვია, ქართულმა გენმა და ქართველმა კაცმა, ალბათ, ყველაზე მეტად ივაჟკაცა და ყველაზე მეტი მსხვერპლიც გაიღო!

**ნათესაობისა და გვარის ერთობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ევროპარლამენტარი ფრაუ ვიოლა გერინგი, რომ რაიხსმარშალ ჰერმან გერინგს ბევრი რაღაცით ჩამოჰგავს, ფაქტია.** აი, მაგალითად, **1935 წელს, როცა ჰერმანი ფაშისტური ლუფტვაფეს, ანუ სამხედრო საჰაერო ძალების მთავარსარდალი გახდა და ებრაელების დევნა-შევიწროებამ პარანოიკული სახე შეიძინა, გერინგთან მივიდა ლუფტვაფეს შტაბის უფროსი, უნიჭიერესი გენერალი მილჩი, რომელმაც ეპოლეტები მოიხსნა, სამხედრო ჟეტონი და ტაბელური იარაღი მაგიდაზე დააწყო და გერინგს ხმის კანკალით განუცხადა — მე ებრაელი ვარო!** გერინგმა **გენერალ მილჩს** ეპოლეტები თავისი ხელით მიაბნია, ტაბელური იარაღიც დაუბრუნა და უთხრა — **ებრაელი ვინ არის და ვინ არა, მაგას მე ვწყვეტ, განაგრძეთ თქვენი მოვალეობის შესრულება!**

ევროპარლამენტარი **ვიოლა ფონ კრამონი თუ ვიოლა გერინგი** სწორედ რაიხსმარშალ **ჰერმან გერინგივით** ირჯება და ორმაგი სტანდარტით მოქმედებს. კერძოდ, **თუ კაციჭამია რაიხსმარშალ გერინგისთვის ყველა ებრაელი ებრაელი არ იყო, ზუსტად ისე ევროპარლამენტარ გერინგისთვის ყველა დამნაშავე დამნაშავე არ არის!** ფრაუ ვიოლასთვის სააკაშვილი „წამებული“ და „პოლიტპატიმარია“ ისევე, როგორც **ნიკუშა გვარამია,** ოღონდ მთელ ამ ისტორიაში ერთადერთი და მთავარია გასარკვევი — **ფრაუ ვიოლა ფონ კრამონს ეს ყველაფერი გულით სჯერა თუ ფულით?**

ამას იმიტომ ვკითხულობთ, რომ **ყატარგეითსის სკანდალური საქმის** გახეთქვის შემდეგ ევროპულ პრესაში დაიწერა და გარკვევით ითქვა, რომ 700-კაციან ევროპარლამენტში დაახლოებით 100 კაცი, ანუ ყოველი მეშვიდე დეპუტატი შესაძლოა, კორუფციაში იყოს ჩაფლული!

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვინმემ გამოიკვლია, **რა რჯით ასეთი ვიოლა გერინგს, ანა ფოტიგას, რასა იუკნევიჩიანეს, კუბილიუსსა და მისთანებს, რომ სააკაშვილის „ვირის აბანოდან“ გამოსახსნელად ტანზე ყველაფერს იგლეჯენ და საქართველოსა და მისი ხელისუფლების შესახებ ათასგვარ სიბინძურეს ავრცელებენ?** იქნებ, მათ შორის ვიღაც ის ჰიპოთეტური **„მეშვიდეა“,** რომელიც შესაძლოა, კორუფციაშია ჩაფლული და **სააკაშვილისა და თემურ ალასანიასგან** ფულის, ოქროულობის ან სხვა ძვირფასი საჩუქრების სახით ძღვენი აქვს აღებული და შეჭმული?

მოკლედ,

## ქართველებს დიდი გამოძიება გვაქვს ჩასატარებელი იმაზე, როგორც ცხონებული თამაზ წივწივაძე იტყოდა, რამდენი „ძღვენიჭამია“ გვახვევია გარს...

მთელ ამ ისტორიაში ყველაზე სასაცილო ის გახლავთ, რომ „მთავარი არხელების“ მიერ მომზადებული სიუჟეტის თანახმად, **ფრაუ ვიოლას** კიდევ ერთ ეპიზოდში მოუწია თავის მართლება. ამჯერად თემა შედარებით უწყინარი გახლდათ, რადგან საქმე ეხებოდა **ლოთობას,** რასაც ისევ და ისევ საქართველოს ხელისუფლების მიერ მართული ბოტები და ტროლები, თურმე, ევროპარლამენტარს აბრალებენ. კერძოდ, **გვიჩვენეს ვიღაც შეზარხოშებული ქალის ფოტოსურათი, რომელსაც ხელში ღვინით თუ შამპანურით სავსე ჭიქა ეჭირა. როგორც გვითხრეს, ფოტო ქართულ ქორწილში იყო გადაღებული. ფრაუ ვიოლამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა — ქართულ ქორწილში ნამყოფი არ ვარ და, შესაბამისად, არც ეს ლოთი ქალი ვარო!**

ეს ის შემთხვევაა, როცა ევროპარლამენტარს უყოყმანოდ უნდა დავეთანხმოთ! **ევროდეპუტატი ვიოლა,** სავარაუდოდ, ლოთი არ უნდა იყოს, რადგან **ფოტოზე გამოსახული მთვრალი ქალი ბევრად უფრო სიმპათიურად გამოიყურება, ვიდრე ფხიზელი კრამონი.** აი, ქალბატონი ვიოლა რომ ნაცებთან დათვრეს და ვინმემ ფოტო გადაუღოს, ამ ყველაფრისგან რა გამოვა, ვერაფერს გეტყვით.

მთელი ამ საგიჟეთის გვირგვინი კი ის გახლდათ, რომ, რო-

## ფაშისტური ლუფტვაფეს რაიხსმარშალი და ადოლფ ჰიტლერის მარჯვენა ხელი ჰერმან გერინგი სიმპათიური კაცი იყო, რაც იმის უტყუარი საბუთია, რომ ვიოლა ფონ კრამონი თუ ვიოლა გერინგი მისი ნათესავი და მოგვარე ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება!



ევროპარლამენტარი ვიოლა ფონ კრამონი თბილისში, მთავრობის ადმინისტრაციის შენობის წინ ესწრება „მოლოტოვის კოქტეილების“ მსროლელი ლაზარე გრიგორიადისის მხარდამჭერ აქციას. 2023 წლის 1 აპრილი

# ფონ კრამონს ეს ყველაფერი

# ვიოლა ფონ კრამონი შესაძლოა, ცნობილი სომეხი ჯალათის ნიკიტა კრიმიანის შთამომავალი იყოს!

გორც სააკაშვილის „მთავარელებმა“ თუ მთვარეულებმა გვაუწყეს, **ფრაუ ვიოლასადმი** წაყენებული ეს ცრუბრალდებები, თურმე, გამოუაშკარავებია და სამზეოზე გამოუტანია **„მითების დეტექტორისა“ და „ფაქტ-ჩეკერების“ შეფინიასა და ცნობილ ყიზილბაშს, უნიჭო და უწიგნურ თამარ კინწუროვას,** რომელიც სააკაშვილის დროს, როცა საქართველოს ტელევიზიის „პირველი არხის“ გენერალურ დირექტორად დადეს, მილიონობით დოლარის ღირებულების სახელმწიფო ქონების მიტაცება-ჩახეთქვასა და სწორი ნაწლავის მიმართულებით გადამისამართებაშია მხილებული! ისე, სიმართლე უნდა ითქვას — **ფაშისტური ლუფტვაფეს რაიხსმარშალი და ადოლფ ჰიტლერის მარჯვენა ხელი ჰერმან გერინგი** სიმპათიური კაცი იყო, რაც იმის უტყუარი საბუთია, რომ **ვიოლა ფონ კრამონი** თუ **ვიოლა გერინგი** მისი ნათესავი და მოგვარე ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება! საფიქრებელია, რომ ვიოლა ფონ კრამონი შესაძლოა, ცნობილი სომეხი ჯალათის **ნიკიტა კრიმიანის** სულიერი შთამომავალი იყოს, თორემ გენეტიკურ ერთობაზე ლაპარაკი აქაც უადგილოა, რადგან კრიმიანი ჰერმან გერინგზე უფრო სიმპათიური კაცი იყო. სამაგიეროდ, **ნიკიტა კრიმიანი** ისეთ რაღაცებს სჩადიოდა, რასაც **რაიხსმარშალი ჰერმან გერინგიც** კი არ იკადრებდა, მაგრამ **ქართველი კვაზიფაშისტების ბებიაქალი — ფრაუ ვიოლა გერინგი** კადრულობს!

ცნობისათვის,

**ბახჩო ქობულოვის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი ნიკიტა არკადის ძე კრიმიანი 30-იანი წლების სისხლიანი რეპრესიების ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურანტი და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უშიშროების სახალხო კომისარი გახლდათ, რომელიც დასახვრეტად გამზადებულ პატიმრებს პირადად აწამებდა, აცემინებდა, იატაკიდან საკუთარი სისხლის ალოკვას აიძულებდა და ცემით კლავდა.**

თუ ვინ იყო სინამდვილეში **ნიკიტა კრიმიანი,** ამის შესახებ ორ დოკუმენტურ ცნობას მოგაწვდით!



ვიოლა ფონ კრამონი

**საფიქრებელია, რომ ვიოლა ფონ კრამონი შესაძლოა, ცნობილი სომეხი ჯალათის ნიკიტა კრიმიანის სულიერი შთამომავალი იყოს, თორემ გენეტიკური ერთობაზე ლაპარაკი აქაც უადგილოა, რადგან კრიმიანი ჰერმან გერინგზე უფრო სიმპათიური კაცი იყო!**



ნიკიტა კრიმიანი







## ევროდეპუტატი ვიოლა, სავარაუდოდ, ლოთი არ უნდა იყოს, რადგან ფოტოზე გამოსახული მთვრალი ქალი ბევრად უფრო სიმპათიურად გამოიყურება, ვიდრე ფხიზელი კრამონი!

*„1937 წელს №1 ციხეში სხვა დაკავებულებთან ერთად მოიყვანეს დვალი, რომელიც იყო მილიციის უფროს ხმალაძის (ასევე დაკავებული) მძღოლი... დვალს მისჯილი ჰქონდა დახვრეტა და სხვა სიკვდილმისჯილებთან ერთად ის მიჰყავდათ პოლიგონზე, ხელები შეკრული ჰქონდა და ავტომობილის ძარაზე იჯდა. ამ დროს ციხეში მოვიდა **კრიმიანი** და მოითხოვა, დვალი ჩემს კაბინეტში შეეყვანათ, სადაც თვითონაც შემოვიდა. მან დვალს ჰკითხა — სურდა თუ არა დანაშაულების შესახებ მოეთხრო, რაზეც დვალმა უპასუხა, რომ არაფერი იცის და დამნაშავე არ არის. ამ დროს კრიმიანმა ხელებშეკრულ დვალს დაარტყა, ის იატაკზე დაეცა. **კრიმიანი მას ფეხებით შედგა და რამდენიმე წუთის განმავლობაში ურტყამდა, მოითხოვდა ჩვენების მიცემას. დვალი იმეორებდა, რომ არაფერი იცის და არ არის დამნაშავე. ამის შემდეგ მეთვალყურეებმა ნაცემი დვალი გაიყვანეს, მანქანის ძარაზე დასვეს და დასახვრეტად წაიყვანეს.“***

როცა **ნიკიტა კრიმიანს** წყალი შეუდგა და ხელი სტაცეს, 1954 წლის 21 იანვარს სასამართლო პროცესზე კიდევ ერთი მოწმე, ვინმე **ავეტიკ პეტროსიანი** გამოვიდა და განაცხადა:

*„1938 წლის აგვისტოში თბილისში დამაკავეს НКВД-ს თანამშრომლებმა ბერიას წინააღმდეგ ტერაქტის მომზადების ბრალდებით. ჩემს საქმეს იძიებდნენ **კრიმიანი, სავიცკი, კოვსესოვი და ფაჩულია.** გამოძიების დროს სისტემატურად მცემდნენ კრიმიანი და სავიცკი მუშტებით, ფეხებით, ქამრებით. მაიძულებდნენ ცეკვას და აბუჩად მიგდებდნენ, დაახლოებით, 30-35-ჯერ დავკარგე გონება. **პირადად კრიმიანმა მუშტით ჩამომიგდო ოთხი კბილი, შემდეგ კი იატაკზე მაიძულებდა, სისხლი ამელოკა. კრიმიანი და სავიცკი მოითხოვდნენ, ხელი მომეწერა პროტოკოლისთვის, რომ მე ვამზადებდი ტერაქტს ბერიას წინააღმდეგ.“***

აი, ამ და სხვა მსგავს უბედურებათა ჩამდენი **ნიკიტა არკადის ძე კრიმიანი** 1955 წლის 15 ნოემბერს დახვრიტეს!

რასაც **წყეული სააკაშვილის, ადეიშვილისა და მერაბიშვილის ბრძანებით, „მასტერები“, ახალაიები, მეგისქარდავები, ალექსანდრემუხაძეები, მკურნალიძეები, კოხტაკოდუები, რომანშამათავები, „კასტილებიანი“ თემურუბირიები და სხვა მწვალებლები და ზონდერგამაუპატიურებლები** სჩადიოდნენ, მსგავსი არც **ჰერმან გერინგს** უკადრებია და არც **ნიკიტა კრიმიანს!** ჩვენდა სამწუხაროდ და საუბედუროდ, ევროპარლამენტარი ფრაუ ვიოლა ფონ კრამონი, გერინგი თუ მისთანები კადრულობენ იმას, რომ ამ პირსისხლიანი ჯალათების უსტაბაშებს, გარყვნილი სისტემის შემოქმედთ და ქართული ჯარისა და ევროპელი პენსიონერების ქურდებს „პოლიტპატიმრებს“, „წამებულებსა“ და „დევნილ მედიამენეჯერებს“ უწოდებენ! ეს იმას ნიშნავს, რომ **ფრაუ ვიოლა და მთელი მისი „პარტაიგენოსეები“** ყველა იმ სიბინძურისა და სიბილწის თანამონაწილენი არიან, რომელიც სააკაშვილის მმართველობას სამარცხვინო დამღად აზის!

რაიხსმარშალ **ჰერმან გერინგს შერცხვა, კალიუმციანიდის ამპულა კბილებით გაკვნიტა და ჩამოხრჩობამდე ერთი დღით ადრე, 1946 წლის 15 ოქტომბერს, საკუთარ თავს განაჩენი თვად გამოუტანა!**

**ევროპარლამენტარი ვიოლა გერინგი უსირცხვილო ქალია...**

ასეთები რაიხსმარშალ ჰერმან გერინგისგან განსხვავებით დიდხანს ცოცხლობენ!

***დიტო ჩუბინიძე***

# გულით სჯერა თუ ფულით?



## არნო ხიდირბეგიშვილი

# რა უშლის ხელს საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებაში?



## 100 შეკითხვა „ქართულ ოცნებას“

***არის შეკითხვების დასმის დრო და დრო შეკითხვებზე პასუხის გაცემის, ან — მათზე პასუხისმგებლობის, როცა საქმე ხელისუფლებას ეხება და ახლა სწორედ ასეთი დროა. მაგალითად, გაუგებარია, რატომ კარგავს დღეს საქართველოს ხელისუფლება ძვირფას დროს რადიკალურ ოპოზიციასთან კინკლაობაში — რომელი მათგანი უფრო „პროდასავლურია“ — რუსეთთან ურთიერთობის დალაგების ნაცვლად? რა უშლის ხელს საქართველოს, დაასრულოს 15-წლიანი პაუზა და აღადგინოს დიპლომატიური ურთიერთობები უახლოეს მეზობელთან, რაც, ადრე თუ გვიან, გარდაუვალია?***

**დიახ, რატომ ვუშვებთ ხელსაყრელ მომენტს, როდესაც რუსეთის ხელისუფლება მხარს უჭერს საქართველოსთან ურთიერთობის დალაგების საკითხს და მადლიერია საქართველოს ხელმძღვანელობისა, უკრაინის კონფლიქტში ჩაურევლობისათვის?** ნუთუ გაუგებარია, რომ უკრაინაში საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, ბევრ ქვეყანასთან რუსეთის ურთიერთობის ალგორითმი შეიცვლება და საქართველო შეიძლება „საერთო რიგში ჩააყენონ“? **აქამდე რუსეთს პირდაპირ არ უსაყვედურია საქართველოსთვის უკრაინაში ქართველი დაქირავებულების გამო, მაგრამ განა საჭიროებისამებრ არ გაახსენებს, რომ ყველაზე მრავალრიცხოვანი უცხოური კონტინგენტი იმ ომში სწორედ რომ „ქართული ლეგიონი“ იყო?**

იმაზე, თუ რა უნდა შეერთებულ შტატებს საქართველოსგან, ადრეც ვწერდით — ტერიტორია, ნატოს სამხედრო საზღვაო ბაზები ანაკლიასა და ბათუმში, რეგიონული პლაცდარმი რუსეთის წინააღმდეგ... მაგრამ რა უნდა საქართველოს? რუსეთი რომ არ შესულიყო უკრაინაში, იქ აშშ შევიდოდა — ყირიმსა და ოდესაში ნატოს სამხედრო საზღვაო ბაზების გასახსნელად. **მაშ, რატომ აგრძელებს საქართველოს ხელისუფლება უაზრო დიალოგს ნატოსთან, რაც რუსეთს საბაბს აძლევს — საქართველოშიც დასწრებით შევიდეს?** რადიკალური ოპოზიციაც კი აღარ ადანაშაულებს საქართველოს ხელისუფლებას, თითქოს ალიანსისკენ სწრაფვა შეანელა, რადგან საქართველოს ნატოში გაწევრებას დიდი ხანია, წერტილი დაესვა; მაგრამ **რატომ არ აღიარა ხელისუფლებამ აქამდე, რომ საქართველო 15 წლის განმავლობაში უაზროდ კარგავდა დროს და დროსთან ერთად — ასობით საუკეთესო ჯარისკაცს — მოკლულსა და დაჭრილს ერაყსა თუ ავღანეთში? რომ საქართველო გამოიყენეს და მიაგდეს — ნატოში არ მიიღეს, თუმცა, ქართული კონტინგენტი ერაყსა და ავღანეთში, როგორც დღეს — უკრაინაში, ყველაზე მრავალრიცხოვანი უცხოური კონტინგენტი იყო?** ნატო, აშშ-ის მეთაურობით, სამარცხვინოდ გაიქცა ავღანეთიდან კალაშნიკოვის ავტომატებით შეიარაღებული თალიბებისგან და განა შეუძლია ან სურს ნატოს, ომით დაგვიბრუნოს აფხაზეთი ან ე.წ. სამხრეთ ოსეთი ბირთვული რუსეთისაგან? ევროატლანტიკური ალიანსი სასტიკად დამარცხდა სირიაშიც, შეერთებული შტატების მიერვე შექმნილ ისლამურ სახელმწიფოსთან, რომელიც რუსეთმა გაანადგურა. იქნებ ამიტომაც შემოიფარგლნენ აშშ და ნატო, რომ უკრაინას დახმარება მხოლოდ იარაღითა და ფულით გაუწიონ, ჯარისკაცების გარეშე? იარაღი და ფული შეერთებულ შტატებს საქართველოსთვისაც მიუცია, მაგრამ, უკრაინის მსგავსად, ასჯერ მეტიც რომ მიეცა, განა ეს საქართველოს ტერიტორიულ პრობლემებს გადაჭრიდა?

გასულ კვირას სახელისუფლებო პარტია **„ქართულ ოცნებას“** 11 წელი შეუსრულდა და მისი მთავარი დამსახურებაა, რომ ამ წლების განმავლობაში საქართველოს არ უომია და არც ხელისუფლებას დაუტერორებია საკუთარი მოქალაქეები, როგორც ექსმმართველ პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“; მაგრამ **რატომ უწოდებს „ქართული ოცნება“ აშშ-სა და ევროკავშირს კვლავ „სტრატეგიულ პარტნიორებს“, მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის აგვისტოს 5-დღიანი ომის შემდეგ მათ არ დაუწესებიათ რუსეთისათვის არცერთი სანქცია „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციისათვის“,** როგორც შემდგომ გააშანშალეს ათასობით სანქცია **„ყირიმისა და დონბასის ოკუპაციისათვის“?** და ამას ჰქვია **„სტრატეგიული პარტნიორობა“?!**

### აშშ და ევროპა ღიად ცდილობენ, დაამხონ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება იმის გამო, რომ მან უარი თქვა რუსეთთან ომზე: როგორ შეუძლიათ საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორებს, სწყუროდეთ იმ ქართველების სისხლი, რომლებიც საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების კვალდაკვალ, ყოველწლიურად მცირდებიან?

ან რატომ აგრძელებს საქართველოს ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ტერმინ **„ოკუპაციის“** საჭიროების გარეშე გამოყენებას, როცა რუსეთის სტატუსი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სხვაა?

რატომ გაგზავნა საქართველომ, რომლის მოსახლეობის უმრავლესობა სოციალურად გაჭირვებულია, ასობით ტონა ჰუმანიტარული დახმარება უკრაინაში, როცა ეს დახმარება თავად ქართველ ხალხს წყალივით სჭირდება? **რატომ შეიფარა საქართველომ უკ-**

### როგორ შეიძლება პატივს სცემდე საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და მხარი დაუჭირო კიეველ მაქციებს, რომლებმაც ძალით განდევნეს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია კიევ-პეჩერის ლავრიდან? და რატომ არ მუშაობს ეს ორმაგი სტანდარტები რუსეთთან მიმართებაში, სადაც ყველაფერი ცუდია — პუტინიც და პუშკინიც, ერიც და ბერიც, ხელისუფლებაც და ხალხიც, კულტურაც და ისტორიაც?!

## პუბლიცისტის პოლიტიკა

# აღარ მოვიდა დრო, გავაქარწყლოთ მითი იმის შესახებ, რომ „საქართველო დასავლეთის დახმარების გარეშე დაიღუპება“?



## 100 შეკითხვა „ქართულ ოცნებას“

**რატომ უწოდებს „ქართული ოცნება“ აშშ-სა და ევროკავშირს კვლავ „სტრატეგიულ პარტნიორებს“, მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის აგვისტოს 5-დღიანი ომის შემდეგ მათ არ დაუწესებიათ რუსეთისათვის არცერთი სანქცია „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციისათვის“, როგორც შემდგომ გააშანშალეს ათასობით სანქცია „ყირიმისა და დონბასის ოკუპაციისათვის“?**

**რაინელი ლტოლვილები და ზრუნავს მათ შვილებზე, ხოლო „მოძმე“ უკრაინა მუდმივად შეურაცხყოფს საქართველოს იმის გამო, რომ არ გახსნა „მეორე ფრონტი“ რუსეთის წინააღმდეგ, არ აგზავნის თვითმფრინავებით დაქირავებულ მკვლელებს, არ სჩუქნის აშშ-სგან ქართული ჯარისათვის შეძენილ „ჯაველინებს“ და თუნდაც იმის გამო, რომ სააკაშვილი დააპატიმრა?**

რატომ უწოდებს საპარლამენტო უმრავლესობის ზოგიერთი წევრი და თანამდებობისთვის შეუფერებელი მინისტრი რუსეთს „მტერს“ და არც კი ამუნათებს უკრაინას, რომელიც ღიად იმუქრება საქართველოში დესანტის გადმოსხმით მთავრობის დასამხობად? **რატომ არიან ზელენსკი და უკრაინელი ნაცისტები „გმირები“ თვით საქართველოს პრეზიდენტისთვის ან რატომ იმეორებს ყველა ქართული ტელეარხი კიევის პროპაგანდისტულ ტრიუკებს და უკრაინის შეიარაღებული ძალების ფეიქებს საბრძოლო მოქმედებათა თეატრიდან?** რატომ არ აკეთებს საქართველოს ხელისუფლება პოლიტიკურ განცხადებას, რომ სახელმწიფო **„უკრაინამ“** არსებობა შეწყვიტა მისი დამნაშავე და კორუმპირებული ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის გამო? რომ 50 მილიონი ადამიანიდან იქ 20 მილიონიღა დარჩა და მათი რიცხვი კიდევ უფრო ნაკლები იქნებოდა, რომ არ გამოცემულიყო ზელენსკის ბრძანება — არ გაუშვან უკრაინიდან არცერთი მოქალაქე, რომელსაც ამჟამად ძალით მიერეკებიან ფრონტზე, ხოლო ადგილზე რჩებიან მხოლოდ ბანდერელთა მიერ შეშინებულნი ან ისინი, ვისაც კომისარიატსა და მესაზღვრეებისთვის მისაცემი ქრთამისთვის საკმარისი ფული არ გააჩნიათ? ან სულაც ისინი, ვინც რუსებისთვის ტყვედ ჩაბარება ჯერ ვერ მოასწრო? **რატომ ვერ ხედავენ არცთუ დაუჯერებელ რეალობას, რომ უკრაინას გაიყოფენ რუსეთი, პოლონეთი, უნგრეთი და რუმინეთი, ხოლო შუაში დარჩება დაუსახლებელი განადგურებული ტერიტორია, სადაც ჰოლივუდი გადაიღებს საშინელებათა ფილმებს და ბლოკბასტერებს ვარსკვლავური ომების შესახებ?**

თურქეთის პრეზიდენტმა აშშ-ის ელჩს ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატთან შეხვედრის გამო ცხვირწინ მიუხურა კარი, ხოლო თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა აშშ-ის საელჩო საჯაროდ დაადანაშაულა ძირგამომთხრელ საქმიანობასა და საბოტაჟში. რატომ არ რეაგირებს საქართველოს ხელისუფლება იმაზე, რომ აშშ-ისა და ევროკავშირის ელჩები ლამის დასახლდნენ რადიკალური ოპოზიციის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მათი ინტერესების მომსახურე ტელეკომპანიების ოფისებში სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზების მიზნით? აშშ-ის ელჩი დეგნანი ქართველებს რუსეთში ფრენას უკრძალავს, და მოსკოვთან პირდაპირ რეისს აუქმებს. საინტერესოა, რატომ აძლევს მას საქართველოს ხელისუფლება ამდენის უფლებას? **ქართველები ერევნისა და მინსკის გავლით მაინც დაფრინავენ ერთმანეთთან, მაგრამ რატომ შოულობენ ამაზე ფულს „არმავია“ და „ბელავია“ და არა „აირზენა“? რატომ არის დაინტერესებული საქართველოს „სტრატეგიული პარტნიორი“ სომხეთისა და ბელარუსის, და არა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებით?**

რატომ არის აშშ ასე დაინტერესებული საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებით სწორედ დღეს, როცა ევროკავშირი კატასტროფულ გაჭირვებას განიცდის ვაშინგტონის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების გამო? რატომ აგრძელებს საქართველოს ხელისუფლება ამ დაგებული ხაფანგისკენ მორჩილებით სვლას და ამახინჯებს საქართველოს კანონმდებლობას ევროსაბჭოს 12 მოთხოვნის შესრულებით, თუმცა, იცის, რომ საქართველოს ევროკავშირში არასოდეს მიიღებენ ისევე, როგორც არ მიიღეს ნატოში? **რა ლოგიკით ისწრაფვის საქართველოს ხელისუფლება იქით, სადაც მას პატივს არ სცემენ? რა საერთო აქვს საქართველოს იმ ევროპასთან,** სადაც გაუფასურებულია დედისა და მამის ცნება და ისინი მშობელ №1-ად და მშობელ №2-ად იწოდებიან, თანაც ხშირ შემთხვევაში ერთი სქესისანიც კი შეიძლება იყვნენ? და, საერთოდ, ვინ გამოიგონა, რომ არსებობს კარგი ევროპა, თავისი „დემოკრატიული ღირებულებებით“ და ცუდი ევროპა — ევროპული სტრუქტურების ხელმძღვანელების, „ქართული ოცნების“ მტრებისა და სააკაშვილის ლობისტების სახით? ან რომ არსებობს კარგი ამერიკა — საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი, ეტალონი და იმედი — და ცუდი ამერიკა — ცალკეული კონგრესმენების, სენატორების, პოლიტტექნოლოგების, სახდეპის წარმომადგენლებისა და დიპლომატების სახით? რომ არსებობს მოძმე უკრაინა — და ცუდი უკრაინა არახამია-არესტოვიჩებისა და სხვა ფაშისტების სახით?

**როგორ შეიძლება პატივს სცემდე საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და მხარი დაუჭირო კიეველ მაქციებს, რომლებმაც ძალით განდევნეს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია კიევ-პეჩერის ლავრიდან? და რატომ არ მუშაობს ეს ორმაგი სტანდარტები რუსეთთან მიმართებაში, სადაც ყველაფერი ცუდია — პუტინიც და პუშკინიც, ერიც და ბერიც, ხელისუფლებაც და ხალხიც, კულტურაც და ისტორიაც?!**

აღარ მოვიდა დრო, გავაქარწყლოთ მითი იმის შესახებ, რომ „საქართველო დასავლეთის დახმარების გარეშე დაიღუპება“? საქართველო რუსეთიდან წელიწადში 3,5 მილიარდი დოლარის ფულად გზავნილებს იღებს, რუსი ტურისტები ამდენივეს ქართულ ხაზინაში ტოვებენ, საქართველოში ჩამოსული რუსეთის 120 ათასი მოქალაქის წყალობით, დოლარი 10 წლის წინანდელ ნიშნულამდე დაეცა, რომ აღარაფერი ვთქვათ მილიარდობით დოლარის მარჟაზე საქონლის, პროდუქციის, ენერგომატარებლების რუსულ-ქართული იმპორტ-ექსპორტიდან: **განა ეს ბევრად არ აღემატება ძუნწ დასავლურ კრედიტებს, „რომელთა წყალობითაც“ საქართველოს საგარეო ვალი ბოლო 10 წლის განმავლობაში ორჯერ და მეტად გაიზარდა?**

აღარ დადგა დრო, რათა დაიმსხვრეს კიდევ ერთი მითი, რომ „ბიძინა ივანიშვილი აშშ-ის ყველა ბრძანებას შეასრულებს, რადგან იქ მისი მილიარდებია და ამით აშანტაჟებენ“? განა შვეიცარიული ბანკი, რომელმაც ივანიშვილს ჯიბეში ჩაუყო ხელი, არ გაკოტრდა ივანიშვილისვე დახმარებით? განა იმავე ივანიშვილმა არ აჩვენა მსოფლიოს საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ტელეკომპანიებში შეყუჟული სამშობლოს მოღალატეების, ჯაშუშებისა და უცხოური გავლენის აგენტების ამაზრზენი სახე? — იმ ქართული რადიკალური ოპოზიციის ხრწნილება, რომელიც დღეს არცთუ მისი მონაწილეობის გარეშე დაიშალა? **განა ივანიშვილმა არ ამხილა სააკაშვილი და მისი ნაცისტები 11 წლის წინათ, როცა მსოფლიოს აჩვენა საქართველოში მასობრივი წამების პანო, ხოლო „ბიბისიმ“ მსოფლიოს აუწყა სუპერ თაღლითი კეზერაშვილის შესახებ, რომელიც ევროპელ პენსიონერებს მილიარდობით დოლარს ჰპარავდა?** საინტერესოა, რატომ აქამდე არ დაიხურა სააკაშვილის, კეზერაშვილისა და სხვათა ტელეკომპანიები, რომლებიც ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდას ეწევიან და ხალხს რუსეთთან ომისა და ხელისუფლების ძალადობრივად დამხობისკენ მოუწოდებენ? **რატომ არ გაუქმდა ნაცისტური იდეოლოგიის მქონე უცხოელი აგენტებისა და რეზიდენტების პარტიების რეგისტრაცია?**

ვინ და რატომ შეთხზა საქართველოში საშიში მითი იმის შესახებ, რომ აქ არსებობენ გავლენიანი „პრორუსული“ პარტიები, „პრორუსული“ ორგანიზაციები და „პრორუსული“ ტელეკომპანიები? ვისთვისაა ხელსაყრელი ფარისევლების — მაქინატორების, უპრინციპო კარიერისტებისა და ხარბი კორუფციონერების — გამოცხადება ქართველი ხალხის სრულუფლებიან წარმომადგენლებად? **და განა არ დადგა დრო, რომ „ქართულმა ოცნებამ“ განახორციელოს გენერალური წმენდა თავის რიგებში — მოიშოროს უტვინო რუსოფობები და დიდძალი ფულის მქონე გამყიდველი კონფორმისტები, რათა გადაიქცეს ქართველი ხალხისთვის უწინდებურად საყვარელ პარტიად, რომელიც გულწრფელად გასცემს პასუხს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შეკითხვას, მათ შორის მთავარს — რა უშლის ხელს საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებაში?**

# «ეს იყო ბერიას

## სვიმონ მასხარაშვილი:

# ბერია ბოლოს მაინც ქართულმა გულუბრყვილობამ დაღუპა!

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასა და საერთაშორისო ასპარეზზე განვითარებულ იმ პროცესებს მიმოიხილავს, რამაც 1953 წლის გაზაფხულზე კრემლში ლავრენტი ბერიას პოზიციები მნიშვნელოვნად შეასუსტა და საბოლოოდ ყველაფერი 26 ივნისის სისხლიანი ანგარიშსწორებით დასრულდა:***



— სტალინის გარეშე დარჩენილ ლავრენტი ბერიას ყველაფერთან ერთად ძალიან ცუდად მოუსწრო იმ სკანდალურმა და წინააღმდეგობრივმა პოლიტიკურმა პროცესმა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში **„მაკარტიზმი“** ჰქვია. 1949 წლის აგვისტოში საბჭოთა კავშირის მიერ ატომური ბომბის წარმატებით გამოცდამ, **როზენბერგების საქმემ,** ე.წ. **„კომბრიჯის ხუთეულმა“,** რომელიც დღემდე არ არის ბოლომდე გაშიფრული და უტყუარმა ცნობებმა იმის შესახებ, რომ ლავრენტი ბერიამ ამერიკელებს ატომური ბომბი ნამდვილად მოჰპარა, შტატებში ბიძგი მისცა კუდიანებზე ნადირობის დაწყებას.

კი ბატონო, კომუნისტური აგენტურა შეერთებულ შტატებში მართლაც მოქმედებდა და უკვე დადასტურებულად შეიძლება ითქვას, რომ სამამულო ომის დაწყებამდე დიდი ამერიკელი მეცნიერი **რობერტ ოპენჰაიმერი,** რომელიც სწორედ ატომურ ბომბზე მუშაობდა, ლავრენტი ბერიას საიდუმლო ვითარებაში მოსკოვშიც კი ჰყავდა ჩამოყვანილი, რომელიც სტალინს შეახვედრა, მაგრამ მიუხედავად ამ გახმაურებული ფაქტებისა, „მაკარტიზმმა“ ამერიკაში მაინც პათოლოგიური სახე შეიძინა.

**ჯოზეფ მაკარტი** გახლდათ გავლენიანი ამერიკელი სენატორი, რომელმაც სენატში შექმნა კომისია ამერიკის შეერთებულ შტატებში კომუნისტების აგენტების გამოსავლენად. ამ კამპანიამ, რომელსაც „მაკარტიზმი“ უწოდეს, იმდენად ყბადაღებული და სამარცხვინო სახე მიიღო, ლეგენდარულ **ჩარლი ჩაპლინსაც** კი კომუნისტების აგენტობაში დასდეს ბრალი და აიძულეს, ამერიკიდან შვეიცარიაში გადახვეწილიყო. სანამ ჩარლიმ ოსკარი არ მიიღო, ამერიკაში ვერ ჩადიოდა...

მოგეხსენებათ, სტალინის უდიდესი მსოფლიო ავტორიტეტის გამო კომუნისტური მოძრაობა მთელ პლანეტაზე პოპულარული გახლდათ და ბევრი ცნობილი ადამიანი კომპარტიაში გაწევრიანდა. აი, მაგალითად, ისეთი გენიოსი, როგორიც გახლდათ **პაბლო პიკასო,** სწორედ კომუნისტური პარტიის წევრი იყო. აღარაფერს ვამბობთ **ალბერტ აინშტაინის** სიმპათიებზე კომუნისტური მოძრაობისადმი. დღეს უკვე თავად ამერიკელებიც კი წერენ, რომ **„მაკარტიზმი“** იყო ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი მოვლენა, პოპულისტურ-პიარული სვლა, რომელმაც სინამდვილეში ძალიან ცოტა კომუნისტი აგენტი თუ გავლენის აგენტი გამოავლინა, მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებში უამრავი პატიოსანი და უდანაშაულო ადამიანი გაანადგურა როგორც მორალურად, ისე ფიზიკურადაც კი... გაგიკვირდებათ, მაგრამ **„მაკარტიზმმა“ ძალიან დიდი როლი ითამაშა ბერიას პოზიციების შესუსტებაში, სამაგიეროდ, წყალი დაასხა გიორგი მალენკოვისა და ნიკიტა ხრუშჩოვის წისქვილზე.**

**— სად „მაკარტიზმი“ და სად სულელი ხრუშჩოვი და მალენკოვი? „მაკარტიზმს“ ბერიას პოზიციები როგორ უნდა შეესუსტებინა?**

— საქმე ძალიან მარტივად იყო... წინა ინტერვიუში ვთქვით, რომ ბერია ამერიკასთან კონფრონტაციის კი არა, დიალოგის მომხრე იყო. მას შემწყნარებლური დამოკიდებულება ჰქონდა არამარტო ამერიკელებისადმი, არამედ გერმანიის გაერთიანების საკითხშიც. აი, ასეთ დროს ამერიკაში „მაკარტიზმის“ აღმოცენება და კომუნისტებთან თანამშრომლობაში ეჭვმიტანილი ადამიანების დევნა-შევიწროება, ბუნებრივია, საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში და განსაკუთრებით ბერიას მოწინააღმდეგეთა ბანაკში სამართლიანად ბადებდა ამ ტიპის შეკითხვას — **„კი მაგრამ, ლავრენტი ბერია ვისთან აპირებს თანამშრომლობას და სიტუაციის დათბობას, იმ ამერიკასთან, რომელიც „კომუნისტების აგენტის“ ბრალდებით ადამიანებს დევნის და ციხეში აგზავნის?“** ეს შეკითხვები ბერიას პოზიციებს სერიოზულად ურტყამდა და ასუსტებდა... უბედურება ის გახლდათ, რომ „მაკარტიზმმა“, რომელიც, ფაქტობრივად, 1947 წელს დაიწყო, თავის აპოგეას სწორედ 1950-1953 წლებში მიაღწია და 1957 წელს შეწყდა, როცა სენატორი **ჯოზეფ რაიმონდ მაკარტი** გარდაიცვალა.

მოკლედ, ბერია პრეზიდიუმის სხდომებზე ამტკიცებდა — **„შესაძლებელია, ერთ მსოფლიოში ორი განსხვავებული პოლიტიკური სისტემის თანაარსებობა!“** — და ამ დროს მაკარტისტები ამერიკაში კომუნისტების აგენტობაში ეჭვმიტანილ ადამიანებს სულს ხდიდნენ და ისეთ მსოფლიო მასშტაბის ჩაუქრობელ ვარსკვლავს, როგორიც **ჩარლი ჩაპლინია,** დევნიდნენ. ერთი სიტყვით, „მაკარტიზმი“ ბერიას ოპოზიციისთვის შესანიშნავი მიზეზი და საშუალება იყო, რათა ისინი ბერიას წინააღმდეგ დარაზმულიყვნენ და პროტესტი ხმამაღლა გამოეთქვათ. ბერიას პოზიციები საგრძნობლად შეასუსტა იმ ცვლილებამაც, რომელიც მაშინდელი თავდაცვის მინისტრის **ნიკოლაი ბულგანინის** უწყებაში განხორციელდა.

**— მაინც რას გულისხმობთ, გიორგი ჟუკოვის ბულგანინის მოადგილედ დანიშვნას?**

— დიახ! **ჟუკოვი** იყო მაროდიორი და საშინელი კაცი, რომელიც დახვრეტას იმსახურებდა, მაგრამ სტალინმა შეიცოდა და არ დახვრიტა. საერთოდ, ისტორია ამტკიცებს, რომ სტალინი პიროვნებების შეფასებაში თითქმის არ ცდებოდა! ამიტომ ასეთი სამარცხვინო, მაროდიორი და კომპრომეტირებული კაცის რეაბილიტაცია და ურალის სამხედრო ოლქის სარდლობიდან საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეობამდე აღზევება იყო გამოუსწორებელი შეცდომა.

**ბერიამ ძალიან კარგად იცოდა, ვინ იყო ჟუკოვი. სწორედ მან შეუტანა სტალინს და მაგიდაზე დაუდო იმ ძვირფასეულობის ჩამონათვალი, რომელიც ჟუკოვმა ბერლინიდან ვაგონებით გამოზიდა. საუბარია ბრილიანტებზე, ანტიკვარულ ნახატებსა და ხალიჩებზე, რომელსაც ჟუკოვი თავისი საყვარლის – რუსლანოვას აგარაკზე მალავდა.**

ამიტომ ასეთი კაცის რეაბილიტაციას ბერია არ უნდა დათანხმებულიყო. არც **როკოსოვსკიზე,** არც **კონევზე** და არც **ვასილევსკიზე** მეტი ავტორიტეტი ჟუკოვს არ ჰქონდა, რომ **ნიკოლაი ბულგანინის** მოადგილედ დაენიშნათ. მითუმეტეს, ბერლინის ოპერაციის შემდეგ, როცა ზეელის მაღლობებთან ჟუკოვმა თავისი უვიცობით საბჭოთა ჯარისკაცებს შორის 100 ათას კაცზე მეტი უაზრო მსხვერპლი გამოიწვია, **ჟუკოვის** მიმართ ყოველგვარი აღმატებული შეფასებები შეწყდა და არავის ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ იგი ერთი ჩვეულებრივი, საშუალო დონის მხედართმთავარი იყო. თუ თავდაცვის უწყებაში ცვლილება იყო მოსახდენი, მაშინ მინისტრის პოსტი ულაპარაკოდ ეკუთვნოდა ყველაზე ნიჭიერ მხედართმთავარს, სტალინის უსაყვარლეს მარშალ **კონსტანტინე როკოსოვსკის!**

**— ვინ იყო ჟუკოვის რეაბილიტაციისა და ურალიდან კრემლში გადმოყვანის ინიციატორი?**

— ამის ინიციატორი გახლდათ **ნიკიტა ხრუშჩოვი,** რომელიც მიიჩნევდა, რომ ჟუკოვის დაბრუნება არმიაში სულისკვეთებას გაზრდიდა, რაც სრული სისულელეა. საქმე ის გახლავთ, რომ მთელი საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების მომტან ერთადერთ მხედართმთავრად აღიარებდა **გენერალისიმუს სტალინს.** აქედან გამომდინარე, სტალინის მიერ შერისხული და გაგდებული **ჟუკოვი** ვერანაირ სულისკვეთებას ვერ აამაღლებდა. მოკლედ, მაქსიმალურად მაღალ პოზიციაზე დააბრუნეს მაროდიორი... მართლაც, როცა სტალინი თავდაცვის სახალხო კომისარი იყო, **ჟუკოვი** მისი მოადგილე გახლდათ და 1953 წლის მარ-




ლავრენტი ბერია, იოსებ სტალინი და გიორგი მალენკოვი

# საბედისწერო შეცდომა!»

ტში სწორედ ამ პოზიციას დაუბრუნეს.

**— მიიღო თუ არა მონაწილეობა ჟუკოვმა ბერიას ლიკვიდაციაში?**

— ამ უმძიმეს ბრალდებასთან დაკავშირებით ორი ურთიერთგამომრიცხავი ვერსია არსებობს. ერთი ვერსიით, **კირილ მოსკალენკოსთან** და **პაველ ბატიცკისთან** ერთად **ჟუკოვი** ბერიას ლიკვიდაციაში უშუალოდ მონაწილეობდა, ხოლო მეორე ვერსიით, ჟუკოვმა მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ ბერია გააფრთხილა, მაგრამ ბერიამ არ დაუჯერა და მოხდა ის, რამაც 1953 წლის 26 ივნისს მსოფლიოს განვითარების ვექტორი შეცვალა. მაგალითად, ლავრენტი ბერიას ვაჟი **სერგო ბერია** დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ჟუკოვი ამ საქმეში არ გარეულა და ბერიას სისხლში ხელები არ გაუსვრია. თავად ჟუკოვიც, მას შემდეგ, რაც ის ნიკიტა ხრუშჩოვმა მოიშორა, კატეგორიულად აცხადებდა, რომ მსგავსი არაფერი ჩაუდენია. საერთოდ, ჟუკოვი იყო დიდი ცრუპენტელა. მისი „ფიქრები და მოგონებები" სწორედ „მანია გრანდიოზათი" შეპყრობილი კაცის ნაბოდვარია, რომელიც სავსეა ტყუილებით.

მოხდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი — **ლეონიდ ბრეჟნევი,** რომელიც 1952 წლის ოქტომბრიდან პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი და ცეკას მდივანი იყო, 1953 წლის 5 მარტს სახელდახელოდ გამართულ სხდომაზე მოისროლეს და არმიის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილედ დანიშნეს, რაც მის სერიოზულ დაკნინებასა და მიწაზე დანარცხებას ნიშნავდა, ანუ სტალინის მიერ შერისხული **ჟუკოვი** თავდაცვის მინისტრის მოადგილე გახადეს, ხოლო იმავე სტალინის მიერ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად და ცეკას მდივნად გამწესებული **ლეონიდ ბრეჟნევი** პოლიტბიუროდან გამოიყვანეს, ცეკას მდივნობა უკან დაატოვებინეს და პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილედ დანიშნეს. აი, ამ ორი მაგალითის საფუძველზე შეგვიძლია, დავასკვნათ, თუ რა პოლიტიკას დაადგა საბჭოთა კავშირი სტალინის გარდაცვალების შემდეგ.

**— ცნობილია, რომ ე.წ. „მეგრელთა საქმის" გამო, რომელიც 1951 წლის ნოემბრიდან აგორდა, ბერიას ურთიერთობა გაუფუჭდა საბჭოთა უშიშროების ქართველ გენერლებთან — სერგო გოგლიძესთან, მიხეილ გვიშიანთან და სხვებთან. სტალინის მკვლელობისა და „მეგრელთა საქმის" შეწყვეტის შემდეგ ბერიასა და იმავე სერგო გოგლიძეს შორის ურთიერთობა დათბა?**

— არ დამთბარა და ამანაც ძალიან დაარტყა ბერიას პოზიციებს! მართალია, სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრ **ლავრენტი ბერიას,** რომელიც უშიშროებასაც აკონტროლებდა და მალენკოვის ერთადერთი მოადგილე იყო, არცერთი ქართველი გენერალი არ დაუჭერია, მაგრამ **სერგო გოგლიძე** სამი საფეხურით მაინც დააქვეითა და გერმანიაში მოისროლა.

**სერგო გოგლიძე** სტალინის გარდაცვალების წინ საბჭოთა კავშირის უშიშროების მინისტრის **სემიონ იგნატიევის** პირველი მოადგილე იყო. **იგნატიევი** მალენკოვის მონა გახლდათ, ხოლო **გოგლიძე** — სტალინის საიმედო და სანდო კადრი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროში ბერიას პირველ მოადგილეებად ჩვენ ვხედავთ **სერგეი კრუგლოვსა და ივანე სეროვს,** რომლებიც **გიორგი მალენკოვისა და ნიკიტა ხრუშჩოვის** მონები იყვნენ, ანუ ნაცვლად იმისა, რომ ბერია ამხელა უწყებაში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, რომელიც თავის თავში უშიშროებასაც მოიცავდა, დაყრდნობოდა ქართველებს — **სერგო გოგლიძეს, მიხეილ გვიშიანსა** და სხვებს, დათანხმდა, მალენკოვისა და ხრუშჩოვის კადრების საკვანძო თანამდებობებზე დასმას. ეს ბერიას საბედისწერო შეცდომა იყო! აქ კიდევ ერთი საკითხია საინტერესო — **სერგო გოგლიძისა და მიხეილ გვიშიანის** შევიწროებით მათი კადრებიც ჩახსნეს და შეავიწროვეს, სამაგიეროდ, ამ ხალხის ადგილი დაიკავეს **სეროვისა და კრუგლოვის** კადრებმა. არც ის დაგვავიწყდეს, რომ **სერგეი კრუგლოვი** შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი იყო და მისი კადრები ძალოვან უწყებებში ისედაც იყვნენ.

**— რატომ დაუშვა ბერიამ ასეთი საბედისწერო შეცდომა?**

— ამ საბედისწერო შეცდომას ერთადერთი ახსნა აქვს —

**ბერია ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ გიორგი მალენკოვისა და ნიკიტა ხრუშჩოვისგან მომაკვდინებელი საფრთხე ელოდა!**

ზოგადად, პერეტრუბაციები ძალოვან უწყებებში ბერიას წისქვილზე წყალს არ ასხამდა, რადგან ის, ვინც ქართველი სტალინის ერთგული იყო, კიდევ უფრო მეტად ერთგული იქნებოდა ქართველი ბერიასი. შესაბამისად, როცა სტალინის ერთგულ კადრებს ბერია კარგავდა, მათ ადგილს იჭერდნენ სტალინისა და ბერიას მოძულე კადრები. შიდა წრეებში ბერიას ლიბერალობა ამ საშინელ დანაკლისსა და საფრთხეს ვერანაირად ვერ აკომპენსირებდა. **ილუზია გახლდათ ისიც, რომ სტალინის მიერ შერისხული ხალხის რეაბილიტაცია და სისტემაში დაბრუნება ამ ადამიანებს ბერიას მიმართ ისეთ გულთბილსა და მოსიყვარულეს გახდიდა, რომ საჭიროების შემთხვევაში ისინი ბერიას საფლავში ჩაჰყვებოდნენ.** აი, მაგალითად, ავიაციის მთავარი მარშლის **ალექსანდრე ნოვიკოვის** წინააღმდეგ ლავრენტი ბერიამ სისხლის სამართლის გამოძიება შეწყვიტა, მაგრამ ნოვიკოვის უკან მდგარი და რეპრესირებული ხალხის, სტალინსა და ბერიაზე დაბოღმილთა მთელი არმია, რომელიც ნოვიკოვის რეაბილიტაციის შემდეგ დაწინაურდა, ყველა ბერიას დაუძინებელ მტრად დარჩა.

**ბერია ასევე ფიქრობდა, რომ თუ ვიაჩესლავ მოლოტოვის ცოლს – ჟემჩუჟინასა და ანასტას მიქოიანის ნათესავებს ციხიდან გამოუშვებდა, მათ საუკუნო პატივისცემასა და მხარდაჭერას მოიპოვებდა, მაგრამ ასე არ მოხდა.**

უნიჭიერესი და გენიოსი იყო, შეუდარებელი ალღო ჰქონდა, სასწაულები აქვს გაკეთებული, მაგრამ გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ ბერია ბოლოს მაინც ქართულმა გულუბრყვილობამ დაღუპა!

**— მაინც როგორ უნდა მოქცეულიყო და რა უნდა ექნა ბერიას?**

— სტალინის მკვლელობის შემდეგ ბერიას ან მაშინვე უნდა აეღო ხელში ერთპიროვნული ძალაუფლება, ანდა ქვეყნის მმართველ გუნდში მეორე-მესამე ნომრად გადასულიყო, ჩასაფრებულიყო, პოლიტიკური ფორსირებები შეეწყვიტა და **მალენკოვისა და ხრუშჩოვის ჯახს** დალოდებოდა! დიახ, ბერია უნდა დალოდებოდა შესაფერის მომენტს, როცა გიორგი მალენკოვი და ნიკიტა ხრუშჩოვი ერთმანეთს დაებღლვნებოდნენ. თითქოსდა ბერიამ სწორი პოზიცია შეარჩია, როცა ფორმალურად **გიორგი მალენკოვის** მოადგილეობას დასჯერდა, მაგრამ გლობალურ პოლიტიკაში მაშინვე გამოაჩინა კბილები.

მორალურად ბერია სწორი იყო, როცა 1953 წლის 26-27 მარტს დიდი ამნისტია გამოაცხადა; სწორი იყო, როცა გერმანიის გაერთიანებას მხარი დაუჭირა; სწორი იყო, როცა ამერიკასთან ურთიერთობის დათბობას ესწრაფვოდა, მაგრამ ეს ყველაფერი იყო ნაჩქარევი და სტრატეგიულად არასწორი. **მალენკოვსა და ხრუშჩოვს შორის 1953 წლის აგვისტო-სექტემბრიდან მოყოლებული, კონფლიქტი არც 1954 წელს განელებულა და არც 1955 წელს. მოგეხსენებათ, ხრუშჩოვი დალუპვას გადაურჩა 1957 წელსაც...** აღარაფერს ვამბობთ 1964 წელზე, როცა ნიკიტა ხრუშჩოვი, ბოლოს და ბოლოს, მოაშთეს. **ბერიას 1964 წელსაც ექნებოდა პირველკაცობის შანსი...** მოკლედ,

**რომ არა აჩქარება და გულუბრყვილობა, ბერიას 1953 წლიდან 1964 წლამდე, მინიმუმ, ხუთჯერ მაინც მიეცემოდა შანსი, უმტკივნეულოდ მოსულიყო ხელისუფლებაში, მაგრამ ასე არ მოხდა...**

**— მერედა, კიდევ ერთ ქართველს ამხელა იმპერიის სათავეში რუსი იგუებდა?**

— სტალინის სიცოცხლეში ვინმეს ეროვნებაზე საუბარი გამორიცხული იყო, მაგრამ ბელადის მკვლელობის შემდეგ კიდევ ერთი ქართველის უმაღლეს ხელისუფლებაში მოსვლა, რა თქმა უნდა, ყურადღებას აშკარად მიიპყრობდა. ამიტომაც ვამბობ, რომ ბერიას ან მაშინვე უნდა აეღო ხელისუფლება, ანდა უკანა პლანზე გადასულიყო და ხელსაყრელ დროს დალოდებოდა.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***










## «ერთი ვერსიით – კირილ მოსკალენკოსთან და პაველ ბატიცკისთან ერთად ჟუკოვი ბერიას ლიკვიდაციაში უშუალოდ მონაწილეობდა! მეორე ვერსიით – ჟუკოვმა მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ ბერია გააფრთხილა, მაგრამ ბერიამ არ დაუჯერა!»













## „სერგო გოგლიძისა და მიხეილ გვიშიანის შევიწროებით მათი კადრებიც ჩახსნეს და შეავიწროვეს, სამაგიეროდ, ამ ხალხის ადგილი დაიკავეს სეროვისა და კრუგლოვის კადრებმა!"

# გიორგი ბეზირგანის პასუხები მკითხველს ★

## საინტერესოა, როდის გაიცნო სტალინმა ლენინი, რა ურთიერთობა ჰქონდათ ერთად მუშაობის მანძილზე? მართალია, რომ ლენინის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში მათ უთანხმოება მოუვიდათ და ურთიერთობის გაწყვეტას მხოლოდ ლენინის სიკვდილმა შეუშალა ხელი?



თქვენს პირველ შეკითხვას თავად სტალინი უპასუხებს 1924 წლის 28 იანვარს კრემლის კურსანტების წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში: **„ლენინი პირველად 1903 წელს გავიცანი. ოღონდ ეს დაუსწრებლად მოხდა, მიმოწერის საშუალებით. მაშინ ციმბირში ვიყავი გადასახლებული. იქ მივიღე ლენინის წერილი, რომელშიც საოცრად მკაფიოდ და მოკლედ იყო გადმოცემული უახლოეს პერიოდში პარტიის მუშაობის გეგმა.“**

დავამატებთ, რომ, სპეციალისტთა გამოთვლით, ლენინს სტალინის მისამართით დაახლოებით 150 წერილი, ბარათი და ტელეგრამა აქვს გაგზავნილი, ბევრად მეტი, ვიდრე სხვა თანამოსაგრეთათვის. მათგან 100-ზე მეტი გამოქვეყნებულია. პირადი ნაცნობობა როდისღა შედგა? ისევ სტალინს მოვუსმინოთ: **„ლენინს პირადად 1905 წლის დეკემბერში შევხვდი ბოლშევიკთა კონფერენციაზე ტამერფორსში, ფინეთში.“**

როგორ აეწყო მათი ურთიერთობა? ცნობილია, რომ **ლენინი** აღფრთოვანებით შეხვდა **სტალინის** ნაშრომს **„მარქსიზმი და ეროვნული საკითხი“**, მას **„საოცარ ქართველს“** უწოდებდა, ხოლო ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ — **„პარტიის გამოჩენილ ბელადთაგანს“.** ისიც სიმართლეა, რომ ანდერძში, რომელსაც **„წერილი ყრილობას“** უწოდებენ და რომელიც ლენინმა **1922 წლის დეკემბერ-1923 წლის მარტში** უკარნახა, ის რეკომენდაციას იძლევა, გენმდივნის პოსტზე სტალინი **„სხვა ამხანაგით შეიცვალოს“.** თუმცა, კანდიდატურას არ ასახელებს. ამასთან, ამავე ანდერძში **სტალინისთვის** მიცემული დახასიათება („უხეშია“) ბევრად სჯობს სხვა უახლოესი თანამოსაგრეების დახასიათებას — ტროცკი **„არაბოლშევიკია“,** ზინოვიევი და კამენევი **„შტრაიკბრეხერები“** არიან, ბუხარინი პოლიტიკოსია, რომელსაც **„დიალექტიკა არ ესმის, სქოლასტიკოსია“** და ა. შ.

ერთად მუშაობისას **ლენინსა** და **სტალინს** შორის ხანგამოშვებით აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშობოდა, მაგრამ ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო და უნდა ითქვას, რომ საბოლოოდ **სტალინი** ყოველთვის **ლენინის** ნებას ემორჩილებოდა. ასე მოხდა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის, სსრკ-ის შექმნის, ე. წ. **„ქართველთა საქმის“** საკითხებში. როგორც ჩანს, **ლენინის** შენიშვნა **სტალინის „უხეშობის“** შესახებ სწორედ ქართველთა საქმემ გამოიწვია, როდესაც ქართველმა ბოლშევიკებმა **ბუდუ მდივნის** მეთაურობით **სტალინს და ორჯონიკიძეს ლენინთან უჩივლეს.** ახლა კონფლიქტზე ვისაუბროთ. **1922 წლის დეკემბერში ლენინი** მძიმედ დასნეულდა. **სტალინმა,** რომელსაც პოლიტბიურომ **ბელადის მკურნალობაზე ზედამხედველობა დაავალა, აკრძალა მისთვის გაზეთების გადაცემა და პარტიაში არსებულ უთანხმოებაზე ინფორმაციის მიწოდება.** ამ აკრძალვის დარღვევას ყველანაირად ცდილობდა **ლენინის** მეუღლე **ნადეჟდა კრუპსკაია. სტალინმა** მას უსაყვედურა, თანაც მეტად უხეში ფორმით. **კრუპსკაიამ** ავადმყოფ ქმართან იჩივლა. **ლენინმაც** იქვე უკარნახა მდივან ფოტიევას ბარათი, რომელშიც **სტალინისაგან** ცოლისთვის ბოდიშის მოხდას მოითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ურთიერთობის გაწყვეტით ემუქრებოდა. ეს ინციდენტი მოწინააღმდეგეებმა მათ შორის განხეთქილებად მონათლეს და მიაჩნიათ, რომ ხელისუფლებაში **ლენინის** დაბრუნების შემთხვევაში **სტალინს** ხელმძღვანელობიდან მყისვე გააძევებდნენ.

მაგრამ ეს ასე არ არის. ინციდენტი იმით ამოიწურა, რომ **სტალინმა კრუპსკაიას მოუბოდიშა და ორ ბელადს შორის ურთიერთობა მოწესრიგდა.** არსებობს აზრი, რომ **ლენინის** გარდაცვალების შემდეგ **სტალინს** მისი ქვრივი სრულიად იგნორირებული ჰყავდა. სიმართლეს არც ეს შეესაბამება. **1929 წლიდან კრუპსკაია, რომელიც მანამდე რსფსრ განათლების სახკომის მოადგილე იყო, სსრკ განათლების სახალხო კომისარი ხდება. 1927 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე (1939 წელი) იგი სკპ (ბ) ცკ-ს, სსრკ ცაკ-ის (უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის) წევრი იყო. დაკრძალულია კრემლის კედელთან.**



ლენინი მეუღლესთან ნადეჟდა კრუპსკაიასთან ერთად

## გესტაპოს შეფზე ჰენრიხ მიულერზე წიგნებიდან და კინოფილმებიდან ბევრი რამ ვიცით. ჩვეულებრივ, მას უაღრესად გამჭრიახ ადამიანად და საუკეთესო პროფესიონალად ხატავენ. ამასთან, ეს პიროვნება გამოცანებით არის სავსე. არსებობს ვერსია, რომ ის საბჭოთა აგენტი იყო. ეს სიმართლეა?



**ჰენრიხ მიულერი** მართლაც არაორდინარული და, გარკვეულწილად, საიდუმლოებით მოცული პიროვნებაა. ის ძალიან დიდხანს ხელმძღვანელობდა საიდუმლო პოლიტიკურ პოლიციას (გესტაპო), იყო **იმპერიის უშიშროების მთავარი სამმართველოს შეფის ჰაიდრიხის მოადგილე და ჰქონდა ესესელთა ერთ-ერთი უმაღლესი წოდება — გრუპენფიურერი.** ბავარიელი გლეხის შვილმა მიუნხენის კრიმინალურ პოლიციაში დაიწყო სამსახური და ნაცისტებს გაააფთრებით სდევნიდა. ხელისუფლებაში **ჰიტლერის** მოსვლის შემდეგ ის ასეთივე გულმოდგინებით ჩადგა ახალი რეჟიმის სამსახურში. ეს მონდომება შეუმჩნეველი არ დარჩენილა და **1935 წელს მიულერი გესტაპოს შეფად დანიშნეს.** თუმცა, ის პარტიაში შესვლას არ ჩქარობდა და მხოლოდ 1939 წელს, თანაც აშკარა ზეწოლით გახდა გერმანიის ნაციონალურ-სოციალისტური მუშათა პარტიის წევრი. **ესესის შეფი, რაიხსფიურერი ჰიმლერი** ძალზე აფასებდა მიულერს, ყველაზე დელიკატურ და სახიფათო საქმეებს მას ავალებდა. მაგალითად, ცნობილია, რომ სწორედ **მიულერი** გახლდათ **1939 წლის 31 აგვისტოს** გლაივიცში პოლონურ სამხედრო ფორმაში გადაცმული კრიმინალების გერმანულ რადიოსადგურზე თავდასხმის ორგანიზატორი, რაც ფაშისტებმა პოლონეთზე თავდასხმის საბაბად გამოიყენეს.

**მიულერი** ბერლინიდან 1945 წლის მაისის პირველ რიცხვებში გაქრა. ამის შემდეგ მისი კვალი იკარგება. იყო თუ არა იგი საბჭოთა აგენტი? მოვუსმინოთ **ვალტერ შელენბერგს:** „მიულერთან დაკავშირებით სერიოზული ეჭვები 1943 წლის გაზაფხულზე გამიჩნდა. მაშინ კონფიდენციალური საუბრისას მან განმიცხადა: **„სტალინი ყველა სხვა ლიდერზე ბევრად მაღლა დგას და ამ საკითხზე აზრის გამოთქმის უფლება რომ მქონოდა, უმოკლეს ხანში დავდებდით მასთან შეთანხმებას.“ ამ თემის ხუმრობაში გატარება მოვინდომე და ვუთხარი: „საუცხოოა, პარტაიგენოსე მიულერ, მოდით, ახლავე დავიწყოთ „ჰაილ, სტალინ“-ის ძახილი და ჩვენი კეთილი ჰენრიხ მიულერი შინსახკომის უფროსი გახდება.“ „შესანიშნავი იქნებოდა, — სავსებით სერიოზულად მიპასუხა მიულერმა საგრძნობი ბავარიული აქცენტით, — მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს სქელშუბლა მეგობრებს ეს არ ესმით“.**

მიულერმა **„წითელი კაპელის“** (გერმანელი ანტიფაშისტების ჯგუფი) საქმე გამოიყენა, რომელსაც თვითონ იძიებდა, მათი საშუალებით დაამყარა კავშირი საბჭოთა დაზვერვასთან და მის სამსახურში გადავიდა. **შელენბერგი** თვლის, რომ ეს **1943 წლის ბოლოს მოხდა.** ამითვე ხსნის იგი მიულერის **„სასწაულებრივ“** გაქრობას წითელი არმიის მიერ ოკუპირებული ბერლინიდან.

მიუხედავად ამისა, საკმარისი საფუძველი არ გვაქვს, ვამტკიცოთ, რომ მიულერი საბჭოთა აგენტი იყო.

## მართალია, რომ ჯერ კიდევ 40-იანი წლების ბოლოს დაისვა 37 წელს დაღუპული ქართველი მწერლების რეაბილიტაციის საკითხი? თუ ასეა, რატომ არ გადაწყდა იგი მაშინ?

ასეთი ფაქტი მართლაც მოხდა. **დევი სტურუა** თავის მოგონებებში წერს, რომ **1948 წელს** მამამისმა, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტი ეკავა, ეს საკითხი ოფიციალურად დასვა. მის მიერ მომზადებულ მოხსენებით ბარათში საუბარი იყო **მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის** სიკვდილის შემდეგ რეაბილიტაციაზე და მათი ნაწარმოებების ბეჭდვის განახლებაზე. უნდა ითქვას, რომ **გიორგი სტურუას** ოჯახში ეს მწერლები **„რეპრესირებული“** არც ყოფილან. **დევი სტურუა იხსენებს, რომ დაბადების დღეებზე მას და მის უფროს ძმას მელორს მამა ჯავახიშვილის და ტიციანის წიგნებს ჩუქნიდა.**



მიხეილ ჯავახიშვილი



ტიციან ტაბიძე



პაოლო იაშვილი

აღსანიშნავია, რომ **გიორგი სტურუას** ეს კეთილშობილური მცდელობა მისთვის სავალალოდ დასრულდა. **მოხსენებითი ბარათი საქართველოს ცკ-ში „ტროცკისტებისადმი თანაგრძნობად“ აღიქვეს.** ცკ-ს ხელმძღვანელობამ და სახელმწიფო უშიშროების მაშინდელმა მინისტრმა **რუხაძემ** სასწრაფოდ დასვეს **სტალინის** წინაშე საკითხი **სტურუას მოხსნის, პარტიიდან გარიცხვის და ოჯახთან ერთად შუა აზიაში გადასახლების შესახებ. მოლოტოვის** მოწმობით, განცხადებას, რომელშიც **სტურუას** მიერ მუშაობაში დაშვებული სხვა **„შეცდომებიც“** იყო ჩამოთვლილი, **სტალინმა** შემდეგი რეზოლუცია დაადო: **„ქართველ ამხანაგებს არ სურთ ხელმძღვანელობაში სტურუას ყოფნა. რაკი ასეა, წინადადება შემომაქვს, დავეთანხმოთ მათ თხოვნას მისი გათავისუფლების შესახებ. რაც შეეხება მის პარტიიდან გარიცხვას და გადასახლებას თითქოსდა ტროცკისტებისადმი სიმპათიის გამო, ეს სისულელეა. დაენიშნოს მაქსიმალური პერსონალური პენსია და არ გაბედოთ მისთვის ხელის ხლება“** *(ე. წ. პერსონალური საქმე „ტროცკისტებისადმი გ. სტურუას სიმპათიის შესახებ“ ამჟამად საქართველოს სახელმწიფო არქივშია დაცული — საგანგებო რვეული № 696, ფ. 6-43).*



**საინტერესოა, რა დამოკიდებულება ჰქონდა რეპრესირებული მწერლების მიმართ თავად სტალინს? აკაკი მგელაძის** მოგონებებში ვკითხულობთ, რომ დაახლოებით იმავე პერიოდში მასთან კერძო საუბრისას **სტალინი „კეთილი სიტყვით იხსენიებდა მიხეილ ჯავახიშვილს, აღფრთოვანებული იყო მისი „არსენა მარაბდელით“, ეჭვი ეპარებოდა, რომ ის და 37-ში დაღუპული კულტურის სხვა მოღვაწეები ხალხის მტრები იყვნენ.“ მგელაძე სტალინის** შემდეგ გამონათქვამებს გადმოგვცემს: **„ჩვენი ეჭვიანი ჩეკისტები ადამიანებს არ ენდობიან.“ „ჩეკისტური აპარატი ზედმეტად გულმოდგინე მუშაკებისაგან უნდა გავწმინდოთ.“ „37 წლის მასალების ნდობა ყოველთვის არ შეიძლება.“**

შეიძლება თუ არა, ამ ყველაფრიდან დავასკვნათ, რომ **სტალინი** უდანაშაულოდ რეპრესირებულ მოღვაწეთა რეაბილიტაციას აპირებდა? ერთმნიშვნელოვან პასუხს ამ კითხვაზე, ალბათ, ვერასოდეს მივიღებთ.

2023 წლის 1 მაისი, № 22-23 (190-191)

**სარედაქციო კოლეგია**

**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ფეისბუქი: **www.facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

**თანამედროვე ცხოვრების რიტმმა და სტრესულმა გარემომ მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის, საქართველოშიც გამოიწვია არითმიების გახშირება. რა უნდა იცოდეს მედიცინაში გაუცნობიერებელმა თითოეულმა მოქალაქემ ამ პათოლოგიის შესახებ? ვესაუბრებით აკადემიკოს გულნარა ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის ქირურგიის სტაციონარის ხელმძღვანელს, ექიმ-კარდიოლოგს, რიტმოლოგ**

*ნიკა ქურიძეს:*



ნიკოლოზ ქურიძე:

# სწორად მართვის შემთხვევაში, მოციმციმე არითმია სიცოცხლისათვის საშიშ არითმიებს არ მიეკუთვნება!

— **არითმია** — გულის რითმის დარღვევას, გულის ნორმალური მუშაობიდან გადახრას ეწოდება, როდესაც გული ნორმასთან შედარებით ძალიან სწრაფად **(ტაქიკარდია)** ან შეუდარებლად ნელა **(ბრადიკარდია)** იწყებს ცემას. კლასიკურ სამედიცინო ლიტერატურაში გულისცემის ნორმალურ რიტმად მიჩნეულია წუთში **60-90 დარტყმა,** თუმცა,

**თანამედროვე ცხოვრების აჩქარებულმა ტემპმა და სტრესულმა გარემომ, როგორც ჩანს, ამ მოსაზრებაში კორექტივები შეიტანა და ამჟამად მეცნიერთა ნაწილი წუთში 100-მდე დარტყმასაც ნორმად მიიჩნევს.**

დადებითი და უარყოფითი ემოციები, რა თქმა უნდა, განაპირობებს გულისცემის სიხშირის მატებას, თუმცა, ასეთ შემთხვევაში საუბარია ძირითადად, სინუსურ ტაქიკარდიებზე, რომლებიც **ორგანიზმში სხვადასხვა პათოლოგიური პროცესების, ანთებითი რეაქციების თანმდევი მოვლენაა** და, საბედნიეროდ, სიცოცხლისთვის საშიში არითმიების ჯგუფს არ მიეკუთვნება.

**— რა იწვევს არითმიებს?**

— არსებობს არითმიების განმაპირობებელი უამრავი მიზეზი. ერთი და იგივე არითმია ზოგ შემთხვევაში შეიძლება, თანდაყოლილი იყოს და ზოგში — შეძენილი. არითმიის ფორმებიდან გამომდინარე, გამომწვევი მიზეზებიც სხვადასხვა შეიძლება იყოს. მაგალითად, ერთ-ერთ ყველაზე რთულ და სახიფათო დიაგნოზს — გულის სხვადასხვა ხარისხის ბლოკადებს იწვევს **გულის იშემიური დაავადება, მიოკარდიუმის (გულის კუნთის) ანთებები და ინფარქტი.**

არითმია შეიძლება, ელექტროლიტურმა დისბალანსმაც, კონკრეტულად, **ჰიპერკალემიამ** გამოიწვიოს, რაც თირკმლის ქრონიკულ უკმარისობასთან იყოს დაკავშირებული. გულისცემის აჩქარებით გამოხატული არითმიები შეიძლება, ჩიყვით იყოს განპირობებული, როგორიც არის, მაგალითად, მოციმციმე არითმიები. **არითმიის გამომწვევი მთავარი მიზეზი არის გული, ხოლო სხვადასხვა დაავადებამ, შესაძლოა, არითმიის პროვოცირებას შეუწყოს ხელი.**

**— შეძენილი არითმიები, ძირითადად, ასაკოვან ადამიანებს ახასიათებთ?**

— გააჩნია, რა ტიპის და ხარისხის არითმიაზეა საუბარი. მაგალითად, **მოციმციმე არითმია** გვხდება, ძირითადად, 40 წლის ზემოთ ასაკში და ეს ვერაგი დაავადება ევროპის კარდიოლოგთა ასოციაციის დასკვნით, 2026 წლისთვის პლანეტის მოსახლეობაში ძალზე მაღალი პროცენტით გამოვლინდება.

**დადგენილია, რომ 45 წლის ზემოთ ასაკის პოპულაციაში**

*გაგრძელება 26-ე გვერდზე*





# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის №14 ოქმი

*1989 წლის 14 აპრილი*

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მასალები

*დასაწყისი მე-3 გვერდზე*

თან, თბილისში. ამიტომ მაქვს კითხვები, რომლებიც მინდა გავარკვიო.

კომენდანტის საათი შემოღებული იყო 9 აპრილს, 23:00-დან. გენერალმა როდიონოვმა ტელევიზიით განცხადება გააკეთა 22:45 სთ-ზე და უკვე ამავე დღეს ესროლეს მანქანას, არიან მოკლულები და დაჭრილები, იყო საყოველთაო ჩხრეკაც. კომენდანტის საათის შემოღების თაობაზე წინასწარ უნდა ყოფილიყო გამოქვეყნებული. ბევრი სახლში არ იყო, ზოგს ტელევიზორი არ აქვს, ზოგი საერთოდ არ იმყოფებოდა ქალაქში.

საქართველოს კპ ცკ-ის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს განცხადებაში, რომელიც 11 აპრილს გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ თბილისში 1989 წ. 9 აპრილის 23 საათიდან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, შემოღებულია კომენდანტის საათი. „გადაწყვეტილების" შინაარსი გაუგებარია: ეს საკანონმდებლო აქტია თუ საჩვენებელი? არ იყო გამოქვეყნებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება კომენდანტის საათის შემოღების შესახებ. კანონი ან ბრძანებულება კი მოქმედად ითვლება პუბლიკაციის მომენტიდან. ეს ელემენტარული იურიდიული აქტია.

საგანგებო მდგომარეობის შემოღების წესის შესახებ სსრკ კონსტიტუციის 119-ე მუხლის ახალ რედაქციაში ნათქვამია: სსრკ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან შეთანხმებით — სსრკ დაცვის ინტერესების დასაცავად, აუცილებლობის შემთხვევაში, აცხადებს სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობას ცალკეულ ადგილებში ან მთელ ქვეყანაში, მართვის განსაკუთრებული ფორმების შემოღებით.

XIX პარტკონფერენციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება ის იყო, რომ ჩვენ უნდა ვაშენოთ, ჩამოვაყალიბოთ სამართლებრივი სახელმწიფო. ისმის კითხვა: განა, ეს მოქმედი კონსტიტუციისა და კანონმდებლობის უხეში დარღვევა არ არის? და ხდება რაღაც უაზრობა: ასეთი უფლების არმქონე ორგანო იღებს უკანონო გადაწყვეტილებას და მას ეთანხმება ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი ამხ. როდიონოვი, რომელიც რესპუბლიკაში არავის ემორჩილება და ასრულებს ამას ბარბაროსული მეთოდებით, უკანონო ქმედებებით. თუ ეს ასეა, მაშინ ჩადენილია დანაშაული კანონის წინაშე.

ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა კანონი, რომელიც განსაზღვრავს სსრკ შსს შინაგანი ჯარების იმ ნაწილების გამოყენების უფლებებსა და წესებს, რომლებიც სპეციალურადაა მომზადებული ასეთი ამოცანების შესასრულებლად საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისას.

თბილისში კი შემოიყვანეს სადესანტო ჯარის ნაწილები საბრძოლო ტექნიკით, ტანკებით, ვერტმფრენებით და ა.შ., რომელთა დანიშნულებაც, როგორც ცნობილია, აქტიური, შეტევითი, საბრძოლო მოქმედებების წარმოებაა.

სასტიკი და გააფთრებული შეტევის წინ ბოლო გამომსვლელი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაური ილია II იყო. ჩვენთან ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსგან. თუ წესდება, საგანგებო მდგომარეობა და ძალაუფლება გადადის სამხედროების ხელში, რატომ არ ჩათვალა შესაძლებლად ამხ. როდიონოვმა საჯაროდ გამოეცხადებინა საგანგებო მდგომარეობის შემოღება? რატომ არ იყო მოქმედებები შეთანხმებული ქალაქის ხელისუფლებასთან, რათა ემუშავა მეტროს, გამოეყოთ ავტობუსები? სინამდვილეში ხომ ხალხს არ ჰქონდა საშუალება სადმე გაქცეულიყო. რატომ მოხდა ეს ყველაფერი ასე მოულოდნელად? ეს კითხვები გაჩნდა იურისტებთან შეხვედრის წინ. დარწმუნებული ვარ, ამ კითხვებს დამისვამენ მე და არა მხოლოდ მე.

საჭიროდ მიმაჩნია, რომ ეს კითხვები დავსვა დღეს აქ, სარდლის წინაშე, ვიდრე ამის შესახებ კულუარებში ვილაპარაკო. [...]

**ი. ნ. როდიონოვი — წითელდროშოვანი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი:**

ამხანაგებო!

ძალიან ვნანობ იმას, რაც 9 აპრილის ღამეს რუსთაველის პროსპექტზე, მთავრობის სახლის წინ მოხდა. მივმართავ ცენტრალურ კომიტეტს: მოდით, ნუ დავიწყებთ ახლა უსაფუძვლო ბრალდებებს ამა თუ იმ მისამართით. გამოძიება მიდის კომპეტენტურ, მაღალ დონეზე. იძიებენ ამხანაგები, რომლებიც არ იყვნენ მონაწილენი არც ერთი მხრიდან და მისი შედეგები ეცნობება ცენტრალურ კომიტეტს. ვფიქრობ, რომ ყველა დამნაშავე დამსახურებულად დაისჯება.

მინდოდა მეთქვა, რომ ბევრი თქვენგანი სარგებლობს არასწორი, არაობიექტური ინფორმაციით. ჩვენ უფლება გვაქვს მოვთხოვოთ ყველა აქ მსხდომს, ვინც პასუხისმგებელია ამ ინფორმაციაზე, რომ ის დაიყვანოს ცკ-ის წევრებამდე დროულად და ობიექტურად. ხოლო თუ ვიხელმძღვანელებთ ინფორმაციით, რასაც ახალგაზრდული გამოცემა გვაწვდის და რომელსაც კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობს, მახინჯდება ყველა ფაქტი, სწორედაც რომ მახინჯდება და ეს დადასტურებულიც იქნება, არ მინდა განმეორება, მსგავსი ბრალდებებით აქ გამოსვლით საკითხს ვერ გადავწყვეტთ.

არ მინდოდა შევჩერებულიყავი მოვლენათა განვითარებაზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა თბილისში, მაგრამ მოდით, ამხანაგებო, გავიხსენოთ, როგორ ვითარდებოდა მოვლენები შარშან? მალე ერთი წელი შესრულდება? დიახ, სწორია, ეს იყო მშვიდობიანი დემონსტრაციები. ხალხი თავიდან ეკოლოგიის, დავით-გარეჯის კომპლექსის საკითხებს აყენებდა, შემდეგ კი როგორ მოიქცნენ? გაჩნდა კომუნისტური პარტიისა და სოციალიზმის წინააღმდეგ მიმართული შეძახილები და მოწოდებები. გარნიზონში, სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ დაიწყო ექსტრემისტული გამოვლინებები. ცკ-ის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება: ყველა ამ დემონსტრაციისთვის გამოიყოს იპოდრომი. კატეგორიულად აიკრძალა დემონსტრაციები სამთავრობო დაწესებულებებთან: ცენტრალურ კომიტეტთან, მთავრობის სახლთან.

მაგრამ როგორ განვითარდა მოვლენები? გეკითხებით. ყოველივე ამას ხომ ხედავდით? ვინ გაუწია ამას წინააღმდეგობა? ვინ შეასრულა მთავრობის დადგენილება? დემოკრატია! მეც ვარ დემოკრატიის მომხრე, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს თავისი საზღვრები, თავისი ჩარჩოები.

არც ერთ ცივილიზებულ საზოგადოებაში არ არის დაშვებული, რომ მიტინგები, დემონსტრაციები არღვევდეს კანონებს, კონსტიტუციას. მაგრამ აქ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა და აპრილის დასაწყისში პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მთავრობის სახლის წინ შექმნილი ვითარება შეაფასა უკვე, როგორც სოციალიზმისთვის, წესრიგისთვის კოლოსალური ზიანის მიყენების მცდელობა. ეს იყო შაბაში, დიახ, ნამდვილი შაბაში. ასწიეთ ხელი, აქ მსხდომთაგან ვინ იყო 9 აპრილს დილის 4 საათზე მთავრობის სახლთან? ვერც ერთ ხელს ვერ ვხედავ (ხმაური დარბაზში).

ნება მომეცით, გავაგრძელო. შესაძლოა, იყვნენ ერთეულები, ის ამხანაგები, რომლებიც უშუალოდ ამ შენობაში მუშაობენ და ვალდებულნი იყვნენ ყოფილიყვნენ მოვლენათა კურსში. როგორი ლოზუნგები იყო, ამხანაგებო? გეეკითხებით აქ დამსწრეებს.

განა, ეს გარდაქმნის განვითარების ლოზუნგები იყო? (ხმაური დარბაზში, ცალკეული რეპლიკები).

**გ. დ. ლორთქიფანიძე — საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე:**

განა, თქვენ დასაჯეთ ისინი, ვინც ლოზუნგებს წერდა? მოედანზე მოკლეს 70 წლის ქალი.

**ნ. შ. ვასაძე — საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრის პირველი მოადგილე:**

მომიტევეთ, ამხანაგო სარდალო, მაგრამ დარბაზში იციან, რომ მე გავიზარდე სამხედრო მოსამსახურის ოჯახში და ამის გამო უფლება მაქვს წაგიყენოთ დიდი პრეტენზიები. არ შემიძლია იმ სირცხვილის გადატანა, რომელშიც თქვენ დღეს ჩააგდეთ ყველა სამხედრო. ჩემმა შვილიშვილმა კედლიდან ჩამოხსნა თავისი დიდი ბაბუის პორტრეტი.

**ი. ნ. როდიონოვი:** თქვენი შვილიშვილი ცუდადაა გაზრდილი. (დარბაზში პროტესტის ხმაურია, ისმის განმკიცხავი წამოძახილები).

**ნ. შ. ვასაძე:** ვალდებული ხართ უპასუხოთ ყველა იმ კონკრეტულ კითხვას, რომლებსაც დაგისვამთ. აქ ჯარისკაცები არ სხედან და დაუშვებელია ჩვენთან ასეთი საუბარი. ჩვენ უკვე სკოლის მოსწავლეებს არ ველაპარაკებით ასე. თქვენ უნდა გვიპასუხოთ არა მხოლოდ ჩვენ, არამედ ქართველ ხალხსაც.

**ი. ნ. როდიონოვი:** ნუ მაწყვეტინებთ. გპასუხობთ. ეს ხალხი კი არა, ბრბო იყო (პროტესტის ხმაური დარბაზში).

**ნ. შ. ვასაძე:** მაქვს უფლება შეგაწყვეტინოთ, რადგან მხოლოდ ჩემი სახელით ვსაუბრობ.

**ი. ნ. როდიონოვი:** ამხანაგებო, თუ ცკ-ის წევრები ასე იქცევიან, როგორ შეიძლებოდა იმ

*გაგრძელება 27-ე გვერდზე*



# ნიკოლოზ ქურიძე: ნუ გარისკავთ სიცოცხლით! მობრძანდით ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში, ჩაიტარეთ გამოკვლევები და აუცილებლობის შემთხვევაში, კარდიოსტიმულატორის ან დეფიბრილატორის ორგანიზმში ჩადგმით, გადაირჩინეთ სიცოცხლე!

*დასაწყისი 25-ე გვერდზე*

**ევროპის მოსახლეობის ნახევარს, ანუ 50 პროცენტს – სხვადასხვა ხანგრძლივობის მოციმციმე არითმია სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც გამოვლენია!**

თმის გაჭაღარავება და სახის დანაოჭება ხომ სიბერის თანამდევი პროცესია... მოციმციმე არითმიის გამოვლენაც, მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, დაბერების რიგითი მახასიათებელია. 45 წლის შემდეგ, ასაკის მატებასთან ერთად, სხვადასხვა არითმიის გამოვლენის რისკიც მატულობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არითმიები ახალგაზრდა პოპულაციაში არ გვხვდება. მაგალითად, **ახალგაზრდულ ასაკში არითმიები და მოციმციმე არითმიაც ხშირად განპირობებულია გულის თანდაყოლილი მანკებით.**

**— ახალგაზრდულ ასაკში კიდევ რა შემთხვევაში ვლინდება არითმია?**

— როდესაც ადამიანს გულში აქვს იმპულსების გამტარი თანდაყოლილი ზედმეტი, არასაჭირო გზები. გულის მთავარი ფუნქცია ხომ იმაში მდგომარეობს, რომ შეიკუმშოს და ორგანოებისკენ სისხლი გადაისროლოს, რათა ისინი ჟანგბადით და საკვები ნივთიერებებით უზრუნველყოს, მაგრამ გული თავისთავად ვერ შეიკუმშება. შეკუმშვას აიძულებს ელექტრული იმპულსი, რომელიც ყოველგვარი გარე გაღიზიანების გარეშე წუთში 60-დან 100-მდე რაოდენობით წარმოიქმნება გულის შიგნით, მარჯვენა წინაგულში განლაგებული უჯრედების იმ ჯგუფში, რომელთაც მედიკოსები **„სინუსურ კვანძად“** იხსენიებენ. ეს პროცესი ადამიანის დაბადებიდან ვიდრე სიკვდილამდე — საოცარი წესრიგის ფარგლებში ხდება. **პულსი, ფაქტობრივად, წუთის განმავლობაში გულში წარმოქმნილი ელექტროიმპულსების რაოდენობას წარმოადგენს, არითმია კი ამ იმპულსების წარმოქმნის რიტმის დარღვევას ნიშნავს.**

თუმცა, არსებობენ ადამიანები, ვისაც დაბადებიდან აქვთ იმპულსების გამტარი დამატებითი გზები და არითმიის ახალგაზრდულ ასაკში მწვავე ფორმით განვითარება პერიოდულად სწორედ მათი მიზეზით ხდება.

**— როგორ?**

— **თუ ორგანიზმი მძიმე ფიზიკურ დატვირთვას განიცდის, სინუსური კვანძი იღებს გადაწყვეტილებას, წუთში უფრო ხშირად შეიკუმშოს, რადგან ორგანიზმს მოსვენებულ მდგომარეობასთან შედარებით მეტი ჟანგბადი სჭირდება.** ამას ორგანიზმის კომპენსატორულ რეაქციას უწოდებენ. ასეთ შემთხვევაში გულისცემის რაოდენობა მკვეთრად იზრდება. იმ ადამიანების გულში, ვისაც იმპულსის გამტარი თანდაყოლილი დამატებითი გზები გააჩნიათ, სინუსის კვანძში იმპულსები შეიძლება, ნორმის ფარგლებში კიდეც წარმოიქმნას, მაგრამ მოხდეს დანიშნულების მიხედვით ამ იმპულსების გატარების შეფერხება მეორე, ე.წ. კვანძის მიზეზით და განვითარდეს გულის **ატრიალურ-ვენტრიკულური** (AV) **ბლოკადა.** ასეთი შემთხვევების ასარიდებლად არსებობს მცირე ზომის მოწყობილობა, რომელსაც **„კარდიოსტიმულატორი“** ეწოდება. მისი მთავარი ფუნქციაა გულში წარმოქმნილი ელექტროიმპულსების რაოდენობის და გულის სხვადასხვა უბანში მათი დროულად გატარების გაკონტროლება. ელექტროიმპულსების დამატებითი გზების გასანეიტრალებლად არსებობს მეთოდი, რომელსაც **აბლაცია** ეწოდება და ითვალისწინებს შესაბამისი უბნის მოწვას ან მოყინვას.

გულისცემის რაოდენობა შეიძლება, კიდეც შეესაბამებოდეს ნორმას — წუთში 60-დან 100 დარტყმას, მაგრამ **არიან ისეთი ადამიანებიც, ვისაც ფიზიკური დატვირთვის შემთხვევაში გულისცემა არ უჩქარდებათ.** ეს ძალიან დიდი პრობლემაა, რადგან იწვევს ჟანგბადის ნაკლებობას, თავბრუხვევას, სუნთქვის უკმარისობას, ქოშინს და ასეთ მდგომარეობაშიც კარდიოსტიმულატორის ჩაყენებაა რეკომენდებული, რომელიც ფიზიკური დატვირთვის შესაბამისად გულისცემის აჩქარებას აწესრიგებს. აკადემიკოს ჩაფიძის ცენტრში პაციენტისთვის კარდიოსტიმულატორის ჩადგმის ოპერაციას მე და ბატონი **კახა ეცადაშვილი** ვაწარმოებთ. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ კარდიოსტიმულატორის საშუალებით უამრავმა ადამიანმა გადაირჩინა სიცოცხლე!

**— რას წარმოადგენს ეს მოწყობილობა?**

— მცირე ზომის მექანიზმია, ენერგიის წყარო გახლავთ ბატარეა, რომელიც საკმაოდ დიდხანს, მინიმუმ — 5, მაქსიმუმ 10 წლის განმავლობაში მუშაობს. მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის სხვაობა იმით აიხსნება, რომ სხვადასხვა პაციენტს არითმია სხვადასხვა დროის განმავლობაში უვლინდება — ერთს 24 საათიდან მხოლოდ 1 საათის განმავლობაში; მეორეს — 12 საათი; მესამე კი, მთელი დღეღამის განმავლობაში იტანჯება. ბატარეის მოქმედების ხანგრძლივობაც ამაზეა დამოკიდებული. **როდესაც ელემენტი ჯდება, კანს ვჭრით, ვიღებთ ძველ კარდიოსტიმულატორს და მას ახლით ვცვლით. შესრულების თვალსაზრისით, ეს არ არის რთული ოპერაცია და ადგილობრივი გაუტკივარებით კეთდება.**

არსებობს სიცოცხლისთვის საშიში არითმიები, რომელთაც **პარკუჭოვან არითმიებად** იხსენიებენ. ისინი იწვევენ გონების კარგვას, გულის გაჩერებას და სიკვდილს. უეცარი სიკვდილისგან ხსნის საშუალებას წარმოადგენს **კარდიოვერტერ-დეფიბრილატორი.** თუ პაციენტი იმყოფება გულის უეცარი გაჩერების მაღალი რისკის ქვეშ, რისი შეფასებაც, ჩაფიძის გულის ცენტრში უშუალოდ ბატონი **ავთანდილ ჯორბენაძის** მითითებით, სპეციალურად ამ მიზნით შემუშავებულ პარამეტრებზე დაყრდნობით ხდება, მას ორგანიზმში ვუნერგავთ ამ დეფიბრილატორს, რაც გულის გაჩერების შემთხვევაში იმპულსის ავტომატურად გაცემას და, ფაქტობრივად, პაციენტის გაცოცხლებას უზრუნველყოფს!




**„ის პაციენტები, რომელთაც მოციმციმე არითმია აქვთ, აუცილებლად უნდა ღებულობდნენ სისხლის გამათხელებელ პრეპარატებს, რათა დაცულები იყვნენ იშემიური ინსულტებისგან!“**

დეფიბრილატორის წყალობით, არაერთი ადამიანი მობრუნებულა სიცოცხლისკენ. კლასიკურ მაგალითად მოჰყავთ ხოლმე ბელგიელი ფეხბურთელი **ანტონი ვან ლო,** რომელიც მატჩის დროს მინდორზე უგრძნობლად დაეცა. ვან ლო ბავშვობიდან თამაშობდა ფეხბურთს. მერე მას შეუფასეს ჯანმრთელობის რისკები და ორგანიზმში დეფიბრილატორი ჩაუდგეს. **ვან ლომ** თამაში გააგრძელა. ეს საკამათო თემაა: 100 ექიმი რომ შევკრიბოთ, 50 გეტყვით, რომ ასეთი რისკის ქვეშ მყოფი აქტიურ სპორტში აღარ უნდა იყოს; მეორე 50 კი უფრო ლიბერალურად შეაფასებს საკითხს. **ვან ლოს** განსაცდელმა გვერდი არ აუარა — მატჩის დროს გული გაუჩერდა, ანუ სპორტსმენი გარდაიცვალა! მაგრამ მის ორგანიზმში ჩანერგილი **დეფიბრილატორი** მყისიერად ამოქმედდა, გულს ელექტროიმპულსი გაუგზავნა და ათასობით მაყურებლის წინაშე ფეხბურთელი გაცოცხლდა! მატჩის ვიდეოკადრებშია ასახული, რამდენიმე წამში როგორ შეირხა ბალახზე უგრძნობლად დაცემული ფეხბურთელი და ფეხზე წამოდგა! სხვათაშორის, **ვან ლომ, მოედანზე გაცოცხლების შემდეგ, სპორტული კარიერა გააგრძელა და დეფიბრილატორის იმედად კიდევ მრავალ მატჩში მიიღო მონაწილეობა.**





**— ქართულ სინამდვილეში თუ მომხდარა, დეფიბრილატორს გაჩერებული გული აემუშავებინოს?**

— ჩაფიძის გულის ცენტრის ერთ-ერთ პაციენტს, რომელსაც **დეფიბრილატორი** ჩავუდგით, საკუთარ ეზოში ვიდეომეთვალყურე ჰქონდა დამონტაჟებული, რომელმაც გადაიღო უნიკალური კადრები: *ეზოში მოსეირნე პაციენტი ცუდად ხდება, ეზოს კედელს ეყრდნობა, შემდეგ ძირს ვარდება... ვიდეოში მკვეთრად ჩანს, რამდენიმე წამში როგორ შეირხევა მიწაზე უგონოდ დავარდნილი პაციენტი და შემდეგ თავისით დგება.* ექიმისთვის უფრო დიდი ბედნიერება არ არსებობს, როდესაც თვალსაჩინოდ ხედავს, როგორ გადაარჩინა მისმა ნამოქმედარმა ადამიანის სიცოცხლე!

**— ალბათ, ძვირი ღირს დეფიბრილატორი... საშუალო ფენას მასზე ხელი მიუწვდება?**

— საქართველოში აბსოლუტურად ყველა ადამიანს, ვინც საყოველთაო დაზღვევით სარგებლობს, **დეფიბრილატორზე, რომლის რეალური ღირებულება 20 ათასია, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან თანაგადახდის შედეგად მხოლოდ 300-500 ლარი ჯდება**, ხელი მიუწვდება! არ მახსენდება არცერთი შემთხვევა, თანხის უქონლობის გამო რომელიმე პაციენტი უკან გაგვებრუნებინოს, ამიტომ, მინდა, მოქალაქეებს მივმართო: ნუ გარისკავთ სიცოცხლით! მობრძანდით ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში, ჩაიტარეთ გამოკვლევები და აუცილებლობის შემთხვევაში, კარდიოსტიმულატორის ან დეფიბრილატორის ორგანიზმში ჩადგმით, გადაირჩინეთ სიცოცხლე!

**— როგორ უნდა მიხვდეს ადამიანი, რომ არითმია აქვს? რა შეგრძნებები ეუფლება პაციენტს?**

— სიმპტომები იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი ტიპის

**„ვან ლოს განსაცდელმა გვერდი არ აუარა – მატჩის დროს გული გაუჩერდა, ანუ სპორტსმენი გარდაიცვალა! მაგრამ მის ორგანიზმში ჩანერგილი დეფიბრილატორი მყისიერად ამოქმედდა, გულს ელექტროიმპულსი გაუგზავნა და ათასობით მაყურებლის წინაშე ფეხბურთელი გაცოცხლდა!“**




## „აკადემიკოს ჩაფიძის ცენტრში პაციენტისთვის კარდიოსტიმულატორის ჩადგმის ოპერაციას მე და ბატონი კახა ეცადაშვილი ვაწარმოებთ. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ კარდიოსტიმულატორის საშუალებით უამრავმა ადამიანმა გადაირჩინა სიცოცხლე!“

არითმია აქვს პაციენტს. დაბალი პულსაციით **(ბრადიკარდიით), AV ბლოკადით და სინუსის კვანძის სისუსტის სინდრომით მიმდინარე არითმიას** ახასიათებს თავბრუხვევა, საერთო სისუსტე, ტენდენცია გონების კარგვისკენ და გონების არცთუ იშვიათად უეცარი კარგვა, რომლის შემდეგ ადამიანს სწრაფადვე უბრუნდება ცნობიერება — ეს ის სიმპტომებია, რომელთა გამოც პაციენტებმა აუცილებლად უნდა მიმართონ ექიმს.

რაც შეეხება **პულსის აჩქარებით (ტაქიკარდიით) მიმდინარე არითმიებს,** ამ შემთხვევაში პირიქით, ადამიანები უჩივიან გულის ფრიალის შეგრძნებას, ითვლიან პულსს, რომელიც წუთში 100 დარტყმას აღემატება... იშვიათად, შეიძლება მაღალი პულსაციით მიმდინარე არითმიამაც გამოიწვიოს გონების დაკარგვა.

**— მოციმციმე არითმია რას ნიშნავს? რით განსხვავდება სხვა არითმიებისგან?**

— **მოციმციმე არითმიაც** გულის რიტმის დარღვევის ერთ-ერთი ფორმაა, რომლის მთავარი ნიშანი არის გულის არარეგულარულად მუშაობა. **პაციენტები უჩივიან პულსიდან ამოვარდნებს და თუ მკურნალობა სწორად არ წარიმართება, ხშირად მიდის ინსულტამდე, რადგან ახასიათებს თრომბის „გატყორცნა“.** ამიტომ ის პაციენტები, რომელთაც მოციმციმე არითმია აქვთ, აუცილებლად უნდა ღებულობდნენ სისხლის გამათხელებელ პრეპარატებს, რათა დაცულები იყვნენ იშემიური ინსულტებისგან.

**თუ ადამიანს ერთხელ მაინც დაემართა მოციმციმე არითმია, დიდი ალბათობით, ის კიდევ გაუმეორდება. ოღონდ, როდესაც სრული AV ბლოკადა ინფარქტით არის გამოწვეული, ინფარქტის შედეგების ალაგების შემთხვევაში შესაძლოა, აღარც განმეორდეს.** მოციმციმე არითმიის ყველაზე ხშირი და ცუდი გართულება გახლავთ ინსულტი. სტატისტიკა მოწმობს, რომ

### იშემიური ინსულტების 25 პროცენტის მიზეზი არის მოციმციმე არითმია, რომელიც გულიდან თავის ტვინში თრომბის „გასროლის“ მიზეზი ხდება.

არსებობს მოციმციმე არითმიის მკურნალობის როგორც მედიკამენტური, ისე ინვაზიური მეთოდები, თუმცა, ამ უკანასკნელითაც კი, განკურნების შესაძლებლობა მხოლოდ 50-70 პროცენტია.

**— როგორ უნდა იმკურნალოს ადამიანმა, რომელიც არითმიის სიმპტომებს იგრძნობს?**

— **გულისცემის აჩქარების ან არარეგულარული გულისცემის, პულსის ამოვარდნების და გულის ფრიალის შეგრძნების შემთხვევაში, რასაც იშვიათად, გულის არეში ტკივილის შეგრძნებაც ახლავს — ადამიანმა ეჭვი არითმიაზე უნდა მიიტანოს.** აღსანიშნავია, რომ არითმიის სიმპტომების აღქმა მეტად სუბიექტურია — ვიღაცისთვის „ქვეყანა იქცევა“; სხვა — აინუნშიც არ აგდებს... არადა, მკურნალობის დაგვიანება ხელს უშლის არითმიის პროგნოზსა და გამოსავალს.

ამასთან, **ნებისმიერი სახის არითმიის შემთხვევაში თვითმკურნალობამ, მაგალითად, „კორდარონის“ დალევამ შეიძლება, გამოიწვიოს პულსის და წნევის მკვეთრი ვარდნა.** ამიტომ პაციენტის ყველაზე გონივრული გადაწყვეტილება სამედიცინო დაწესებულებისთვის მიმართვაში ან სამედიცინო დახმარების გამოძახებაში გამოიხატება, ხოლო, თუ არითმია დადასტურდება, აუცილებელია პაციენტის კლინიკაში დარჩენა.

პაციენტმა მხოლოდ ინდივიდუალურ გამოკვლევებზე დაყრდნობით განსაზღვრული პრეპარატები უნდა მიიღოს, რათა არ დაირღვეს მედიცინის უმთავრესი პრინციპი **„არავნო“!** ამიტომ გამოკვლევის გარეშე დაუშვებელია არითმიით სნეული პაციენტისთვის ინდივიდუალური აფთიაქის განსაზღვრა.

**მოციმციმე არითმიის შემთხვევაშიც, მკურნალობის ტაქტიკა აბსოლუტურად სხვადასხვაა იმის მიხედვით, მოკლე თუ დიდი დრო გავიდა გამოვლენიდან.** შესაბამისად, სამედიცინო დაწესებულებაში დროულად მისვლა შეიძლება, გადამწყვეტი იყოს პაციენტის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის. უნდა გვახსოვდეს, რომ მოციმციმე არითმიის გართულებებს შეიძლება გადააჭარბოს თვითმკურნალობით ან არასწორი მკურნალობით გამოწვეულმა შედეგებმა, ხოლო **სწორად მართვის შემთხვევაში, მოციმციმე არითმია სიცოცხლისათვის საშიშ არითმიებს არ მიეკუთვნება!**

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***

**„ნებისმიერი სახის არითმიის შემთხვევაში თვითმკურნალობამ, მაგალითად, „კორდარონის“ დალევამ შეიძლება, გამოიწვიოს პულსის და წნევის მკვეთრი ვარდნა!“**






# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის №14 ოქმი

***1989 წლის 14 აპრილი***

*დასაწყისი მე-3 გვერდზე*

ბრბოსთან ურთიერთობა?

**გ. დ. ლორთქიფანიძე:** როგორ ბედავთ ბრბო უწოდოთ იმათ, რომლებსაც ნიჩბებით ხოცავდნენ? რას ნიშნავს ბრბო, ვინ მოგცათ ამის ნება?

**ნ. შ. ვასაძე:** შესაძლებელია ახლა ვერ ვმართავ ჩემს ემოციებს და არასწორად ვიქცევი, მაგრამ მე ვსაუბრობ ყველა ქალის, ყველა დედის სახელით, რომლებიც თქვენ ძაძებით შემოსეთ. ისინი იგლოვებენ თაობიდან თაობამდე. თქვენ არ გაქვთ უფლება დღეს მორალი გვიკითხოთ ჩვენ. თქვენ არ მიიღეთ სიფრთხილის არავითარი ზომა, არ გამოიყენეთ დემონსტრაციის მშვიდობიანად დაშლის არავითარი ხერხი. თქვენ ცუდ მდგომარეობაში ჩააყენეთ არა მხოლოდ ჯუმბერ ილიას ძე, არა მხოლოდ ცკ-ის ბიურო, ცუდ მდგომარეობაში ჩააყენეთ ყველა სამხედრო, პოლიტბიურო. ვინ გაავრცელა ინფორმაცია, რომ იარაღი არ იყო გამოყენებული? ოთხი თვის წინ ერთ-ერთმა მოსკოვურმა გაზეთმა მორალურად მომკლა, მაგრამ ეს იმდენად მნიშვნელოვანი არ არის. რა დღეში ჩააგდეთ თქვენ დღეს ჩემი ხალხი? თქვენ ჩვენთან ახალი ადამიანი ხართ. თქვენ ჩვენ არ გიცნობთ. მაგრამ მე დღეს მრცხვენია, რომ ამ დარბაზში ტაშს ვუკრავდით ამხანაგ კოჩეტოვს, გაგვიხარდა მისი დანახვა, ვფიქრობდით, ის იცნობს ქართველ ხალხს, ის დაგვეხმარება ჩვენ. და რა გამოვიდა? თქვენგან რომელია ამ სისხლიანი აქციის ორგანიზატორი? ეს უნდა ვუთხრათ ჩვენს ხალხს, ეს ყველამ უნდა იცოდეს. თქვენ, როგორც ცკ-ის ბიუროს წევრმა, რომელსაც ამ ოპერაციის ჩატარება დაევალა, რატომ არ გამოგვიყენეთ ჩვენ, ცკ-ის წევრები, რომ მშვიდობიანად გაგვეყვანა ახალგაზრდები ამ მოედნიდან? ჩვენ ხომ იმ დღეებში იქ ვათენებდით და ვაღამებდით, ჩვენ შევძელით შეგვენარჩუნებინა სასწავლო პროცესი სკოლებში. ახლა კი თქვენ გვთავაზობთ, რომ ხელი ავწიოთ, რათა დავრწმუნდეთ — რომელი ჩვენგანი იყო იქ ტრაგედიის მომენტში, თქვენ, რომელმაც შეურაცხყავით ყველა მასწავლებელი. თქვენ, ალბათ, არ იცით, რომ თბილისში 200 ათასი მოსწავლეა და მასწავლებლებს ისინი რომ გაეგზავნა მიტინგზე, მოედანზე იქნებოდა არა 8 ათასი, არამედ მნიშვნელოვნად მეტი. მიპასუხეთ კითხვაზე, რომელსაც თავს არიდებთ. ყველას სახელით გეკითხებით: ორივე მხრიდან ალესილი ნიჩაბი როდიდან არ ითვლება იარაღად? თუ ეს ითვლება გარდაქმნად არმიაში? ასევე მიპასუხეთ: ითვლება თუ არა იარაღად ყოველივე ის, რითიც კლავენ, ასახიჩრებენ ადამიანს? მთელი მსოფლიოს თვალში რატომ გაუტეხეთ სახელი პოლიტბიუროს, ქვეყანას, რომელმაც ამცნო მსოფლიოს იმის შესახებ, რომ იარაღი არ იყო გამოყენებული. თქვენ, პირადად თქვენ, ან მან, ვინც თქვენთან ერთად მისცა ეს მცდარი ინფორმაცია, მოკალით არა მხოლოდ ქართველები, თქვენ მოკალით რწმენა ჩვენს ქვეყანაში, მოკალით გარდაქმნა ჩვენს ქვეყანაში (ტაში).

**ი. ნ. როდიონოვი:** ამხანაგებო! მე, როგორც ცკ-ის წევრი, რამდენადმე უხერხულად ვგრძნობ თავს, როდესაც ამ ტრიბუნიდან ისმის ბრალდებები მთავრობის, ჯარისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების მისამართით, მაგრამ თითქმის არაფერია ნათქვამი გამსახურდიას, წერეთლის, კოსტავასა და ყველას შესახებ, ვინც მათ მიყვებოდა, ვინც პროვოცირებდა. მათ ხომ ეს სურდათ, ისინი ხომ ყოველმხრივ ცდილობდნენ, ამისთვის მიეღწიათ. (ხმაური დარბაზში). ნება მომეცით ვთქვა, მე ხომ არავის ვაწყვეტინებდი.

აი, ზოგიერთი ამბობს: ინტელიგენტები, ინტელიგენტები. მოდით, მოვიქცეთ ისე, როგორც ჯერ არს. თუ არის პლურალიზმი, მაშ, მოდით, ყველას ჰქონდეს საშუალება, გამოთქვას აზრი, თორემ ზოგიერთი ფიქრობს, რომ მხოლოდ მათ შეუძლიათ თქვან, უნდათ, რომ კვერი დაუკრან. ვინ ჩაუდგა სათავეში ახალგაზრდობას? კიდევ ერთხელ ვიმეორებ: რატომ დავტოვეთ ისინი განზე, ჩრდილში? ხოლო მათი მიზანი რა იყო? დიახ, ისინი ეყრდნობოდნენ სტუდენტობას, მაგრამ მათ ისიც სურდათ, რომ ამ მასობრივ მღელვარებას მრავალრიცხოვანი ხასიათი მიეღო, თუმცა მუშათა კლასი არ გაყვა, მშრომელები არ გაყვნენ. და ვინ წაიყვანეს მათ? სკოლის მოსწავლეები!

თქვენ ხომ ხედავდით, ეს ბიჭები და გოგონები, მასწავლებლების მეთაურობით, როგორ მიდიოდნენ დემონსტრაციის ადგილებისკენ? რატომ არ გაუწიეთ მათ წინააღმდეგობა? განა ბავშვს შესწევს უნარი, გაერკვეს მოცემულ ვითარებაში? და თქვენ ამას აღზრდად თვლით?!

ამხანაგებო! გადავდივარ საქმეზე.

8 აპრილს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და არა ჩემი გადაწყვეტილებით, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მოსკოვიდან ზარის გარეშე იყო მიღებული გადაწყვეტილება, უფრო სწორად, მდგომარეობა შეფასდა როგორც უკიდურესად საშიში, რომელიც შესაძლოა გადასულიყო, გადაელახა ნებადართული საზღვრები. ხოლო მთავრობისა და ცკ-ის წევრების მიმართვები ამ ე.წ. „დემონსტრაციისადმი“, ვინაიდან მას არ შეიძლება ეწოდოს დემონსტრაცია, არავითარ შედეგს არ იძლეოდა. ლოზუნგებსა და ექსტრემისტულ გამოსვლებს აყოლილი მრავალათასიანი ბრბო უმართავი იყო. ძნელია შეფასდეს და ძნელია პროგნოზირება, რაში შეიძლება გადაზრდილიყო ეს „დემონსტრაცია“ ნებისმიერ დროს. ვინ იძლევა გარანტიას, რომ ეს ბრბო არ შევარდებოდა მთავრობის სახლში. და მაშინ რა, ჯარს ავტომატები უნდა გამოეყენებინა? (ხმაური დარბაზში). მომეცით თქმის საშუალება. მე ცენტრალურმა კომიტეტმა დამავალა, გამეწმინდა მოედანი და აღმედგინა წესრიგი, მიმეცა მთავრობისთვის მუშაობის საშუალება, რომელიც აგერ უკვე ერთი წელია ნორმალურად ვეღარ მუშაობს.

აი, ჩვენ ვამბობთ: გარდაქმნა. გარდაქმნა — უპირველეს ყოვლისა, არის შესაძლებლობა, რომ თითოეულმა იმუშაოს. ეს — დემოკრატიის შემდგომი განვითარებაა, ეს საჯაროობის შემდგომი განვითარებაა. და როგორ მუშაობდა საქართველო? აბა, შეხედეთ ეკონომიკურ მაჩვენებლებს: ისინი ხომ არ გაუმჯობესებულა, არამედ პირიქით, გაუარესდა, იმიტომ, რომ არ იყო მუშაობის საშუალება. ჯუმბერ ილიას ძე ყოველ დილას იწყებდა ამ დემონსტრაციის განხილვით და ამითვე ამთავრებდა, პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობის თავისი პირდაპირი მოვალეობებით არ იყო დაკავებული და მე დამევალა, გამეწმინდა მოედანი და რუსთაველის პროსპექტი.

კომენდანტის საათის შემოღება დაგეგმილი არ იყო. კომენდანტის საათის შემოღების გადაწყვეტილება არ იყო. მოედნის დემონსტრანტებისგან გაწმენდის დავალებას ასრულებდა შინაგანი ჯარი. როგორც ცნობილია, ყველა, ვინც სამხრეულებს ატარებს, არ ეკუთვნის საბჭოთა არმიას. ასევე, მესაზღვრეები არ მიეკუთვნებიან საბჭოთა არმიას. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი — არ მიეკუთვნება, მილიცია — არ მიეკუთვნება, შინაგანი ჯარი — არ მიეკუთვნება. მაგრამ შინაგანი ჯარი ჩვენთან არასაკმარისი რაოდენობითაა, რათა დაემყარებინა წესრიგი და მათ დასახმარებლად უხმეს საბჭოთა არმიის ჯარს. შინაგანი ჯარი შეიარაღებულია ფარებითა და ხელჯოხებით. თუ ვინმეს ჰქონდა აირი, ეს იყო გამაღიზიანებელი აირი, რომელიც გამოიყენება წინააღმდეგობის გაწევის უნარის მქონე ადამიანის მდგომარეობიდან დროებით გამოსაყვანად, ისევ იმისთვის, რომ არ ყოფილიყო მსხვერპლი.

მინდა მოგმართოთ: რა, ჯარი აირწინაღებით იყო? ეს ხომ ასე არ ყოფილა. შინაგანი ჯარის უკან საბჭოთა არმიის ჯარი მოდიოდა. მათ არ აქვთ არც ფარი, არც ხელჯოხი. ჯარისკაცებს აქვთ ავტომატები და ნიჩბები, როგორც ორმოს სათხრელი იარაღი. ავტომატის გამოყენება კატეგორიულად აკრძალული იყო, თუმცა ჯარისკაცს აქვს უფლება, თუ მის ან მისი ამხანაგების, ან ირგვლივ მყოფი მოქალაქე პირების სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, გამოიყენოს იარაღი. რა უნდა ექნა მას, გამოეყენებინა ავტომატი? და როდესაც მას თავს ესხმიან? კიდევ ერთხელ მოგმართავთ: ხედავდით, როგორ იქცეოდნენ ისინი, ვინც აყოლილი იყო ამ ვნებებს? ხედავდით, ვინ არ მისცა გამოსვლის, ლაპარაკის საშუალება ილია II-ს, გამოგლიჯა მას მიკროფონი და განაცხადა: ჩვენ აქ უნდა ვიდგეთ სიკვდილამდე? გასასვლელები კი ლენინის მოედნისა და მთავარი ფოსტის მხრიდან წინასწარ იყო ჩახერგილი ბეტონითა და ღორღით დატვირთული თვითმცლელების სამი რიგით, ჩაფუშული საბურავებითა და ავტობუსებით. ხოლო დრო — 4 საათი ბიუროს გადაწყვეტილებით შეირჩა იმიტომ, რომ წინა დღით ამ დროს მოედანზე იყო ათასზე ნაკლები კაცი. მოედანი რომ სწრაფად გაგვეთავისუფლებინა, წინააღმდეგობა უმცირესი რომ ყოფილიყო, მაგიტომ შეირჩა ასეთი დრო. მაგრამ, როდესაც ჯარი ლენინის მოედანს უახლოვდებოდა, ჩვენ ორი საათი ვიდექით, 4 საათამდე და ამ დროის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ გაგვყავდა თვითმცლელები, ავტობუსები, ვწმენდდით გასასვლელებს. ამ დროს იქ იყო არანაკლებ 8 ათასი კაცი და თან, სულ მიდიოდნენ და მიდიოდნენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

*გაგრძელება 29-ე გვერდზე*

რეპორტაჟი ქართული პოლიტიკის ხუხულიდან

# რა ღირს კულისებს მიღმა გაყიდული საქართველო?!

***დასაწყისი იხ. „ა-დ" №18-19***

***„ასავალ-დასავალი" აგრძელებს პოლიტოლოგ გია ხუხაშვილის ახლახან გამოცემული მემუარული ჟანრის წიგნის — „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?" განხილვას. ეს მოგონებები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ავტორი, როგორც ზურაბ ჟვანიას, ბადრი პატარკაციშვილისა და ბოლოს, ბიძინა ივანიშვილის უახლოესი გარემოცვის წევრი, პირადად მონაწილეობდა საქართველოს უახლოესი ისტორიის მნიშვნელოვან და ფართო მასებისთვის დაფარულ მოვლენებში და იმ პერიპეტიებს ეხება, რომლებმაც განსაზღვრეს კიდეც უმძიმესი დღევანდელობა!***






## გია ხუხაშვილი:

## ბიძინამ გაკვირვებულმა დამხედა ფეხებზე და მკითხა – ეს რა გაცვიაო?!




**გია ხუხაშვილი** თავის მემუარებში პირდაპირ ამბობს, რომ სანამ პირადად გაიცნობდა **ბადრი პატარკაციშვილს,** მისდამი არცთუ დადებითი განწყობა ჰქონდა:

***„... მისი პიროვნების მიმართ ჩამოყალიბდა, რბილად რომ ვთქვა, არცთუ დადებითი დამოკიდებულება.***

***ბიოგრაფიის და საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთგვარი თეატრალური მანერის გამო, მქონდა პასუხგაუცემელი კითხვები მის მოტივაციასთან დაკავშირებით. ძნელია დაიჯერო, რომ ადამიანს, რომელმაც გაიარა ურთულესი გზა, გამდიდრდა არცთუ ცივილიზებულ გარემოში, სავარაუდოდ, არცთუ ცივილიზებული მეთოდებით, ამოძრავებს შიშველი, გულწრფელი პატრიოტიზმი და არა აქვს პირადი მიზნები და ამოცანები"*** *(გ. ხუხაშვილი, „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?", გვ. 19).*

და აქ მემუარისტი იხსენებს, რომ ბადრისთან პირველი შეხვედრა მის რეზიდენციაში „არკადიაში" გამართულ რუმინეთის ელჩის გამოსამშვიდობებელ საღამოზე მოხდა... თუმცა, სანამ ბადრი პატარკაციშვილის გაცნობის დეტალებზე საუბარს დაიწყებდა, საკმაოდ ვრცლად მოგვითხრობს, როგორ არ უყვარს ხალხმრავალ წვეულებებზე სიარული, აუცილებელი ოფიციალური ჩაცმულობითა და ფარისევლური ღიმილების დარიგებით. მოკლედ, **ხუხაშვილს** კი ჯინსები და კედები უყვარს და მისთვის წამების ტოლფასი ყოფილა შარვალ-კოსტიუმ-ჰალსტუხები! ჰოდა, ამის თხრობისას, ლირიკული გადახვევის სტილში, იხსენებს **ბიძინა ივანიშვილისა** და თავისი კედების ამბავს:

***„სულ ახალი გაცნობილი მყავდა ბიძინა ივანიშვილი. მეორედ თუ მესამედ ვხვდებოდით ერთმანეთს. პირისპირ ვისხედით და ვსაუბრობდით. უცებ შეამჩნია, რომ ჩემს კედებს ძირი ჰქონდა გაპობილი და ლამის ფეხის თითები მიჩანდა. შეწყვიტა საუბარი და გაკვირვებულმა, რაც საკმაოდ იშვიათად ემართებოდა, მკითხა, ეს რა გაცვიაო.***

***მოკლედ, იმ დღეს დავემშვიდობე ჩემს მრავალჭირნახულ კედებს, ახლები ვიყიდე და მეორე დღეს, მორიგ შეხვედრაზე მოვახდინე მათი დემონსტრირება. ეს იყო იმ დროისთვის საკმაოდ იშვიათი კომპრომისი ჩემი მხრიდან"*** *(იქვე, გვ. 22).*

როგორც ხედავთ, **ხუხაშვილი** საკმაოდ უშნოდ წერს, დახეული კედები ბიძინას გამო გავიხადე და ეს ჩემი მხრიდან დიდი კომპრომისი იყოო! არადა, იგი ვიღაც ერთუჯრედიანი ნამდვილად არ არის, ვერ ხვდებოდეს, რომ დახეული კედებით მილიარდერთან სიარული საკუთარი ნივთისადმი მიჯაჭვულობაზე მეტად, მასპინძლის უპატივცემულობაზე უფრო მეტყველებს.

თუმცა, არის მეორე ვარიანტიც: გამორიცხული არ არის, **ხუხაშვილი** ბიძინა ივანიშვილთან დახეული კედებით იმიტომ დადიოდა, რომ ხელმოკლეობით აეჩუყებინა მისი გული, მეტი ანაზღაურების მიღების მიზნით.

ხუხაშვილი თითქოს თავს იმართლებსო, იქვე იმასაც აღნიშნავს, საყვარელი ნივთები, რომელთანაც განშორება უჭირდა, ბიძინასაც ჰქონდაო:

***„იქვე გეტყვით, რომ, როგორც აღმოჩნდა, ბიძინასაც ჰქონია საყვარელი ტანსაცმელი, რომელსაც წლობით ატარებდა. ერთ-ერთ პირველ შეხვედრაზე ჩემი 30-წლიანი „ჩამოსხმის წითელი პულოვერით რომ დამინახა, თვალები გაუბრწყინდა და მითხრა, მეც მაქვს ასეთიო. მერე „გვქონდა ბედნიერება", ჩვენი პულოვერები ერთმანეთთან „შეგვედარებინა"...*** *(იქვე, გვ. 22).*

მოკლედ, **ხუხაშვილი** ძალიან არადამაჯერებელია: ბიძინას საყვარელი ძველი პულოვერით მისი დახეული კედების არსებობა ვერ მართლდება.

ამის შემდეგ მემუარისტი უბრუნდება **ბადრი პატარკაციშვილის** გაცნობის ამბავს და მისი მონათხრობიდან ადვილი დასადგენი ხდება, რატომ მიიპატიჟა **ბადრი პატარკაციშვილმა** ექსპერტი ხუხაშვილი უცხოელი დიპლომატის გაცილების არაოფიციალურ თავყრილობაზე:

***„ბადრიმ მაშინვე შემამჩნია. მოვიდა, მომესალმა, იქვე ერთ-ერთ ჯგუფთან მიმიყვანა, გამაცნო და დამტოვა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ მოვიდა, ხელკავი გამიყარა და „არკადიას" შიდა პერიმეტრზე წრეზე დავიწყეთ სიარული. მითხრა, ყველაფერს ვკითხულობ, რასაც წერ, თითქმის ყველაფერში გეთანხმები და რაშიც არ გეთანხმები, ისიც საინტერესოდ მიმაჩნიაო.***

***გავცვალეთ პირადი ინფორმაცია, რის შემდეგაც დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ ხელისუფლება თავისი ავტორიტარული მიდრეკილებებით ძალიან სახიფათო ხდებოდა საზოგადოებისთვის და იქვე დაამატა, რასაც აკეთებ, ძალიან მნიშვნელოვანია ამ ტენდენციების შესაკავებლადო.***

***მეც იგივე ვუთხარი ტელეკომპანია „იმედის" განსაკუთრებულ როლზე"*** *(იქვე, გვ. 23).*

ანუ **ბადრი პატარკაციშვილმა** გია ხუხაშვილი სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შეარჩია თანამებრძოლად! თუმცა, როგორც ჩანს, პატარკაციშვილისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც ხუხაშვილისა და იმ მომენტისათვის უკვე მოკლული პრემიერი **ზურაბ ჟვანიას** ახლო ურთიერთობებსაც ჰქონდა:

***„მითხრა, რომ იცოდა ჩვენი ურთიერთობების შესახებ...***

***ამის შემდეგ მკითხა, რას ვფიქრობდი ჟვანიას გარდაცვალების ოფიციალურ ვერსიაზე. ვუპასუხე, რომ წარმოუდგენლად მიმაჩნდა პრემიერ-მინისტრის გარდაცვალება „უბედური შემთხვევის" შედეგად იმ გარემოებებში, რომლებსაც ხელისუფლება წარმოადგენდა, რომ იყო და დღემდე რჩება უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა მის დაღუპვასთან დაკავშირებით. ამ ეჭვებს ისიც აძლიერებდა, რომ სისტემამ, საზოგადოებრივი აზრის დასათრგუნად, იმჟამად, შეიძლება ითქვას, პირველად გამოიყენა „ჭორების გავრცელების" ინსტიტუტი, რაც გამიზნული იყო ზურას დისკრედიტაციისთვის და შეურაცხყოფა მის ხსოვნას*** *(იქვე, გვ. 23).*

რადგან **პატარკაციშვილი** დარწმუნებული იყო, რომ ჟვანია მოკლეს, მან ხუხაშვილს უთხრა, შენი უსაფრთხოებაც დასაცავია და პირადი დაცვის მიჩენა შესთავაზა.

ამაზე, როგორც მემუარისტი წერს, პატარკაციშვილმა უარი მიიღო, თუ ვინმეს ჩემი ლიკვიდაცია სურს, დაცვა ვერ შეაჩერებსო:

***„გარკვეული დროის შემდეგ მივხვდი, რომ ეს წინადადება ერთგვარი ტესტი იყო მისი მხრიდან ჩემი პიროვნების ამოსაცნობად. პირველი შეხვედრების დროს კიდევ არაერთხელ „შეამოწმა" ბადრიმ ჩემი ამბიციები, დამოკიდებულება კარიერასთან, ფულთან...***

***საუბრის ბოლოს მითხრა, რომ მოხარულია ჩემი გაცნობის და შემომთავაზა მეორე დღეს შეხვედრა საუბრის გასაგრძელებლად"*** *(იქვე, გვ. 25).*

აი, ასე დაიწყო **ხუხაშვილისა და პატარკაციშვილის** გაცნობა და ერთგვარი ალიანსი სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ. როგორც მემუარისტი ყვება, ის კვირაში ერთხელ ან ორჯერ მიდიოდა ბადრისთან და განიხილავდნენ სხვადასხვა საკითხს. და როგორც ხუხაშვილი ამბობს, ის ბადრის მესაიდუმლე არ ყოფილა, თუმცა, რომ დაგვცლოდა, ყველაფერი აქეთკენ მიდიოდაო! ამის დასტურად მემუარისტი იხსენებს, როგორ მოუყვა ბადრი პატარკაციშვილმა **პუტინთან** ბოლო შეხვედრის შესახებ:

***„განსაკუთრებით ხშირად იხსენებდა პუტინთან შეხვედრას მას შემდეგ, რაც ბერეზოვსკი პოლიტიკურ ემიგრაციაში წავიდა და რუსეთში დამკვიდრებული რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი კრიტიკოსი გახდა.***

*როგორც ბადრიმ მომიყვა,* ***პუტინმა ძალიან კარგად მიიღო, დიდხანს ესაუბრა, განუმარტა საკუთარი შეხედულებები ქვეყნის განვითარებაზე და ბიზნესის როლზე რუსული სახელმწიფოს განვითარების საქმეში. უთხრა, რომ პატივს სცემს და სიამოვნებით ითანამშრომლებდა მასთან. მაგრამ ბადრის უნდა გაეკეთებინა არჩევანი — ხელისუფლებასთან იყო თუ ბერეზოვსკისთან. ბადრის პასუხი იყო, რომ ის არ იცვლის მეგობრებს. შეიძლება, ეს ისტორია ცოტა შელამაზებულია... თუმცა, ჩვენს ურთიერთობებში არ მახსენდება არცერთი შემთხვევა, როდესაც მას ან ტყუილი ეთქვა ან სიტყვა გაეტეხა"*** *(იქვე, გვ. 26).*

ერთადერთი, **ხუხაშვილის** თქმით, **ბადრი პატარკაციშვილს** ძალიან უყვარდა ტრაბახი საკუთარი პერსონის მნიშვნელოვნებასა და პრინციპების ერთგულებაზეო!

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

## რა ულტიმატუმი წაუყენა პუტინმა კრემლში ბადრი პატარკაციშვილს?!

*სულ რაღაც ათიოდე დღის წინათ, თურქეთის უდიდესი კაშხალის მშენებლობის გამო დატბორილ ქართულ ქალაქ იუსუფელთან მეწყერი ჩამოწვა და თითქოს განგებამაც გააპროტესტა უძველესი ქართული მიწის წყლის ქვეშ მოქცევა. თანაც, ეს ყველაფერი ზუსტად,რელიგიურ დღესასწაულზე — რამადან ბაირამის დღეს მოხდა!*



ძალაუნებურად გვახსენდება ის სტიქიური უბედურება, რაც, მაგალითად, თურქული კომპანია „ენკას" მიერ რიონის ხეობაში, **ნამახვანჰესის** მშენებლობისას ხდებოდა, როდესაც თურქეთში ერთმანეთის მიყოლებით მძლავრობდა სტიქია და თურქული ქალაქები გადაუღებელი წვიმების გამო ხან წყლით იტბორებოდა და ხანაც ხანძრის ალში ეხვეოდა!

ჰოდა, ახლაც ასე მოხდა და იუსუფელის კაშხალზე სტიქიამ იმძლავრა — **ამას გინდა მისტიფიკაცია უწოდეთ და გინდა — ბუნების რისხვა, ფაქტი სახეზეა და ვერსად გავექცევით!**

რაც შეეხება თურქეთის მსოფლიოში სიდიდით ყველაზე დიდ მეხუთე წყალსაცავ **„იუსუფელს"**, ის გასული წლის ნოემბერში გაიხსნა და ამ დროიდან დაიწყო მიმდებარე ტერიტორიების ეტაპობრივი დატბორვა. იუსუფელისა და მიმდებარე ტერიტორიების დატორვის ცერემონიალი კი თვით თურქეთის პრეზიდენტმა **ერდოღანმა** გახსნა. **მან საზეიმოდ ისიც თქვა, იუსუფელებმა დატოვეს სახლები, სადაც დაიბადნენ და გაიზარდნენ, სამუშაო ადგილები და წარსული, რომ ქვეყნის განვითარებისთვის შეეწყოთ ხელიო.**

აღსანიშნავია, რომ ამ წყალსაცავის კაშხლის სიმაღლე **275 მეტრია,** რაც ასსართულიანი შენობის სიმაღლეს შეესაბამება. დაგუბებული წყლის საერთო მოცულობა კი 2 მილიარდ 130 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს, ანუ ეს უზარმაზარი საინჟინრო-ჰიდროლოგიური ნაგებობაა, რომელსაც შეეწირა ქართული კვალი თურქეთში!

**წყალსაცავის მშენებლობა ქართველთათვის კარგად ცნობილ ქალაქ ართვინიდან 70 კილომეტრის დაშორებით მიმდინარეობს და, შესაბამისად, სწორედ ეს ძირძველი ქართული მიწები და უნიკალური კულტურული მემკვიდრეობა დაიტბორა რასაც წყალი ჯერ ვერ მიწვდა, იმასაც განადგურების დიდი საფრთხე ემუქრება! თავად იუსუფელი არ გახლავთ ისტორიული ქალაქი. ის დაარსებულია რამდენიმე იქ არსებული სოფლისა და უბნის გაერთიანების საფუძველზე. ეს სოფლები და უბნებია ვეჟანგეთი, კოწახურა, ჭალა, მახალთა.**

აი, სწორედ ამათი გაერთიანების საფუძველზე, 1950-იან წლებში დაარსდა ქალაქი **იუსუფელი,** რომელიც უკვე აღარ არსებობს... ეს ქალაქი ისტორიული პარხლის ხეობაშია გაშენებული. **აქ პარხლის წყალი უერთდება ჭოროხს და ოდესღაც მთელი პარხლისწყლის ხეობა ქართველებით იყო დასახლებული. ახლა კი იქ 3 ქართული სოფელიღაა დარჩენილი!**

# თურქებმა ისტორიულ ტაოში ქართული კვალი წყალში დაახრჩვეს!

სამწუხაროდ,

**კაშხლის მშენებლობას ეწირება ორი ეკლესია – ჰამზეთის მცირე დარბაზული ეკლესია, რომელიც იუსუფელის გარეუბანში იყო, წყალქვეშ აღმოჩნდა და მეორე – ჭალა, ასევე იუსუფელის გარეუბანში, რომელსაც წყალი უახლოვდება.**

**ამ გიგანტურ კაშხალს, რა თქმა უნდა, არ ექნება კარგი გავლენა ახლოს მდებარე ოთხთა ეკლესიასა და პარხლის ტაძარზეც.** ოთხთა ეკლესიას წყალი რამდენიმე კილომეტრში მიუახლოვდება. ცოტა უფრო მოშორებითაა **პარხლის ტაძარი,** მაგრამ მომატებული ტენი როგორც არქიტექტურას, ისე შემორჩენილ მხატვრობას უდიდეს საფრთხეს შეუქმნის!

**აი, ასე ნადგურდება ქართული მემკვიდრეობა ისტორიულ ტაოში ჩვენი „ისტორიული მეგობრის" მიერ.**

*გიორგი გიგაური*



**წყალსაცავის მშენებლობა ქართველთათვის კარგად ცნობილ ქალაქ ართვინიდან 70 კილომეტრის დაშორებით მიმდინარეობს და, შესაბამისად, სწორედ ეს ძირძველი ქართული მიწები და უნიკალური კულტურული მემკვიდრეობა დაიტბორა!**



# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის №14 ოქმი

*1989 წლის 14 აპრილი*

*დასაწყისი მე-3 გვერდზე*

ეს რაზე მეტყველებს? იმაზე, რომ მზადდებოდა წინააღმდეგობა. ნუთუ გაუგებარია, ამხანაგო ცკ-ის წევრებო? მზადდებოდა წინააღმდეგობა. და ეს წინააღმდეგობა პროვოცირებული იყო იმათ მიერ, ვინც დასაგმობია გამსახურდიას, კოსტავას, წერეთლის და სხვათა მიერ, ჩვენ კი არ ვგმობთ.

მოახლოვდნენ ჯარისკაცები, ისინი 17-18 წლისანი არიან, პატივცემულო ცკ-ის წევრო ქალბატონო. ისინი ორი წელია, მსახურობენ არმიაში და ასევე ჩვენი აღზრდილები არიან.

შემდგომ როგორ განვითარდა მოვლენები? შინაგან ჯარს გაუწიეს წინააღმდეგობა. პირველი დაეცა რიგითი პრიახინი. ის ჰოსპიტალში წევს თავგატეხილი. ის პირველი დაეცა, თავში მოხვედრილი რაღაც საგნის გამო, ჯაჭვი იყო თუ რაღაც სხვა, ცეცხლსასროლი იარაღი არ იყო, არც ერთი გასროლა არ ყოფილა, არც ერთი მხრიდან. ჯარმა, ბუნებრივია, როდესაც მას წინააღმდეგობა გაუწიეს, მოედანი კი უნდა გაწმენდილიყო, მეტი სისხლისღვრა რომ არ მომხდარიყო, გამოიყენა ხელკეტები და დაიწყო ხალხის გარეკვა. ამ პანიკაში დაიწყო ჭყლეტა.

მოითხოვეთ, ცკ-ის წევრებო, კომისიის დასკვნა, გამოვიდეს აქ ჯანდაცვის მინისტრი. არც ერთი დაღუპულის სხეულზე არ არის ფიზიკური ზემოქმედების კვალი: ლითონის საგნებით მიყენებული ნაჩხვლეტი, ნაკვეთი ან სხვა ჭრილობა. ისინი ყველა ასფიქსიით, გულმკერდისა და მუცლის ღრუს დაზიანებით დაიღუპნენ. რატომ არ ითხოვთ? რატომ არ გაწყობთ ეს?

**გ. დ. ლორთქიფანიძე — საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე**

ჩვენ ყოველდღიურად გვაწვდიან ინფორმაციას ტელევიზიით. 13 ადამიანი დაიღუპა ქიმიური ნივთიერებით, გაზით.

**ი. ნ. როდიონოვი:** ამხანაგებო, მოგმართავთ, იმედი მაქვს თქვენი კეთილგონიერების. თქვენ ხომ უკეთ აზროვნებთ, ვიდრე ის ადამიანები, ექსტრემისტებისგან წაქეზებულნი? მოდით, გავერკვეთ.

ჯერ არ ვსაუბრობ, სწორად მოიქცა თუ არა ჯარი, სწორად მოიქცა თუ არა შინაგანი ჯარი, გეუბნებით იმას, რაც ვნახე. იქ ვიყავი და ვხედავდი თქვენი მილიციის უმოქმედობას, რომელიც მთავრობის სახლის კიბის ზედა საფეხურებზე იდგა და მშვიდად აკვირდებოდა, რაც ხდებოდა. როდესაც მოედანი გაიწმინდა, იცით, რითი იყო დაფარული ის? ნახევარი მეტრის სიმაღლეზე სავსე იყო საბნებით, პოლიეთილენის პაკეტებით, ბალიშებით და ა.შ. და ბუნებრივია, როდესაც ხალხი გაიქცა, ეს ყველაფერი ხელს უშლიდა მათ თავისუფლად გადაადგილებაში. ისინი ძირს ეცემოდნენ, მათზე სხვები გადარბოდნენ. მთელი იმ ჩვრების გატანას ავტომანქანების მთელი კოლონა დასჭირდა.

რატომ არ დაიშალნენ ისინი, როდესაც ჯარი დაინახეს? ჯარისკაცებს ხომ ორი საათის განმავლობაში გაჰყავდათ ავტობუსები და თვითმცლელები? მერე ჯარმა ნელნელა დაიწყო ლენინის მოედნიდან მიახლოება. რატომ არ წავიდნენ? რატომ არავინ მოუწოდა მათ, რომ დაშლილიყვნენ? რატომ გასწიეს წინააღმდეგობა?

იმიტომ, რომ ეს ყველაფერი შეესაბამებოდა იმ ლოზუნგებს, რომლებიც გაისმოდა მთავრობის სახლის წინ და იმითაც, რომლებიც დაწერილი და გაკრული იყო.

გამოვთქვამ წუხილს, რომ ამხანაგები, რომლებიც პასუხს აგებენ ინფორმირებაზე, ცუდად გაწვდიან ცნობებს და ყველაფერს ზედმიწევნით არ აჩვენებენ. თქვენ კი სარგებლობთ რაღაც მონაგონით. რაც შეეხება გაზის გამოყენებას, რომელიც შინაგანი ჯარის ეკიპირებაში შედის, იქნება დასკვნა. ეს არის გამაღიზიანებელი მოქმედების აეროზოლი: ადამიანს ცრემლი სდის, აღარ ფუნქციონირებს ლორწოვანი გარსი, რასაც ის მცირე დროით, რამდენიმე წუთით გამოჰყავს მწყობრიდან (ხანგრძლივი ხმაური დარბაზში).

მომეცით საშუალება, გამოვთქვა აზრი! ნიჩბები, შესაძლოა, იყო გამოყენებული, მაგრამ თუ გამოიყენეს, მხოლოდ დაცვის მიზნით. იმიტომ, რომ ჯარისკაცს, ავტომატის გარდა, არაფერი აქვს. რატომ არავინ წუხს ჯარისკაცების გამო. ჩვენც ხომ 37 ადამიანი გვყავს ჰოსპიტალიზებული.

**გ. დ. ლორთქიფანიძე:** ეს იმდენად უსინდისობაა, რომ მოსმენა აღარ შეიძლება.

ამხ. გ. დ. ლორთქიფანიძემ და ამხ. ჯ. ა. ჩარკვიანმა როდიონოვის გამოსვლის დროს, პროტესტის ნიშნად, დატოვეს დარბაზი.

**ი. ნ. როდიონოვი:** ერთს გეტყვით, ამხანაგებო, ხომ შეიძლებოდა, რომ ყოველივე ეს დამთავრებულიყო იარაღის გამოყენებით. რა, ნება უნდა მიგვეცა, რომ იქ ხალხი დაეხვრიტათ? განა ეს სწორია?

სიტყვამ მოიტანა და ის, რაც ბოლო დროს დაიწყო, ჩვენ დავუშვით ჩვენი დემაგოგიით, ზომების მიუღებლობით და ნებაზე მიშვებით. დაიწყო მცირედიდან. საჭირო იყო პოლიტიკური ზომების მიღება, აუცილებელი ზომების, რომ მკაცრად შესრულებულიყო მთავრობის დადგენილება, რათა მთელი დემოკრატია არ გამოსულიყო ნებადართულის ჩარჩოებიდან.

დასასრულს, ამხანაგებო, მინდა ვთქვა, რომ გამოძიება გაერკვევა. დაისჯებიან ისინიც, ვინც სროლა დაიწყო კომენდანტის საათის შემდეგ.

ახლა კომენდანტის საათის შესახებ. სწორად გამიგეთ, ამხანაგებო, როდესაც დგას შეიარაღებული ჯარისკაცი და მისკენ მიქრის ავტომანქანა, ბრძანებაზე „სდექ!" მანქანა თუ არ ჩერდება და პირიქით, უმატებს სიჩქარეს, შედეგი შეიძლება იყოს სავალალო. იცით, ასეთი მოვლენები გვქონდა კიროვაბადში, როდესაც გაქანებულ სატვირთო და მსუბუქ მანქანებს აგდებდნენ მილიციელებისა და ჯარისკაცების მწყობრზე. და მაშინ იღუპებოდნენ ადამიანები, იქაც იღუპებოდნენ. როგორ გინდა ასეთები შეაჩერო? დარწმუნებით?

ჩვენც ვცდილობდით შეგვეჩერებინა, არ დაგვეცხრილა. ამ ყველაფერში გაერკვევიან. გამოძიებას აწარმოებს პროკურატურა და არა მე ან რომელიმე სხვა ორგანო. დამნაშავენი მიეცემიან პასუხისგებაში. იარაღიც გამოყენებული უნდა იყოს კანონის მიხედვით, გაფრთხილებით. როგორც თქვენთვის ცნობილია, ვითარება ძალზე რთული იყო. კომენდანტის საათი დაწესდა დაუყოვნებლივ, რათა შეჩერებულიყო შემდგომი არეულობა ქალაქში. დიახ, სწორედ რომ შეჩერებულიყო. გაიხსენეთ, რა ხდებოდა ქალაქში. ყოველივე ის უნდა აღკვეთილიყო.

აბა, ახლა, როგორი წესრიგია? მოსახლეობამ აჩვენა მაღალი, განსაკუთრებული დისციპლინურობა, გაგებით მოეკიდა საკითხს. მაგრამ კვლავ ჩნდებიან ჯგუფები, ძირითადად, ახალგაზრდობა, რომლებიც ისვრიან ქვებს, ბენზინიან ბოთლებს. პროვოცირებენ, ავრცელებენ ცრუ ხმებს და ასე შემდეგ.

შეგიძლიათ მოუსმინოთ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს. სიტყვამ მოიტანა და ჩვენ ვმუშაობდით მჭიდრო კონტაქტში, ურთიერთქმედებით. ვთვლი, რომ ვუპასუხე თქვენს ყველა კითხვას.

დასასრულს, მინდა ვთქვა, ამხანაგებო! ჩვენი არმია ყოველთვის ხალხთან ერთადაა. მაგრამ არა გამსახურდიასთან და მის მომხრეებთან. არმიამ ყველაფერი გააკეთა, რომ ქალაქში იყოს წესრიგი, სოციალიზმი და იმუშაოს გარდაქმნამ საქართველოში, ის თქვენთან ჯერ კიდევ არ მუშაობს. სანამ ზოგიერთ თქვენგანს ექნება ასეთი შეხედულებები, გარდაქმნა არ იმუშავებს.

**ნ. შ. ვასაძე:** მინდა თქვენ წინაშე ბოდიში მოვიხადო ჩემი თავშეუკავებლობის გამო, მაგრამ, ვფიქრობ, სწორად გამიგებთ. ამ დარბაზში იმყოფებიან ჩემნაირები, „დაწყევლილი" თაობის წარმომადგენლები: მე მომიწია გვამების გატანა ჯერ კიდევ 1956 წელს. ამიტომ სარდალს უნდა ესმოდეს, მე, როგორც სამხედრო მოსამსახურის შვილს, რომ მეკითხებოდნენ: რატომ ესროლეს ხალხს, თუ მათ არაფერი კანონსაწინააღმდეგო არ ჩაიდინეს? ვერაფრით მივიღებ სარდლის განმარტებებს ვერც როგორც ცკ-ის წევრი და ვერც როგორც ამ რესპუბლიკის, ამ ქვეყნის მოქალაქე. მე შეურაცხყოფილი ვარ, ამხანაგო სარდალო. ამავე დროს, მაქვს ორი წინადადება. პირველი: დღეს აქ თითქმის არავის უთქვამს, რა უნდა გავაკეთოთ, რომ ორშაბათს სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები მივიდნენ აუდიტორიებსა და კლასებში. მინდა ვთხოვო ყველა დამსწრეს — დაგვეხმარეთ. რატომ დუმს ბიუროს ყველა წევრი, რატომ დუმს ჩვენი მინისტრი, ამხანაგი ენუქიძე? გევედრებით, მივაწვდინოთ ხმა თითოეულ ოჯახს, დაგვეხმარონ, რომ დავაბრუნოთ მოსწავლეები კლასებსა და აუდიტორიებში. მხოლოდ ამით მივაღწევთ, რომ ტანკები გავიდნენ ქალაქიდან, ჯარისკაცებმა ქუჩებში რომ არ შეურაცხყონ ხალხი.

და მეორე: ჩემი ღრმა რწმენით, გავა წლები, შესაძლოა ათეული, მაგრამ ხალხი არ დაივიწყებს ამ საშინელ ტრაგედიას, რომელიც მოხდა მთავრობის სახლის წინ. ამიტომ შემომაქვს წინადადება, რამდენად რთულიც არ უნდა იყოს ამის რეალურად განხორციელება, გამოვძებნოთ საშუალება ამ შენობის გადასაცემად ახალგაზრდული ცენტრისათვის, მივცეთ იმ ახალგაზრდობას, რომლის წინაშეც ჩვენ ყველა დამნაშა-

*საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის არქივიდან*

*გაგრძელება 31-ე გვერდზე*



ავთანდილ ჯორბენაძე

# ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება საქართველოს ჯანდაცვის სისტემის განვითარებაში

თენგიზ ვერულავა



***1991 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, პირველი ოთხი წლის განმავლობაში, საქართველომ გადაიტანა სამამულო და სამოქალაქო ომების, საბჭოთა კავშირის დანგრევის შედეგად შექმნილი მძიმე ეკონომიკური კრიზისების რთული პერიოდი. ექსპერტთა გათვლებით, 1990-1994 წლებში ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიგა პროდუქტი დაახლოებით 8,000-დან 2,200 დოლარამდე, ანუ 70%-ით შემცირდა, რაც ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო ევრაზიის ქვეყნებს შორის. 1994 წელს ინფლაციის წლიურმა დონემ 7840%-ს გადააჭარბა, ხოლო სამრეწველო წარმოება ნახევარზე მეტით შემცირდა.***

მწვავე ეკონომიკური კრიზისის შედეგად მოიშალა ჯანდაცვის სისტემაც. მკვეთრად შემცირდა სახელმწიფოს მიერ ამ სფეროს დაფინანსება. გამოყოფილი სახსრები მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა სამედიცინო მომსახურების მინიმალურ საჭიროებას. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 90-იანი წლების დასაწყისში სახელმწიფო ბიუჯეტში ჯანდაცვის წილმა 13.2%-დან (1991) 0.54%-მდე (1994) იკლო, ხოლო ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯებში სახელმწიფოს წილი 1995 წელს 4.9%-მდე შემცირდა. ამდენად, ჯანდაცვის ხარჯები ერთ სულ მოსახლეზე1985 წელს 95,5 აშშ დოლარს შეადგენდა, 1990 წელს — 13 დოლარს, ხოლო 1994 წლისათვის ეს მაჩვენებელი 0,90 დოლარის ნიშნულამდე დაეცა.

არსებული ეკონომიკური კრიზისის შედეგად სამედიცინო პერსონალის ანაზღაურება იმდენად სიმბოლური გახდა, რომ წლიური შემოსავალი თვიურ საარსებო მინიმუმზე ნაკლებს შეადგენდა. დაბალი ანაზღაურებისა და არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მკვეთრად შემცირდა ექთნების რაოდენობა, ბევრმა ცნობილმა სპეციალისტმა დატოვა პროფესია და ქვეყანაც.

ჯანდაცვაზე მწირი სახელმწიფო დანახარჯების შედეგად ადამიანებს საკუთარი ჯიბიდან უხდებოდათ სამედიცინო მომსახურების საფასურის გადახდა. უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობა უსახსრობის გამო ვერ იღებდა სასიცოცხლოდ აუცილებელ სამედიცინო დახმარებას. გაუარესდა დემოგრაფიული მაჩვენებლები: გაიზარდა ავადობა, შემცირდა შობადობა, იმატა სოციალურად საშიში დაავადებების რიცხვმა. უფრო მეტიც, **სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 3 წლით შემცირდა და 1995 წელს 70.3 წელი შეადგინა. გაუარესდა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სურათი: 1990 წლიდან 1995 წლამდე პერიოდში დედათა სიკვდილიანობა 100 ათას ცოცხლადშობილზე — 20.5%-დან 55.1%-მდე, ხოლო ბავშვთა მოკვდაობა 20.7%-დან 28.6%-მდე გაიზარდა.** ექსპერტთა შეფასებით, სამედიცინო მომსახურების უკეთ მართვის პირობებში შეიძლებოდა ბავშვთა სიკვდილიანობის საერთო რაოდენობის სულ მცირე 57%-ის თავიდან აცილება, მაგრამ ფაქტია: მკვდრადშობადობის შემთხვევებიდან 74.2% დაიღუპა მშობიარობის დაწყებამდე, მაშინ, როდესაც 1 წლამდე ასაკის პაციენტთა 72%-ის ჰოსპიტალიზაცია 36-48 საათის დაგვიანებით მოხდა.

დამოუკიდებლობის პირველივე დღეებიდანვე ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს ნომერ პირველი დონორი ქვეყანა გახდა როგორც ფინანსური, ასევე ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარების კუთხით. **აშშ-მა საქართველოს დამოუკიდებლობა პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდში, 1991 წლის 25 დეკემბერს, აღიარა. ეს თარიღი უდევს საფუძვლად ქართულ-ამერიკულ ურთიერთობათა დაწყებასაც.**

ამ ურთულეს პერიოდში საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო ამერიკული დახმარება, რომელიც შეიძლება, სამ ეტაპად დავყოთ:

**1. ჰუმანიტარული დახმარება** (მედიკამენტები და სამედიცინო სახარჯი მასალა);

**2. ტექნიკური დახმარება** (ქვეყანაში მედიცინის ახალი მიმართულებების შემოტანა, სამედიცინო პერსონალისა და საზოგადოების განათლების ამაღლება;

**3. ჯანდაცვის სისტემის განვითარების ხელშეწყობა** (აშშ-ის სხვადასხვა ორგანიზაციებთან, ფონდებთან, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან ერთობლივი პროექტებისა თუ პროგრამების განხორციელება.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განსაკუთრებით უმძიმესი ვითარება შეიქმნა სასიცოცხლოდ აუცილებელი მედიკამენტებისა და სამედიცინო ინვენტარით მომარაგებაში. **სათანადო მასალების უქონლობის გამო, ფაქტობრივად, ფერხდებოდა გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციების ჩატარება. პრობლემები შეიქმნა მწვავე და ქრონიკული დაავადებების მკურნალობაში. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ის ავადმყოფები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც საჭიროებდნენ მუდმივ ჩანაცვლებით თერაპიულ მკურნალობას და მედიკამენტებსაც სახელმწიფოსგან ღებულობდნენ. უკიდურესად გართულდა შაქრიანი დიაბეტით დაავადებული ბავშვებისა თუ მოზრდილების ინსულინით მომარაგება.**

მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად სასიცოცხლოდ აუცილებელი მედიკამენტების გარეშე დარჩენილი დაჭრილების დიდი რაოდენობა. ქვეყანა სასწრაფოდ საჭიროებდა სამედიცინო ჰუმანიტარულ დახმარებას.

ამ ურთულეს პერიოდში აშშ-ის დახმარება შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქართველი ხალხის გადარჩენისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ღონისძიებათა კომპლექსი.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს ჰუმანიტარულ დახმარებას დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებამდეც უგზავნიდა. აღიარებიდან ერთი თვის შემდეგ, 1992 წლის 22 იანვარს, **ჯორჯ ბუშმა (უფროსი)** ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისადმი ჰუმანიტარული დახმარების საერთაშორისო კონფერენციაზე განაცხადა, რომ საქართველოს ვაშინგტონი **600 მილიონი დოლარის ღირებულების** ტექნიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას გაუწევდა.

**„ჩვენი მისია გახლავთ, ერთობლივად ვუპასუხოთ დრამატულ რევოლუციას, რომელმაც გაანადგურა საბჭოთა კომუნიზმი და მის ადგილას დატოვა 12 ახალი ერი, რომელიც ცდილობს, თავისი ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიოში და იბრძვის, რათა გაუმკლავდეს საკვებით უზრუნველყოფის კრიტიკულ ამოცანას. საბოლოო წარმატება თუ წარუმატებლობა დამოკიდებულია ამ ახალი ერების ძალისხმევასა და სიბრძნეზე, მაგრამ ისინი მარტო ვერ შეძლებენ გამარჯვებას. ამ 12 ახალ ქვეყანას სჭირდება ჩვენი დახმარება და კეთილი ნება ყველა კონტინენტიდან. შეერთებული შტატები არ დააყოვნებს იმ მომენტში, როდესაც ეს ახალი სახელმწიფოები იბრძვიან იმ იდეალებისათვის, რისთვისაც დაარსდა ამერიკა“.**

**ამ განცხადებიდან ორ თვეში, 1992 წლის 23 მარტს, შეერთებულმა შტატებმა საქართველოსთვის სამედიცინო და ჰუმანიტარული დახმარება გამოყო.**

ქართულ-ამერიკული ურთიერთობები განსაკუთრებით მაღალ დონეზე ავიდა საქართველოში **ედუარდ შევარდნაძის** დაბრუნების შემდეგ. 1992 წლის 23 აპრილს საქართველოსა და აშშ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა, ხოლო იმავე წლის 25 მაისს საქართველოს ოფიციალური სამთავრობო ვიზიტით ესტუმრა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი **ჯეიმს ბეიკერი.** საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმიდან გათავისუფლებული ქვეყნისთვის, რომელიც მწვავე პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ კრიზისში იყო ჩაფლული, ამერიკის სახელმწიფო მდივნის ვიზიტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და გადამწყვეტი როლი შეასრულა საერთაშორისო იზოლაციის გარღვევაში. **ეს იყო ამერიკის შეერთებული შტატების მკაფიო გზავნილი, რომ საქართველო მისი გეოპოლიტიკური ინტერესების არეალში შედიოდა.**

**ჯეიმს ბეიკერმა,** სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად, შექმნა **საქართველოს მეგობართა ორგანიზაცია,** რამაც დიდი როლი ითამაშა ქვეყნისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევაში. **ბეიკერმა** სამშობლოში დაბრუნებისთანავე პირველი და სასწრაფო დახმარება გაუწია საქართველოს. პრეზიდენტმა **ჯორჯ ბუშმა (უფროსმა)** ასი ათასი ტონა ხორბალი გამოგზავნა. ქვეყნისთვის, სადაც სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და მოსახლეობის დიდ ნაწილს საათობით უწევდა პურის რიგში დგომა, ბუნებრივია, ეს უმნიშვნელოვანესი დახმარება იყო.

**საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების ჩამოყალიბების შემდეგ გაიზარდა ამერიკული სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ჰუმანიტარული მისიები. ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერდა საქართველოს გაწევრიანებას საერთაშორისო ორგანიზაციებში, მათ შორის, საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკში.**

1992 წლიდან საქართველოში დაიწყო მუშაობა **აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საქართველოს მისიამ** (იუსაიდი — USAID), რომელიც უმთავრესად არასამხედრო საერთაშორისო დახმარების კოორდინატორი იყო. იგი აშშ-ის სამთავრობო ორგანიზაციაა და მიზნად ისახავს, დაეხმაროს სხვადასხვა ქვეყნების მოსახლეობას, რომელიც ცდილობს თავი დააღწიოს სიღარიბეს, გაიუმჯობესოს ცხოვრების პირობები, აღადგინოს უბედური შემთხვევებით მიყენებული ზარალი და ააშენოს თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყანა.

**ამ დღიდან ამერიკელმა ხალხმა USAID-ის საშუალებით 1,8 მილიარდი დოლარის დახმარება გაუწია საქართველოს.** წარმატებული პარტნიორობის პირობებში აშშ-ის მთავრობა ყოველწლიურად დაახლოებით **50 მილიონ დოლარს** გამოყოფდა 55 სხვადასხვა პროგრამისათვის, რომელიც მხარს უჭერდა საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას, თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასა და დასავლეთზე ორიენტირებულ განვითარებას.

1992 წლის 4 მაისს საქართველოში სამედიცინო ჰუმანიტარული დახმარების ორი და საკვებით დატვირთული სამი თვითმფრინავი ჩამოფრინდა, ხოლო 28 მაისს თეთრი სახლის პრესმდივანმა **მარლინ ფიცუოთერმა** გააკეთა განცხადება კავკასიაში დევნილების ჰუმანიტარული დახმარების შესახებ. **განცხადების თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატები 4 მილიონი დოლარის ღირებულების ჰუმანიტარულ დახმარებას გამოყოფდა „კავკასიის რეგიონში კონფლიქტების შედეგად დაზარალებულთათვის“.** განცხადებაში ხაზგასმული იყო, რომ **„ბოლო ორი წლის განმავლობაში კავკასიის რეგიონში გაიზარდა ეთნიკური დაპირისპირება, რამაც გამოიწვია შეიარაღებული კონფლიქტები აზერბაიჯანის მთიანი ყარაბაღის რეგიონში და საქართველოს სამხრეთ ოსეთში.** ჰუმანიტარული დახმარების მიზანი იყო იძულებით გადაადგილებული პირების უზრუნველყოფა როგორც სამედიცინო, ისე სხვა სახის სოციალური პროგრამებით.

როგორც აღვნიშნეთ, მძიმე მდგომარეობა შეიქმნა **შაქრიანი დიაბეტით** დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ინსულინით მომარაგებაში. საქართველოში ინსულინდამოკიდებულ დიაბეტიანთა რაოდენობა 40 ათასს აჭარბებდა. არსებულ სიტუაციას განსაკუთრებით ამძიმებდა დიაბეტიანი ბავშვების მდგომარეობა **(14 წლამდე ასაკის 300-ზე მეტი ბავშვი).** ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო სახელმწიფო ვერ ახერხებდა ინსულინის შესყიდვას, რაც ათიათასობით დიაბეტიანის დაღუპვას ნიშნავდა.

უმწვავესი პრობლემის გადასაწყვეტად საქართველოს მთავრობის მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ** პირადად მიმართა აშშ-ის სახელმწიფო მდივანს **ჯეიმს ბეიკერს.** დახმარებამაც არ დააყოვნა. 1992 წლის 21 ივნისს საქართველოში ნიუ-ჯერსის შტატიდან სამედიცინო და ჰუმანიტარული მისიის ფარგლებში შემოვიდა ინსულინის 194 000 ფლაკონი და 500 000 ცალი ნემსი. ამ მხრივ აღსანიშნავია უდიდესი ამერიკული ფარმაცევტული კომპანიის „ელი ლილი და კომპანიის“ (Eli Lilly and Company) განსაკუთრებული წვლილი. ამ პროგრამით 1992-94 წლებში საქართველომ აშშ-დან მიიღო 15 მილიონამდე დოლარის ღირებულების ინსულინი **„ჰუმულინი“,** რითიც ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე იქნა შენარჩუნებული.

აქვე აღსანიშნავია, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის დახმარების კოორდინატორის **უილიამ ტეილორის** განსაკუთრებული წვლილი, რომლის ხელშეწყობითაც ამერიკიდან მედიკამენტების დიდი პარტია და სამედიცინო აღჭურვილობა ჩამოვიდა და გადანაწილდა საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებზე.

ხაზგასასმელია **გაერთიანებული მეთოდისტური ეკლესიის ჰუმანიტარული კომიტეტის** (UMCOR) წვლილი, რომელიც ახორციელებდა ბავშვთა და უმწეოთა სამედიცინო დახმარებისა და სპეციფიკურ ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამების მხარდაჭერას შემდეგი პროექტების მეშვეობით:

- **ჯანდაცვის თვითანაზღაურებადი პროგრამა** — შემოტანილი მედიკამენტების მონეტიზაციის შედეგად ამონაგები თანხით ხდებოდა ანტიეპილეფსიური პრეპარატების შეძენა და უფასოდ გადაცემა ნევროლოგიის ინსტიტუტში აღრიცხვაზე მყოფი 3 წლამდე ასაკის და 15 წლამდე სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის;
- **ჰუმანიტარული მედიკამენტების დისტრიბუცია** — ესენციალური მედიკამენტებისა და სამედიცინო მოხმარების საგნების დისტრიბუცია თბილისსა და იმერეთის რეგიონში, ექიმთა პროფესიული და საზოგადო-

**აშშ-მა საქართველოს დამოუკიდებლობა პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდში, 1991 წლის 25 დეკემბერს, აღიარა. ეს თარიღი უდევს საფუძვლად ქართულ-ამერიკულ ურთიერთობათა დაწყებასაც!**

# საქართველო იყო ერთადერთი ქვეყანა (გარდა ბალტიის ქვეყნებისა), რომელმაც უარი თქვა სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის საბჭოურ სისტემაზე, მოახდინა მისი სრული რეორგანიზაცია და ჩამოაყალიბა ევროპულ პრინციპებზე აგებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის ახალი ინფრასტრუქტურა!

ების ცოდნის გაუმჯობესება.

**საქართველოსა და აშშ-ს შორის ურთიერთთანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდა ბილ კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდში (1993-2001). ხელი მოეწერა მემორანდუმებს, რომლებიც აშშ-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავებასა და ორმხრივ სავაჭრო ურთიერთობებს ემსახურებოდა.** საქართველომ 1994 წლიდან თამამი რეფორმების გატარება დაიწყო. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ქართულ მხარეს შესთავაზა გეგმა, რომელიც ქვეყანას არსებული კრიზისის დაძლევასა და საფინანსო-ეკონომიკური სახის რეფორმების გატარებაში დაეხმარებოდა. გეგმა მოიცავდა სამთავრობო ხარჯების შემცირებას, დაბალეფექტური სახელმწიფო ორგანიზაციების გაუქმებას, სახელმწიფო მოსამსახურეთა შტატებისა და ბიუჯეტის შემცირებას, აგრეთვე საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დანერგვა-განვითარებას. უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ის ჰუმანიტარული დახმარება, ფაქტობრივად, ტექნიკურ დახმარებაში გადაიზარდა.

## ბრძოლა ინფექციურ დაავადებებთან

1990-იან წლებში ჯანდაცვის სისტემის მოშლამ, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუარესებამ და პროფილაქტიკური ღონისძიებების ნაკლებობამ ხელი შეუწყო ინფექციურ დაავადებათა მნიშვნელოვან ზრდას. **ბავშვთა და მოზარდთა გეგმური ვაქცინაციის ჩავარდნამ კიდევ უფრო გაართულა შექმნილი მდგომარეობა ასაცრელი მასალის უქონლობის გამო, რამაც დიფთერიის და სხვა საშიში ინფექციეთა აფეთქება განაპირობა.**

ამ ურთულეს პერიოდში აშშ-ის, იაპონიის და სხვა განვითარებული ქვეყნების მთავრობებისა და, განსაკუთრებით, **გაეროს ბავშვთა ფონდის** უდიდესი დახმარების შედეგად შესაძლებელი გახდა ჯერ გეგმური აცრების დაწყება, ხოლო შემდეგ მოსახლეობის მასიური ვაქცინაცია. ამ ორგანიზაციების დახმარებით, 1995-1996 წლებში ქვეყანაში ჩატარდა **3-60 წლის მოსახლეობის 83%-ის იმუნიზაციის კამპანია** TD **ვაქცინით.** მათივე მხარდაჭერით 1995 წელს კახეთში განხორციელდა სხვადასხვა ასაკის მოსახლეობის სეროლოგიური კვლევა **ბუსტერ დოზის შემდგომ დიფთერიის საწინააღმდეგო იმუნიტეტის არსებობაზე.** აღმოჩნდა, რომ 30-49 წლის ასაკის მოსახლეობას დამცავი იმუნიტეტი მაინც არ ჰქონდა. კვლევის საფუძველზე, 1997 წელს ჩატარდა ამ ასაკობრივი კონტინგენტის 86%-ის TD ვაქცინის **მე-2 ბუსტერ დოზით ვაქცინაცია.** შედეგად — **1998 წლიდან დიფთერიის ეპიდემია კონტროლირებადი გახდა.**

ეფექტური ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები იქნა გატარებული წყლისმიერი ნაწლავური ინფექციების, ჰეპატიტების, მუცლის ტიფის სხვადასხვა ეპიდაფეთქებების დროს (ახალციხე, ფოთი, ბათუმი, ქობულეთი, ხონი, რუსთავი...).

**შიდსის წინააღმდეგ ბრძოლასა და უსაფრთხო სისხლის პროგრამის ფორმირებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ამერიკის ალერგიისა და ინფექციურ დაავადებათა ნაციონალური ინსტიტუტის დირექტორს ენტონი ფაუჩის.**

აცრების მაღალი სიხშირის მიღწევისათვის 2002 წლის ივნისში **ჯანმოს ევროპის რეგიონის სასერტიფიკაციო კომისიამ** საქართველოს მიანიჭა **პოლიომიელიტისგან თავისუფალი ზონის სტატუსი,** რომელსაც ჩვენი ქვეყანა დღემდე ინარჩუნებს.

აღსანიშნავია **აშშ-ის აერონავტიკისა და კოსმოსური კვლევის ეროვნულ ცენტრთან** დაწყებული თანამშრომლობა, რომელიც ითვალისწინებდა ეპიდემიოლოგიური კვლევების დაწყებას კოსმოსიდან, აგრეთვე ტელემედიცინისთვის კომუნიკაციური სისტემების შექმნას. **ცენტრის დახმარებით გაჩნდა შესაძლებლობა, კოსმოსური სკანირების საშუალებით მიგვეღო ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე მიკრობული ფლორის გავრცელების შესახებ, რაც გვაძლევდა დაავადებათა გარკვეული ჯგუფის პროგნოზირების საშუალებას.** პროგრამის ფარგლებში, ახალქალაქსა და ახალციხეში **(შავი ჭირის ბუნებრივი კერა)** და ლაგოდეხში **(მალარიის ბუნებრივი კერა)** განხორციელდა ეპიდემიოლოგიური კვლევები. ამ მხრივ აღსანიშნავია აშშ-ის აერონავტიკისა და კოსმოსის ეროვნული სააგენტოს დირექტორის **დანიელ გოლდინის** და მედიცინის საკითხებში ამავე სააგენტოს წამყვანი სპეციალისტის **არნაულ ნიკოგოსიანის** წვლილი.

## ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაცია

ჯანმრთელობის დაცვის დარგში შექმნილი მწვავე კრიზისული მდგომარეობის დასაძლევად, 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან დღის წესრიგში დადგა მისი ძირეული რეორგანიზაციის, პრინციპულად ახალი მოდელის ამოქმედების საკითხი.

**ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო დონის საერთაშორისო კონსულტანტებმა და ექსპერტებმა.** ერთ-ერთი პირველი, ვისთანაც ჯანდაცვის მინისტრმა განახორციელა შეხვედრა, იყო **ემორის უნივერსიტეტის** (ატლანტა, ჯორჯია) **ჯანდაცვის პოლიტიკისა და მართვის დეპარტამენტის დირექტორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის პროფესორი რიჩარდ სოლტმანი.** ამ პიროვნების საერთაშორისო აღიარებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მის მიერ იქნა დაარსებული ბრიუსელში **ჯანმრთელობის სისტემებისა და პოლიტიკის ევროპული ობსერვატორია.** შეხვედრაზე განისაზღვრა რეორიენტაციის პრიორიტეტები, დაიგეგმა სათანადო ღონისძიებები და ინტენსიური ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივები. **რიჩარდ სალტმანმა** მაღალი შეფასება მისცა საქართველოს ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის პროექტს და პირადად ჯანდაცვის მინისტრის მზაობას, პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთმა პირველმა განახორციელოს დარგის რეფორმირების ურთულესი საქმე. მისი თქმით, **„ექსპერტთა ინტელექტუალური მხარდაჭერის გარეშე რეფორმის განხორციელება შეუძლებელია, რადგან არსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობებში საქართველოს არ შეეძლო ამ ტიპის რეორიენტაციის შესაბამისი სამუშაოების დაწყება“.** დარგის მსოფლიოში აღიარებული ექსპერტების ჩართულობა ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის პროექტის შემუშავების პროცესში, საერთაშორისო ორგანიზაციების მეტი მხარდაჭერის მოზიდვის შესაძლებლობას იძლეოდა.

**აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან, ამერიკის საერთაშორისო ჯანდაცვის კავშირთან და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასთან** თანამშრომლობამ მოამზადა ნიადაგი მსოფლიო ბანკის საქართველოს ჯანდაცვის სისტემის პროექტზე მუშაობისთვის. ამ მხრივ აღსანიშნავია **ამერიკის საერთაშორისო**

გაგრძელება 32-ე გვერდზე



ზვიად გამსახურდია და რიჩარდ ნიქსონი. თბილისი, 1991 წლის 29 მარტი



# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის №14 ოქმი

*1989 წლის 14 აპრილი*

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ვენი და დიდ ვალში ვართ.

**კ. ნ. ჩარკვიანი — საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი:**

ამხანაგებო! პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ, როგორც ჩანს, ბევრი რამ გავუშვით ხელიდან ახალგაზრდებთან მუშაობის დროს. განსაკუთრებით ცუდად მუშაობს კომკავშირი, რომელიც თანდათან თმობს თავის იდეურ პოზიციებს. ამასთან, უთმობს არაფორმალურ ორგანიზაციებს, რომელთა სათავეშიც აღმოჩნდნენ ნამდვილი ექსტრემისტები. [...]

მეორე. სერიოზულ შეცდომად მიმაჩნია არასანქცირებული მიტინგის დასაშლელად ჯარის გამოყენება. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სწორი არ არის დაავალო ჯარს საპოლიციო ფუნქციები, არასწორია, რადგან ამან შესაძლოა მიგვიყვანოს დიდ უბედურებამდე. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არ შეიძლებოდა საქმის მსხვერპლამდე მიყვანა, პასუხი უნდა ეგოთ მხოლოდ მოთავეებს.

[...] მიმაჩნია, რომ ჩვენი სამხედროები, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ამ დემონსტრაციის დაშლაში და გახდნენ ამ ტრაგედიის მიზეზი, ვერ შეძლებენ ამ სირცხვილის ჩამოშორებას. ვინ მოკლეს მათ? 17 მოკლულიდან სამი მოხუცი ქალია, ორი — 16 წლის გოგონა, ერთი ფეხმძიმე ქალი და ორი მამაკაცი. სირცხვილია, როდესაც ჯარი, შეიარაღებული თუნდაც ნიჩბებით, კლავს ქალებს, მოხუცებს და გოგონებს. ვფიქრობდი, რომ ამხანაგი სარდალი ამის შესახებ რამეს იტყოდა, მაგრამ ის გაჩუმდა. მისმა გამოსვლამ შეუძლებელია დაგვაკმაყოფილოს. მას არ გაუანალიზებია მომხდარი ტრაგედიის სურათი. დაკმაყოფილდა მხოლოდ ზოგადი დებულებების გადმოცემით. ვიმეორებ, პოლიციური მოვალეობები სარდალმა არ უნდა შეასრულოს. ოფიცრის ღირსება, არმიის ღირსება არ აძლევს მას უფლებას, იტვირთოს მსგავსი მოვალეობები. ამისთვის არსებობს მილიცია. ჩვენმა მთავრობამ და ხელმძღვანელობამ, თუ მან ნამდვილად გადაწყვიტა ჯარის გამოყენება, სერიოზული შეცდომა დაუშვა. ამის გაკეთება არ შეიძლებოდა, არ იყო საჭირო სამხედროების ჩართვა, უნდა ეცადათ, რომ მდგომარეობიდან საკუთარი ძალებით გამოსულიყვნენ.

უნდა ვუსაყვედუროთ ჩვენს ხელმძღვანელობას, რომ დიდხანს უთმენდა ამ ექსტრემისტებს, მათ დაყოლიებასაც კი ცდილობდა. პირადად მე არ მესმის, მათთან მოსალაპარაკებლად რატომ იყო გაგზავნილი რაღაც დეპუტაცია რესპუბლიკის საქმეებზე მოლაპარაკების წინადადებით. ამის გაკეთება არ შეიძლებოდა. მათ, ჩვეული ამბიციურობით, უარი თქვეს დიალოგზე და ამით სილა გააწნეს ხელმძღვანელობას.

[...] მოკლედ ამხ. როდიონოვის გამოსვლის შესახებ. რა თქმა უნდა, მისი ბევრი დასკვნა საკამათოა. მაგრამ მსურს შევეხო შემდეგს. მან აღნიშნა, რომ დაშავებულთა შორის არიან ჯარისკაცები. საკითხავია, სად არის ეს მონაცემები? ხალხმა ამის შესახებ არაფერი იცის. ყოველ საღამოს ჯანდაცვის მინისტრი ტელევიზიით იძლევა ინფორმაციას იმ დაჭრილთა შესახებ, რომლებიც გადიან მკურნალობას სამინისტროს სამკურნალო დაწესებულებებში, მაგრამ სამხედროების შესახებ არ ლაპარაკობს. ხალხს კი სურს, იცოდეს ამის შესახებ. იქ მართლა იყო ჩხუბი, თუ ყველაფერი მოგონილია იმისათვის, რომ გაამართლონ ასეთი უმსგავსობა, დანაშაული? აი, ეს საკითხი უნდა გადაწყდეს. ხალხს უნდა ეცნობოს მონაცემები ჯარის მხრიდან დაშავებულთა შესახებ. და ბოლოს, ოფიცრები, ამ ოპერაციის ხელმძღვანელები უნდა დაისაჯონ უმკაცრესად, უნდა გასამართლდნენ. მათ წინ ბრბო ხომ არ იყო, არამედ იყვნენ საბჭოთა ადამიანები, ქალები, ბავშვები და ოფიცერმა, რომელმაც გასცა ანგარიშსწორების ბრძანება, დანაშაული ჩაიდინა. ისინი იქიდან უნდა გაედევნათ სხვა მეთოდებით, მაგრამ ეს გზები გამოყენებული არ იყო. ეს ძალიან სერიოზული შეცდომაა, რომელსაც გამართლება არ აქვს.

**ზ. ა. ჩხეიძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე:**

[...] შესაძლოა ამხ. როდიონოვმა ვერ შეძლო ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა, მაგრამ წარმოიდგინეთ იმათი ზეწოლა, ვინც პირველი დაესხა თავს ჯარისკაცებს. თავს ნუ იტყუებთ, რომ ეს ასე არ იყო. სწორედ ასე იყო. სამწუხაროდ, შემოქმედებითი ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი იმყოფებოდა მომიტინგეთა შორის, არის ამ მოვლენების ვიდეოჩანაწერი და თავად შეგიძლიათ დარწმუნდეთ: არ იყო გამორიცხული, რომ ისინი მთავრობის სახლში შეიჭრებოდნენ. მაშინ მართლაც მოხდებოდა ტრაგედია: საქმეში ნიჩბები კი არა, ავტომატები ჩაერთვებოდა.

აი, ამ ხიფათმა და ასეთი შედეგის მოლოდინმა მიგვიყვანა გადაწყვეტილებამდე, რომ შემოგვეყვანა ჯარი. თქვენ კარგად იცით, რომ ის ნაწილები, რომლებიც ჩვენს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰყავს, მიზეზთა გამო არ იმყოფებოდნენ თბილისში. რა უნდა გვექნა? ეს უბედურება რომ მომხდარიყო, არც ერთი ჩვენგანი ცოცხალი არ დარჩებოდა. რატომ არ გვინდა გავაანალიზოთ ეს მდგომარეობა?

[...] ჩვენ ვიღებდით ყველა ზომას ვითარების მშვიდობიანად დასარეგულირებლად. განა ჩვენ იმ ახალგაზრდების მტრები ვართ, რომლებიც იქ გამოდიოდნენ? არ ვიცი, როგორ შეძლეს მათ ყველას მიყვანა ასეთ ფანატიკურ მდგომარეობამდე, და არა მხოლოდ იმ ექვსასი მებრძოლისა, მცველი-კარატისტისა, გასაოცარი ფიზიკური ძალის ადამიანებისა ლიდერთა უახლოესი გარემოცვიდან.

თქვენ ხომ იცით, რასაც გაიძახოდნენ ისინი: 8 აპრილს სისხლი უნდა დაიღვაროს, 8 აპრილს ვაჩვენებთ კომუნისტებს, რისი უნარიც გვაქვს. 14 აპრილს ძალაუფლება ჩვენს ხელში იქნება! აღლუმს ან ჩვენ ჩავიბარებთ ან არავითარი აღლუმი არ იქნება! ეს რა, ხუმრობა იყო?

[...] ყველა პატივს ვცემთ რ. ჩხეიძეს მისი შემოქმედების გასაოცარი ჰუმანურობისთვის, მაგრამ გამოამჟღავნა მან ჰუმანურობა თავისი ქმედებებით? პირადად რა გააკეთა ამ ნიჭიერმა ადამიანმა? მისი გამოსვლა ტელევიზიით 9 აპრილის ღამეს ხომ ბოლო ნაპერწკალი იყო. საინტერესოა, რით შეუძლია მას გაამართლოს თავისი გამოსვლა?

ან როგორ შეძლებს თავის მართლებას მ. მაჭავარიანი? ხალხი ხომ, პრაქტიკულად, უკვე იშლებოდა, ისინი აუცილებლად დაიშლებოდნენ კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მიმართვის შემდეგ. ყველამ დაიჩოქა, იწერდნენ პირჯვარს, გადაწყვიტეს, ელოცათ და დაშლილიყვნენ. სწორედ ამ დროს მივარდა მათთან მუხრან მაჭავარიანი და ამბობს: აქ ვრჩები ჩემი ოჯახით, ჩემი სისხლით და ხორცით, არ დაიშალოთ. შემდეგ გადარეულივით შეიჭრა ირაკლი წერეთელი, ხელიდან გამოგლიჯა კათოლიკოს-პატრიარქს მიკროფონი და დაიწყო თავისი მოთხოვნების ძახილი. არ მესმის, რით მოხიბლა ხალხი ირაკლი წერეთლმა, რა იდეები აქვს მას?

თავს არ ვიმართლებ, სინდისს გეფიცებით, კომენტარები თქვენთვის მომინდია.

თქვენ ბრალს გვდებთ, რომ ვერ შევძელით ეფექტური ზომების მიღება და მოვუხმეთ არმიას დასახმარებლად. და არავის ახსენდება, რომ ინტელიგენციასთან შეხვედრის შემდეგ, აქ, ცკ-ში, ჩვენ მოვილაპარაკეთ, ერთად წავსულიყავით მომიტინგეებთან და დაგვეთანხმებინა ისინი, რომ დაშლილიყვნენ. არც ერთი თქვენგანი არ წამოვიდა ჩვენთან ერთად. წავიდნენ მხოლოდ ბიუროს წევრები — ამხ. ამხ. ნიკოლსკი, ჭითანავა, ჩერქეზია, ვარძელაშვილი, მე და თითქმის ყველა ბიუროს წევრი. მივედით ახალგაზრდებთან, ვისაუბრეთ, მაგრამ არ მოგვისმინეს. რა თქმა უნდა, ეს ჩვენი ავტორიტეტის დონის დაქვეითების ბრალია. გავაფრთხილეთ, გონს მოსულიყვნენ, რათა არ განმეორებულიყო 56 წელი. ჩვენთან სასაუბროდ მოვიწვიეთ ბათიაშვილიც და გიორგაძეც, მერაბ კოსტავამ უარი თქვა. მანამდე, საათ-ნახევრით ადრე, მილიციის სამმართველოს უფროსმა მოიყვანა ზვიად გამსახურდია და განუცხადა, რომ მოკლავს მას, თუ ის მიატოვებს ხალხს განსაცდელში. სხვა რაღა გაფრთხილება იყო საჭირო? ვიცოდით, თუ რა გავლენა ჰქონდა მათზე მუხრან მაჭავარიანს, მოვიწვიეთ ჩემთან, მოვიდა ამხ. ფოფხაძეც. თავიდან სამნი ვიყავით, მერე მოვიდა თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. მახარაშვილი. ჩვენ დავარწმუნეთ მაჭავარიანი, რომ დიდი უბედურების საფრთხის წინაშე ვართ. მან გვთხოვა ნებართვა მომიტინგეთა სხვა ადგილზე გადასაყვანად. ნებართვა მივეცით, ოღონდაც მოედანი დაეცალათ, დაძაბულობა მოხსნილიყო. შენობაში ხომ ჯარისკაცები იმყოფებოდნენ, რომლებიც იცავდნენ მთავრობას. რა პრეტენზიები შეიძლება იყოს ჩვენ მიმართ? არაფორმალებს ხომ წმინდა ფაშისტური ლოზუნგები ჰქონდათ.

[...] და კიდევ ერთი, შემომაქვს წინადადება: აუცილებლად მოიძებნოს ის პიროვნება, რომელმაც პირველმა თქვა, რომ ჯარი გამოგზავნილი იყო სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს განკარგულებით. აი, სწორედ ის არის პირველი მტერი, რომელიც ყველაზე მკაცრად დასჯის ღირსია.

[...] ბოლო ორი წლის განმავლობაში არ ყო-

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მასალები

გაგრძელება 33-ე გვერდზე

*დასაწყისი 30-ე გვერდზე*

**ჯანდაცვის ალიანსის** (American International Nealth Alliance - AIHA) **აღმასრულებელი დირექტორის ჯეიმს სმიტის** განსაკუთრებული მხარდაჭერა, რომლის მეშვეობითაც განხორციელდა ჯანდაცვის მინისტრის პირველი შეხვედრა მსოფლიო ბანკთან. **ამ შეხვედრამ დიდად განსაზღვრა საქართველოში ჯანდაცვის სისტემაში ძირეული რეფორმების დაწყება და მისი წარმატებით განხორციელება.** საქართველოს მიმართ გაწეული დამსახურებისათვის ამერიკის საერთაშორისო ჯანდაცვის ალიანსის აღმასრულებელი დირექტორი **ჯეიმს სმიტი** დაჯილდოვდა ღირსების მედლით.

შეხვედრისას მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ჯანდაცვის მინისტრის მიერ წარმოდგენილი რეორიენტაციის პროექტის ძირითადი მიმართულებები ემთხვევა მათ ხედვას და თანხმობა განაცხადეს ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის პროექტში მონაწილეობაზე. **მსოფლიო ბანკმა გამოყო რეორიენტაციის პროექტზე მომუშავე სპეციალური მისია. საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ** მსოფლიო ბანკის წამყვან სპეციალისტებთან და მოწვეულ საერთაშორისო კონსულტანტებთან და ექსპერტებთან ერთწლიანი ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად შეიმუშავა ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის პროექტი. ამ მხრივ ხაზგასასმელია **მსოფლიო ბანკის პრეზიდენტის ჯეიმს ულფენსონის, მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის განყოფილების ხელმძღვანელის ჯუდი ოკონორის, მსოფლიო ბანკის საქართველოს ჯანდაცვის პროექტის მისიის წევრების ანტონიო კამპოსის, ლორა როუზისა და ახტი კალიკორმის წვლილი.**

მსოფლიო ბანკთან ურთიერთობამ, თავის მხრივ, ხელი შეუწყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაინტერესებასა და მისგან რეფორმის პროცესის ცალსახად მხარდაჭერას.

**1994 წლის ოქტომბრიდან ამოქმედდა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სრული რეორგანიზაციის კონცეფცია,** რომელიც მოიცავდა ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეორგანიზაციის ყველა ასპექტს და განსაზღვრავდა მომდევნო წლებში განსახორციელებელი ცვლილებების სამართლებრივ ბაზას, სფეროს ორგანიზაციული მოწყობისა თუ დაფინანსების პრინციპებს.

**რეორგანიზაციის კონცეფციამ თეორიული აპრობაცია გაიარა 1994-1995 წლებში ბორჯომში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე,** რომლებიც **ღია დიალოგის ფორმატში ჩატარდა.** ღონისძიებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ საზღვარგარეთის ქვეყნების ექსპერტები, მათ შორის, მსოფლიო ბანკის ჯანდაცვის განყოფილების წამყვანი ექსპერტები, აშშ-ის ელჩები საქართველოში **კენტ ბრაუნი და უილიამ ქორთნი.** კონფერენციებზე ოფიციალურად მოხდა ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის ინიცირება. **ჯანდაცვის სექტორში სტრუქტურული და ხარისხობრივი რეფორმის პროცესს მხარი დაუჭირა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ, მსოფლიო ბანკმა, აშშ-ის იაპონიის, გერმანიის, შვედეთის, ბრიტანეთის მთავრობებმა.**

ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა **აშშ-ის განვითარების საერთაშორისო სააგენტოს** დახმარებას სამედიცინო სფეროში, რომელიც ორი მიმართულებით განხორციელდა:

**1.** **გადაუდებელი დახმარება, ჰუმანიტარული მედიკამენტები, ბავშვთა კვება და სხვა, რაც საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში მოხმარებული მედიკამენტების 70-75%-ს შეადგენს.**

**2.** **სპეციალური პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებენ სპეციალისტების მომზადების პროგრამების შემუშავებას და მათ განხორციელებას. მაგალითად, მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა ატლანტა-თბილისის პარტნიორული პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ახალი ტიპის სამედიცინო დაწესებულებების შექმნას, ინფორმაციულ უზრუნველყოფას, სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების რეფორმებში მონაწილეობას.**

## საზოგადოებრივი ჯანდაცვის განვითარება

საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანია **აშშ-ის დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრის, მსოფლიო ბანკის, ჯანმოს და ისრაელის საზოგადოებრივი ჯანდაცვის** და განსაკუთრებით **შეერთებული შტატების ჯანდაცვისა და ადამიანური სერვისების მდივნის,** ქალბატონ **დონა ედნა შალეილას** წვლილი. მისი დახმარებით განხორციელდა ჯანდაცვის მინისტრის ვიზიტი **აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრში,** რომელმაც დახმარება აღუთქვა საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის თანამედროვე სისტემის მშენებლობაში. ეს მისია დაეკისრა მათ მიერ გამოყოფილ სპეციალურ წარმომადგენელს, აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის თბილისის ოფისის ხელმძღვანელს, დოქტორ **სტენლი მიუზიკს.** საქართველოში აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრების პირველი მისია 1994-1996 წლებში განხორციელდა და მას სწორედ **სტენლი მიუზიკი** ხელმძღვანელობდა.

საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში დაწყებული რეორიენტაციის შედეგად საფუძველი ჩაეყარა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ახალ მიდგომას, რომელიც მოიცავდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის, სანიტარიული ზედამხედველობისა და ჰიგიენური ნორმირების დეპარტამენტების საქმიანობას. **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის** დაქვემდებარებაში განისაზღვრა სამი ქვედანაყოფი: **დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი, ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და დაავადებათა პროფილაქტიკის ცენტრი, სამედიცინო სტატისტიკისა და ინფორმაციის ცენტრი.** დეცენტრალიზაციის მიზნით ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორდონიანი სამსახურების სისტემა ცენტრალურ და ადგილობრივ, მუნიციპალურ დონეზე. **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება გადანაწილებული იყო ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე, ხოლო მენეჯმენტი და ადმინისტრირება — ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე.** ამოქმედდა ჯანმრთელობის ხელშეწყობის, მოსახლეობის სამედიცინო-პროფილაქტიკური გასინჯვებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ღონისძიებათა მართვის სისტემა. **საზოგადოებრივი ჯანდაცვის ქსელის ჩამოყალიბებას საქართველოში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ეპიდზედამხედველობის მოწესრიგებისა და დაავადებათა კონტროლის სისტემის გაუმჯობესების მხრივ, ასევე ეპიდსიტუაციის პროგნოზირებისა და ადეკვატური პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავებისა და გატარების თვალსაზრისით.**



# ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება საქართველოს ჯანდაცვის სისტემის განვითარებაში

აღსანიშნავია, რომ შემდგომ წლებში ბევრ სხვა ქვეყანასა და, მათ შორის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც ჩამოყალიბდა მსგავსი ფუნქციებისა და სახელწოდების მქონე **საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურები.** ამასთან, საქართველო იყო ერთადერთი ქვეყანა **(გარდა ბალტიის ქვეყნებისა),** რომელმაც უარი თქვა სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის საბჭოურ სისტემაზე, მოახდინა მისი სრული რეორგანიზაცია და ჩამოაყალიბა ევროპულ პრინციპებზე აგებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის ახალი ინფრასტრუქტურა).

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით ფუნქციონირება დაიწყო **თბილისი-მინეაპოლისი** (მინესოტა) **პარტნიორულმა პროგრამამ,** რომლის მიზანს შეადგენდა დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში საავადმყოფოთა ეპიდემიოლოგების და გამოცდილი მედდების გადამზადების პროგრამების შექმნა საავადმყოფოს შიდა ინფექციური კონტროლის გასაუმჯობესებლად. **პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ქართველი ეპიდემიოლოგების პირველი კოჰორტის მომზადება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.**

ცალკე აღნიშვნის ღირსია **თბილისი-სან-ფრანცისკოს** (კალიფორნია) **პარტნიორული პროგრამა,** რომლის მიზანს შეადგენდა ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც შეძლებს საკუთარი რესურსებით არსებობას და უზრუნველყოფს საქართველოს მოსახლეობას უსაფრთხო სისხლითა და სისხლის კომპონენტებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია **ლუგარის ცენტრის შექმნა,** რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1997 წელს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს პრეზიდენტების მიერ ბიოუსაფრთხოების შესახებ ხელმოწერილი ხელშეკრულების დადების შემდეგ. **იგი ეხებოდა ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გაუვრცელებლობას მსოფლიოში და წარმოადგენდა ქვეყნის ბიოლოგიური უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს.** შეთანხმებამ საფუძველი დაუდო ამ ტიპის პროგრამების განვითარებას არამხოლოდ საქართველოში, არამედ აღმოსავლეთ ევროპაში. **საქართველოში ცენტრის შექმნას განსაკუთრებით ლობირებდა ცნობილი რესპუბლიკელი სენატორი რიჩარდ ლუგარი.** 1998 წელს განხორციელდა **ლუგარის** პირველი ვიზიტი პრეზიდენტ **ედუარდ შევარდნაძესთან** და გადაწყდა **ლუგარის ლაბორატორიის** დაარსება. იმის გათვალისწინებით, რომ **ლუგარის ცენტრი** ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, 2002 წელს **რიჩარდ ლუგარის** და სახელმწიფო მინისტრის შეხვედრაზე მოხდა შეთანხმება, რომ **ლუგარის ცენტრი** ყოფილიყო ჯანდაცვის სექტორის დაქვემდებარების ქვეშ და შესულიყო საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში.

დღეისათვის **ლუგარის ცენტრი** ერთ-ერთი საუკეთესო ბაზაა კავკასიის რეგიონში ბიოსამედიცინო სფეროში და ბიოუსაფრთხოებაში სამეცნიერო კვლევებისათვის. ცენტრი უმაღლესი სტანდარტებით არის მოწყობილი და ბიოუსაფრთხოების მესამე დონე აქვს მინიჭებული, რაც ნიშნავს, რომ აქ თითქმის ყველა სახის მიკრობს იკვლევენ. **საქართველოს თანამედროვე კლასიფიკაციით, მესამე დონის ლაბორატორიას კორონავირუსის დიაგნოსტირებაც შეუძლია, რაც ამ ინფექციის დროულად გამოვლენისა და მართვის შესაძლებლობას იძლევა. მისი როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე პანდემიების ხანაში.**

## პირველადი ჯანდაცვის რეფორმირება

1995 წლიდან განხორციელდა არაერთი საპილოტე პროექტი, რომელიც მიმართული იყო პირველადი ჯანდაცვის სისტემის განმტკიცებისკენ. შემუშავებულ იქნა პროგრამები, რომელთა მთავარ მიზანს შეადგენდა **ექიმების გადამზადება ოჯახის ექიმებად.**

სოფლის პირველადი ჯანდაცვის განვითარება დაფინანსდა **ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს** (USAID) მიერ და განხორციელდა **ამერიკის საერთაშორისო ჯანმრთელობის ალიანსის** (American International Nealth Alliance - AIHA) და **საერთაშორისო სამედიცინო კორპუსის** (International Medical Corps - IMC) პროგრამით.

2002 წლიდან მსოფლიო ბანკის მიერ დაიწყო პირველადი ჯანდაცვის სექტორის შემდგომი რეფორმირების მხარდაჭერა. დაიგეგმა **სოფლის მედიცინის პერსონალის სწავლება.** პირველადი ჯანდაცვის განმტკიცების პოლიტიკის ფარგლებში **დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის** მხარდაჭერით განხორციელდა მედიკამენტების რაციონალური და ხარჯთეფექტური გამოწერის პროექტი.

ამავე პერიოდში ამოქმედდა **მსოფლიო ბანკის** მეორე პროექტი, რომელიც მიმართული იყო პირველადი ჯანდაცვის ქსელის შემდგომ განვითარებაზე. **აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ შიდა ქართლის, გურიის და მცხეთა მთიანეთის რეგიონებში დაიწყო პირველადი ჯანდაცვის პროექტების ამოქმედება. ევროკავშირის, ბრიტანეთის, შვედეთის და იაპონიის მთავრობების მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა რამდენიმე ასეული ექიმისა და ექთნის გადამზადება სოფლის მედიცინის მუშაკის სპეციალობით.**

ფუნქციონირება დაიწყო **მცხეთა-მთიანეთი-მილუოკი** (ვისკონსინი) **პარტნიორულმა პროგრამამ,** რომლის მიზანს შეადგენდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში პირველადი ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში, **ამერიკის საერთაშორისო ჯანმრთელობის ალიანსის** პარტნიორი ორგანიზაციის — **დენიელ მიჰენის სოფლის ფონდიდან** გამოყოფილი რესურსებით მცხეთაში აშენდა **პირველი სოფლის მედიცინის ცენტრი,** რომელიც დაკომპლექტდა **მილუოკის** (Milwaukee, Wisconsin) **სოფლის მედიცინის ცენტრში** გადამზადებული ექიმებითა და ექთნებით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ოცამდე ექიმი და ექთანი გადამზადდა აშშ-ში. **ამერიკელების დახმარებით შექმნილი სოფლის მედიცინის ცენტრი იყო ერთ-ერთი პირველი სერიოზული ინვესტიცია ქვეყანაში პირველადი ჯანდაცვის სისტემის განსავითარებლად, რომელიც დღესაც წარმატებით ფუნქციონირებს.**

**გაერთიანებული მეთოდისტური ეკლესიის ჰუმანიტარული კომიტეტის** (UMCOR) ხელშეწყობით განხორციელდა ჯანდაცვის პირველადი რგოლების განვითარების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა იმერეთის რაიონების **(წყალტუბო, თერჯოლა)** ჯანდაცვის პირველადი რგოლის დაწესებულებათა რეაბილიტაციასა და სამედიცინო პერსონალის ტრენინგებს.

**სერიოზული ინვესტიციები განხორციელდა პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების მატერიალური ბაზის გასაახლებლად.** საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით დაიწყო ფიზიკური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტები. მსოფლიო ბანკის, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, ევროკავშირის, ბრიტანეთის და იაპონიის მთავ-

**საქართველომ აშშ-სგან 28 წლის განმავლობაში, 1992-დან 2020 წლის ჩათვლით, დახმარების სახით სხვადასხვა მიზნისთვის ოთხი მილიარდ სამას ორმოცდარვა მილიონ ოთხასი ათასი დოლარი მიიღო. GRS-ის მონაცემებით, ევროპისა და ევრაზიის ქვეყნებს შორის, საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების დახმარების მიმღები წამყვანი ქვეყანაა!**

## ამოქმედდა პროექტი „ტელეკონსულტაციები ინვაზიურ კარდიოლოგიაში“, რომელიც ითვალისწინებს ჯანდაცვის სამინისტროს გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში ჩატარებული ანგიოგრაფიული გამოკვლევების შედეგების (კორონაროგრამების) ელექტრონული ფოსტის და ინტერნეტის მეშვეობით მიწოდებას გერმანიის, აშშ-ის და თურქეთის სხვადასხვა კარდიოლოგიური კლინიკებისათვის!

რობების მიერ დაიგეგმა და დაიწყო პირველადი ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და ტექნიკური აღჭურვილობის მოწოდება. აღნიშნულმა პროექტებმა შესაძლებელი გახადა 200-მდე ამბულატორიის რეაბილიტაცია და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა.

### ჰოსპიტალური სექტორის რეფორმირება

რეორიენტაციის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა **ჰოსპიტალური სექტორის რეფორმირება,** რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს ფინანსურ და ექსპერტულ დახმარებას უწევდნენ. ჰოსპიტალური სექტორის ოპტიმიზაცია რეალურად 1999 წლიდან დაიწყო. **მსოფლიო ბანკმა** შეიმუშავა საქართველოსთვის **„ჰოსპიტლების რესტრუქტურიზაციის პროგრამა“,** რომლითაც განისაზღვრა, თუ რომელ საავადმყოფოებს უნდა გაეგრძელებინათ ფუნქციონირება და რომლებს უნდა შეეწყვიტათ ან შესულიყვნენ საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში.

მსოფლიო ბანკის გეგმაში ერთ-ერთი მთავარი პუნქტის თანახმად, უნდა შექმნილიყო სპეციალური სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფდა ჰოსპიტალური სექტორის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებული იურიდიული საკითხების დარეგულირებას და **„ჰოსპიტალური სექტორის რესტრუქტურიზაციის ფონდის“** ადმინისტრირებას. ფონდში ჩაირიცხებოდა B ჯგუფის საავადმყოფოების პრივატიზაციიდან მიღებული თანხები, რაც შემდგომში ჯანდაცვის სფეროს ინფრასტრუქტურისა და ტექნიკის განახლებისთვის იქნებოდა გამოყენებული. გათვალისწინებული იყო გათავისუფლებული მედპერსონალისთვის ერთჯერადი კომპენსაციების გადახდაც.

2000 წელს შეიქმნა **საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი,** სადაც გროვდებოდა აქტივების გაყიდვითა და საიჯარო ხელშეკრულებებით შემოსული თანხები. 2006 წელს სოციალურ და ჯანმრთელობის ეროვნულ ინსტიტუტთან ერთად ფონდი შეერწყა **საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელ ცენტრს. ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო** (USAID) ძირითადად ჩართული იყო საავადმყოფოების აკრედიტაციის სისტემის შემუშავების პროცესებში.

ჰოსპიტალური რეფორმა ითვალისწინებდა სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის სხვადასხვა ფორმების როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო მომგებიანი და არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობას. **ამით გაიზრდებოდა სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის ფორმებს შორის კონკურენცია, რაც ხელს შეუწყობდა პაციენტის მიერ მისთვის სასურველი, ფინანსურად ხელმისაწვდომი სამედიცინო დაწესებულების არჩევის შესაძლებლობას, სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლებასა და ჯანდაცვის ხარჯების შეკავებას.**

საქართველოში სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 1996 წლის 16 სექტემბერს დაფუძნდა **ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი,** როგორც **ბავშვთა კარდიოლოგიისა და გულის თანდაყოლილი მანკების სადიაგნოსტიკო და სამკურნალო დაწესებულება. ჯო ენის სამედიცინო ცენტრი** არის საქართველოში პირველ „ააიპ“ იურიდიული სტატუსის მქონე, არაკომერციული, არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაცია.

### კარდიო-ქირურგიის დარგის განვითარება

აშშ-ის ტექნიკური დახმარების ერთ-ერთი მაგალითია **დებორას გულისა და ფილტვის ცენტრის** (Deborah Heart and Lung Center) მიერ საქართველოსადმი გაღებული წვლილი. **დებორას ცენტრი** სპეციალიზირებულია გულის, ფილტვის და სისხლძარღვთა თანდაყოლილ და შეძენილ დაავადებათა დიაგნოსტიკა-მკურნალობაზე. არადა, საქართველოში იმ პერიოდში შეუძლებელი იყო გულის მანკით დაავადებული ბავშვების მკურნალობა. წლის განმავლობაში გულის მანკით დაავადებული 10 ბავშვი მიჰყავდათ აშშ-ში, თუმცა, მსგავსი სახის დახმარება გაცილებით მეტი რაოდენობის ბავშვს სჭირდებოდა.

საქართველოში ბავშვთა კარდიოქირურგიის დარგის განვითარების ერთ-ერთი სულისჩამდგმელია **აშშ-ის არასამთავრობო ორგანიზაციის** GLOBAL HEALING-ის **პრეზიდენტი, ქალბატონი ჯო ენ მაკგოვენი.** 1994 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და **ჯო ენ მაკგოვენს** შორის გაფორმდა ხელშეკრულება, **საქართველოს მხარემ საკუთარ თავზე აიღო კლინიკისათვის ფართის გამოყოფა და გარემონტება, ხოლო ამერიკის მხარემ — მისი აღჭურვა და პერსონალის მომზადება.** საქართველოში ბავშვთა კარდიოქირურგიული ცენტრის შექმნის იდეას თავიდანვე დიდი მხარდაჭერა გამოუცხადეს დარგის წამყვანმა ამერიკელმა სპეციალისტებმა. ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული ქართველი სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მკურნალობის უახლესი მეთოდების დანერგვაში. კლინიკა გაიხსნა 1996 წლის 16 სექტემბერს **თბილისის ბავშვთა მე-2 საავადმყოფოს ბაზაზე,** როგორც ბავშვთა კარდიოლოგიისა და გულის თანდაყოლილი მანკების სადიაგნოსტიკო და სამკურნალო დაწესებულება. კლინიკა გაშლილი იყო 1300 კვადრატული მეტრის ფართზე და გააჩნდა ოცსაწოლიანი კარდიოქირურგიული განყოფილება, აგრეთვე — რვასაწოლიანი კარდიორეანიმაცია, ორი საოპერაციო, ერთი ექსპრეს-ლაბორატორია და საოფისე ერთეული. კორპორაცია Global Healing-მა კლინიკა მოამარაგა ყველა საჭირო აღჭურვილობით, სამედიცინო მოხმარების საგნებითა და სახარჯი მასალით, უზრუნველყო პერსონალის გადამზადება, რაც ხუთი მილიონი აშშ დოლარი დაჯდა. კლინიკის სიმძლავრე წელიწადში ორასი ახალშობილის მკურნალობაზე იყო გათვლილი.

**ჯო ენ მაკგოვენი** 1996 წლის 23 სექტემბერს, საქართველოში ბავშვთა კარდიოლოგიისა და გულის ქირურგიის კლინიკის გახსნიდან ზუსტად ერთ კვირაში, გულის ინსულტით გარდაიცვალა. **ანდერძის თანახმად, მისი ორგანოები ტრანსპლანტაციისთვის გამოიყენეს, ხოლო ფერფლი სამ ნაწილად გაიყო და კალიფორნიაში, სანქტ-პეტერბურგსა და თბილისში** (ჯო ენის სამედიცინო ცენტრის კლინიკის ეზოში) **დაიკრძალა.** ჯო ენის ცენტრის დამსახურებით, ქვეყანაში შემცირდა ახალშობილთა და ბავშვთა სიკვდილობისა და ავადობის მაჩვენებელი. **ცენტრი დღეისათვის წარმოადგენს ბავშვთა გულის დაავადებე-**

გაგრძელება 34-ე გვერდზე





# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის №14 ოქმი

*1989 წლის 14 აპრილი*

*დასაწყისი მე-3 გვერდზე*

ფილა უფრო რთული საკითხი, ვიდრე დავითგარეჯთან მდებარე პოლიგონის გადატანაა. ცენტრალურმა ორგანოებმა მხარი დაგვიჭირეს, მიიღეს გადაწყვეტილება პოლიგონზე სროლების შეწყვეტის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, სად უნდა გადაეტანათ იგი. შეუძლებელია არ გვესმოდეს, რა ზიანი ადგებოდა სტრატეგიულ სამხედრო ინტერესებს: როგორ უნდა სრულყო იარაღი სროლების გარეშე? მაგრამ წავიდნენ ამაზე. ამას მოყვა ახალი მოთხოვნა, რომ უნივერსიტეტის სამხედრო კათედრაზე მეცადინეობები არ ტარდებოდეს რუსულ ენაზე. დავაკმაყოფილეთ მათი ეს მოთხოვნებიც. მაგრამ განა შეიძლება დაუსრულებლად წამოაყენო დაუსაბუთებელი მოთხოვნები, რომ ათასი მოკამათიდან ყველა მართალი იყოს. შექმნეს ერთი პარტია, ერთი თვის შემდეგ გახდა 32, ანუ 32 ლიდერი. შეიძლება ყველა, 32-ვე მართალი იყოს? […]

**ო. ე. ჩერქეზია — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე:**

[…] კომენდანტის საათთან დაკავშირებით. გადაწყვეტილება ამის შესახებ მიღებული იყო მაშინ, როდესაც ყველანი დავრწმუნდით, რომ გაჩნდა მოვლენათა გაუთვალისწინებელი განვითარების რეალური საფრთხე. ესე იგი, ჩვენ დავრწმუნდით, რომ სიტუაციის სახიფათო განვითარების შეჩერება სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ დაწესდა კომენდანტის საათი. და ეს, ხაზს ვუსვამ, ჩვენი ინიციატივაა და არა ზემოდან მითითებული. პრინციპში, თავიდან საერთოდ წინააღმდეგი ვიყავი მსგავსი გადაწყვეტილებისა, მაგრამ ხომ ხედავთ, როგორ გამოვიდა? […]

**ე. ა. შევარდნაძე — სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი, სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი:**

[…] რომ ვთქვათ, ხელმძღვანელობა — ამხ. ამხ. პატიაშვილი, ჩხეიძე, ჩერქეზია, ნიკოლსკი, როდიონოვი, ფოფხაძე — არაფერ შუაში არ არიან, რომ ისინი არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ ასეთი გადაწყვეტილების მიღებაში, სადღაც განზე იდგნენ, რომ მოსკოვიდან მოდიოდა სპეციალური მითითებები, არავინ დაგვიჯერებს, რადგან ეს ასე არ არის. გადაწყვეტილებები აქ იქნა მიღებული. შემიძლია პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ეს გადაწყვეტილებაც წავიკითხო, კატეგორიული გადაწყვეტილება. მე ვეთანხმები მას, რომ იყო საგანგაშო, სერიოზული სიტუაცია (კითხულობს): „ბოლო დღეების განმავლობაში ექსტრემისტთა ჯგუფის ანტისაბჭოთა პროვოკაციული მოქმედებების შედეგად მკვეთრად გამწვავდა ვითარება რესპუბლიკაში, ექსტრემისტული ელემენტები ამძაფრებდნენ ნაციონალისტურ განწყობილებას, მოუწოდებდნენ გაფიცვებისკენ, ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობისკენ, არღვევდნენ წესრიგს, ეწეოდნენ პარტიული და საბჭოთა ორგანოების დისკრედიტაციას. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ცკ-ის ბიურო ადგენს: პირველი, მიღებულ იქნას ზომები მრავალათასიანი არასანქცირებული მიტინგის მონაწილეებისაგან მთავრობის სახლის წინ მოედნის გასათავისუფლებლად მილიციის, შსს ჯარების, საბჭოთა არმიის ქვედანაყოფების დახმარებით. ამ ოპერაციის ხელმძღვანელობა დაევალოს წითელდროშოვანი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალს, გენერალ-პოლკოვნიკ როდიონოვს. აი, ცკ-ის ბიუროს გადაწყვეტილება. ძირითადი დოკუმენტი კომენდანტის საათის შემოღების შესახებ ასევე მიღებული იქნა აქ, რესპუბლიკაში.

მინდა კიდევ დავაზუსტო და ხაზი გავუსვა ასეთი ნიუანსის მნიშვნელობას. რამდენჯერმე, როდესაც ვიმყოფებოდით ლონდონში, კუბაში და ისევ ლონდონში, ვიღებდით ინფორმაციას, რომ აქ ყველაფერი წესრიგში არ არის, ყველაფერი ნორმალურად არ არის. მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი გამოთქვამდა გარკვეულ წუხილს ამასთან დაკავშირებით. როდესაც დავბრუნდით, გავიგეთ, რომ, მართლაც, სიტუაცია მარტივი არ იყო, რთული იყო. მან მთხოვა დამერეკა და დამეზუსტებინა. დიახ, მართლაც, ასეთი საუბარი ჯუმბერ ილიას ძესთან შედგა, მან ახსნა ვითარება, მაგრამ არ ყოფილა საუბარი იმის შესახებ, რომ საჭიროა საგანგებო ზომები, საჭიროა რაიმე აქცია, დაკავშირებული სამხედრო ჩარევასთან და ა.შ. მეორე დღეს მიხეილ სერგის ძემ კვლავ დარეკა, დაინტერესდა და მკაფიოდ, გარკვევით, ჯუმბერ ილიას ძეს შეუძლია დამიდასტუროს, მხარი დაუჭირა პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, ე.ი. მოცემულ ვარიანტს — სწორედ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას.

[…] ითხოვდა (გორბაჩოვი), კატეგორიულად ითხოვდა, თუ ეს შესაძლებელია, არ გამოეყენებინათ ძალა და საკითხები გადაწყვეტილიყო პოლიტიკური გზით. არ გამოვიდა. გადაწყვეტილება აქ არის მიღებული. სხვა საკითხია — როგორ განხორციელდა ეს გადაწყვეტილება. აქ, მართლაც, საჭიროა სერიოზულად გარკვევა. მაგრამ ვერავითარი არმია, გარწმუნებთ, ვერავითარი ჯავშანტრანსპორტიორები ვერ დაგვეხმარებიან, თუ ჩვენ ყველა არ მოვკიდებთ საქმეს ხელს, თუ არ იმუშავებს ჩვენი ავტორიტეტი, თუ ჩვენ ვერ ვიმუშავებთ ხალხთან, ახალგაზრდობასთან. შეხედეთ, თითქმის 150 ათასი, მეტი თუ არა, სტუდენტი გაფიცულია, ალბათ, უკვე ათი დღეა. სკოლის მოსწავლეები რამდენი არიან, ნახევარი მილიონი, მილიონი, უკვე ვერც დათვლი, არ დადიან სკოლაში. სკოლები არ მუშაობს. საჭიროა მისვლა უნივერსიტეტში, საჭიროა მისვლა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რაც არ უნდა ძნელი იყოს.

გუშინწინ მინდოდა უნივერსიტეტში მისვლა, მაგრამ რექტორმა, ამხ. ამაღლობელმა მთხოვა, არ მივსულიყავი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დღესაც, უნდა გითხრათ, არ არიან დარწმუნებულნი, რომ ასეთი შეხვედრა საერთოდ შესაძლებელია. უფრო მეტს გეტყვით. მათ მომმართეს და მთხოვეს: თუ თქვენ ასე გადაწყვიტეთ, მოდით, მიგიღებთ, თუმცა ეს იქნება ძალზე მძიმე, რთული შეხვედრა. თან არ მოიყვანოთ ჯუმბერ ილიას ძე პატიაშვილი. შესაძლოა ექსცესებს ჰქონდეს ადგილი, შესაძლებელია ასევე სხვა სირთულეებიც. […]

**ბ. ვ. ნიკოლსკი — საქართველოს კპ ცკ-ის მეორე მდივანი:**

სულ ორიოდე სიტყვის თქმა მსურს. აქ ზოგიერთმა ამხანაგმა ბრალდება გამოთქვა ჩემი მისამართით. ალბათ, ფიქრობდა, რა მხნედ მიჰყავს პლენუმიო. შემიძლია გითხრათ, რომ დავალებული მაქვს პლენუმის წაყვანა, წყდება ჩემი მეგობრების, კოლეგების საკითხი. ვთვლი, რომ მეც, ისევე როგორც ისინი, დამნაშავე ვარ ამაში, მაგრამ თუ დავალებული მაქვს, რამდენადაც შესაძლებელია, ვაკეთო საქმე და დავეხმარო რესპუბლიკას ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლაში, მე ვიმუშავებ. ვფიქრობ, რომ ყველა მივიღებთ იმას, რაც გვეკუთვნის, და ყველა აგებს.

**ჯ. ი. პატიაშვილი:** სიცხადისთვის მინდა გაცნობოთ შემდეგი. იმ ტრაგიკულ ღამეს, როდესაც ჩვენ პირველივე შეტყობინებაში მოგვახსენეს იმის შესახებ, რომ ორი დაღუპულია, მივმართე ბიუროს წევრებს და ვთქვი, რომ ვტოვებ თანამდებობას. ეს გადაწყვეტილება მიღებულია 9 აპრილს და არ არის დაკავშირებული მეცნიერებათა აკადემიაში გამართულ საუბართან.

[…]

**ვ. პ. ესვანჯია — საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის დირექტორი,** რეპლიკა ადგილიდან:

[…] მდგომარეობა ძალიან დაძაბულია, ხალხი უკიდურესად აღშფოთებულია, ყველაფერზე სრულ პასუხს ითხოვს. და ამ დროს გამოდის პლენუმზე ოლქის სარდალი და მორალს გვიკითხავს. ის არ გრძნობს თავს დამნაშავედ იმ დროს, როდესაც დანაშაულის მთელი სიმძიმე სწორედ სამხედროების კისერზეა.

ჩემი აზრით, ამხანაგ როდიონოვს არა აქვს მორალური უფლება უხელმძღვანელოს ამიერკავკასიის ჯარებს. თუ მას ოდნავ მაინც აწუხებს სინდისი, უნდა გადადგეს. ვფიქრობ, ის უნდა გადააყენონ მანამ, ვიდრე არ განისაზღვრება იურიდიული ბრალდება. მან ყველა შემთხვევაში უნდა დატოვოს თბილისი, ვინაიდან რაც მოხდა 9 აპრილს, იყო ბოროტად განზრახული აქცია, მიმართული არა მხოლოდ ქართველი ხალხის, ქართველი ახალგაზრდობის წინააღმდეგ, არამედ, პირველ რიგში, პარტიის პოლიტიკის — გარდაქმნისა და დემოკრატიის წინააღმდეგ.

**ე. ა. შევარდნაძე:** დღეს სხდომაზე ბიუროს ზოგიერთმა წევრმა განაცხადა, რომ მზად არის გადადგეს. ასეთი განცხადება გააკეთეს ამხ. ნ. ა. ფოფხაძემ, ამხ. ო. გ. ვარძელაშვილმა და ზოგიერთმა სხვა ამხანაგმა. ახლა ბორის ვასილის ძე ნიკოლსკი საუბრობდა გადადგომის შესახებ. ვფიქრობ, დღეს ამ საკითხების გადაჭრა არ შეიძლება.

**ე. ა. შევარდნაძე — სკკპ ცკ-ის პოლიტბი-**

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის არქივი**

*გაგრძელება 35-ე გვერდზე*

დასაწყისი 30-ე გვერდზე

**ბისა და მასთან ასოცირებული პრობლემების ადრეული დიაგნოსტიკის, მკურნალობის და მეთვალყურეობის თანამედროვე კლინიკას.**

## დედათა და ბავშვთა გადარჩენის პროგრამების განხორციელება

გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში მწვავე დემოგრაფიულმა კრიზისმა იჩინა თავი. შობადობა დრამატულად დაეცა, დაბადებულთა შორის მკვეთრად გაიზარდა პირველი ბავშვის ხვედრითი წილი, ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი მატების ტენდენციით ხასიათდებოდა. ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდა საზოგადოების ყველაზე სათუთი და ფაქიზი ფენა: ქალები და ბავშვები. ასეთ ვითარებაში დედათა და ბავშვთა გადარჩენის სახელმწიფო პროგრამების განხორციელება დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. **აღნიშნულ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში ამერიკის საერთაშორისო ჯანმრთელობის ალიანსის** (American International Health Alliance - AIHA) **მიერ შეტანილი წვლილი.** ამერიკელი პარტნიორების დახმარებით და **ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს** მხარდაჭერით, საქართველოში დაიწყო **ახალშობილთა რეანიმაციის პროექტის** განხორციელება, რომლის მიზანი იყო ნეონატოლოგებისა და მეან-გინეკოლოგებისათვის პროფესიული ცოდნის გაღრმავება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება ახალშობილთა გადაუდებელი მდგომარეობების მართვის სფეროში.

ახალშობილთა რეანიმაციის საკითხების სწავლების პროცესში მონაწილეობის მისაღებად AIHA-ს ბევრმა პარტნიორმა ინსტიტუტმა გამოაგზავნა მაღალკვალიფიციური სპეციალისტები საქართველოში. **ქართველ ექიმთა დასახმარებლად ჩამოვიდნენ და ტრენინგების ჩატარებაში მონაწილეობდნენ პროფესიონალები ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლიდან და ატლანტას ბავშვთა ჯანდაცვის სკოლიდან.** AIHA-ს დახმარებითა და პარტნიორი სამედიცინო დაწესებულებების მონაწილეობით, **თბილისში, ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს ბაზაზე ჩამოყალიბდა ბავშვთა გადაუდებელი დახმარების ცენტრი,** პირველი თანამედროვე პედიატრიული Emergency სამხრეთ კავკასიის რეგიონში. პედიატრიული გადაუდებელი დახმარების განყოფილების ფორმირებაში მონაწილეობდა **პროფესორი სტივენ ლანსკი,** რომელიც ბავშვთა ჯანდაცვის ცენტრში მოღვაწეობდა ეგლესტონში და აქტიურად იყო ჩართული სამედიცინო პერსონალის გადამზადების პროცესში.

**ატლანტა-თბილისის სამედიცინო პარტნიორული პროგრამის ფარგლებში 1997 წელს ბავშვთა №3 საავადმყოფოსა და №5 სამშობიარო სახლის ბაზაზე ამერიკელი სპეციალისტების მიერ ჩატარდა ტრენინგის კურსები ახალშობილთა რეანიმაციასა და ფეტალურ მონიტორინგში ინსტრუქტორების მომზადების მიზნით, რომელთაც შემდგომი კვალიფიკაცია გაიარეს აშშ-ში.**

ამერიკელების დახმარებით ჩატარებული ზემოაღნიშნული ღონისძიებების შედეგად ამაღლდა მშობიარობამდელი, მშობიარობის პერიოდისა და მშობიარობისშემდგომი მომსახურების დონე, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლები.

## სამედიცინო განათლების განვითარება

სამედიცინო განათლების სრულყოფა ჯანდაცვის სისტემის რეორგანიზაციის კონცეფციის 13 მიმართულებიდან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენდა და ითვალისწინებდა სამედიცინო განათლების სფეროში არსებული ქაოსური პროცესების მოწესრიგებას, სამედიცინო კადრების სწავლებასა და პროფესიული მომზადების დონის ამაღლებას.

**სამედიცინო განათლების რეფორმის კონცეფცია** შემუშავებულ იქნა **მსოფლიო ბანკის** ექსპერტებთან ერთად, მსოფლიოში არსებული თანამედროვე გამოცდილების გათვალისწინებით. სამედიცინო საგანმანათლებლო სისტემის მოდერნიზაციის მიზნით, მსოფლიო ბანკის მხრიდან წამოყენებულ იქნა სპეციალური პირობები, რომელთა ქართული მხარის მიერ დაკმაყოფილება აუცილებელი იყო კრედიტის გამოსაყოფად. ამ პირობებს მიეკუთვნებოდა: მედიცინის გარკვეულ სპეციალობებში რეზიდენტურების პროგრამების, ანუ პოსტდიპლომური მზადების სარეგულაციო ნორმატივების მიღება, სამედიცინო პერსონალისა და სამედიცინო უმაღლესი და საშუალო სასწავლო დაწესებულებების აკრედიტაციისა და ლიცენზირებისათვის ნორმატიული აქტების მიღება და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, სამედიცინო სასწავლო დაწესებულებებისათვის ყოველწლიურად მისაღები კონტინგენტის ლიმიტის დაწესება. მსოფლიო ბანკის ეგიდით, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეციალისტებისა და უცხოელი ექსპერტების მიერ ერთობლივად მომზადებულ იქნა რეზიდენტურის პროგრამები.

**სამედიცინო განათლების სისტემის რეორიენტაცია ეფუძნებოდა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში აპრობირებულ უმკაცრეს რეგულაციებს და „მოთხოვნა-მიწოდების“ საბაზრო პრინციპს, ანუ კონკურენტუნარიანი ჯანდაცვის მუშაკების შენარჩუნებას და მომზადებას, რისი მიღწევაც უწყვეტი სამედიცინო განათლების უზრუნველყოფითა და ცოდნის ხარისხის მაკონტროლებელი და მარეგულირებელი მექანიზმებით არის შესაძლებელი. ასეთი მექანიზმები იყო სერტიფიცირების, ლიცენზირებისა და აკრედიტაციის პროცედურები.**

გრძელვადიანი ტექნიკური დახმარების პროგრამების განხორციელებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის **თბილისთან დაძმობილებული ქალაქ ატლანტას წამყვან სამედიცინო ცენტრებს,** რომელთა ხელშეწყობით შეიქმნა **ატლანტა-თბილისის პარტნიორული პროგრამა,** რომლის კოორდინატორი იყო ქართველი ხალხის უდიდესი მეგობარი **ჰენრი კენეტ უოლკერი — უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის მედიცინისა და ნევროლოგიის პროფესორი, როლინსის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლის გლობალური ჯანმრთელობის პროფესორი.**

**პროფესორი კენ უოლკერი** USAID-ის „Georgia to Georgia“-ის პროგრამის ფარგლებში საქართველოს პირველად 1992 წელს ეწვია. ამერიკული კორპორაციის **(„პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისათვის“ — PfiD) აღმასრულებელმა დირექტორმა უოლკერმა** უხელმძღვანელა **ატლანტა-თბილისის საგანმანათლებლო და ჯანდაცვის დაწესებულებათა პარტნიორობას.** კენეტ უოლკერის ინიციატივით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის წარმატებული თანამშრომლობის შედეგად განხორციელდა დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს თანამედროვე დასავლური სტილის სამედიცინო განათლების მოდელს. პროგრამის მეშვეობით დღესაც წარმატებით ხორციელდება სტუდენტების, კლინიკური რეზიდენტების, ახალგაზრდა სპეციალისტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამები **ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლაში.** პროგრამის ფარგლებში სტუდენტებმა უკვე მიაღწიეს წარმატებას შეერთებული შტატების სამედიცინო სალიცენზიო გამოცდებზე (USMLE). **საქართველოსა და ატლანტის პარტნიორობის ფარგლებში თანამშრომლობა მომავალშიც შეუწყობს ხელს ქართველ ახალგაზრდა ექიმთა თაობების აღზრდას და ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის განვითარებას.**

**კენეტ უოლკერის** ხელშეწყობით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიხსნა **ექთანთა გადამზადების სკოლა,** საქართველოში ხელი შეეწყო რეაბილიტაციის დარგის, შიდსისა და ტუბერკულოზის კვლევის განვითარებას. საქართველოს მიმართ გაწეული დამსახურებისათვის **ჰენრი კენეტ უოლკერს** თბილისისა და საქართველოს საპატიო მოქალაქის და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა.

სამედიცინო განათლების და მეცნიერების სისტემის რეორიენტაციის პროცესში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა **აშშ-ის ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტი** (National Institutes of Health — NIH), რომელიც წარმოადგენს შეერთებული შტატების მთავრობის სააგენტოს, როგორც ჯანმრთელობისა და ადამიანური სერვისების დეპარტამენტის ნაწილი და პასუხისმგებელია ბიოსამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევებზე. **აშშ-ის ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის დახმარებით, სამედიცინო მეცნიერების მართვისა და დაფინანსების სრულყოფის მიზნით, შემოღებულ იქნა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გრანტული წესით დაფინანსების მეთოდი. ინსტიტუტის მიერ ჩატარდა სპეციალური ვორკშოფები ქართველი მეცნიერებისათვის, სადაც განხილულ იქნა კვლევითი გრანტების მოპოვების მექანიზმები.**

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ინსტიტუტის ხელშეწყობა ჩვენი მეცნიერული კვლევების საერთაშორისო სამედიცინო-ბიოლოგიურ თემატიკებში ინტეგრირების კუთხით. სწორედ ამ პროცესის ხელშეწყობას ითვალისწინებდა **ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს** 2000 წლის **მეცნიერებისა და განათლების განვითარების პროგრამის** დამტკიცება, სადაც გათვალისწინებულია ჩვენი მეცნიერებისთვის უცხოელი პარტნიორების მოძიებისა და კვლევათა ინტეგრირების პროცესის ინტენსიური ხელშეწყობა. შედეგად — ყოველწლიურად იზრდება მოპოვებული გრანტების რაოდენობა, რაც ჩვენი ინტელექტუალური პოტენციალის საერთაშორისო აღიარების დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს. ჩვენმა მეცნიერებმა დაიწყეს უცხოელ პარტნიორებთან წარმატებული თანამშრომლობა.

**აშშ-ის გულის, ფილტვებისა და სისხლის ნაციონალური ინსტიტუტის** მხარდაჭერით, ასთმის გლობალური ინიციატივის ფარგლებში ქართულ ენაზე გამოიცა სახელმძღვანელოები ექიმებისთვის, ექთნებისთვის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის მუშაკთათვის, ოჯახებისათვის.

ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში მეტად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება **საშუალო რანგის მენეჯერთა და ადმინისტრატორთა** რგოლს. ამ თვალსაზრისით, ფუნქციონირება დაიწყო **თბილისი-სკრენტონის** (პენსილვანია) **პარტნიორულმა პროგრამამ,** რომლის მიზანია ჯანდაცვის მართვის ნაციონალური ცენტრის უწყვეტი განათლების ცენტრში ჯანდაცვის მენეჯერთა მომზადებისა და გადამზადების პროგრამების შემუშავება და დანერგვა.

ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის პროცესში გამოიკვეთა საშუალო სამედიცინო პერსონალის ადგილისა და როლის ახლებური განსაზღვრის აუცილებლობა. **საქართველოში საექთნო საქმიანობის გაძლიერებას ხელი შეუწყო ამერიკის ჯანმრთელობის საერთაშორისო ალიანსმა, რომელმაც ორგანიზაცია გაუკეთა ექთნების სწავლებას საზღვარგარეთის საექთნო სკოლებში** (მაგ., აშშ-ის ჯორჯიის შტატში, ატლანტის საექთნო სკოლაში).

1998 წლის 15 მარტს ამერიკელი პარტნიორების მსოფლიო ბანკთან წარმართული მუშაობის შედეგად თბილისში ჯანდაცვის მართვის ნაციონალურ ცენტრში გაიხსნა უწყვეტი საექთნო განათლების კომპონენტი.

1998 წლის 16-19 მარტს **ბრეიდის ჰოსპიტლის** წარმომადგენლების მიერ ჩატარდა კურსი, რომელიც მოიცავდა შემდეგ თემებს: გულ-ფილტვის რეანიმაცია, ინტრავენური თერაპია, საექთნო შეფასება. კურსს ესწრებოდა 47 ექთანი თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონების კლინიკებიდან.

1998 წლის მაისში სამი წარმომადგენელი იმყოფებოდა **ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტში** უმაღლესი საექთნო სკოლის მუშაობის გასაცნობად და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საექთნო ფაკულტეტისთვის სასწავლო პროგრამების შესამუშავებლად.

1998 წლის ივნისს განხორციელდა **ამერიკელ სპეციალისტთა ვიზიტი საქართველოში უმაღლესი საექთნო სკოლის შექმნასთან დაკავშირებით. „ატლანტა-თბილისის სამედიცინო პარტნიორობის“** ფარგლებში შემუშავებული იქნა საექთნო სკოლის სასწავლო გეგმა. შედგენილი იქნა კურიკულუმები ბებიაქალებისა და ზოგადი პრაქტიკის ექთნების მოსამზადებელი კურსებისათვის.

**„ატლანტა-თბილისის სამედიცინო პარტნიორული“ თანამშრომლობის პროგრამის“** ფარგლებში ჩამოყალიბდა **„ლიდერი ექთნის“** მოსამზადებელი კურსი, რომელიც ჩატარდა სკრენტონის უნივერსიტეტის (აშშ) პედაგოგების დახმარებით.

კურსის ჩამოყალიბების მთავარ მიზანს შეადგენდა იმ ძირითადი ბირთვის მომზადება, რომელზე დაყრდნობითაც ადგილებზე მოკლე დროში უნდა დანერგილიყო ექთნების ცოდნის ამაღლების ახალი ფორმები და მეთოდები.




# ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება საქართველოს ჯანდაცვის სისტემის განვითარებაში

## ეროვნული საინფორმაციო სასწავლო ცენტრის შექმნა

**ჯეიმს სმიტის და კენეტ უოლკერის** დახმარებითა და უშუალო ხელმძღვანელობით, **ამერიკის ჯანმრთელობის საერთაშორისო ალიანსის „თბილისი-ატლანტას პარტნიორული პროგრამის“** ფარგლებში, საქართველოში დაარსდა **ეროვნული საინფორმაციო სასწავლო ცენტრი,** რომელიც საქართველოს ბიოსამედიცინო დარგების მუშაკთათვის მსოფლიოს თანამედროვე ინფორმაციული რესურსებისკენ გაჭრილი ფანჯარა გახდა.

ეროვნულ საინფორმაციო სასწავლო ცენტრში 1998 წლის დასაწყისში დამონტაჟდა რადიომოდემი, რომელმაც უზ-

**მსოფლიო ბანკის ჯანდაცვის პროექტის დახმარებით, 1998 წლის მეორე ნახევარში შექმნილ იქნა წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორია და სპეციალისტებს გაეწიათ საკონსულტაციო დახმარება. წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყანაში ხარისხიანი მედიკამენტების ბრუნვაში!**

# როგორც საქართველოს, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებშია ერთმანეთს შორის ურთიერთობების გაღრმავება, სანდო პარტნიორობა და მოკავშირეობა!

რუნველყო ინტერნეტის მიწოდების გაზრდა სამედიცინო მომხმარებლებისათვის. ინტერნეტის და მედლაინის რესურსებით სარგებლობდა 239 მომხმარებელი; 38 კურსზე სწავლება გაიარა 162 მსმენელმა; ბეჭდვითი რესურსებით ისარგებლა 217 მომხმარებელმა; განხორციელდა 172 ძიება; ემორის უნივერსიტეტიდან შეკვეთით მიღებულ იქნა 165 სამეცნიერო სტატია.

მომზადდა და ინტერნეტში განთავსდა ჯანდაცვის სამინისტროს ელექტრონული გვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე. გვერდი მოიცავდა სამინისტროს სტრუქტურას, მის დეპარტამენტებს და მათ ფუნქციებს, სამინისტროს დაქვემდებარებულ საქვეუწყებო ინსტიტუტებსა და ცენტრებს, სახელმწიფო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიისა და ჯანდაცვის მართვის ნაციონალური ცენტრის გვერდებს, აგრეთვე ქალაქ თბილისში განთავსებული სამედიცინო დაწესებულებების სრულყოფილ ნუსხას. დაიწყო ცალკეული სამედიცინო პროექტებისა და მათი დამფინანსებელი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების გვერდების, ასევე საქართველოს (ისტორია, კულტურა, ბუნება, კურორტები) და მისი ბუნებრივი და ჯანმრთელობის რესურსების შესახებ საინტერესო ინფორმაციის განთავსება.

**„დისტანციური სამედიცინო განათლების/ტელემედიცინის პროექტის მომზადებისა და პირველი ეტაპის განხორციელების“** ფარგლებში მოხდა ინტერნეტიდან პროგრამა Microsoft NetMeeting 2.1-ის ჩამოტვირთვა, ციფრული ვიდეოკამერების შეძენა (სოროსის გრანტით). ჩატარდა 27 ტელესეანსი მერილენდის უნივერსიტეტთან და 4 — ცინცინატის უნივერსიტეტთან.

**„პარტნიორობა მშვიდობისათვის ინფორმაციის მართვის სისტემის“** და **ემორის უნივერსიტეტთან** ერთად მომზადდა **„სამი ჯორჯიის ტელემედიცინის“** პროექტი საქართველოს მთიან რაიონებში (აჭარა, სვანეთი, ხევსურეთი, სამაჩაბლო) ტელემედიცინის მობილური პუნქტების მოსაწყობად.

ამოქმედდა პროექტი **„ტელეკონსულტაციები ინვაზიურ კარდიოლოგიაში“,** რომელიც ითვალისწინებს **ჯანდაცვის სამინისტროს გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში** ჩატარებული ანგიოგრაფიული გამოკვლევების შედეგების (კორონაროგრამების) ელექტრონული ფოსტის და ინტერნეტის მეშვეობით მიწოდებას გერმანიის, აშშ-ის და თურქეთის სხვადასხვა კარდიოლოგიური კლინიკებისათვის, რათა იქედან მიღებულ იქნას სათანადო კონსულტაციები როგორც ავადმყოფის დიაგნოზის დაზუსტების, ასევე მისი მომავალი კარდიოქირურგიული მკურნალობის საუკეთესო ალტერნატივების შესახებ.

### ფარმაცევტული სექტორის რეფორმირება

**მსოფლიო ბანკმა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ** აქტიური დახმარება გაუწია ქვეყანას ფარმაცევტული პოლიტიკის შექმნაში, ამ მხრივ ამერიკელ სპეციალისტებს და კონსულტანტებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან. მათი ხელშეწყობით ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავდა ფარმაცევტული კანონმდებლობა, სამკურნალწამლო საშუალებათა მიმართ კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც მოიცავენ სამკურნალწამლო ნივთიერებათა პროდუქციის, იმპორტისა და ექსპორტის, რეგისტრაციის, სამკურნალწამლო საშუალებათა მიმართ ხარისხის კონტროლის, ფასწარმოების და ფასების გადახდის საკითხებს, და რაც მთავარია, სამკურნალწამლო ნივთიერებათა გამოყენების სტრატეგიისა და ტაქტიკის ასპექტებს.

**გაერთიანებული მეთოდისტური ეკლესიის ჰუმანიტარული კომიტეტის** (UMCOR) მიერ განხორციელდა **თბილისის ფარმაცევრული ქარხნის** რეაბილიტაცია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქვეყნის ტერიტორიაზე მიმოქცევაში მყოფი **წამლის ხარისხის უზრუნველყოფისათვის გადადგმული ნაბიჯები.** მსოფლიო ბანკის ჯანდაცვის პროექტის დახმარებით, 1998 წლის მეორე ნახევარში შეძენილ იქნა წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორია და სპეციალისტებს გაეწიათ საკონსულტაციო დახმარება. წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყანაში ხარისხიანი მედიკამენტების ბრუნვაში.

•

**ფასდაუდებელია ამერიკელი ხალხისა და მთავრობის წვლილი საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობის საქმეში, მის დემოკრატიულ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. ასევე უმნიშვნელოვანესია აშშ-ის დამსახურება დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი წლებიდან საქართველოს ჯანდაცვის სისტემის კრიზისიდან გამოყვანაში, მის შემდგომ რეფორმირებასა და განვითარებაში.**

ამ უაღრესად რთულ პერიოდში აშშ-ის დახმარებით უამრავი ადამიანი გადაურჩა შიმშილს, ავადმყოფობას, სიკვდილს და გაიუმჯობესა ჯანმრთელობის მდგომარეობა. **აშშ-ის „კონგრესის კვლევითი სამსახურის“** ანგარიშის მიხედვით, საქართველომ აშშ-სგან 28 წლის განმავლობაში, 1992-დან 2020 წლის ჩათვლით, დახმარების სახით სხვადასხვა მიზნისთვის **ოთხი მილიარდ სამას ორმოცდარვა მილიონ ოთხასი ათასი დოლარი მიიღო.** GRS-ის მონაცემებით, ევროპისა და ევრაზიის ქვეყნებს შორის, საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების დახმარების მიმღები წამყვანი ქვეყანაა. **ეს ფაქტი ადასტურებს ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცე მხარდაჭერას, დაეხმაროს ქართველ ხალხს, მიაღწიოს წარმატებას დემოკრატიული საზოგადოების შენებაში.** ამ თვალსაზრისით, ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის, ეკონომიკური წინსვლისთვის, უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია აშშ-ის თანადგომა.

**საქართველო და ამერიკის შეერთებული შტატები 30 წელი ვაშენებთ მეგობრობის და ურთიერთპატივისცემის ხიდებს, რომელიც ემყარება თანაზიარ ღირებულებებს, საერთო სტრატეგიულ ინტერესებსა და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას.** როგორც საქართველოს, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებშია ერთმანეთს შორის ურთიერთობების გაღრმავება, სანდო პარტნიორობა და მოკავშირეობა. **ჩვენ გაგვაჩნია უაღრესად მდიდარი პარტნიორული ურთიერთობის გამოცდილება და კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო წლობით ჩამოყალიბებული საიმედო მეგობრობის განსამტკიცებლად.**

## P.S.

**საქართველოს ევროატლანტიკური არჩევანი გადახედვას არ ექვემდებარება. საქართველოს მოსახლეობა და მთავრობები ერთიანი არიან ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.** განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ **ამერიკულ და ევროპულ სამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მუშაობისას ყოველთვის ვგრძნობდით თანასწორობის, თანაბარპარტნიორულ დამოკიდებულებას.** ისინი ითვალისწინებდნენ ქართულ ტრადიციებს, ღირებულებებს, ფასეულობებს და ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტისას არასდროს მოუხვევიათ თავს საკუთარი ხედვები. **დისკუსია და დისკუსია, კონსენსუსი და კომპრომისი ყოველთვის იყო მთავარი ჩვენს ურთიერთობებში. კარგი იქნება, თუ თანამედროვე პოლიტიკოსები, და არამარტო საქართველოში, მომავალშიც შეძლებენ ამ პრინციპებით მუშაობას!**

*ავთანდილ ჯორბენაძე,*

*საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი 1993-1999 წლებში,*

*საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი 1999-2001 წლებში*

*თენგიზ ვერულავა,*

*კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი, ჯანდაცვის პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი*



# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის №14 ოქმი

*1989 წლის 14 აპრილი*

*დასაწყისი მე-3 გვერდზე*

**უროს წევრი, სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი:**

ძვირფასო ამხანაგებო! ჩემო მეგობრებო!

თავდაპირველად მინდოდა მეთხოვა თქვენთვის, რომ გავიხსენოთ დაღუპულები და ფეხზე ადგომითა და წუთიერი დუმილით პატივი ვცეთ მათ ხსოვნას.

ჩვენ შეგვკრიბა ძალიან მძიმე და მწარე საათმა. გადაწყვეტილებები, რომლებიც ჩვენ ახლა მივიღეთ — ძალიან მძიმეა და მწარე, ვინაიდან ისინი განაპირობა ტრაგიკულმა მოვლენებმა, ტრაგიკულმა როგორც საქართველოსთვის, ჩვენი ქვეყნისთვის, ისე მთელი მსოფლიოსთვის.

შევეცდები, მოგვიანებით ავხსნა რატომ არ შემოვფარგლე ამ ტრაგედიის მნიშვნელობა ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებით. მანამდე მინდა ვთქვა, რომ არ შემიძლია და შეუძლებლად ვთვლი დავფარო ჩემი გრძნობები. მე მოვისმინე თვითმხილველთა მონათხრობი იმ სამგლოვიარო ღამის მოვლენების შესახებ, ვნახე ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები საყვარელი ქალაქის ქუჩებში, ვნახე ცრემლი და ტკივილი ხალხის თვალებში. მიზეზებისგან დამოუკიდებლად — მათ შესახებ საუბარი განსაკუთრებულია — რომლებმაც განაპირობა ეს მწუხარება, არავის და არაფერს არ შეუძლია გაამართლოს უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი.

ჩვენ მათ წინაშე უდიდესი ვალი გვაქვს — დავადგინოთ ჭეშმარიტება და სამუდამოდ აღვკვეთოთ ტრაგედიის განმეორების თუნდაც მცირედი შესაძლებლობა. ეს თავისთავად მნიშვნელოვანია — როგორც ზნეობრივი იმპერატივი. ეს მნიშვნელოვანია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისთვის. ეს მნიშვნელოვანია, გაზვიადების გარეშე, მთელი მსოფლიოსთვის.

[...] ამასთან დაკავშირებით შეშფოთება და გლოვა გამოთქვა ადამიანმა, რომელსაც უწოდეს გარდაქმნის არქიტექტორი, მისი ყველაზე ნოვატორული გადაწყვეტილებების ავტორი. მ. ს. გორბაჩოვის გუშინდელ მიმართვაში საქართველოს კომუნისტებისადმი, ყველა მშრომელისადმი ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა. „იმან, რაც მოხდა თბილისში, — გვწერს მიხეილ სერგის ძე, — ცხადია, ზიანი მიაყენა გარდაქმნის, დემოკრატიზაციის, ქვეყნის განახლების ინტერესებს...“

[...] მიუკერძოებელ და ყოველმხრივ გამოძიებას მოუწევს იურიდიული და სამეცნიერო გარდაუვალობით განსაზღვროს იმ მოვლენათა ხასიათი და მიმართულება, რომლებმაც განაპირობა 9 აპრილის ტრაგედია. დარწმუნებული ვარ, თითოეული დამნაშავე დასახელდება.

ამასთან ერთად, თავს უფლებას მივცემ ახლავე გამოვთქვა მოსაზრება, რომელიც მრავალ და ძალზე განსხვავებულ ადამიანებთან საუბრის შთაბეჭდილებას ეყრდნობა. როდესაც თქვენ თვალწინ ისეთი რამ ხდება, რაც შესაძლოა ნაპირიდან გადმოვიდეს და არასტაბილური გახადოს ერის ცხოვრება, რესპუბლიკისა და იქ მცხოვრები ყველა ხალხის ბედი, როდესაც გესმით სრულიად მიუღებელი მოწოდებები, — ბუნებრივია, გონება ეძებს გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან.

ამის შესახებ ვლაპარაკობ უკვე ქარაგმების გარეშე, როდესაც ვეხები გადაწყვეტილებას, რომელიც მიიღო რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ამხანაგ ჯ. ი. პატიაშვილის მეთაურობით. ეს არის გადაწყვეტილება ძალისა და საჯარისო ქვედანაყოფების გამოყენების და თბილისში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ. გადაწყვეტილება, რომელსაც, როგორც ჩვენ გვეუბნებოდნენ, დაჟინებით ითხოვდა რესპუბლიკის ბევრი გამოჩენილი და ავტორიტეტული პირი, რომლებიც ახლა გამოდიან მისი კრიტიკით. გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია რესპუბლიკის ხელმძღვანელობის წევრთა მიერ თითქმის ერთხმად, გარკვეული გამონაკლისის გარდა, რის შესახებაც მოგვიანებით ვიტყვი. გადაწყვეტილება, რომლის განხორციელებამაც მიგვიყვანა ასეთ მძიმე, გამოუსწორებელ შედეგებამდე.

[...] საუბრობენ იმ მოვლენათა მშვიდობიან ხასიათზე, რომლებიც წინ უსწრებდა 9 აპრილის ტრაგედიას და არაფერს ამბობენ ანგარიშსწორების არამშვიდობიან მოწოდებებზე, რომლებიც ისმოდა წინა დღეს. სხვებმა, რომელთაც სურთ იყვნენ ახალგაზრდობის კერპნი, ვისაც აქვს ამის პრეტენზია, არა მხოლოდ უგულებელყვეს თავიანთი პასუხისმგებლობა, არამედ დაიწყეს ფრონდერობა კანონის, წესრიგის დაცვის, კონსტიტუციის მიმართ უპატივცემულობით. ეს სრულიად დაუშვებელი მოვლენაა.

არ გამოვდივარ ბრალმდებლის როლში, მაგრამ ვერ ვიცილებ გრძნობას, თითქოს რომელიღაც ლიდერს ე.წ. არაფორმალური ორგანიზაციებიდან სრულიად შეგნებულად მიჰყავდა სამსხვერპლოზე მისდამი მინდობილი ადამიანები.

ძალზე არ მომწონს ის ჯგუფები, რომლებიც თავიანთი ანგარებიანი, კარიერული მიზნებისთვის თავიანთ რიგებში ითრევენ სკოლის მოსწავლეებს და აყენებენ მათ დემონსტრანტების წინა რიგებში.

დაე, თითოეულმა ზრდასრულმა შეაჩეროს ბავშვი და უთხრას, რომ მისთვის ადრეა სხვის მიერ თავსმოხვეული ლოზუნგების ტარება ან შიმშილობის გამოცხადება. როდესაც მოვა დრო, ის თვითონ გადაწყვეტს, ვისთან და სად დადგეს.

[...] სრულიად არანორმალურია ბარიერის წარმოქმნა რესპუბლიკის აქტივის, პარტიულ-საბჭოთა ხელმძღვანელობასა და მოსახლეობის, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს შორის. მაგრამ ეს ფაქტია, ამხანაგებო. საჭიროა შეჩერება, ჩვენზე დამოკიდებული ყველა ზომის მიღება, რომ ეს ტენდენცია არ განვითარდეს.

ამ დაპირისპირებაში არც ერთმა მხარემ არ გამოავლინა არც ტაქტი, არც თავშეკავებულობა, არც სიმშვიდე, მათ ვერ აწარმოეს დიალოგი ერთმანეთთან, როგორც პარტნიორებმა, თუნდაც ბევრ რამეში პოლარულად ურთიერთსაპირისპირო შეხედულებების გამომხატველებმა. თავი იჩინა ზოგიერთი ამხანაგის არათანმიმდევრულობამაც, კონიუნქტურულმა ხტომამ აქეთ-იქით.

[...] ახლა, როდესაც ტრაგედია მოხდა, რაც არ უნდა გაეკეთებინა პარტიულ ორგანიზაციას, პასუხისმგებელი არის ის, თქვენ ყველანი. სხვა დასკვნა და სხვა აზრი არ შეიძლება იყოს. მე ვსაუბრობ ყველა რანგის ხელმძღვანელი კომუნისტის პასუხისმგებლობაზე, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ დადგეს საკითხი პასუხისმგებლობის სხვა ფორმის შესახებაც.

რაც უნდა მძიმე ყოფილიყო, ძნელია გაამართლო გადაწყვეტილება დასახმარებლად ჯარის მოხმობისა და ხალხთან ტანკებით და ჯავშანმანქანებით საუბრის შესახებ. მე მაინც ვთვლი, რომ გადაწყვეტილება ნაჩქარევად იყო მიღებული და არ იყო გათვლილი შესაძლო ვარიანტები, არ იყო პროგნოზირებული შესაძლო შედეგები.

[...] მინდა ვთქვა არმიის შესახებაც, მის მიმართ დამოკიდებულების შესახებ. თბილისის ქუჩებში ის თავისი ნებით არ გამოსულა. ის გამოვიდა და დაიკავა მისთვის მითითებული ადგილები, დაემორჩილა გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიიღო რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ. აქ, ამ დარბაზში, პლენუმის მონაწილეთა წინაშე არ შემიძლია არ ვთქვა იმის შესახებაც, რომ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, როგორც მეუბნებოდნენ, გამოდიოდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ი. ნ. როდიონოვი. იგი ამბობდა, რომ ეს არ არის არმიის ფუნქცია, რომ ის, მისი კოლეგები, მისი ხელქვეითები მოწოდებულნი არიან გადაწყვიტონ სრულიად სხვა ამოცანები.

[...] მაგრამ დავუბრუნდეთ სხვა, არასასიამოვნო ფაქტს: ქალაქის ცხოვრების განაწესში კომენდანტის საათის არსებობას. ამბობენ, რომ ეს ანომალიაა. ვეთანხმები. თვით მე, როდესაც 9 აპრილს გიორგი პეტრეს ძესთან (რაზუმოვსკი) ერთად მოსკოვიდან ჩამოვფრინდი, გაოცებული ვიყავი თბილისის უჩვეულო შესახედაობით. მაგრამ მის ქუჩებში ტანკებისა და ქვეითთა საბრძოლო მანქანების ყოფნა უფრო მეტი ანომალია არ არის, ვიდრე მილიონიანი ქალაქის ცხოვრების პარალიზების, სამსახურების მუშაობის დარღვევის, ქალაქის მცხოვრებთა არსებობის მოწამვლის მცდელობა?!

ჩვენ უკვე შემოგთავაზეთ, თუ როგორ შეიძლება მაქსიმალურად სწრაფად გაუქმდეს კომენდანტის საათი, შეიქმნას იმის პირობები, რომ ჯარი გავიდეს ქალაქიდან. მოდით შევთანხმდეთ, რომ ვიბრძოლებთ ამ ამოცანის რეალიზებისთვის. ამისათვის საჭიროა, რომ სკოლის მოსწავლეები ორშაბათს მიუსხდნენ მერხებს, სტუდენტები დაბრუნდნენ სასწავლო აუდიტორიებში, ყველა, ვინც შეწყვიტა მუშაობა, დაბრუნდეს თავის სამუშაო ადგილზე. ეს ყველაზე მთავარი, აუცილებელი მოთხოვნაა.

თუ ცხოვრება ქალაქში ნორმალურ კალაპოტში ჩადგება, ორშაბათს, 17 აპრილს დაიწყება ჩვეულებრივი სამუშაო დღე, ჯარი გაყვანილი იქნება, შესაძლოა, სწორედ 17 აპრილს. [...]

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიულეტენი

*დასასრული*

***ქოლესტერინის მავნებლობის შესახებ ყველა საუბრობს, მაგრამ ცოტა ვინემ თუ იცის, რომ უქოლესტერინო დიეტა სასიკვდილოდ სახიფათოა. ქოლესტერინი, რომლის 80 პროცენტსაც ღვიძლი გამოიმუშავებს, ადამიანის ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. თვით რეპროდუქციის, ანუ ადამიანების გამრავლების უნარსაც კი კარგი ქოლესტერინი განსაზღვრავს. ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი გვაფრთხილებს, რომ საკვების გზით ქოლესტერინის დონის მკვეთრი დაწევა ადამიანს აგრესიისა და ფსიქიკური აშლილობისკენ უბიძგებს:***



## „თუ გვინდა, ცუდი ქოლესტერინი მაღლა არ გაგვექცეს, მაშინ ცხიმიან ხორცეულს, დიდი რაოდენობით ყველს, დღეში ორ კვერცხზე მეტს, მაიონეზს, მარგარინს, 50 გრამ კარაქზე მეტს, სოსისებს, ძეხვეულს, სუბპროდუქტებსა და ნამცხვრებს მოვერიდოთ!“



## „ზეითუნის ზეთი ცუდი ქოლესტერინის გამორჩეული მტერია!“



# კახა საბახტარიშვილი:

# საკმარისია, წონა ხუთი პროცენტით შევამციროთ, რომ ქოლესტერინის მაჩვენებელი 8 პროცენტით დაიკლებს!

— როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში, გულ-სისხლძარღვთა სისტემის ნომერ პირველ მტრად გამოცხადებულია ქოლესტერინი. მასობრივმა ანტიქოლესტერინულმა კამპანიამ მოიცვა მთელი მსოფლიო და ეს მოხდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ სისხლში ქოლესტერინის ჭარბი შემცველობა ათეროსკლეროზისა და მისი გართულებების — ინფარქტისა და ინსულტის ძირითად მიზეზად გამოაცხადა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მთელ მსოფლიოში ექიმებმაც ბრძოლა გამოუცხადეს ქოლესტერინით მდიდარ საკვებს. ეს აჟიოტაჟი განსაკუთრებით თვალში საცემია ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ინფარქტისა და ინსულტისაგან თავის დასაცავად ლამის მთელი ერი „შეჯდა“ დაბალქოლესტერინულ ან ქოლესტერინისაგან საერთოდ დაცლილ საკვებზე. **თუმცა, ჰოი, საკვირველებავ, — ამერიკაში ამ კამპანიის შედეგად ინფარქტისა და ინსულტისგან გარდაცვლილთა რიცხვი ლამის გასამმაგდა!** ისეთი დიდი და გამორჩეული პრეზიდენტი, როგორიც გახლდათ **დუაიტ ეიზენჰაუერი,** სწორედ ანტიქოლესტერინულმა კამპანიამ იმსხვერპლა. მას მიოკარდის ინფარქტი ჰქონდა გადატანილი, როცა საუკეთესო ექიმები შეიკრიბნენ და დაასკვნეს — პრეზიდენტს განმეორებითი ინფარქტის საშიშროება რომ თავიდან ავაცილოთ, ამისათვის აუცილებლად დაბალქოლესტერინულ და უცხიმო დიეტაზე უნდა დავსვათო! „ბრძნული განსჯის“ შედეგად ექიმებმა ის შედეგი მიიღეს, რომ **პრეზიდენტ ეიზენჰაუერს განმეორებითი ინფარქტების მთელი სერია განუვითარდა, რაც საბოლოოდ მისი გარდაცვალებით დასრულდა.**

**— მაინც რა არის ქოლესტერინი?**

— ქოლესტერინი ცხიმოვანი ნივთიერებაა, რომლის 80 პროცენტსაც ღვიძლი გამოიმუშავებს, ხოლო დანარჩენი 20 პროცენტი საკვებიდან მიიღება. ის, რომ ღვიძლი ყოველდღიურად ქოლესტერინის ახალ-ახალი პორციების სინთეზს ახდენს და ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, უკვე იმის აშკარა დასტურია, რომ **ქოლესტერინი არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად მავნე ნივთიერება იყოს.** ქოლესტერინის ფუნქციები მრავალფეროვანია. კერძოდ, ის დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი ნებისმიერი უჯრედის დამცავ გარსში, განსაკუთრებით თავის ტვინის უჯრედებში. სწორედ ქოლესტერინი ახდენს D ვიტამინის სინთეზს.

დედის რძე დიდი რაოდენობით ქოლესტერინს შეიცავს და მის გარეშე ბავშვის ზრდა ყოვლად წარმოუდგენელია. რაც მთავარია, ქოლესტერინი შედის მრავალი ჰორმონის შემადგენლობაში. განსაკუთრებით ეს ეხება ქალისა და მამაკაცის სასქესო ჰორმონებს. როცა ადამიანის ორგანიზმში ქოლესტერინის შემცველი საკვების მკვეთრი შეზღუდვის გამო ქოლესტერინის ნაკლებობაა, მაშინ ნაკლებად გამომუშავდება D ვიტამინი, რასაც, მისგან გამომდინარე შედეგებით, თან სდევს **კალციუმის ნაკლოვანებაც.** მეორე — ქოლესტერინის ნაკლებობისას სასქესო ჰორმონების გამომუშავებაც მცირდება, რის გამოც მამაკაცები — იმპოტენციისთვის, ხოლო ქალები ფრიგიდულობისთვის არიან განწირული! მესამე — **ქოლესტერინის ნაკლებობისას ირღვევა ნერვული სისტემის ფუნქციები, მცირდება გონებრივი შესაძლებლობები, ვითარდება მეხსიერების დაქვეითება და შესაძლოა, დაფიქსირდეს არამოტივირებული აგრესიული ქცევები...**

## „ცუდი ქოლესტერინის უპირველესი მტერი ყოველდღიურად 50-100 გრამი წითელი ღვინის მიღებაა!“



**მიმაჩნია, რომ შეერთებულ შტატებში ცალკეულ მოქალაქეთა მიერ სკოლებში, ბაღებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში განხორციელებული თავდასხმები, რასაც ხშირად ადამიანები ეწირებიან, სწორედ აღვირახსნილი ანტი-ქოლესტერინული კამპანიის შედეგია.**

**— თუ ქოლესტერინი ასეთი სასარგებლოა, მაშინ ადამიანი მას რატომ ებრძვის?**

— ქოლესტერინი არაერთგვაროვანი ნივთიერებაა. ადამიანის ორგანიზმში გვხვდება როგორც კარგი, ისე ცუდი ქოლესტერინი. **კარგი ქოლესტერინი** მაღალი სიმკვრივით გამოირჩევა და იმ სატვირთო მანქანის ფუნქციას ასრულებს, რომელსაც ცხიმი უჯრედიდან ღვიძლში გადააქვს. ეს ჭარბი ცხიმი ცხადია, ღვიძლში ნეიტრალდება. რაც შეეხება დაბალი სიმკვრივის ქოლესტერინს, მას პირიქით, ღვიძლიდან ცხიმი, ანუ იგივე ქოლესტერინი შეაქვს უჯრედში, ალაგებს მას სისხლძარღვთა შიდა კედლებზე, სადაც წარმოიშობა **ათეროსკლეროზული ფოლაქები,** სისხლძარღვების სანათურები ვიწროვდება და სისხლის მიმოქცევა ირღვევა, რაც სხვა არაფერია, თუ არა ჰიპერტონია და შემდეგ ინსულტი და ინფარქტი. თუ ასეთი ათეროსკლეროზული ფოლაქის გარსი, ანუ ე.წ. „კაფსულა“ დაზიანდა, მაშინ წარმოიშობა თრომბი, რომელიც შესაძლოა, ნებისმიერ დროს მოწყდეს. **თუ მოწყვე-**

## «ქოლესტერინის ნაკლებობისას სასქესო ჰორმონების გამომუშავებაც მცირდება, რის გამოც მამაკაცები – იმპოტენციისთვის, ხოლო ქალები ფრიგიდულობისთვის არიან განწირული!»

# კვირგვინოსნები

**ვაჟა სარგველაძე**
*ჯანდაცვის ექსპერტი*



**ჯანდაცვის სისტემა** არ გვაქვს, **ჩამოიშალა და თავზე ჩამოგვემხო!**

„ახალი თაობა“

**მევლუდ მელაძე**
*საავტომობილო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი*



ყველაზე არასწორია **ერთზოლიანი გზები,** მითუმეტეს, ცენტრალურ უბნებში. ვთქვათ, იმ ერთ ზოლში მძღოლი გაჩერდა, ჩაუქრა ავტომანქანა ან მისამართს ეძებს. ეს მომენტი გავლენას მოახდენს აბსოლუტურად ყველაზე — **თუ სადღაც ყოველი მეათე მანქანა შეფერხდება, ოცდამეათეზე უკვე კოლაფსია.**

„კვირის პალიტრა“

**მამა სერაფიმე**
*სქემარქიმანდრიტი*



არც ვიცოდი, თუ **ლუჟკოვი** ცოცხალი იყო და როცა მითხრეს, ქანდაში ჩამოვიდაო, ახალი გაღვიძებული ვიყავი და ვუთხარი, დამელოდოს-მეთქი. ამას ჰქვია, ლამაზად შემიცურეს ფეხი. **სანამ ლუჟკოვი ჩემთან მოვიდოდა, შიომღვიმეში იყო, მერე დავითგარეჯშიც, კიდევ უამრავ ადგილას, მაგრამ ეს არ გაშუქებულა. მაინცდამაინც ჩემთან მოსვლა რატომ გააშუქეს ტელევიზიებმა.** არიან პოლიტიკური ჯგუფები, რომლებმაც ჯვარს მაცვეს. რა უნდათ, ვერ გავიგე. **მე ყოველთვის აპოლიტიკური ვიყავი,** არასოდეს მითქვამს, ხალხო, ამათ პატივი ვცეთ, იმათ არა-მეთქი. ამას ყოველთვის გავურბივარ.

„კვირის პალიტრა“

**გურამ საგარაძე**
*მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, თბილისის საპატიო მოქალაქე*



ქართული სპორტის ისტორიაში კიდევ ერთი ღირსსახსოვარი მოვლენა დაფიქსირდა — ორგზის ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ექვსგზის ჩემპიონმა და მრავალგზის რეკორდსმენმა **ლაშა ტალახაძემ** ახლა მეშვიდედ გვაზეიმა ევროპის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. **გვეამაყება, რომ მსოფლიო გოლიათის, ყველაზე ძლიერი მამაკაცის სამშობლო საქართველოა. გილოცავთ, ჩვენო საამაყო რაინდო!**

**ტილი თრომბი გულის ან ტვინის მკვებავ ძირითად სისხლძარღვებში მოხვდა, მაშინ ინფარქტი ან ინსულტი განვითარდება და ადამიანი შესაძლოა, დაიღუპოს!**

**— ჩვენი წინაპრები, მაგალითად, მწყემსები, საუკუნეების განმავლობაში ცხიმით მდიდარ ცხვრის ხორცსა და ყველს მიირთმევდნენ, საკვებში ერბოს ურევდნენ, რომელშიც ქოლესტერინი ჭარბი რაოდენობითაა, მაგრამ ამის მიუხედავად, ღრმა სიბერემდე ცოცხლობდნენ და ინსულტი და ინფარქტი მათთვის უცხო იყო. რატომ?**

— ბარის მოსახლეობისგან განსხვავებით, **მთაში მცხოვრები მწყემსები ქოლესტერინით მდიდარ მწვადსა და ყველს აუცილებლად მიატანდნენ დიდი რაოდენობით ბოსტნეულს, მწვანილსა და, რაც ყველაზე მთავარია, მაწონს!** ბოსტნეულში დიდი რაოდენობით უჯრედისია, რომელიც ჭარბ ქოლესტერინს უჯრედში მოხვედრის საშუალებას არ აძლევს. გარდა ამისა, უჯრედისი იმ სასარგებლო ბაქტერიების საკვებია, რომელიც კუჭ-ნაწლავში დაახლოებით 4 კილოს იწონის. ყოველივე ამის შედეგად, ღვიძლში, სადაც ქოლესტერინი გამომუშავდება, მისი დონე მკვეთრად ეცემა და ორგანიზმი იძულებულია, ჭარბი ქოლესტერინი სისხლიდან აიღოს. ამიტომ ასეთ ადამიანებში ცუდი ქოლესტერინის შემცველობა ყოველთვის დაბალია, ხოლო კარგის — მაღალი!

**— ვისაც მაღალი ქოლესტერინი აქვს, ექიმები ურჩევენ, მიიღოს პრეპარატი ლიპრიმარი. რამდენად ეფექტურია ეს პრეპარატი?**

— **ცუდი ქოლესტერინის** დასაწევად ადამიანმა **სტატინების ჯგუფის პრეპარატები** უნდა მიიღოს! სტატინები ღვიძლში ქოლესტერინის გამომუშავებას ამცირებენ და ქოლესტერინის დონეს დაბლა სწევენ. გარდა ამისა, სტატინები ათეროსკლეროზულ ფოლაქებს ამკვრივებენ, რითიც თრომბის მოწყვეტის ალბათობა ნულამდე დაჰყავთ. ყველაზე ეფექტური სტატინებია — **ატორვასტატინი, როზუვასტატინი და სიმვასტატინი.** ლიპრიმარი იგივე ატორვასტატინია, რომელიც ადამიანმა მუდმივად უნდა მიიღოს.



## „ისეთი დიდი და გამორჩეული პრეზიდენტი, როგორიც გახლდათ დუაიტ ეიზენჰაუერი, სწორედ ანტიქოლესტერინულმა კამპანიამ იმსხვერპლა!“

**ბევრი ფიქრობს, რომ, თუ ლიპრიმარის ან ნებისმიერი სტატინის მიღების შედეგად, ერთ ან ორ თვეში ქოლესტერინის მაჩვენებელი ნორმის ფარგლებში მოექცა, მათი მიღება მეტად საჭირო არ არის. ეს შეცდომაა! როგორც კი სტატინების მიღებას შევწყვეტთ, ცუდი ქოლესტერინის მაჩვენებელი ისევ მაღლა გაიქცევა და ინფარქტისა და ინსულტის რისკი ისევ მაღალი იქნება.**

**— ავტობუსში მოხდა ასეთი შემთხვევა — ახალგაზრდა ბიჭს, რომელსაც თვალის უპეების გარშემო ე.წ. მეჭეჭისებრი ბორცვები აღენიშნებოდა, მეორე მგზავრმა, რომელიც ექიმი აღმოჩნდა, ურჩია, რომ აუცილებლად ქოლესტერინი შეემოწმებინა!**

— ჩემი კოლეგა ძალზე ჭკვიანი კაცი ყოფილა. **ჰიპერქოლესტერინემიას,** ანუ ქოლესტერინის მაღალ დონეს ადამიანი ვერ გრძნობს. მისი ერთ-ერთი გამოკვეთილი ნიშანი ქუთუთოების გარშემო **ცხიმბროვები, ანუ ქსენტომებია,** რომელიც სხვა არაფერია, თუ არა **ცუდი ქოლესტერინის წვეთები.** ასეთმა ადამიანმა მართლაც დაუყოვნებლივ უნდა ჩაიტაროს გამოკვლევა და მიმართოს სისხლძარღვთა ექიმს, რადგან ასეთი მდგომარეობა შესაძლოა, ნებისმიერ წუთს ინფარქტით ან ინსულტით დასრულდეს და ერთი შეხედვით სრულიად ჯანმრთელი ადამიანი დაიღუპოს.

**— მაინც რამდენი უნდა იყოს ქოლესტერინის ნორმალური მაჩვენებელი?**

— ქოლესტერინის ნორმალური მაჩვენებელია 3,5-5,5 მილიმოლი შეფარდებული ლიტრთან. ძველ საზომ ერთეულებში ქოლესტერინმა 200 ერთეულს არ უნდა გადააჭარბოს!

**— შესაძლებელია თუ არა ქიმიური პრეპარატებისა და სტატინების გარეშე ქოლესტერინის დარეგულირება?**

— გარკვეულ ფარგლებში ეს სავსებით შესაძლებელია. დავუშვათ ქოლესტერინის მაჩვენებელი 7 მილიმოლია ლიტრზე და არ გვინდა სტატინების მიღება, რომელთაც, ეფექტურობის მიუხედავად, გვერდითი მოვლენებიც ახასიათებთ. **საკმარისია, წონა ხუთი პროცენტით შევამციროთ, რომ ქოლესტერინის მაჩვენებელი 8 პროცენტით დაიკლებს და გახდება 6,5.** თუ კვირის განმავლობაში თუნდაც 150 წუთს, ანუ დღეში 30 წუთს ვივარჯიშებთ, ცხიმები დაიწვება და ქოლესტერინიც 2 პროცენტით დაიწევს, ანუ მისი მაჩვენებელი გახდება 6,3. **მაღალი ქოლესტერინი ხშირად შაქრიან დიაბეტთან კავშირშია. საკმარისია, შაქრის მაჩვენებელი 5 პროცენტით შევამციროთ, რომ ქოლესტერინი 6 პროცენტით შემცირდება, ანუ გახდება 5,9.** ცუდი ქოლესტერინის პირველი მტერი ყოველდღიურად 50-100 გრამი **წითელი ღვინის** მიღებაა! ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეულია **საფერავი.**

**— როდის უნდა მივიღოთ საფერავი ცუდი ქოლესტერინის დასაწევად და რატომ მაინცდამაინც წითელი ღვინო, თეთრი ღვინო ქოლესტერინს არ ერჩის?**

— თეთრიც კარგია, მაგრამ **ცუდი ქოლესტერინის დასაწევად წითელი ღვინო შეუდარებელია!** საქმე ის გახლავთ, რომ იგი ძალიან მდიდარია ანტიოქსიდანტებით. ქოლესტერინი ცხოველური ცხიმია, რის გამოც ის ადვილად იჟანგება და თავის ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს იცვლის. ასეთი დაჟანგული ქოლესტერინი ორგანიზმისთვის უკვე უცხო აგენტია და იმუნური სისტემა მის განეიტრალებას ცდილობს. მოგეხსენებათ, იმუნური უჯრედები ქოლესტერინს სისხლიდან იტაცებენ და სისხლძარღვების კედლებზე ალაგებენ. ამის შედეგად ვითარდება **იმუნური ანთება,** რაც სხვა არაფერია, თუ არა **ათეროსკლეროზის პირველი სტადია.** წითელ ღვინოში შემავალი ანტიოქსიდანტები კი ხელს უშლიან სწორედ ქოლესტერინის დაჟანგვას და ანეიტრალებენ ცუდ ქოლესტერინს. სწორედ ამით აიხსნება ე.წ. „ფრანგული პარადოქსი“.

ფრანგები დიდი რაოდენობით ქოლესტერინით მდიდარ ცხიმიან საკვებსა და კრუასანებს მიირთმევენ, რომელიც ქოლესტერინის საბადოა, მაგრამ მსოფლიოში გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა რიცხვით ერთ-ერთ ყველაზე ბოლო ადგილზე სწორედ ფრანგები არიან. ამის მიზეზია ფრანგების წესი — **ისინი ქოლესტერინით მდიდარ საკვებს აუცილებლად დააყოლებენ მცირე რაოდენობით წითელ ღვინოს!**

არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ ხმელთაშუა ზღვის სამყარო **ზეითუნის ზეთის** გარეშე წარმოუდგენელია. მცენარეული ზეთები და განსაკუთრებით ზეითუნის ზეთი ცუდი ქოლესტერინის გამორჩეული მტერია.

**ცუდ ქოლესტერინს ასევე ძალიან ემტერება თევზეული, რომელიც ხმელთაშუაზღვისპირეთში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული საკვებია.**

„ომეგა-3“, რომელიც თევზეულის განუყოფელი ნაწილია, ცუდ ქოლესტერინს დაბლა სწევს. იაპონელების დღეგრძელობის საიდუმლოც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი თითქმის ყოველდღიურად მიირთმევენ „ომეგა-3“-ით მდიდარ თევზეულს.

**— ბოლოს და ბოლოს, ქოლესტერინის დონის შესანარჩუნებლად რომელ საკვებს უნდა მოვერიდოთ?**

— თუ გვინდა, ცუდი ქოლესტერინი მაღლა არ გაგვექცეს, მაშინ ცხიმიან ხორცეულს, დიდი რაოდენობით ყველს, დღეში ორ კვერცხზე მეტს, მაიონეზს, მარგარინს, 50 გრამ კარაქზე მეტს, სოსისებს, ძეხვეულს, სუბპროდუქტებს (საქონლის ტვინი, ღვიძლი, ფილტვი, თირკმელი) და ნამცხვრებს მოვერიდოთ!

**ყოველდღიურ რაციონში მეტი ადგილი დავუთმოთ ხილს, ნიგოზს, თხილს, ციტრუსებს, ბროწეულს, ვაშლს და ავოკადოს, რომელიც სუპერპროდუქტია. გვახსოვდეს, რომ ყველანაირი მწვანილი და ბოსტნეული ცუდი ქოლესტერინის მტერია!**



## „დედის რძე დიდი რაოდენობით ქოლესტერინს შეიცავს და მის გარეშე ბავშვის ზრდა ყოვლად წარმოუდგენელია!“

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ქეთი გაბისიანი**
*კომპოზიტორი*



**პირველი ქმრის** დაღუპვის შემდეგ **მუსიკამ გადამარჩინა** და **მეორე ქმარსაც** მუსიკამ შემახვედრა.

„სარკე“

**ანი ღლონტი**
*მომღერალ ლაშა ღლონტის ქალიშვილი*



ლაშა ამბობდა, **ბაბუა არ უნდა დამიძახოსო.** არც დედას უნდოდა, **ბებიათი მოეხსენიებინათ,** მაგრამ როგორც კი გაჩნდა, იმ წუთას დაავიწყდათ, რას ამბობდნენ და **თავგადაკლული ბებია-ბაბუა გახდნენ.**

„სარკე“

**დათო ევგენიძე**
*მუსიკოსი*



**მე კი არ ავირჩიე პროფესია, პროფესიამ ამირჩია მე.** ისეთი ღრმა ბავშვობიდან ვიდექი სცენაზე, **ვერ წარმომიდგენია, სხვა პროფესიის ან ხელობის ადამიანი ვყოფილიყავი.**

„თბილისელები“

**მაკა ძაგანია**
*მსახიობი*



**ვაზი რომ გავაშენეთ,** ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ უამრავი შვილი გავაჩინე. მე და ჩემი ქმარი **სოფლად ცხოვრებისას მივხვდით,** რომ უფრო მეტი საერთო გვაქვს, ვიდრე წარმოგვედგინა.

„სარკე“

**გვანცა გიორგობიანი**
*მსახიობი*



**მთელი ევროპა მაქვს მოვლილი.** ძალიან დიდი ისტორიის ქვეყნებში ვარ ნამყოფი და, რა თქმა უნდა, **ყველგან ვსინჯავ ტრადიციულ, ყველაზე ცნობილ კერძებს.** მინდა, გითხრათ, რომ **ქართველებისნაირი გემრიელი კერძები ჯერ არსად მიჭამია,** ჩემთვის ნომერი პირველია.

„სარკე“



# მიხეილ ცაგარელი:
# ასტროლოგია და სპორტი

*— ესთეტსა და სილამაზისკენ მიდრეკილ სასწორს სპორტის რომელი სახეობები დაეხმარება სხეულის ჰარმონიულობასა და ბალანსირების შეგრძნებაში? რომელია ის იდეალური ვარჯიში, დიდ სიამოვნებას, მხნეობას რომ მიანიჭებს და დიდი ხნით დადებით განწყობას შეუქმნის? ღრიანკალს დროდადრო რისგან გათავისუფლება მართებს? რატომ არ არის მარტივი მისთვის ვარჯიშების შერჩევა? რისი გამოვლენა სურს, რომელი სახეობებია ამ მხრივ მომგებიანი ანდა რა შეგვიძლია ალტერნატივად განვიხილოთ? აქტიურ, ბუნებით მოგზაურ მშვილდოსანს რა უყვარს, რით იხიბლება, რა წარმოადგენს მის ორიენტირს? ყველაზე რთულ სიტუაციებშიც რა დაეხმარება მაღალი ცხოვრებისეული ტემპის შენარჩუნებაში? დინჯი თხის რქა რისკენ ისწრაფვის, რა სჭირდება, რა არის მისთვის მნიშვნელოვანი? რომელი ვარჯიშები მიიჩნევა მისთვის საუკეთესოდ? რისთვის არის მუდამ მზად და როდის ემატება თავდაჯერება? ხალისიანი მერწყული ნებისმიერ საკითხში რის გამოვლენას ცდილობს? რა მოაწყენს ანდა სპორტის რომელი სახეობებია მისთვის მისაღები? ზოდიაქოთა შორის ყველაზე მისტიკურ, მეოცნებე, მგრძნობიარე თევზებს ძალიან რა უყვარს ანდა რა არ შეეფერება? სპორტის რომელი სახეობები დაეხმარება ძალების დაგროვებაში, კონცენტრირებაში, აზრთა მობილიზებასა და განახლებაში? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— ჭეშმარიტად, სპორტი ჯანმრთელობის საწინდარია. იგი კარგ განწყობას გვიქმნის და ბრძოლისუნარიანობასა და მიზანსწრაფვას გვიძლიერებს. ამგვარად, განვაგრძოთ ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშნის წარმომადგენლისთვის, ზოგადად, სპორტის ყველაზე შესატყვისი, სასარგებლო და მომგებიანი სახეობების ჩამოთვლა. ამ მიმართებით, სასწორის ნიშნით დაბადებულებს რა ურჩევთ?**

— 7. **სასწორს, მოგეხსენებათ, სილამაზისა და სიყვარულის გამგებელი პლანეტა ვენერა მართავს, ამიტომ მისთვის უმთავრესია ესთეტიკურობა. გონიერმა სასწორმა კარგად იცის, რომ მის სხეულშიც უნდა იგრძნობოდეს ჰარმონიულობა და ბალანსი. ეს კი ყველაზე ადვილად ტანვარჯიშითა და ცეკვით მიიღწევა.** უნდა აღინიშნოს, რომ სიცოცხლით სავსე, მრავალფეროვანი, სოციალური და მხიარული ცეკვები (სამეჯლისო, სამოყვარულო თუ სპორტული) ის იდეალური ვარჯიშია, რომელიც ვნებიან სასწორს დიდ სიამოვნებას მიანიჭებს. სპორტული თუ მხატვრული ტანვარჯიში და ცეკვები აიძულებს სასწორის ნიშნით დაბადებულს, თავი მხნედ იგრძნოს, დადებითი განწყობა დიდხანს შეინარჩუნოს და მიმდინარე ცხოვრებისეულ რიტმში იმყოფებოდეს.

8. **ღრიანკალს რაც შეეხება, იმისთვის, რომ ზედმეტი ბარგი მოვალეობებზე არ გადმოანთხიოს, აუცილებელია, დაგროვილი ნეგატიური ენერგიისგან დროდადრო განთავისუფლდეს, თუმცა, ამისთვის სასურველი ვარჯიშების შერჩევა მარტივი არ იქნება, რადგან არ ხიბლავს არც ცეკვები და არც მსუბუქად ვარჯიში, მაგრამ მას მუშაობა უყვარს, ამიტომ მისაღებია ნებისმიერი ვარჯიში, რომელიც შრომით სპექტრში განიხილება. ღრიანკალისთვის** მეტად მნიშვნელოვანია ძალაუფლების შეგრძნება, თუნდაც ეს საკუთარ სხეულს ეხებოდეს. იგი ცდილობს, ენთუზიაზმით ივარჯიშოს და ამა თუ იმ უნარის ფლობის ოსტატობაც გამოავლინოს. ამგვარი კი შესაძლოა, იყოს მძლეოსნობა ანდა კონტაქტური საბრძოლო ხელოვნება. ამასთან ერთად, **ღრიანკალი წყლის სტიქიას განეკუთვნება და, შესაბამისად, მისთვის მომგებიანია სერფინგი, სადაც ყველაფრის გაკონტროლებას თავად შეძლებს.** თუმცა, ამის შესაძლებლობა ყოველთვის და ყველა გეოგრაფიულ წერტილში ხელმისაწვდომი არ არის, ამიტომ ალტერნატივად შეიძლება განვიხილოთ **სქეიდბორდი** ან **სნოუბორდი.** დასვენების მიზნით კი ღრიანკალისთვის მეტად სასიამოვნოა საცურაო აუზის სტუმრობაც.

**9. მშვილდოსანი მოწოდებით მოგზაური გახლავთ. მას ძალიან უყვარს სუფთა ჰაერზე დროსტარება, მიდამოს დათვალიერება, საკუთარი ძალების გამოცდა, ამიტომ არ იქნება გასაკვირი, თუ ვიტყვით, რომ მისთვის მისაღებია ველოსპორტი, ფოთლებით მოფენილ ბილიკებზე ძუნძული (არასირბილით) და სიარული, მოკლე ერთდღიანი ტურისტული ლაშქრობები და, ზოგადად, ტურისტული ორიენტაცია.** ნიშანდობლივია, რომ ყველაზე რთულ სიტუაციებშიც, ბუნებაში აქტიურობა მშვილდოსანს ეხმარება ცხოვრებისეული ტემპის შენარჩუნებაში, ხოლო მუდმივად ცვალებადი პეიზაჟი კი — ახალ-ახალი ინტერესის გაღვივებაში.

**10. თხის რქა მუდამ ისწრაფვის სიმაღლეებისკენ, იქნება ეს კარიერა, საქმიანობა თუ დასვენების ჟამი. ამავდროულად, მისთვის მნიშვნელოვანია დისციპლინა, სტაბილურობა და მოზომილი ჩარჩოები. მისი ამპლუა არ არის სწრაფად მოძრაობა ან მოქმედება. მას სჭირდება სპორტის ის სახეობები, სადაც აუცილებელია ძლიერ სხეულთან ერთად კარგი გონებრივი შესაძლებლობები, ამიტომ სკალადრომის იმიტაცია დახურულ სივრცეში შეგვიძლია, საუკეთესო ვარჯიშად მივიჩნიოთ. თხის რქისთვის** მეტად მნიშვნელოვანი გახლავთ მიზნის დასახვა და მისი მიღწევა. შესაბამისად, რაიმე სიმაღლის დაპყრობისას კუნთებსაც გაივარჯიშებს და კმაყოფილებითაც აღივსება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ახალი დიდი მიზნის მისაღწევად თხის რქა მზადაა, მძიმე სამუშაო შეასრულოს, ამიტომ რაც უფრო რთულია ამგვარი ბარიერის დაძლევა და სიმაღლეზე ასვლა, მით უფრო მატულობს მისი თავდაჯერებულობა.

**11. მერწყული სპორტულობით დიდად არ გამოირჩევა და შესაძლოა, ზოგ შემთხვევაში საკმაოდ უჩვეულოდაც გამოიყურებოდეს. იგი არასოდეს დინჯდება და ზრდასრულ ასაკშიც სხვა ნიშნებზე უფრო მეტად ინარჩუნებს ბავშვურ სიხალისეს.** თუმცა, ამის არ ეთაკილება, რამეთუ ნებისმიერ საკითხში ცდილობს, შემოქმედებითობა და ნოვატორობა გამოავლინოს, ტრენაჟორზე ან სპორტულ დარბაზში ერთი და იგივე ვარჯიშის შესრულება მას სწყინდება და მისთვის მისაღებია აკრობატიკა, რიტმული მოძრაობები, ტანვარჯიში, ხელბურთი, ფრენბურთი, ფიგურული სრიალი და სპორტის ის სახეობა, სადაც აუცილებელია ლამაზი, ფერად-ფერადი კოსტიუმები, თვითგამოხატვა, ინდივიდუალიზმი. ამგვარად სხეულსაც გაიკაჟებს და განწყობასაც გაიუმჯობესებს.

**12. თევზებს კი, ზოდიაქოს ყველაზე მისტიკურ და მეოცნებე ნიშანს, არასოდეს არსად არ ეჩქარება, ამიტომ სპორტის ისეთი სახეობები, სადაც აუცილებელია გადაწყვეტილების სწრაფად მიღება, დაპირისპირება, პაექრობა, ორთაბრძოლა, მას არ შეეფერება. სამაგიეროდ, ძალიან უყვარს წყალი — ცურვა და ჭყუმპალაობა, ამიტომ სპორტის ვერცერთი სახეობა ვერ მიანიჭებს იმგვარ სიამოვნებას, როგორც წყალთან ურთიერთობა და საწყლოსნო სახეობები.** ამ მიმართებით ერთ-ერთი ყველაზე მისაღები არის **დაივინგი, სერფინგი, რაფტინგი.** მთელი სხეულისთვის საუკეთესო ვარჯიშია ცურვა. იგი თევზებს საკუთარ თავში კონცენტრირებაში ეხმარება, რაც რეალურ ცხოვრებაში მეტად აკლიათ. განსაკუთრებულად ემოციურ და მგრძნობიარე თევზებს ხშირად გრძნობების სრულად გამოვლენა უჭირთ. წყალში კი ეძლევათ დასვენების, ძალების დაგროვების, აზრთა მობილიზების საშუალება, რის შემდგომ განახლებულნი განაგრძობენ საქმიანობას.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 1-7 მაისის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
მთავარი საზრუნავი ამ კვირაში სამუშაო და შემოსავლის ზრდა იქნება. პრაქტიკულობა და მოთმინება კი წარმატების საწინდარი გახდება, სწავლა და პარტნიორებთან კავშირის დამყარება გაგიადვილდებათ. ეცადეთ, არ გადაიღალოთ და ხშირად დაისვენეთ. საზოგადოებრივი საქმიანობის დროს შესაძლოა, სასიყვარულო ურთიერთობა ჩამოყალიბდეს. გადაადგილებებისას კი სიფხიზლე შეინარჩუნეთ.

**კურო** (21.04-20.05)
თავს სანაქებოდ იგრძნობთ. ახალი იდეა ან ახალი გართობა გაგიტაცებთ. კარგი იქნება, თუ სამომავლო მიზანსა და გეგმას დროულად დაისახავთ. საბუთების გაფორმებისას ყურადღებას ნუ მოადუნებთ. რადიკალურ ცვლილებებს მოერიდეთ და ძველ შეხედულებებზე უარს ნუ იტყვით, რათა გული არ გეტკინოთ და იურიდიული პრობლემები არ შეგექმნათ.

**ტყუპი** (21.05-22.06)
ამ კვირაში დაწყებულმა საქმემ შესაძლოა, ვერ გაამართლოს, მეუღლესთან, საქმიან პარტნიორთან და კოლეგებთან ურთიერთდამოკიდებულება შეიცვლება. შესაძლოა, რაიმე მოულოდნელი უსიამოვნება მოხდეს. მათ შორის ხელშეკრულების ანულირება ან გადაკეთება, ანდა კავშირის გაწყვეტა, სამაგიეროდ, ფინანსურ და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები სასიკეთოდ ჩაივლის. მოგზაურობისას კი გარისკვასა და სტრესულ სიტუაციებს მოერიდეთ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
დაწყებული საქმეების დასრულებისთვის კარგი დროა. სამომავლო მიზნების განხორციელებისთვის კი მოცდა და დათმობა მოგიწევთ, შესაძლოა, კვალიფიკაციის ამაღლებაზეც იფიქროთ. სიყვარულში ბევრ ახალ ემოციასა და გამოცდილებას მიიღებთ. ოჯახში კი მუდამ საკმარისი სითბო და მზრუნველობა დაგხვდებათ. დაღლის შეგრძნებისას კარგად დაისვენეთ და გამოიძინეთ, რათა ენერგეტიკული ბალანსი აღიდგინოთ.

**ლომი** (23.07-23.08)
ძველი, სტაბილური ცხოვრების წესის შენარჩუნების სურვილის მიუხედავად, მიმდინარე მოვლენები გაიძულებთ ახლებურად მოქმედებას. შესაძლოა, ზოგიერთ ადამიანთან საერთო ენის გამონახვის შიში მოგეძალოთ, მაგრამ განმარტოება და ფიქრი შინაგან უთანხმოებას დაგაძლევინებთ და კრიზისიდან გამოსავალს გაპოვნინებთ. პირადი თუ ოჯახური ურთიერთობისას კი უფრო თამამი გახდებით და ემოციის დაუფარავად გამოხატვა არ გაგიჭირდებათ.

**ქალწული** (24.08-23.09)
ინტელექტუალური, შემოქმედებითი და ფიზიკური აქტიურობა მოგემატებათ. კარგი დროა იმიჯის შესაცვლელად, რამეთუ ამაზე იქნება დამოკიდებული თქვენი კარიერული აღმასვლა. გაგიადვილდებათ გადაწყვეტილებების მიღება, რისი მეშვეობითაც შესაძლოა, რადიკალურად შეცვალოთ სამსახური, პირადი ან სასიყვარულო ცხოვრება. უცხოელებთან ურთიერთობით საინტერესო ინფორმაციის მოპოვებას შეძლებთ, რაც შემდგომ საქმიანობაში დაგეხმარებათ.

## 1-7 მაისის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
ემოციურობასა და იმპულსურ ქმედებებს მოერიდეთ, რათა ეს უსიამოვნების, კონფლიქტის და, რიგ შემთხვევაში, ტრავმის მიზეზი არ გახდეს. მეგობრული ან კოლეგიური ურთიერთობა, შესაძლოა, სასიყვარულოში გადაიზარდოს. თუმცა, სტაბილური და ხანგრძლივი არ იქნება. ენერგეტიკა იკლებს, ამიტომ ხშირად დაისვენეთ და გადაადგილებების რიცხვიც შეამცირეთ. ორიგინალურობა ამ კვირაში წარმატებას ვერ მოგიტანთ.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
ფინანსებისადმი, სამსახურისა თუ საქმისადმი თქვენი დამოკიდებულება უფრო სერიოზული გახდება, შესაძლოა, პოლიტიკურ ან საზოგადოებრივ პროცესშიც მიიღოთ მონაწილეობა. ყურადღებას გაამახვილებთ საკუთარი თავისა და ჯანმრთელობის მიმართ. ამავდროულად, მიღებულ ინფორმაციებსა და ახალ იდეებს უყურადღებოდ ნუ დატოვებთ, რათა ახლო მომავალში განახორციელოთ ადრინდელი ჩანაფიქრი. არ არის გამორიცხული, ძველი პირადი ურთიერთობის განახლებაც.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
მყარი ფსიქოსომატური მდგომარეობა ხელს შეუწყობს ჰარმონიულ საოჯახო-სასიყვარულო და სანათესაო ურთიერთობას. ახალი შემოქმედებითი იდეები თუ წინადადებები სიურპრიზსა და სიხარულს გპირდებათ პროფესიულ სფეროში, შესაძლოა, ახალი პერსპექტიული წინადადება მიიღოთ. კარგი პერიოდია გავლენიან ადამიანებთან კავშირის დასამყარებლად. უცხოელებს კი ბოლომდე არ მიენდოთ, რათა არ მოტყუვდეთ. ჯანმრთელობასაც უყურადღებოდ ნუ დატოვებთ.

**თხის რქა** (22.12-19.01)
დადებითი ემოციები კარგი განწყობისა და ჯანმრთელობის საწინდარი გახდება. მეტ თავისუფლებასა და ახალი შეგრძნებების მიღებას მოისურვებთ. ამავდროულად, თქვენ მიმართ გამოთქმული პრეტენზიებისა და კრიტიკის ატანა გაგიჭირდებათ, რის გამოც მოსალოდნელია კამათი როგორც ოჯახის წევრებთან, ისე ნაცნობ-მეგობრებთანაც. კარგი იქნება, თუ დროს უქმად არ დახარჯავთ და ცოდნას გაიღრმავებთ.

**მერწყული** (20.01-18.02)
სახლის საქმე ბევრ დროს წაგართმევთ, თუმცა, ამავდროულად, თქვენში ახალ შემოქმედებით შესაძლებლობებსაც აღმოაჩენთ. შესაძლოა, დამატებითი ინფორმაციის ან ცოდნის მიღება გახდეს აუცილებელი, რაშიც გარშემო მყოფები დაგეხმარებიან. მჭრელი საგნებისა და სახიფათო ტექნიკის გამოყენებისას სიფრთხილე გმართებთ. ამ პერიოდში დამყარებული რომანტიკული კავშირი მომავალში თქვენს იმედებს ვერ გაამართლებს.

**თევზები** (19.02-20.03)
მნიშვნელოვანი საქმეების შესრულებისას დინჯად და გააზრებულად იმოქმედეთ. საქმის დეტალებს თუ ჩასწვდებით, სწრაფად გადადგამთ კონკრეტულ ნაბიჯებს. ახალ ადამიანებთან ურთიერთობა სამომავლო პერსპექტივებს დაგანახებთ. ურთიერთობაში არსებული კონფლიქტი სწრაფად დასრულდება. ეცადეთ, ხშირად დაისვენოთ, რათა ხალისი შეინარჩუნოთ და მეტი დრო დაუთმოთ საოჯახო თუ სასიყვარულო ურთიერთობას.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
## 2, 4, 5 და 7 მაისი

**20 აპრილი – ახალმთვარეობა, პიკი – 07.16 საათზე.**
**მზის დაბნელება, პიკი – 08.18 საათზე;**
**5 მაისი – სავსემთვარეობა.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 1 მაისი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.58 საათზე, ჩადის 19.59 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 15.30 საათზე, ჩადის 2 მაისს 04.11 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 15.49 საათიდან. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს თქვენს საგვარეულო ტრადიციებს დაეყრდენით. უარყოფითი ემოციები არ გამოავლინოთ. საქმიანობისას დეტალებს მეტი ყურადღება მიაქციეთ. სიცოცხლისუნარიანობა იმატებს. სამყარო დღეს ჩანაფიქრის, გეგმის სისწორესა და მართებულობას შეგიმოწმებთ, პრაგმატულად და გააზრებულად იმოქმედეთ. სასიკეთოა მომავლის დაგეგმვა, ხელის თხოვნა. სიფრთხილე გმართებთ ბასრ და მჭრელ საგნებთან მიმართებით. კარგი დღეა დალაგება-დასუფთავებისთვის, საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, აუდიტისთვის, ვაჭრობისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, სწავლისთვის. არ არის სასურველი გარისკვა, ახალი საქმის დაწყება, ქორწინება, სასიყვარულო კონტაქტები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** მწვანე და ყვითელი იასპი, ონიქსი, მალაქიტი, ზურმუხტი, აქატი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 2 მაისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.57 საათზე, ჩადის 20.00 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (10.19) სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 16.34 საათზე, ჩადის 3 მაისს 04.31 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 17.07 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 03.53 საათიდან 10.09 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ნუ იკამათებთ. მოერიდეთ თავის მაქებარ და მატყუარა ადამიანებს. აკონტროლეთ ემოციურობა, სიამაყე, ამპარტავნობა. მოიმატებს განაწყენებისა და ჭორების ალბათობაც. სასიკეთო დღეა შეწყვეტილი ურთიერთობის აღსადგენად, ხელის სათხოვნელად და ქორწინებისთვის. ეფექტური იქნება კბილების მკურნალობა და წელზე, ტერფებზე, თირკმლების მერიდიანზე წერტილოვანი მასაჟი. კარგი დღეა კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, ავეჯის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, მუსიკალური აპარატურის შესაძენად, ექიმთან კონსულტაციისა და მკურნალობის დასაწყებად, დიზაინის შესაცვლელად და ხელოვნების ნიმუშების შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, საფირონი, ქარვა. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის.

## 3 მაისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.56 საათზე, ჩადის 20.01 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 17.39 საათზე, ჩადის 4 მაისს 04.51 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 18.27 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს სხვათა აზრს პატივი ეცით და გაითვალისწინეთ. ურთიერთგაგება იმატებს. შესაძლოა, რთულ სიტუაციებში გამოსავალი მოიძიოთ. კარგი დღეა ქორწინებისთვის, სასიყვარულო შეხვედრებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, ავეჯის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, აქსესუარების, მუსიკალური აპარატურის შესაძენად. სამყაროს მინიშნებებს ყურადღება მიაქციეთ. ცდუნებას არ აჰყვეთ. ხელი შეეწყობა ზედმეტი წონისგან გათავისუფლებას, კოსმეტიკურ პროცედურებსა და წელზე, თირკმლების მერიდიანსა და ტერფებზე წერტილოვან მასაჟს. არ არის სასურველი ალერგიის გამომწვევი პროდუქტების, ალკოჰოლის მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ციტრინი, ფირუზი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 4 მაისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.51 საათზე, ჩადის 20.02 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (18.40) ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 18.46 საათზე, ჩადის 5 მაისს 05.11 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 19.52 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 13.17 საათიდან 18.40 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს სულიერი სიმშვიდე დაიცავით. სულიერად და ფიზიკურად ნუ გადაიღლებით. რთულ სიტუაციაში ეცადეთ, კომპრომისს მშვიდობიანი გზით, დიპლომატიურობით მიაღწიოთ. მეტი იმოძრავეთ. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, ქორწინებისთვის, სასიყვარულო შეხვედრებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, ავეჯის, აქსესუარების, მუსიკალური აპარატურის შესაძენად, ექიმთან კონსულტაციისა და მკურნალობის დასაწყებად, გეგმების დასახვისათვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად, მასაჟისთვის. მოერიდეთ ალერგიის გამომწვევი პროდუქტების, ზედმეტი სითხის მიღებას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული და შარდსასქესო სისტემა, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ოპალი, ტოპაზი. **პოზიტიური დღეა** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, თევზებისთვის.

## 5 მაისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.53 საათზე, ჩადის 20.03 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 19.57 საათზე, ჩადის 6 მაისს 05.43 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 21.21 საათზე. **მთვარის დაბნელება,** პიკი — 21.24 საათზე. **სავსემთვარეობაა,** პიკი — 21.37 საათზე. ამ დროს იწყება მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მზისა და მთვარის ენერგიათა დაპირისპირება კურო-ღრიანკალის ზოდიაქურ ღერძზე განაპირობებს აგრესიას, დეპრესიას, განაწყენებას, ეჭვიანობას, კონფლიქტს, სამაგიეროს გადახდის სურვილს, ტრავმებს, ავარიულ ტენდენციებს, ცდუნებებს, შეცდომებს. პროვოკაციებს ნუ აჰყვებით. მოერიდეთ სარკაზმსა და ზედმეტად პირდაპირობას. იყავით ყურადღებით, გამოიჩინეთ სიფრთხილე. არ არის სასურველი საქმის გარჩევა, კამათი, ახალი საქმის დაწყება, ყიდვა-გაყიდვა, სესხის აღება-გაცემა, მგზავრობა, ახალი თანამშრომლის მიღება, ბინის შეცვლა, ინტიმური კონტაქტები. იკრძალება ალკოჰოლის მიღება, მანქანის შეძენა, მცენარეების დარგვა-გადარგვა. სასიკეთოა ლოცვა, მარხულობა, მიტევება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვების გამოყენება** არ არის რეკომენდებული. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მერწყულისთვის.

## 6 მაისი, შაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.52 საათზე, ჩადის 20.04 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (23.03) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 21.11 საათზე, ჩადის 7 მაისს 06.02 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 22.55 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 18.38 საათიდან 23.04 საათამდე. **ტენდენციები:** დღესაც გუშინდელი სავსემთვარეობისა და მთვარის დაბნელების შემდეგ ეცადეთ, სულიერი სიმშვიდე დაიცვათ. პროვოკაციებს, სიტუაციის დაძაბვას, კამათსა და საქმის გარჩევას მოერიდეთ. ასევე არ არის სასურველი ალკოჰოლის მიღება, ახალი საქმის დაწყება, ინტიმური კონტაქტები, ბინის შეცვლა, სხივური თერაპია, სესხის აღება, მგზავრობა, სოციალურ და სადაზღვევო ორგანიზაციებთან ურთიერთობა. კარგი დღეა თვითშემეცნებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, საგამოძიებო საქმიანობისთვის, რეცხვისა და რემონტისთვის, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა, ღვიძლი. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ონიქსი, იასპი, გიშერი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 7 მაისი, კვირა

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.51 საათზე, ჩადის 20.05 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 22.26 საათზე, ჩადის 8 მაისს 06.35 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 23.30 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეიდან სიყვარულისა და სილამაზის მფარველი პლანეტა ვენერა გადაინაცვლებს კირჩხიბის ზოდიაქოში (5 ივნისამდე), რაც სასიყვარულო ურთიერთობაში შეიტანს მეტ ემოციურობას, მგრძნობელობას, რომანტიზმს, სენტიმენტალურობას, ინტუიციას და ასევე ხასიათცვალებადობას, ეჭვიანობისა და სიცრუისკენ მიდრეკილებასაც. დღეს წვრილმან დეტალებს მეტი ყურადღება მიაქციეთ. ნუ გადაიღლებით. კარგი დღეა მგზავრობა-მოგზაურობისთვის, ქორწინებისთვის, სასიყვარულო შეხვედრებისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის, ვარჯიშისა და ტურისტული ლაშქრობისთვის. არ არის სასურველი სულსწრაფობა, ცხიმიანი კერძების მირთმევა, მშენებლობა, სისხლის გადასხმა, პირდაპირობა და სარკაზმი. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, სარდიონი, ნეფრიტი, საფირონი, იაგუნდი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## საეკლესიო კალენდარი



**6 მაისი – დღესასწაული წმიდისა დიდებულისა, დიდმოწამისა, ძლევაშემოსილისა და სასწაულმოქმედისა გიორგისა**

✝ 1 მაისი. ორშაბათი. **ღირსისა ბასილი რატიშვილისა; ღირსისა იოანესი, ღირსი გრიგოლ დეკაპოლელის მოწაფისა;** მოწამეთა: ბიკტორისი, ზოტიკისი, ზენონისი, აკვინდინესი და სევერიანესი; კოზმან აღმსარებელისა, ქალკედონელი ეპისკოპოსისა და ღირსისა ავქსენტისა; მოწამისა იოანე ახლისა, იოანინელისა.

✝ 2 მაისი. სამშაბათი. **ღირსისა იოანე პალესტინის ძველი ლავრის ხუცესისა;** მოწამეთა: თეონასი, ქრისტეფორესი და ანტონინესი; მღვდელმოწამისა პაფნუტისა, იერუსალიმელი ეპისკოპოსისა; გიორგი აღმსარებელისა, პისიდიის ანტიოქიის ეპისკოპოსისა; ტრიფონისა, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა; ნეტარისა მატრონა მოსკოველისა.

✝ 3 მაისი. ოთხშაბათი. ღირსისა თეოდორე ტრიქინასი; მღვდელმთავართა: გრიგოლისა და ანასტასი სინელისა, ანტიოქიელ პატრიარქთა; ღირსისა ანასტასისა, სინას მთის იღუმენისა; მოციქულისა 70-თაგანისა ზაქესი, მეზვერეყოფილისა.

✝ 4 მაისი. ხუთშაბათი. **მღვდელმოწამისა ექვთიმესი, გაენათელი მიტროპოლიტისა;** მღვდელმოწამისა იანუარი ეპისკოპოსისა და მისთანა მოწამეთა: პროკულე, სოსე და ფავსტო დიაკონთა, დისიდერი წიგნისმკითხველისა, ევტიქისა და აკუტიონისა; მოწამეთა: თეოდორე პერგიელისა, დედისა მისისა ფილიპიასი, დიოსკორესი, სოკრატესი და დიონისესი; მოწამეთა: ისაკისა, აპოლოსისა და კოდრატესი; მაქსიმიანესი, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა.

✝ 5 მაისი. პარასკევი. ღირსისა თეოდორე სიკეოტისა, ანასტასიოპოლელი ეპისკოპოსისა; მოციქულთა: ნათანაელისა, ლუკასი და კლიმენტისა.

✝ 6 მაისი. შაბათი. **წმიდისა დიდებულისა, დიდმოწამისა, ძლევაშემოსილისა და სასწაულმოქმედისა გიორგისა;** მოწამისა დედოფლისა ალექსანდრასი; მოწამეთა: ანატოლისა და პროტოლეონისა. **წმიდა კეთილმსახურ მეფე სოლომონ I-ისა.**

✝ 7 მაისი. კვირა. **აღდგომიდან მე-4, განრღვეულის კვირიაკე.** მართლისა ტაბითასი, მოწამისა საბა სტრატილატისა და მისთანა სამოცდაათთა მხედართა; მოწამეთა: პასიკრიტისა და ვალენტინისა; მოწამეთა: ევსევისა, ნეონისა, ლეონტისა, ლონგინოზისა და სხვათა; ღირსისა თომა სალოსისა; ღირსისა ელისაბედ სასწაულმოქმედისა.


თამარისი Tamarisi

დაინახე:




ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38

571 19 93 93 598 79 40 00

www.facebook.com/tamarisioptics



საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა




გიდმედი

გქონდეთ ჩვენი იმედი!

ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია

თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55





მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.


### მე-40 გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 3. ლამბადა; 8. სერობა; 11. ეტრატი; 12. რხევა; 13. რემისია; 14. რიკული; 15. ამპირი; 16. ბუერა; 17. კანტონი; 18. ფერარი; 19. მანერა; 22. კოცნა; 23. ტირადა; 26. ნაიკი; 28. რევანში; 29. სალი; 32. ფაზენდა; 33. კვატა; 34. ორიგამი; 38. ლიტრა; 39. სიროკო; 40. კლოზე; 41. სურინამი; 42. ნორიო; 43. ტარიფი; 46. მიმი; 48. სირინოზი; 52. ჯანყი; 54. ასკეტი; 55. როტა; 56. ვარიანი; 57. ლავრა; 58. ნატაშა; 59. ნერუ; 60. ნახშირი; 62. ტახტი; 63. კრიზი; 64. ვარია.

შვეულად: 1. სტამბა; 2. მატინე; 3. ლირიკა; 4. მამონტი; 5. აქსიომა; 6. არაბიკა; 7. სელექცია; 8. სარაფანი; 9. რეკორდი; 10. ბალარჯი; 19. მარაო; 20. ნავოი; 21. რანდა; 23. ტიფი; 24. რაზმი; 25. დანტონი; 27. კრაკოვი; 29. სალონი; 30. ლატარია; 31. ნანეტი; 33. კაკო; 35. რჯული; 36. გზირი; 37. მზალო; 39. სიტი; 44. რუსთავი; 45. ფრეგატი; 46. მირანდა; 47. მიტარბი; 48. სავანა; 49. რერიხი; 50. ნიავი; 51. ზვინი; 52. ჯილეხი; 53. ნავთი; 61. რუ.

ბალისტაჟიგოლონებიერიკელამირონინისიათალარი
მესიდორიანტანტალიმონიკარატინიანგიომანიორი

| ლოდსატყორცნი დანადგარი (ძვ.) | დაქირავებული კავალერი | ლაღი, უზრუნველი | ბზიკი | სურნელოვანი ზეთი | ვალი | ვაზის ხეივანი |
|---|---|---|---|---|---|---|
| კურკო-ვანი ხილი | მუშაობის ხანგრ-ძლივობა | ფრანგი მწერლები ანი და სერჟ ... (ანჟელიკას თავგადასავლების ავტორები) | მსახიობი ... რობე-რტსი | თვალების ნაკლი | პატრონ-დაკარგული სამურაი | ძველებური თოფი | ქართული ვალუტა |



თარაზულად: 3. ბრაზილიური ცეკვა; 8. ლეონარდო და ვინჩი „საიდუმლო ...“; 11. ძველი საწერი მასალა; 12. ვიბრაცია; 13. ავადმყოფობის დროებითი შესუსტება ან გაქრობა; 14. მოაჯირის მრგვლად გამოთლილი, გამოხარატებული ხის პატარა სვეტი; 15. სტილი დასავლეთ ევროპის არქიტექტურაში; 16. ტენიანი ადგილების მრავალწლოვანი ბალახი; 17. მცირე ადმინისტრაციული ერთეული საფრანგეთში; 18. იტალიური ავტომობილი; 19. ქცევის თავისებურება; 22. ამბორი; 23. პათოსით წარმოთქმული სიტყვა; 26. ამერიკული სპორტული ნაწარმის ფირმა; 28. სამაგიეროს გადახდა დამარცხებისათვის; 29. პიტალო, მაღალი კლდე; 32. ბრაზილიური რანჩო; 33. იხვი (კუთხ.); 34. ქაღალდის კეცვის ხელოვნება; 38. თიხის ჭურჭელი; 39. ცხელი ქარი სამხრეთ ევროპაში; 40. გერმანელი ექსფეხბურთელი; 41. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 42. სოფელი გარდაბნის რაიონში; 43. ნიჭი; 46. პანტომიმის მსახიობი; 48. ზღვის ნიმფა ბერძნულ მითოლოგიაში; 52. ე. ნინოშვილი „... გურიაში“; 54. ადამიანი, რომელიც უარს ამბობს ყოველგვარ „ამქვეყნიურ“ სიამოვნებაზე; 55. იტალიელი კომპოზიტორი; 56. ი. გოგებაშვილის მშობლიური სოფელი; 57. მამათა დიდი მონასტერი; 58. ... როსტოვა, მთავარი პერსონაჟი ლ. ტოლსტოის რომანისა „ომი და მშვიდობა“; 59. ინდოეთის პოლიტიკური მოღვაწე ჯავაჰარლალ ...; 60. ხის წვის შედეგად მიღებული შავი ფერის მასალა; 62. მეფის სავარძელი; 63. სისხლძარღვების დროებითი სპაზმური შეკუმშვა; 64. ზრდადაუსრულებელი ქათამი.

შვეულად: 1. საბეჭდი საწარმო; 2. ქალის დილის ხალათი; 3. ლიტერატურის სახეობა; 4. სპილოს მსგავსი გადაშენებული ცხოველი; 5. თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება; 6. ყავის სახეობა; 7. ცხოველთა და მცენარეთა ჯიშების გამოყვანა შეჯვარებით; 8. ქალის საზაფხულო სამოსი; 9. ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი; 10. ცომის საფუარი (ძვ.); 19. ხელით სანიავებელი საგანი; 20. უზბეკი პოეტი, მოაზროვნე; 21. გრძელი შალაშინი; 23. გადამდები დაავადება; 24. ჯარის, ლაშქრის ნაწილი; 25. საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე; 27. ქალაქი პოლონეთში; 29. მხატვრულ ნაკეთობათა და ხელოვნების ნაწარმოებთა მაღაზია; 30. ფულის, ნივთების გათამაშება ბილეთებით; 31. თმის ვარცხნილობა; 33. ილია „... ყაჩაღი“; 35. სარწმუნოება (ზოგად.); 36. მამასახლისის ხელქვეითი, სოფლის მოხელე ძველად; 37. ელგუჯას ჩერქეზი სატრფო (ყაზბეგი); 39. ლონდონის საქმიანი ცენტრი; 44. მეტალურგების ქალაქი; 45. ზღვის დიდი ტროპიკული ფრინველი; 46. პლანეტა ურანის თანამგზავრი; 47. ქართული მინერალური წყალი; 48. მარცვლოვანი მცენარეებით დაფარული ვრცელი ვაკე აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში; 49. რუსი მხატვარი; 50. სიო; 51. მაღლად დადგმული დიდი თივის გროვა; 52. ციმბირული წყლული; 53. საწვავი სითხე; 61. პატარა სარწყავი არხი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 39-ე გვერდზე*

| X თვე საფრანგეთის რევოლუციური კალენდრის მიხედვით | სამხედრო კავშირი ინგლისსა, საფრანგეთსა და რუსეთს შორის (1904-07 წ.წ.) | ციტრუსი | ძვირფასი თვლების წონის ერთეული | დიდი ქვეწარმავალი | აზიის სახელმწიფო | $\sqrt{4}$ |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენ-ტინელი ფეხბურთელი | ო. უაილდი – „... გრეის პორტრეტი“ | ქიმიური ელემენტი, ლითონი | ... ბელუჩი | შალის საკოსტიუმე ქსოვილი | კეთილთვისებიანი სიმსივნე | ბოსტნეული |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.
პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.
მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.
ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.
მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.
მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.
მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.
მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.
რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.
ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.
შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.
შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.
კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.
მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.
წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.
სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.
ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.
შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.
შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.
გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.
იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


*დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს*

დამოუკიდებელი და ზვიადისტური

**ასავალ დასავალი**

2023 წლის 1 - 7 მაისი №20-21 (1484-1485)

**გამოდის ორშაბათობით**

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

**მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი**

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“**.
ტელეფონები: (+995) 32 215-25-25; (+995) 32 215-35-35;
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


